ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ნანა გელაშვილი

ჭორეული აღმოსავლეთის რელიგიები



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2018

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია შორეული აღმოსავლეთის რეგიონში გავრცელებული ძირითადი რელიგიური მოძღვრების ჩასახვა-ფორმირები ისტორიის, სპეციფიკური მახასიათებლების, საზოგადოებრივ და კულტურის სფეროებზე მათი ზემოქმედების წარმოჩენა, ასევე რელიგიათშორისი დიალოგისა და ურთიერთგავლენის ჩვენება. ყურადღება ფოკუსირებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გავრცელებულ ისეთ რელიგიებზე, როგორიცაა: ბუდიზმი, კონფუციონიზმი, ტაოიზმი, ლამაიზმი, ბრაჰმანიზმი, ჯაინიზმი, ინდუიზმი, შინტოიზმი. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, უპრიანად მიგვაჩნია აღნიშნული რელიგიური მოძღვრებების აკადემიურ დონეზე წარმოჩენა, მითუმეტეს, რომ ქართულ ენაზე მწირი ლიტერატურა მოიპოვება აღნიშნული საკითხების შესახებ. ვფიქრობ, წარმოდგენილი ნაშრომი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს, უპირველეს ყოლისა, შესაბამისი მიმართულების სტუდენტებს – როგორც სახელმძღვანელო, ასევე მკვლევარ-სპეციალისტებს, პედაგოგებს და ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, ინტერესს გამოიწვევს მკითხველთა ფართო წრეში.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი – **მარინე ჯიბლაძე.**

რეცენზენტები: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი – **ანასტასია ზაქარიაძე.**

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი –
სოფიო გუგუნავა.

© ნ. გელაშვილი, 2018

გამომცემლობა „უნივერსალი", 2018

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; universal@internet.ge

ISBN 978-9941-26-228-9

სარჩევი

შესავალი 7

თავი I. რელიგიათაშორისი დიალოგი შეორეულ აღმოსავლეთში 12

თავი II. ინდოეთი 20

ბუდიზმის ფორმირება ინდოეთში 20

ბუდისტური არქიტექტურა ძველ ინდოეთში 34

არიელები და ვედური პერიოდი ინდოეთში 43

ბრაჰმანიზმი 49

ჯაინიზმი 55

ინდუიზმი 59

თავი III. ჩინეთი 71

კონფუცი და კონფუციონიზმი 74

ტაოიზმი 84

ლეგიზმი და მოიზმი 93

ბუდიზმი ჩინეთში 100

ტიბეტური ბუდიზმი – ლამაიზმი 117

თავი IV. იაპონია 133

იაპონელთა უძველესი რელიგია – შინტოიზმი 135

ბუდიზმი და ბუდისტური კულტურის ფორმირება იაპონიაში 150

კონფუციონიზმი და ტაოიზმი იაპონიაში 168

ძენ-ბუდიზმი 176

ძენ-ბუდიზმი იაპონურ ხელოვნებაში 184

თავი V. კორეა 204
ისტორიულ კორეაში გავრცელებული
რელიგიები 209

Summary 222
გამოყენებული ლიტერატურა 227

შესავალი

საქართველოს ამჟამინდელი მრავალმხრივი საერთაშორისო ურთიერთობებიდან გამომდინარე, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს შორეული აღმოსავლეთის უაღრესად საინტერესო და ეგზოტიკური სამყარო, რომელიც ზღვა მასალას იძლევა შესწავლისა და კვლევისათვის. რეგიონი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე, მზარდ ინტერესს იწვევს მისი ისტორია, ეროვნულ-კულტურული ტრადიციები, პოლიტიკური ინსტიტუტები, იდეოლოგია, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სპეციფიკა და სხვა. ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ აქტუალური გახდა ხსენებული რეგიონის კომპლექსურად და სიღრმისეულად შესწავლის აუცილებლობა. ამჯერად ჩვენი ყურადღება ფოკუსირებულია შორეული აღმოსავლეთის ძირითად რელიგიურ მოძღვრებებზე, რომლებიც განხილულია აზიის დიდი სახელმწიფოების ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების შუქზე. ზოგადად, რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და კონკრეტულად ცალკეულ სარწმუნოებათა შესწავლა ფრიად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ ეპოქის, ქვეყნის, ხალხისა და ეთნოსის ისტორიულ-კულტურული პროცესების ობიექტურად გასააზრებლად და წარმოსაჩენად. სწორედ რელიგია და მის მიერ სანქცირებული ტრადიციები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ მოცემული ცივილიზაციის სახეს, საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებს, კულტურას და სხვა. რამდენადაც რელიგია ადამიანის ცხოვრების მრავალ მხარეს უკავშირდება, ამიტომაც მას სხვადასხვა კუთხით შეისწავლის ისტორია და ფილოსოფია, სოციოლოგია და ფსიქოლოგია, არქეოლოგია და ეთნოლოგია, ანთროპოლოგია და ფოლკლორისტიკა.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ძირითადი რელიგიური მოძღვრებების ჩასახვა-ფორმირების, სპეციფიკური მახასიათებლების,

საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაზე მათი ზემოქმედების წარმოჩენა, ასევე რელიგიათაშორისი დიალოგისა და ურთიერთგავლენის ჩვენება. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განხილულია კონკრეტული მოძღვრების წარმოშობისა და განვითარების ისტორია. ყურადღება ფოკუსირებულია ისეთ რელიგიებზე, როგორიცაა: კონფუციონიზმი, დაოსიზმი (იგივე ტაოიზმი), ლამაიზმი, ჯაინიზმი, ბრაჰმანიზმი, ინდუიზმი, ბუდიზმი, ძენ-ბუდიზმი, შინტოიზმი. ხსენებულმა მოძღვრებებმა სხვადასხვა დოზით გავრცელება ჰპოვეს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

როგორც ცნობილია, ზოგადად აღმოსავლური სამყარო ცივილიზაციებისა და რელიგიური მიმდინარეობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა (დასავლური სამყარო კი ძირითადად, ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობებითაა წარმოდგენილი), რაც განაპირობებდა სხვადასხვა რელიგიურ სისტემათა ძლიერ ზეგავლენას ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ტრადიციებზე და კულტურაზე. ამასთან ერთად, რელიგია, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული კონსერვატიულ ტრადიციებთან და განამტკიცებდა მათ ნორმებს, მუდამ სოციალური ინსტიტუტების დაცვის სადარაჯოზე იდგა ანუ სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან მიმართებაში, ის მყარ ფუნდამენტს ქმნიდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური სისტემები ერთნაირი დოზით არ ამაგრებდნენ ტრადიციულ სტრუქტურას ან კონკრეტულ პოლიტიკურ ხელისუფლებას. კერძოდ, სადაც რელიგიური სისტემა ნაკლებად უჭერდა მხარს მმართველ ელიტას, ხელისუფლება უფრო ადვილად და სწრაფად კარგავდა ძალაუფლებას. ხოლო იქ, სადაც სარწმუნოება ოპტიმალურად ფუნქციონირებდა, შედეგი საპირისპირო იყო, რაც ნათლად ჩანს ჩვენთვის საინტერესო რეგიონის მაგალითებზე. კერძოდ, ჩინეთში შორეულ წარსულში – ჭოუს ეპოქაში (ძვ.წ. 1027-256) ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებები (განსაკუთრებით ტაოიზმი, კონფუციონიზმი) უდიდეს ზეგავლენას ახდენდა პოლიტიკურ სტრუქტურაზე, რაც ხელს უწყობდა ამ უკანასკნელის

შენარჩუნებას ათასწლეულების მანძილზე თითქმის უცვლელი სახით. ინდოეთში რელიგიებსა და სახელმწიფოს შორის შედარებით სუსტი კავშირი იყო და ამიტომაც იქ დინასტიები და სამეფოები უფრო სწრაფად ასრულებდნენ თავიანთ არსებობას, ანუ არასტაბილურები იყვნენ. სამაგიეროდ, სოციალური მეტასტრუქტურის მიმართ რელიგია აქტიურად და ეფექტურად მოქმედებდა. ამან კი განაპირობა ის, რომ პოლიტიკური ხელისუფლების ხშირი მონაცვლეობის მიუხედავად, მეტასტრუქტურა თავისი კასტებით – წამყვანი ძალის სახით, შემორჩა ინდოეთში მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე თითქმის უცვლელი სახით (ინდოეთის 1946 წლის კონსტიტუციით ოფიციალურად აიკრძალა საზოგადოების კასტობრივი დაყოფა). რაც შეეხება იაპონიას, იქ უძველესი დროიდან წარმატებით ფუნქციონირებდა იაპონელთა ეროვნული რელიგია შინტოიზმი, რომელიც წარმოადგენს არა უბრალოდ სარწმუნოებას, არამედ იაპონელთა ყოველდღიური ყოფისა და კულტურის განუყოფელ ნაწილს, მათი ცხოვრების წესს. თუმცა, იმავდროულად ბუდიზმი იაპონიაში, ისევე როგორც აზიის უმეტეს ქვეყნებში, ასევე გაბატონებულ სარწმუნოებას წარმოადგენს.

შორეული აღმოსავლეთის მოძღვრებებისათვის დამახასიათებელია მეზობელ ქვეყნებში გავრცელება, ერთ ტერიტორიაზე რამდენიმე რელიგიის პარალელურ რეჟიმში არსებობა, ასევე ერთი და იგივე ღმერთებისა და ღვთაებების სხვადასხვა რელიგიებში პატივის მიგება, ზოგიერთი რიტუალის ერთმანეთში შერევა და სხვ. მაგალითად, ბუდიზმი წარმოიშვა ინდოეთში, მაგრამ მოგვიანებით ის ინდუიზმმა შეავიწროვა. სამაგიეროდ, ბუდიზმმა გაბატონებული პოზიციები დაიმკვიდრა აზიის სხვა ქვეყნებში. ჩინეთში ერთმანეთის პარალელურად გავრცელდა ურთიერთდაპირისპირებული კონფუციონიზმი და ტაოიზმი, ასევე ლეგიზმი და მოიზმი, ცოტა მოგვიანებით – ლამაიზმი (ბუდიზმის საფუძველზე). იაპონურმა შინტოიზმმა კი გულღიად მიიღო ბუდა, როგორც ერთ-ერთი შინტოისტური ღვთაება.

შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიაზე პირობითად შეიძლება გამოვყოთ სამი რეგიონი: აღმოსავლეთ აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და სამხრეთ აზია. აღმოსავლეთ აზიაში (ჩინეთი, იაპონია, კორეა) ძირითადად გავრცელდა ბუდიზმის მაჰაიანისტური მიმართულება. ჩინეთში, ბუდიზმთან ერთად, გავრცელებული იყო ტაოიზმი და კონფუციონიზმი. კორეაში ბუდიზმთან ერთად, კონფუციონიზმიც გავრცელდა. იაპონიაში კი, როგორც ზემოთ ითქვა, ადგილობრივ შინტოიზმთან ერთად, კორეიდან შეაწია ბუდიზმმა და კონფუციონიზმმა (ახ.წ. მე-5 საუკუნეში). სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (ინდოჩინეთი, მალაიზია, ინდონეზია, ფილიპინები...) ყველაზე მეტი მიმდევარი გამოუჩნდა ბუდიზმის ჰინაიანურ მიმართულებას, თუმცა, ვიეტნამში არის მაჰაიანისტური მიმართულება. ინდონეზიასა და მალაიზიაში გავრცელებულია ასევე, სუნიტური ისლამი, ხოლო ფილიპინებზე სახელმწიფო რელიგიად აღიარებულია კათოლიკური ქრისტიანობა. სამხრეთ აზიის რეგიონში (ინდოეთი, ნეპალი, ბანგლადეში, შრი-ლანკა...) ყველაზე მეტი მიმდევარი ჰყავს ინდუიზმს. ბანგლადეშში გავრცელებულია სუნიტური ისლამის მიმართულებაც. ინდოეთში, ინდუიზმის გარდა, გავრცელებულია ჯაიანიზმი, სიქჰიზმი, მცირე დოზით – ბუდიზმი, ასევე – კათოლიკური ქრისტიანობა. ნეპალში გავრცელებულია ინდუიზმი და ბუდიზმი – უმეტესად ლამაიზმის ფორმით ანუ ტიბეტური ბუდიზმი.

წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება ჩემს მიერ შედგენილი სალექციო კურსისათვის – „შორეული აღმოსავლეთის რელიგიები“ წლების მანძილზე მოძიებულ და დაგროვილ მასალას. წარმოდგენილი მოძღვრებები განხილულია ისტორიულ-კულტურულ ჭრილში, გამომდინარე იქიდან, რომ ფილოსოფიური კუთხით ისინი სათანადოდაა შესწავლილი როგორც ქართველ, ისე უცხოელ სპეციალისტთა მიერ. თემატურად დაჯგუფების პრინციპით, ნაშრომში საკითხები წარმოდგენილია შორეული აღმოსავლეთის შესახებ მოძიებული მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურის (რომლის ნუსხა ნაშრომს თან ერთვის), პერიოდული გამომცემების,

არტეფაქტებისა და ვიზუალური მასალის შესწავლა-ანალიზის საფუძველზე. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ უდიდესი როლი შეასრულა განსახილველი რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში (ვიეტნამში, იაპონიაში, ფილიპინებზე, ტაილანდში, პაკისტანში) ყოფნისას მიღებულმა დაუვიწყარმა შთაბეჭდილებებმა. ცხადია, საკუთარი თვალით ნანახმა და განცდილმა გადააჭარბა იმ ვირტუალურ ცოდნას, რაც წიგნებიდან თუ ეკრანიდან მქონდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს, უპირველეს ყოვლისა, შორეული აღმოსავლეთის რეგიონით დაინტერესებული ქართველ სტუდენტებს – როგორც სახელმძღვანელო, ასევე მკვლევარ-სპეციალისტებს, პედაგოგებსა და ინტერესს გამოიწვევს მკითხველთა ფართო წრეში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი რეგიონის ენათა სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგიერთი ტერმინები, ბგერა, საკუთარი სახელი, გეოგრაფიული ადგილი ქართულ ენაზე ხშირად არასწორად ითარგმნება და გამოიყენება. ვითვალისწინებ რა ამ გარემოებას, წინამდებარე ნაშრომში შევეცადე მაქსიმალურად მიახლოებული ყოფილიყო ტერმინოლოგია ორიგინალთან.

თავი I
რელიგიათაშორისი დიალოგი შორეულ აღმოსავლეთში

ზოგადად, აღმოსავლურ სამყაროს უდიდესი წვლილი მიუძღვის მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. ცივილიზაციაც და რელიგიური რწმენა-წარმოდგენებიც თითქმის ყველა რეგიონში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ყალიბდებოდა – როგორც ახლო, ისე შუა და შორეულ აღმოსავლეთში. უძველესი თვითმყოფადი ცივილიზაციებით გამორჩეული ადგილი უჭირავთ ინდოეთს, ჩინეთს, ირანს, მოგვიანო პერიოდიდან – არაბულ სამყაროს, იაპონიას და სხვა. ნებისმიერი ისტორიული პერიოდის პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ კულტურული ვითარების სიღრმისეულად შესასწავლად და ობიექტურად წარმოსაჩენად, ფრიად მნიშვნელოვანია რელიგიური ასპექტის გათვალისწინება, რამდენადაც ის მუდამ უშუალო კავშირში იყო და არის ქვეყანაში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებთან. რამდენადაც აღმოსავლეთის ხალხთაგან ზოგი უფრო ადრე გამოჩნდა ისტორიის ასპარეზზე, ზოგი – შედარებით გვიან, ცხადია, იმთავითვე გამოიკვეთა სხვადასხვა სახის ურთიერთგავლენის პროცესები. ამასთან, ზოგ შემთხვევებში ეს ძალისმიერი მეთოდებით ხდებოდა, ზოგად კი – ნებაყოფილობით. თუმცა, ორივე შემთხვევაში ასწლეულების მანძილზე უცხო ელემენტების, მათ შორის რელიგიური სეგმენტის, შეღწევა ამა თუ იმ ეროვნულ კულტურაში თუ ქვეყანაში, მკაცრ შინაგან კანონებს ექვემდებარებოდა, რაც რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. მათგან უმთავრესია კონკრეტული ეთნოსის განვითარების დონე, ადათ-წესები, ტრადიციები, მენტალობა, სარწმუნოება, ქვეყნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მისი სამეზობლო, ასევე გასათვალისწინებელია სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის არსებული ურთიერთობის ფორმები, კერძოდ, ეს ურთიერთობები მშვიდობიანი და კეთილმეზობლური იყო, თუ მტრული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცივი-

ლიზაციათა და კულტურათა ურთიერთგავლენის, რელიგიათაშორისი დიალოგის საკითხები უნდა განიხილებოდეს არა განყენებულად, არამედ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქასთან, საზოგადოებასთან, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, იდეოლოგიურ პროცესებთან მჭიდრო კავშირში, რაც სხვადასხვა ფასეულობათა მთელი სპექტრის ერთობლიობას წარმოქმნის.

მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში მრავლად მოიპოვება ცივილიზაციათა დიალოგისა და შეჯახების მაგალითები, რის შედეგადაც თვისობრივად ახალი, იმავდროულად ხშირ შემთხვევებში ტრიდაციულისა და უცხოურის ჰარმონიულად ნაზავი შედეგის მიღება ხდებოდა. სწორედ ამგვარი სინთეზის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო რეგიონში ძველი ჩინეთისა და ინდოეთის ცივილიზაციათა ძლიერი ზეგავლენა ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებზე, რაშიც განმსაზღვრელ როლს რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებები ასრულებდნენ, კერძოდ: ბუდიზმი, კონფუციონიზმი, ტაოიზმი, ჯაინიზმი, ინდუიზმი და სხვ. ამჯერად ყურადღება ფოკუსირებულია სწორედ რელიგიათაშორის ურთიერთობებზე შორეულ აღმოსავლეთში. ამ თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი უჭირავს უძველეს მსოფლიო რელიგიას – ბუდიზმს, რომელმაც კულტურის მთელი ეპოქები შექმნა აზიის რეგიონში.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ბუდიზმის ფილოსოფიურ ჭრილში განხილვა, რამდენადაც ის საფუძვლიანადაა შესწავლილი შესაბამისი დარგის მეცნიერ-მკვლევართა მიერ. ამის დასტურია სხვადასხვა ენაზე არსებული დიდი რაოდენობის სამეცნიერო ლიტერატურა. ეს თანაბარი დოზით ეხება ნაშრომში წარმოდგენილ სხვა მოძღვრებებსაც.

ბუდიზმის ბედი სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან განსხვავებულად წარიმართა: ზოგან ადგილობრივი რელიგიების და ტრადიციების მხრიდან ზეწოლის შედეგად, ის ჩრდილში მოექცა, ზოგან კი – გაძლიერდა და გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. თუმცა, ორივე შემთხვევაში მან

უაღრესად დიდი ზეგავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე: პოლიტიკურ დოქტრინებზე, ადათ-წესებზე, ესთეტიკურ ნორმებზე, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე, განსაკუთრებით კულტურაზე. ბუდისტური კულტურა კი, ეს არის ნატიფი და დახვეწილი სახვითი ხელოვნება, არქიტექტურა, ხუროთმოძღვრება, ლიტერატურა, ეგზოტიკური თეატრალური ხელოვნება და ა.შ. თავად ინდოეთში ბუდიზმის ბედი შემდეგნაირად წარიმართა: ძვ.წ. მე-3 საუკუნეში, მაურიების დინასტიის მმართველობის პერიოდში (ძვ.წ. 322-180) ბუდიზმი ინდოეთის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მომდევნო ხანებში მისი გავლენა ნაწილობრივ შესუსტდა, რადგანაც მმართველი ხელისუფლებისაგან მას სულ უფრო ნაკლები მხარდაჭერა ჰქონდა. ბოლო იმპერატორი, რომელიც მფარველობას უწევდა ბუდიზმს, იყო პალის დინასტიის წარმომადგენელი მე-12 საუკუნეში. განვითარება-აყვავების შემდეგ, ბუდიზმმა სწრაფი დაღმასვლა დაიწყო – მე-8 საუკუნეში სამხრეთ ინდოეთში, მე-12 საუკუნეში კი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ის თანდათან შეავიწროვა და შეცვალა ინდუიზმმა (რომელმაც საბოლოოდ სახელმწიფო რელიგიის სტატუსი მოიპოვა), მე-13 საუკუნეში ინდოეთში ისლამიც მომძლავრდა. რაც შეეხება სხვა ინდურ რელიგიებთან ბუდიზმის ურთიერთობას, მასთან ყველაზე ახლოს ჯაინიზმი აღმოჩნდა. კერძოდ, ბუდიზმის მსგავსად, ისიც აღიარებდა ნირვანას.

ძველ ინდოეთში რელიგიათაშორისი დიალოგის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს ელორის (ცენტრალური ინდოეთი – მაჰარაშტრას შტატი) ტაძართა კომპლექსი, რომელშიც ორგანულადაა ერთმანეთთან შერწყმული ჩრდილო და სამხრეთ ინდოეთის ტრადიციები. იმავდროულად ეს უნიკალური კომპლექსი იმჟამინდელი ინდოეთის რელიგიურ შემწყნარებლობას წარმოაჩენს. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, მას სამი სარწმუნოების მიმდევრები ქმნიდნენ: ინდუისტები, ბუდისტები და ჯაინები, დაახლოებით მე-7 მე-9 საუკუნეების მანძილზე. ყველა მათგანისათვის საერთო იყო არა მხოლოდ ენა – სანსკრიტი,

არამედ სხვადასხვა სიმბოლოები. სახელოვან ოსტატთა ამ ერთობლივმა მოღვაწეობამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო, რადგანაც ელორის მონოლითური კომპლექსი სხვადასხვა ხალხთა და რელიგიათა მრავალფეროვან ხელოვნებას წარმოაჩენს. ელორის ბარელიეფები მსგავსებას ამჟღავნებენ ინდოეთის მეორე შედევრთან – აჯანტის ბუდისტურ სატაძრო კომპლექსთან, რომელიც ორ ეტაპად, მთლიანობაში ძვ.წ. მე-2 საუკუნიდან ახ.წ. მე-8 საუკუნემდე იქმნებოდა. იქ გამოსახული ფიგურები და ქანდაკებები (მაგალითად, შივას, განეშას, პარვატის და სხვების) ინდუისტურ გავლენაზე მეტყველებს. მთლიანად კი ეს კომპლექსი ინდური ხელოვნების ნამდვილ ენციკლოპედიად გვევლინება: ელორის 34 გამოქვაბულიდან 12 ბუდისტურია, 17 – ინდუისტური, 5 კი – ჯაინისტური. დასახელებული ძეგლების გარდა, ინდოეთის მიწა-წყალზე მრავლად მოიპოვება სხვადასხვა ინდურ რელიგიათა ელემენტების ჰარმონიულად შერწყმის მაგალითები. საგულისხმოა ის რეალობა, რომ თანამედროვე პერიოდში ბუდიზმს თავის სამშობლოში – ინდოეთში პროცენტულად ყველაზე ნაკლები მიმდევარი ჰყავს (მოსახლეობის დაახლოებით 0,7%). ინდოეთის მეზობელ სახელმწიფოებში კი (ჩინეთი, კორეა, იაპონია, მონღოლეთი, შრილანკა, ვიეტნამი და სხვ.) ამ კუთხით მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა და მთელი სიგრძე-სიგანით რელიგიათაშორისი დიალოგების პროცესები გამოიკვეთა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთიდან ექსპორტირების შემდეგ, ბუდიზმმა საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა აზიის სხვა ხალხთა რწმენა-წარმოდგენებზე, ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებებზე და წამყვანი პოზიციაც მოიპოვა.

ძვ.წ. მიწურულსა და ახ.წ. დამდეგს ბუდიზმმა ინდოეთიდან ჩინეთში შეაღწია, ვაჭრების მეშვეობით, რომლებიც იქ აბრეშუმის გზით ხვდებოდნენ. ჩინეთში ბუდიზმს უძველესი და მდიდარი კულტურის მქონე ხალხის ტრადიციებთან მოუხდა შეჯახება. შესაბამისად, საწყის ეტაპზე, მას იქ გარკვეული დაბრკოლებები გადაეღობა. მათგან უმთავრესი ის იყო, რომ ქვეყანაში საუკუნეთა მანძილზე მყარად ფესვგად-

გმული მოძღვრებები არსებობდა კონფუციონიზმისა და ტაოიზმის სახით. ბუდიზმი კი ჩინელებისათვის სრულიად უცხო რწმენა-წარმოდგენების შემცველი იყო. მოგვიანებით – ახ.წ. მე-3 საუკუნეში ხანის დინასტიის დამხობამ (220 წ.) და ამ ნიადაგზე ქვეყანაში შექმნილმა ქაოსურმა სიტუაციამ, ადგილობრივი ტრადიციული იდეოლოგიის კრიზისი განაპირობა, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო ბუდიზმის მომძლავრებას ჩინეთში. იმ დროიდან მოყოლებული ჩინეთის პოლიტიკური ელიტა ბუდიზმს აღიქვამდა უკვე არა როგორც უცხო და მიუღებელ სარწმუნოებას, არამედ როგორც მძლავრ იდეოლოგიურ იარაღს ქვეყნის ცენტრალიზაციის გზაზე. ის მოიაზრებოდა საიმედო დასაყრდენ ძალად მსხვილი ფეოდალების სეპარატისტული მისწრაფებების გასანეიტრალებლად. ამ ჭრილში მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტორიც, რომ ახალი სარწმუნოება მეტად სასარგებლოდ აღიქმებოდა იმ ქვეყნებთან ურთიერთობის დასარეგულირებლად, სადაც ბუდისტური დოქტრინები იყო აღიარებული. შედეგად, მე-6 საუკუნეში ბუდიზმი უკვე მთელი ჩინეთის მასშტაბით ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგიად იქცა (კონფუციონიზმისა და ტაოიზმის გვერდით). რელიგიათაშორის დიალოგს ჩინეთის მიწა-წყალზე მოჰყვა კულტურათაშორისი ჰარმონიული სინთეზი. ამის დასტურია ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ულამაზესი ფერადოვანი ბუდისტური ტაძარ-მონასტრების, პაგოდების, ბუდას მონუმენტური ქანდაკებების ინტენსიური მშენებლობა. ასე რომ, დროთა ვითარებაში ბუდიზმი თავისი დოქტრინებით, გარკვეული დოზით შეუთავსდა როგორც ტაოიზმს, ისე კონფუციონიზმს და მათთან ერთად სამი მოძღვრების სინკრეტულ ტრიადას ქმნიდა, სადაც თითოეული გარკვეული კომპონენტებით ერთმანეთს ავსებდა.

ახ.წ. I-II საუკუნეებში ბუდიზმმა ცენტრალური და შუა აზიის ტერიტორიებზე შეაღწია, მე-2 საუკუნეში ბუდისტი მისიონერები დღევანდელ ვიეტნამსა და კამბოჯაში გამოჩნდნენ, მე-5 საუკუნეში – ინდონეზიაში გავრცელდა, მე-4 საუკუნეში მან ჩინეთიდან კორეაში შეაღწია, სადაც მე-10 საუკუნეში სახელმწიფო რელიგია გახდა. მე-6 საუკუნის შუა ხა-

ნებში ბუდიზმი კორეიდან იაპონიაში გავრცელდა და სულ მალე იქ ოფიციალური რელიგიის სტატუსი მოიპოვა, თუმცა, ადგილობრივი ეროვნული სარწმუნოების – შინტოიზმის მნიშვნელობა ამით არ დაკნინებულა. ამიტომაც მომდევნო ხანებში ამ ორ სარწმუნოებას შორის ურთიერთობა ძირითადად მშვიდობიანი თანაარსებობის სახეს ინარჩუნებდა. მე-6 საუკუნეში ბუდიზმმა ტიბეტში შეაღწია, სადაც მან ადგილობრივი შამანური სარწმუნოებისგან გარკვეული ელემენტები შეითვისა და მოგვიანებით ბუდიზმის ტიბეტური ვარიანტის – ლამაიზმის სახით ჩამოყალიბდა. ლამაიზმმა შემდგომ მონღოლეთში და რუსეთში შეაღწია. ამგვარი სვლა-გეზით ბუდიზმმა აზიის თითქმის მთელი რეგიონი მოიცვა. ამასთან, ყველგან ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებთან, ტრადიციებთან და კულტურის ელემენტებთან დიალოგისა თუ გარკვეული კონსენსუსის ფორმით, ურთიერთზემოქმედების პროცესები მიმდინარეობდა.

თანამედროვე პერიოდში ბუდიზმი გავრცელებულია არა მხოლოდ აზიის ქვეყნებში, არამედ ამერიკაში და ევროპაშიც, რომელიც მთლიანობაში რამდენიმე ასეულ მილიონ მორწმუნეს აერთიანებს (2016 წლის მონაცემებით, დაახლოებით ხუთასი მილიონი ადამიანი). მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ფუნქციონირებს ბუდიზმის შემსწავლელი მძლავრი სამეცნიერო და რელიგიური ცენტრები, ასოციაციები, საზოგადოებები და ა.შ., რომლებიც ამ მოძღვრების მეცნიერულ შესწავლას, კრიტიკულ ანალიზს და აგიტაცია-პროპაგანდას ეწევიან.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო განსახილველ რეგიონში კონტინენტური, კონკრეტულად ძველი ჩინეთის მრავალმხრივი გავლენა. ეს პროცესი საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა და რამდენიმე ეტაპს მოიცავდა. ამ კუთხით უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია კორეა და იაპონია. ჩინეთიდან იქნა გადაღებული სახელმწიფოს მართვის ინსტიტუტები, ქალაქთმშენებლობა და დაგეგმარება, მატერიალური და სულიერი კულტურის ელემენტები, ხელოსნობის სხვადასხვა დარგი, ლითონის დამუშავების ტექნოლოგია. მე-4-5 საუკუ-

ნეებში იაპონიაში ჩინურმა იეროგლიფურმა დამწერლობამ შეაწია (მანამდე იაპონელებს საკუთარი დამწერლობა არ გააჩნდათ). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, იაპონელებმა ჩინური იეროგლიფები იაპონური ენის ფონეტიკურ სისტემას მიუსადაგეს, მაგრამ მაინც სირთულეები იქმნებოდა, რადგანაც იაპონური ენა, გრამატიკა და ლექსიკა ძირეულად განსხვავდებოდა ჩინურისაგან. ამით იყო განპირობებული, რომ მე-9 საუკუნეში იაპონელმა სწავლულებმა დამწერლობის ინოვაციური სისტემა შექმნეს, რომელიც მარცვლოვან სისტემას ეფუძნებოდა – კატაკანა და ჰირაგანა.[1] არსებობს აგრეთვე დამწერლობის ფორმა – კანჯი (ჩინური იეროგლიფები), რომელიც თავის დროზე საფუძვლად დაედო კატაკანას და ჰირაგანას შექმნას. დამწერლობასთან დაკავშირებით, ანალოგიურ პროცესებს ჰქონდა ადგილი კორეაშიც. მე-6 საუკუნეში კორეის გზით, იაპონიაში კონფუციონიზმმა, ტაოიზმმა და ბუდიზმმა დაიწყო გავრცელება. მათგან განსაკუთრებით ძლიერი აღმოჩნდა ბუდიზმის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. კონფუციონიზმმა უმთავრესი ბერკეტები მოიპოვა განათლების, სწავლა-აღზრდის, იურისპრუდენციისა და ადმინისტრაციული მმართველობის სფეროებში. ამასთან, ჩინურთან შედარებით, მან ისევე როგორც ტაოიზმმა, იაპონიაში რამდენადმე განსხვავებული ინტერპრეტაცია შეიძინა, რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული ადგილობრივ ტრადიციულ ნორმებთან და საზოგადოების მიერ შემუშავებულ სპეციფიკურ წარმოდგენებთან სამყაროზე. ტაოიზმმა სათავე დაუდო ფილოსოფიის, ლიტერატურის და ხელოვნების არაერთ მიმდინარეობას არა

[1] კატაკანა – (კატა ნიშნავს – არასრული, შემოკლებული) იეროგლიფების გამარტივებული მოხაზულობის საფუძველზე შეიქმნა. ის გამოიყენება უცხო სახელებისა და ნასესხები უცხოური სიტყვების დასაწერად. ჰირაგანათი კი იწერება იაპონური სიტყვები, გრამატიკული ნაწილაკები, თანდებულები და ა.შ. (დაწვრ. იხ. იაპონური ენა ყველას, I, მთარგმნელი და შემდგენელი მ. გოცირიძე, თბილისი, 2001).

მხოლოდ ჩინეთში, არამედ მის საზღვრებს მიღმა, მათ შორის იაპონიაში და კორეაში.

რელიგიათაშორისი დიალოგის მიმოხილვისას, გვერდს ვერ ავუვლით ბუდიზმის ერთ-ერთ ორიგინალურ მიმდინარეობას (რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად სექტად მოიხსენიება) – ძენ-ბუდიზმს, რომელიც ჩაისახა ინდოეთში, ახ.წ მე-6 საუკუნის დასაწყისში ჩინეთში შეაღწია, მე-12 საუკუნის მიწურულს კი – იაპონიაში. სწორედ იაპონიაში მოიპოვა მან განსაკუთრებულად თვალსაჩინო სტატუსი. სხვადასხვა რელიგიებიდან ცალკეული ელემენტების შეთვისების შედეგად, ძენ-ბუდიზმი გახდა იაპონური სამხედრო ფენის – სამურაების მთავარი იდეოლოგია. მან საფუძველი ჩაუყარა ფერწერის, არქიტექტურის, ხუროთმოძღვრების, პოეზიის სპეციფიკურ მიმდინარეობებს, ნო-ს თეატრალურ ხელოვნებას, იკებანას – ყვავილთა შეკონვის ხელოვნებას და სხვ. ძენ-ბუდიზმზე დაფუძნებული ხელოვნების ცალკეული დარგები ნათლად მეტყველებს მის უაღრესად ფართო სპექტრზე; კერძოდ, რელიგიურთან ერთად, მან იაპონიაში ღრმა ფსიქოლოგიური და ესთეტიკური ფუნქცია შეიძინა.

შორეულ აღმოსავლეთში რელიგიათაშორისი დიალოგის მოკლე და ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ძირითადი რელიგიური მოძღვრებების ჩასახვა-განვითარების ისტორია, მათი ურთიერთობის ფორმები, მათი ადგილი და როლი ამ ქვეყნების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. რამდენადაც ამ თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი უჭირავს ბუდიზმს, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იდეოლოგიურ სეგმენტს, თავდაპირველად მასზე ვიწყებთ საუბარს.

თავი II.
ინდოეთი
ბუდიზმის ფორმირება ინდოეთში

ძვ.წ. მე-6 საუკუნეში ინდოეთში ჩაისახა უძველესი მსოფლიო რელიგია ბუდიზმი, რომელიც თავისი არსით უაღრესად ფართო სპექტრის და ღრმა ფილოსოფიური რელიგიურ მოძღვრებას წარმოადგენს. ის აღიქმება არა მხოლოდ როგორც რელიგია, არამედ იმავდროულად, როგორც ფილოსოფია, იდეოლოგია, კულტურა და ზოგადად, ცხოვრების წესი. ამჯერად, ჩვენს მიზანს წარმოადგენს ამ მოძღვრების არა ფილოსოფიურ ჭრილში განხილვა, არამედ მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორიის, პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროებში მისი როლის წარმოჩენა. ყურადღება ფოკუსირებულია ასევე ბუდისტური კულტურის უმთავრეს ძეგლებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბუდიზმი გავრცელებულია ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, თანამედროვე პერიოდში კი მან პოპულარობა მოიპოვა ევროპაში და ამერიკაშიც, რომელიც მთლიანობაში რამოდენიმე ასეულ მილიონიან მრევლს აერთიანებს.

ბუდიზმის ფუძემდებლად მიჩნეულია ძვ.წ.-ის მე-6 საუკუნის ინდოელი სულიერი მოძღვარი სიდჰარტა გაუტამა[1] (ძვ.წ. 623-543). მისი ბიოგრაფიის დეტალები ბურუსითაა მოცული, რადგანაც არსებული მონაცემების წერილობით გაფორმება პალის ენაზე (სანსკრიტის ერთ-ერთი განშტოება) მოძღვარის გარდაცვალებიდან დაახლოებით 300 წლის შემდეგ მოხდა. ისტორიოგრაფიაში ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, სიდჰარტა დაიბადა და ცხოვრობდა ქ. ბენარესის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ კაპილავასტაში (თანამედროვე ნეპალისა და ინდოეთის საზღვარზე). მისი მამა – სუდოჰანა მაგადჰას სამეფოში ჩრდილო ინდური შაკი-

[1] სიდჰართჰა – ძველ ინდურ ანუ სანსკრიტულ ენაზე ნიშნავს – ის, ვინც თავის მიზანს აღწევს, მიზანმიღწეული, ხოლო გაუტამა – საგვარეულოს სახელწოდება იყო.

ების ტომის ბელადი იყო, რომელიც მეომართა უმაღლეს კასტას – ქშატრიების კასტას ეკუთვნოდა. ცნობილია სიდჰართას დედის სახელიც – მაია,[1] რომელიც ჩვილის დაბადებიდან მე-7 დღეს გარდაიცვალა. ბავშვის აღზრდა კი დეიდამ იკისრა, რომელიც შემდგომ სიდჰართჰას მამის მეუღლე გახდა. ლეგენდის თანახმად, ბავშვის დაბადება სასწაულებრივად მოხდა – დედის ფერდიდან, რაც მისი გამორჩეულობის მიმანიშნებელი იყო. აქედან გამომდინარე, წინასწარმეტყველებმა ტომის ბელადს აუწყეს, რომ ბავშვი განსაკუთრებული მისიით იყო მოვლენილი და ის ან დიდი ხელმწიფე გახდებოდა ან რელიგიური წმინდანი. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუკი ის ოთხ უარყოფით მოვლენას იხილავდა, მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვლებოდა – ის გამოვიდოდა დიდი რელიგიური მოღვაწე, მაგრამ ქვეყნის საერო მმართველი ვერ გახდებოდა. რამდენადაც მამის სურვილი იყო, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ სამეფოს მმართველობა სიდჰართჰას გაეგრძელებინა, ის ყველანაირად ცდილობდა, რომ ბავშვს ადამიანთა ცხოვრებისეული ჭირ-ვარამი და უბედურება არ ენახა. ამიტომაც მას აკრძალული ჰქონდა სასახლის გალავნის მიღმა გასვლა. შესაბამისად, სიდჰართჰა ფუფუნებაში და უზრუნველად იზრდებოდა.

ერთხელაც, უკვე წამოზრდილმა სიდჰართჰამ, ეტლით სეინობისას, გარე სამყაროს რეალობა იხილა, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მის შემდგომ ბედზე. თავდაპირველად მან ნახა დაუძლურებული მოხუცი (ანუ სიბერე), შემდეგ – დასნეულებული ადამიანი (ანუ ავადმყოფობა) და მიცვალებულის დაკრძალვის პროცესია (ანუ სიკვდილი). ბოლოს მან დაინახა ფიქრებში ჩაღრმავებული მოხეტიალე ასკეტი, რომელსაც არაფერი სჭირდებოდა ამ ცხოვრებისგან (ანუ სრული სიმშვიდე). ყოველივე ამან სიდჰართჰაზე იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ამიერიდან მის მთავარ საზრუნავად ადამიანებისათვის ტანჯვისაგან ხსნის

[1] მაია – სანსკრიტულ ენაზე ნიშნავს – წუთისოფელს, ილუზიურ სამყაროს.

გზის პოვნა იქცა. მან მთელი სიგრძე-სიგანით გააცნობიერა, რომ ცხოვრება ტანჯვასთან და უბედურებასთან იყო დაკავშირებული. 19 წლის ასაკში (ზოგ წყაროში 16 წელია მითითებული) სიდჰართჰა დააქორწინეს ნათესავ ქალიშვილზე – იასოდჰარაზე. ქორწინებიდან ათი წლის თავზე მათ შეეძინათ ვაჟი – რაჰულა. უზრუნველი ცხოვრების მიუხედავად, 29 წლის ასაკში სიდჰართჰამ უარი თქვა ქონებასა და მემკვიდრეობაზე, ოჯახი მიატოვა და ასკეტური[1] ცხოვრება დაიწყო, რათა შეეცნო წმინდა ჭეშმარიტება და ამ გზით ადამიანებისათვის ხსნა და ბედნიერება მოეტანა. ასკეტი ბრაჰმანებისაგან ის დაეუფლა ასკეტური ცხოვრების პრაქტიკას (სუნთქვის და გრძნობების კონტროლი, შიმშილის და წყურვილის გადატანა, სიცხისა და სიცივის გაძლება, ტრანსში შესვლა და სხვა) და ამ მიმართულებით თვითგანვითარებას მიჰყო ხელი.

დაახლოებით 7-წლიანი განდეგილად ცხოვრების შემდეგ, ლეღვის ხის (ბოდჰას) ქვეშ 49 დღიანი ერთ-ერთი მორიგი მედიტაციის დროს, სიდჰართჰას ჭეშმარიტება ეუწყა, ანუ გასხივოსნების მდგომარეობას მიაღწია. ეს მომხდარა მაისის თვის სავსემთვარეობისას. სწორედ ამიერიდან მას ბუდა უწოდეს (ბუდჰა – სანსკრიტულად ნიშნავს – გასხივოსნებულს, გაღვიძებულს, განათებულს, გაბრწყინებულს). როდესაც მამამ ბუდას სასახლეში დაბრუნება სთხოვა, ამ უკანასკნელმა პასუხად შეუთვალა, რომ იმ პირობით დაბრუნდებოდა, თუკი მამა მისთვის სამუდამო ჯანმრთელობის, მარადიული ახალგაზრდობისა და სულიერი სიმშვიდის უზრუნველყოფას შეძლებდა. ცხადია, ამის გარანტიას მას ვერავინ მისცემდა, ამიტომაც ბუდამ თავისი ცხოვრება სრულიად განსხვავებული მიმართულებით წარმართა. კერძოდ, მან გადაწყვიტა ხალხში გასულიყო და ექადაგა ყველასათვის, ვინც

[1] ასკეტიზმი – მომდინარეობს ბერძნული askesis-გან, რაც ნიშნავს – ვარჯიშს, გმირობას, განდეგილობას. ესაა ცხოვრებისეულ სიამოვნებებისაგან განდგომა, სურვილების ჩახშობა და ა.შ., რაც სხვადასხვა რელიგიის მახასიათებელია.

ჭეშმარიტების ძიებაში იყო, განურჩევლად მათი წარმომავლობისა, ფენისა, სქესისა, ასაკისა, სალაპარაკო ენისა, ხასიათისა თუ გონებრივი შესაძლებლობებისა.

ახალ მოძღვრებას საფუძვლად დაედო ბუდას მიერ აღმოჩენილი 4 წმინდა ჭეშმარიტება, რაც შემდეგში მდგომარეობდა: 1. ცხოვრება არის ტანჯვა, ყველაფერი ტანჯვაა, რაც კი ადამიანს მიწიერებასთან აკავშირებს; 2. ამის მიზეზია სხვადასხვა ადამიანური სურვილები და მოთხოვნილებები (ქონებისა და დიდების მოხვეჭისკენ ლტოლვა, სიძულვილი, შური, სიყვარული, ვნებათაღელვა...); 3. საჭიროა მათგან განთავისუფლება ანუ ადამიანმა უარი უნდა თქვას ყველანაირ სურვილებსა და მოთხოვნილებებზე; 4. ტანჯვის თავიდან აცილების ერთადერთი გზა საკუთარ თავში ჩაღრმავება და თვითსრულყოფის გზით, მედიტაციის საშუალებით ნირვანას (სანსკრიტულად ნიშნავს – ჩაქრობას, ჩახშობას, წვას, გაქრობას) მიღწევა. ეს არის სპეციფიკური მდგომარეობა, რომელიც არც სიცოცხლეა და არც სიკვდილი, როდესაც ადამიანის შეგრძნებები ნულოვან წერტილშია მოქცეული და ამქვეყნიურ სიამეთა მიმართ მიჯაჭვულობისგან თავისუფლდება. ზემოხსენებული სურვილების ჩახშობა კი შესაძლებელი იყო რვა საფეხურიანი გზის გავლით, რათა ადამიანს საბოლოოდ ნირვანას მდგომარეობისთვის მიეღწია. კერძოდ, ადამიანს უნდა ჰქონოდა: 1. მართალი რწმენა, რათა სწამდეს ოთხი წმინდა ჭეშმარიტება, 2. მართალი განზრახვა, რათა ადამიანი იქცეოდეს ამ ოთხი ჭეშმარიტების შესაბამისად, 3. მართალი ზრახვები, რათა უარი თქვას სიცრუეზე, ცილისწამებაზე... 4. მართალი ქმედება, რათა არ ავნოს ცოცხალ არსებებს – არც ადამიანს, არც ცხოველს, არც მწერს, 5. მართალი ცხოვრება, რათა პატიოსნებით მოიპოვებდეს ცხოვრების სარჩოს, 6. მართალი ძალისხმევა, რათა მუდამ თავიდან იშორებდეს ამაო ფიქრებსა და ცუდ ზეგავლენებს, 7. მართალი მეხსიერება, რათა მუდამ ახსოვდეს, თუ კიდევ რა დარჩა შეუსრულებელი ჭეშმარიტი ცხოვრების გზაზე, 8. მართალი თვითჩაღრმავება, რათა მიაღწიოს შინაგან სიმშვიდეს, აღარ

აღელვებდეს მიწიერი ზრახვები, არც სიხარული სრულყოფილების მიღწევისა და საბოლოო გათავისუფლების გამო.

ამრიგად, ბუდიზმის თანახმად, ტანჯვისაგან განთავისუფლება ადამიანს ძალუძს არა მსხვერპლშეწირვით ან ქურუმთა დახმარებით, არამედ საკუთარი მონდომებითა და ნებისყოფით, მთელი შინაგანი ძალისხმევის მობილიზებით. ასკეტური ცხოვრების შემდგომ, სიცოცხლის დანარჩენი პერიოდი ბუდამ თავისი ახალი მოძღვრების ქადაგებას მოანდომა. გადმოცემის თანახმად, მან პირველად ქ. ბენარესში იქადაგა, სადაც მისი პირველი მსმენელები 5 ასკეტი და 2 ირემი იყვნენ. ბუდა ქადაგებდა მოწყალებას, მოთმინებას, უარს ამბობდა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, კიცხავდა სიმდიდრისა და ფუფუნებისკენ ლტოლვას, ყველა მორწმუნეს პირდებოდა ხსნას იმის განურჩევლად, თუ რომელ კასტას ეკუთვნოდა.

ბუდიზმის მიმდევართათვის ხსნის ეფექტურ საშუალებად მონაზვნად აღკვეცა ითვლებოდა. პირველი მონაზვნური თემის ანუ სანგჰას შემქმნელი თავად ბუდა იყო. მონაზონთა ვალდებულებებს შორის უმთავრესი იყო ბუდას მოძღვრების ქადაგება. ამასთანავე მათ უნდა დაეცვათ ათი მცნება: არ მოეკლათ ცოცხალი არსება, დაეცვათ უბიწოება, არ ეცრუათ, არ ექურდათ, არ მიეღოთ სპირტიანი სასმელი, თავი შეეკავებინათ ზედმეტი საკვებისგან, საერო გართობებისგან, ნელსაცხებლების და სამკაულების ხმარებისაგან, მდიდრულ სარეცელზე წოლისაგან და საჩუქრად ოქრო-ვერცხლის მიღებისგან. მონაზონს საკვები უნდა მოეპოვებინა მხოლოდ მოწყალების თხოვნით. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანობაში ზოგიერთი ელემენტი მეორდება ბუდიზმის ანალოგიურად, მაგალითად, ქრისტესაც თავდაპირველად 12 მოწაფე ჰყავდა, ახდენდა ბუდას მსგავს სასწაულებს, ერთმანეთს ემთხვევა მცნებათა გარკვეული ნაწილიც.

ბუდა სიცოცხლეშივე მოესწრო თავისი მოძღვრების აღიარებას და ფართოდ გავრცელებას. ის 80 წლის ასაკში გარდაიცვალა მაისის სავსემთვარეობისას (ისევე როგორც მისი დაბადება და განსხივოსნება). მისი უკანასკნელი სიტ-

ყვები ასეთი ყოფილა: „ახლა კი, ბერებო, მეტს ვერაფერს გეტყვით გარდა იმისა, რომ ყველაფერი არსებული განწირულია გაქრობისათვის, ამაოდ ცდილობთ. მთელი ძალით ესწრაფეთ ხსნის გზას“. აქვე მოვიყვან ბუდას კიდევ რამდენიმე გამონათქვამს: „როგორც ზღვის წყალს აქვს ერთი გემო – გემო მარილისა, ასევე ჩემს მოძღვრებას აქვს ერთი გემო – გემო ხსნისა“, „ვაი იმას, ვინც ძალადობას ძალადობით ებრძვის, მტრობა არასოდეს მოსპობილა მტრობით, არამედ – სიყვარულით. ამგვარი წესია უკუნისიდან“, „ნუ გვძულს, ვისაც ვეზიზღებით, ჩავიკლათ გულში მტრობის გრძნობა“, „ბრაზი და მრისხანება მოთმინებით დაამარცხე, ბოროტება – სიკეთით“.

როგორც ცნობილია, აღმოსავლური ჰოროსკოპის თანახმად, თითოეულ წელს თავისი მფარველი ჰყავს. ეს ტრადიცია სხვა ლეგენდებთან ერთად, ბუდიზმსაც უკავშირდება. მის თანახმად, ბუდამ სიკვდილის წინ (ის შხამიანი სოკოთი მოწამლულა) ყველა ცხოველი დაიბარა, მაგრამ მასთან დასამშვიდობებლად მხოლოდ 12 ცხოველი მისულა. ამ ყურადღების სანაცვლოდ, ბუდამ მათ უფლება მისცა თითოეული წლის მფარველები ყოფილიყვნენ. წლების გადანაწილება კი იმ თანმიმდევრობით მოხდა, რომლითაც ცხოველები მოძღვარს უახლოვდებოდნენ: ვირთხა, ხარი, ვეფხვი, კატა (კურდღელი), დრაკონი, გველი, ცხენი, თხა (ცხვარი), მაიმუნი, მამალი, ძაღლი, ღორი (ტახი). ბუდას გარდაცვალების შემდეგ, მისმა მოწაფეებმა მოძღვრის გვამი დაწვეს (კრემაცია გაუკეთეს), დაწესებული ნორმის შესაბამისად. გადმოცემის თანახმად, მეზობელ სამეფოთა მმართველებმა შიკრიკები გამოგზავნეს, რათა ბუდას დარჩენილი წმინდა ნაწილები მიეღოთ. გვამის ნარჩენები რვა ნაწილად გაიყო, სხვადასხვა ადგილას ჩაფლეს, სადაც შემდგომში აგებულ იქნა განსაკუთრებული რელიკვიები – მემორიალური ფილები (კონუსის ფორმის საკულტო ნაგებობები) და ბუდისტური ტაძრები. ლეგენდის თანახმად, ბუდას ერთ-ერთმა მოწაფემ კოცონიდან ბუდას კბილი აიღო, რომელიც ბუდისტების მთავარ რელიკვიად იქცა. ამჟამად ის კუნძულ შრილანკაზე ქ. კანდის

ტაძარში ინახება. აღსანიშნავია, რომ ბუდას ერთ-ერთი წმინდა ნაწილი აღმოჩენილ იქნა 1898 წელს სოფელ პიპრაჰვასთან – უძველეს ქალაქ კაპილავატჰუს ფილაში, რომელიც ამჟამად ქ. დელის ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

გამომდინარე იქიდან, რომ თავად ბუდას არაფერი დაუწერია, გარკვეული დროის შემდეგ მისი მოძღვრების ირგვლივ სადავო საკითხები გაჩნდა. ჭეშმარიტების დასადგენად, კრებების მოწვევა დაიწყო. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, პირველი ასეთი კრება ძვ.წ. 480 წელს ჩატარდა, როდესაც ბუდას ყველა მოწაფე შეგროვდა და სამმა მათგანმა: ანანდამ, უპალამ და მაჰამაუდგალიანამ გააჟღერეს ის ნორმები, რაც ბუდამ ასწავლა მათ. კერძოდ, მონაზვნური ცხოვრების წესები, დისციპლინარული კანონები, ბუდას ცხოვრებისეული დარიგებები და სხვა.

ბუდიზმის ცენტრებად და მის გამავრცელებელ კერებად მონასტრები იქცა, რომლებშიც იმავდროულად სასწავლებლები და ბიბლიოთეკები იყო განთავსებული. მონასტრებშივე დაიწყეს ბუდისტმა ბერებმა ძველ ინდურ ენებზე – პალიზე და სანსრკიტზე პირველი წმინდა ტექსტების – სუტრების ჩაწერა, რომელთა საფუძველზე შეიქმნა ბუდისტური კანონიკური ლიტერატურული ძეგლი „ტრიპიტაკას“ სახელწოდებით (ტრიპიტაკა პალის ენაზე ნიშნავს - სამ კალათას). საქმე ისაა, რომ ძველ ინდოეთში პალმის ფოთლებზე წერდნენ, რომლებსაც კალათით დაატარებდნენ. გადმოცემის თანახმად, ბუდამ თავის მოწაფეებს წმინდა ტექსტები უკარნახა, თუმცა, დიდი ხნის მანძილზე ტრიპიტაკა ზეპირი გადმოცემით ვრცელდებოდა და პირველად მისი ჩაწერა ძვ.წ. 80 წელს განხორციელდა, სრულყოფილი სახე კი რამდენიმე საუკუნის შემდეგ მიიღო. წმინდა ტექსტების კალათებით ტარება იმის გამო ხდებოდა, რომ მათი დაკარგვა არ მომხდარიყო. თანამედროვე პერიოდში ბუდისტი მონაზვნების უმეტესობა, რომლებსაც „ტრიპიტაკას მქონეები“ ეწოდება, ტრადიციულად, იზეპირებენ ტრიპიტაკას. ხსენებული კანონიკური ძეგლი სამი მთავარი ნაწილისაგან შედგება: პირველ მათ-

განში მოცემულია ბუდისტური თემის კანონიკური წესები და ის ცნობილია „წესდების კალათის“ სახელით; II ნაწილი შეიცავს ბუდას საუბრებს და გამონათქვამებს, რომელსაც „მოძღვრების კალათა“ ეწოდება; III ნაწილში კი ჩამოყალიბებულია მეტაფიზიკური მსმჯელობა რელიგიისა და სამყაროს შესახებ, რომელსაც „ცოდნის კალათა“ ეწოდება. თითოეული ეს ტრიპიტაკა, თავის მხრივ, კიდევ იყოფა ქვეთავებად, რომლებშიც გადმოცემულია ბერ-მონაზონთა ცხოვრების წესი, მათი უფლება-მოვალეობანი, ბუდისტური თემის წეს-ჩვეულებები, ბუდას ბიოგრაფია, სხვადასხვა ლეგენდები და ა.შ.

როგორც ცნობილია, თავისი არსებობის ადრეულ ეტაპზე ბუდიზმი იყო არა რელიგიური, არამედ ფილოსოფიურ-ეთიკური მოძღვრება, რომელიც ზემოხსენებულ ოთხ წმინდა ჭეშმარიტებას ეფუძნებოდა. თავდაპირველად, როდესაც ბუდიზმი ჯერ კიდევ ახალი მოძღვრება იყო, ბუდას ქანდაკებების ნაცვლად, მისი მიმდევრები გარკვეულ სიმბოლოებს იყენებდნენ, რომლებსაც ღრმა სიმბოლურ დატვირთვა ჰქონდათ. მათგან აღსანიშნავია: ლოტოსი, სვასტიკა, ნიჟარა, ბორბალი, ოქროს თევზები და სხვა. მათი გამოყენება ერთგვარ ხერხს წარმოადგენდა მორწმუნეებისათვის ერთმანეთის რელიგიური მრწამსის შესატყობინებლად და ასევე, ბუდისტური მოძღვრების გასავრცელებლად. სიმბოლოებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი და პოპულარულია ლოტოსის ყვავილი (სანსკრიტულად - პადმა). როგორც ცნობილია, მას ფესვები ჭაობის ტალახში აქვს გადგმული, ხოლო ყვავილი წყლის ზედაპირზე ყვავის. ბუდისტური თვალთახედვით, მცენარის ზრდის პროცესი სულის განვითარებას განასახიერებს, ესაა სულიერი განვითარება პირველყოფილი მატერიალიზმიდან – ჭაობიდან, შემდგომი გამოცდილების გავლით (ანუ წყლის გავლით), ნირვანამდე (სიმბოლურ აყვავებამდე). მართალია, სხვა წყლის მცენარეებიც არსებობენ, მაგრამ ლოტოსი ერთადერთია, რომელიც ესოდენ დიდ ძალას ფლობს და წყლის ზედაპირზე საკმაოდ მაღალ სიმაღლეზე ამოდის. ყვავილის თეთრი, ასევე მოვარდისფრო ფერი ბუდიზმში სიწმინდისა და უბიწოების სიმბოლოა.

მეფე აშოკას ზეობა (ძვ.წ. 272-232). ბუდიზმის რელიგიად ფორმირება უკავშირდება მაურიების დინასტიის (ძვ.წ. 322-180) გამორჩეული წარმომადგენლის – მეფე აშოკას[1] სახელს, რომელიც ინდოეთის ისტორიაში ერთ-ერთ უძლიერეს მმართველადაა აღიარებული. თავისი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის წყალობით, ის თანამედროვე ინდოეთზე უფრო დიდ ტერიტორიას მართავდა. ბუდიზმის გაბატონებას დიდად შეუწყო ხელი იმხანად ინდოეთში არსებულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა ვითარებამ, კერძოდ, როდესაც მაგადჰას[2] სახელმწიფო გაძლიერდა და ხელისუფლების სათავეში მაურიების დინასტია მოექცა. აშოკა წარმომავლობით დაბალ კასტას ეკუთვნოდა და დიდგვაროვან ბრაჰმანებთან დაპირისპირებული იყო. ამდენად, მაურიების ხელში ბუდიზმი საუკეთესო იდეოლოგიურ იარაღად იქცა ბრაჰმანების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბუდიზმის გავრცელებამ საშიშროების ქვეშ დააყენა ბრაჰმანული რელიგია, რომელიც ძირითადად არისტოკრატიული ფენების იდეოლოგიას წარმოადგენდა და მოსახლეობის ფართო მასებში პოპულარობით არ სარგებლობდა, ბუდიზმი კი ხალხის ინტერესებს პასუხობდა. ბრაჰმანებისა და ბუდისტების დაპირისპირებამ არა თუ დაასუსტა ეს უკანასკნელნი, არამედ გააძლიერა და ბუდისტურმა მოძრაობამ ფართო მასშტაბები მიიღო. სწორედ ამ კუთხით უმთავრესი როლი შეასრულა აშოკას მიერ გატარებულმა რადიკალურმა ღონისძიებებმა.

აშოკა იყო პირველი მონარქი, რომელმაც ადეკვატურად შეაფასა ბუდიზმის მნიშვნელობა ქვეყნის გაძლიერების მიმართულებით და გააცნობიერა ერთიანი კონფესიური აღმსარებლობის ჩამოყალიბების აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, ის ყველანაირად ხელს უწყობა ბუდიზმის გავ-

---

[1] აშოკა – სანსკრიტულად ნიშნავს – უმტკივნეულოს.

[2] მაგადჰა – დღევანდელი ბიდარი, დაარსდა ძვ.წ. 684 წელს, ყველაზე შთამბეჭდავ ტერიტორიულ მასშტაბებს და ეკონომიკურ აყვავებას მან მაურიების დინასტიის პერიოდში მიაღწია. მაგადჰას სახელმწიფოს დედაქალაქი იყო პატალიპუტრა (დღევანდელი პატნა).

რცელებას. თავდაპირველად, აშოკა დიდი გულისყურით გაეცნო ბუდიზმის დოქტრინებს, ბუდისტური თემის – სანგჰას იდეებს და მხოლოდ ამის შემდგომ ის გახდა ბუდიზმის საერო მიმდევარი ანუ უპასაკა. მისი მოქცევა გარკვეულწილად დააჩქარა შემდეგმა გარემოებამ: ზეობის პირველ წლებში, როდესაც აშოკა იმპერიის საზღვრების გაფართოებას ცდილობდა, მან გაილაშქრა კალინგაზე (დღევანდელ ორისას შტატში). ეს იყო ერთადერთი სამეფო ჩრდილო ინდოეთში, რომელიც მაურიების ბატონობას არ ექვემდებარებოდა. ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად, ძვ.წ. 261 წელს აშოკამ მრავალრიცხოვანი ჯარის თანხლებით, სასტიკად აოხრა კალინგა, მოსახლეობა კი ერთიანად გაჟლიტა. მართალია, მან გამარჯვება მოიპოვა და კალინგა შემოიმტკიცა, მაგრამ იქ დატრიალებული სისხლისღვრა მას მოსვენებას არ აძლევდა და მძიმე ცოდვად აწვა კისერზე. სწორედ ასეთ მდგომარეობაში მყოფი მეფისათვის ერთ ბუდისტ ბერს – უპაგუპტას რჩევა მიუცია, რომ ბუდიზმზე მოქცეულიყო და ასეც მოხდა. ამის შემდგომ, თავისი სასტიკი ქმედებების მონანიების მიზნით, აშოკამ უარი თქვა ძალადობრივ მეთოდებზე, შეწყვიტა დაპყრობითი ომებიც. მისი უმთავრესი მიზანი ბუდიზმისა და არაძალადობრივი მმართველობის იდეის გავრცელება გახდა. საამისოდ, მისი ბრძანებით, მთელ ინდოეთში დაიწყო მრავალრიცხოვანი ბუდისტური სვეტებისა და ფილების აგება, რომელზეც დჰარმას[1] ანუ ღვთაებრივი კანონის სიტყვები და ფრაზები იყო ამოკვეთილი. ამგვარი წარწერები ინდოეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მადჰა-პრადეშში, გუჯარეთში, უტარ-პრადეშში, მაჰარაშტრაში, ორისაში, კოპალაში და სხვ., ინდოეთის ფარგლებს გარეთ კი – ფეშავარში (პაკისტანი), ყანდაჰარში (ავღანეთი), ნეპალში და აზიის სხვა ქვეყნებში.

[1] დჰარმა – სანსკრიტულად ნიშნავს – კანონს. ეს არის ერთ-ერთი ცენტრალური ცნება ინდურ რელიგიებში, რომელიც მოიაზრება როგორც ღვთაებრივი კანონი, ბუნების კანონზომიერება, სამყაროს არსი.

გადმოცემის თანახმად, აშოკას გამეფებიდან მე-18 წელს (ანუ 272-18=254), დაახლოებით ძვ.წ. 254 წელს დედაქალაქ პატალიპუტრაში მესამე ბუდისტური კრება გაიმართა, რომლის დროსაც ბევრი სადავო საკითხი გადაიწყვიტა და აშოკას ბრძანებით, ბუდიზმი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. სწორედ იმ პერიოდში იქნა ბუდას პიროვნება გაღმერთებული, დაიწყო ბუდას ქანდაკებებისა და ტაძრების მშენებლობა. ბუდისტურ ფილებზე და სვეტებზე შემონახული აშოკას წარწერებიდან ირკვევა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში (სირიაში, ეგვიპტეში, მაკედონიაში, ბირმაში, სიამში და სხვ.) ემისრები გაიგზავნა ბუდიზმის გავრცელების მიზნით. იმავდროულად, აშოკა მოილოცავდა ბუდისტურ წმინდა ადგილებს, სადაც მემორიალური სვეტები აღიმართებოდა სათანადო წარწერებით. აშოკამ აკრძალა ცოცხალი არსებების მსხვერპლშეწირვა და მათთვის ზიანის მიყენება (შედგენილ იქნა დასაცავი ცხოველების სია), მან უარი თქვა თავის საყვარელ გართობაზე – ნადირობაზეც და შესაბამისად, აკრძალა ნადირობა გართობის მიზნით, ვეგეტარიანელი გახდა და სხვებსაც ამას მოუწოდებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუდიზმის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მიუხედავად, აშოკა არ დევნიდა სხვა რელიგიების მიმდევრებს. ამის თაობაზე ის ერთ-ერთ თავის წარწერაში აღნიშნავს (სულ ჩვენამდე მოღწეულია აშოკას 30-ზე მეტი წარწერა). როგორც ჩანს, ამ კუთხით ის ტოლერანტობას იჩენდა.

აშოკას ზეობის დროინდელი ტაძარ-მონასტრები, გამოქვაბულთა (მღვიმეების) კომპლექსები ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ მაღალ დონეს აღწევდა იმხანად ინდური არქიტექტურა და ხუროთმოძღვრება. მთლიანობაში მისი მმართველობა ფართო სპექტრის რეფორმატორული ღონისძიებებით გამოირჩეოდა. ის დიდ ყურადღებას უთმობდა მოსახლეობის განათლებას – მთელი ქვეყნის მასშტაბით უნივერსიტეტის ტიპის უმაღლესი სასწავლებლები დააფუძნა (განსაკუთრებით აღსანიშნავია მაგადჰაში არსებული ცნობილი უნივერსიტეტი - ნალანდა). მიმდინარეობდა სასტუმროების, საავადმყოფოების, არხების, საირიგაციო სისტემე-

ბის, გემების, ნავსადგურების აგება, გაყვანილ იქნა ახალი გზები. გარდა ამისა, ქვეყანაში მაღალ განვითარებას მიაღწია სოფლის მეურნეობამ, ვაჭრობა-ხელოსნობამ, უფასო იყო სამედიცინო მომსახურება. აშოკა იყო პირველი მეფე, რომლის ბრძანებითაც აიგო სამკურნალო დაწესებულებები სპეციალურად ცხოველებისთვის.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, წყაროების გადმოცემით, აშოკას ზეობის მიწურულს სახელმწიფო ხაზინა გაკოტრების პირას აღმოჩნდა. საქმე ის იყო, რომ ბუდიზმის ასაყვავებლად, ის კოლოსალურ თანხებს ხარჯავდა, გულუხვად ასაჩუქრებდა ბუდისტურ თემს, ტაძარ-მონასტრებს და საბოლოოდ ეს ყველაფერი შესაბამისად აისახა ხაზინაზე. ამით აღშფოთებულმა დიდებულებმა თურმე აშოკას მემკვიდრე შვილიშვილს – სამპადის მოსთხოვეს მეფის იმ ბრძანებულებათა გაუქმება, რომლებიც ბუდიზმის პრივილეგიებს ეხებოდა. რამდენადაც თავად სამპადი და დიდებულთა უმეტესი ნაწილი ჯაინიზმის მიმდევრები იყვნენ, აშოკას რელიგიური ხასიათის ედიქტები უკვე აღარ სრულდებოდა. მეფის ოპოზიციონერთა ბანაკში აღმოჩნდა მისი ერთ-ერთი მეუღლეც. აქედან გამომდინარე, ზეობის ბოლო წლები აშოკასთვის მეტად მძიმე აღმოჩნდა, მტრული გარემოცვის გამო. ფაქტობრივად, მისი გარდაცვალების შემდეგ ბუდიზმის აყვავების პროცესი ინდოეთში მინელდა.

<u>განხეთქილება ბუდიზმში</u>. ახალი წელთაღრიცხვის დამდეგს ბუდიზმის განვითარების მომდევნო ეტაპი დაიწყო. კერძოდ, მის ერთიანობაში განხეთქილება მოხდა, რაც ძირითადად, დოგმატიკისა და სარიტუალო წესების ზოგიერთ ასპექტს შეეხებოდა. ამის საფუძველზე ბუდიზმი ორ მთავარ მიმდინარეობად გაიყო: 1. სამხრეთული ბუდიზმი – ჰინაიანა (პატარა ეტლი) ანუ ხსნის ვიწრო გზა, ის ასევე თჰერავადას სახელითაც მოიხსენიება. მის თანახმად, უზენაესი წმინდა ჭეშმარიტების – ნირვანას მიღწევა მხოლოდ ღვთისმსახურთა ვიწრო წრეს ძალუძდა, ასკეტური ცხოვრებითა და დოგმატიკის მკაცრი დაცვის გზით. ჰინაიანას მიმდევრები ბუ-

დას პატივს მიაგებდნენ არა როგორც ღმერთს, არამედ როგორც დიდ მოძღვარს, რომელმაც თავისი უბიწო ცხოვრებითა და განჭვრეტის ღრმა უნარის წყალობით, ადამიანებს ხსნის გზა უჩვენა. ჰინაიანა ბუდას მიიჩნევდა ადამიანად, რომელმაც გასხივოსნებას მიაღწია 500-ზე მეტჯერ ხელახლა დაბადების პროცესში. მისი ქადაგება, გამონათქვამები, ასევე ავტორიტეტული ბერების კომენტარები ჩაიწერა წმინდა ტექსტების სახით, რომელსაც „პალიური კანონი“ ეწოდება. თჰერავადა გავრცელდა იმ ქვეყნებში, რომლებიც ეზიარნენ ინდურ კულტურას და მონარქის დაკანონებული ძალაუფლების ძველ ინდურ კონცეფციებს. ასეთთა შორისაა: მიანმა, ინდონეზია, კამბოჯა, ლაოსი, ტაილანდი, მალაიზია, შრილანკა (ყოფილი ცეილონი 1972 წლამდე); 2. მაჰაიანა (დიდი ეტლი) –ხსნის ფართო გზა, რომელსაც სხვაგვარად ბუდიზმის ჩრდილოეთის სკოლასაც უწოდებენ. მის თანახმად, პოტენციურად ყველას ძალუძდა ნირვანას მიღწევა სათანადო ნორმების დაცვის შედეგად. მაჰაიანას დამაარსებლად ითვლება ბუდისტი ღვთისმეტყველი, ბრაჰმანთა კასტის წარმომადგენელი ნაგარჯუნა. ამ მოძღვრებაში ბუდა აღიარებულია ღმერთად, რომელსაც ათასამდე სხვადასხვა განსახიერება გააჩნია. მათგან უმთავრესია ბოდჰისატვა (სანსკრიტულად ნიშნავს – გასხივოსნების უნარის მქონეს) – ეს ისეთი არსებაა, რომელმაც გასხივოსნებას მიაღწია, მაგრამ ნირვანაში გადასვლაზე უარი თქვა, რათა ადამიანებს „ხსნის ფართო გზაზე“ გასვლაში დახმარებოდა. სუტრებისა და სხვა რელიგიური ტრაქტატების უმრავლესობის თანახმად, ბოდჰისატვა შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მიზნად დაისახავს თავის თავში ბუდას შესაძლებლობები და პოტენციალი გამოავლინოს. საამისოდ კი საჭიროა დიდი შრომა, ბუდისტური დოგმების შესრულება, ფსიქოლოგიური თვითრეგულაცია და სხვა.

ბოდჰისატვა ხდებოდა ის ღრმად მორწმუნე და ბუდისტურ თეორიაში კარგად გათვითცნობიერებული პიროვნება, ვინც გარკვეულ დონემდე შეძლებდა ბუდასთან მიმსგავსებას, მის სულთან მიახლოებას, ამასთანავე ეზიარებოდა ნირ-

ვანას ისე, რომ არ ტოვებდა მიწიერ ცხოვრებას. მას უნდა შეესრულებინა ადამიანთა მხსნელისა და მშველელის მისია, ეკისრა მათი სულის ჭეშმარიტ გზაზე დაყენება. ბოდჰისატვები ინდოეთში ქრისტეს მსგავსი ფუნქციის შემსრულებლებად გვევლინებიან. მათ წმინდანების სახელებიც მოიპოვეს, დაკანონდა მათზე ლოცვის აღვლენა და შესაბამისად, შეიქმნა ბოდჰისატვას კულტი. მაჰაიანას დამახასიათებელია ასევე ის, რომ მასში ჩამოყალიბდა წარმოდგენა სამოთხის შესახებ, მის საპირისპიროდ კი, ბუდისტური წესების დამრღვევთათვის გაჩნდა ჯოჯოხეთის ცნებაც. მთლიანობაში მაჰაიანა ბუდისტური დოგმების მიმართ უფრო ლოიალურ დამოკიდებულებას ავლენდა და ამიტომაც ახალი დამატებები შეჰქონდა მოძღვრებაში. მისი მიმდევრები უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ მიწიერ ცხოვრებას და ბუდისტური დოგმების ხალხისათვის გასაგებ ენაზე გავრცელებას. ასე რომ, მაჰაიანისტურ მოძღვრებაში ფაქტობრივად, მცირე რამ დარჩა კლასიკურ ბუდიზმისაგან, როგორც ფილოსოფიურ-ეთიკური სისტემა კი, ის გარკვეული დოზით შეიკვეცა. მაჰაიანა გავრცელდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა, ჩინეთი, კორეა, იაპონია, ვიეტნამი, ბუტანი, სინგაპური, მონღოლეთი, ასევე შუა აზიის ტერიტორიაზე. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ჰინაიანაში, ისე მაჰაიანაში, დოგმატური ნორმების გარკვეული ნაწილი ერთმანეთთან მიმართებაში წინააღმდეგობაშია მოქცეული და შესაბამისად, არათანმიმდევრულია.

ახ.წ. მე-5 საუკუნეში მაჰაიანას საფუძველზე აღმოცენდა ბუდიზმის მესამე მიმდინარეობა ვაჯრაიანა (სანსრკიტულად ნიშნავს – ალმასის ეტლს). მასში სულიერი და ლიტერატურული მემკვიდრეობა შეივსო ახალი მეთოდებით, პრაქტიკით, ტექსტებით, მითოლოგიით და რიტუალებით. ვაჯრაიანას თანახმად, ბუდას მდგომარეობის მიღწევა შესაძლებელი იყო ხანგრძლივი რეინკარნაციათა ჯაჭვის გარეშეც, კერძოდ, მაგიური და იოგას ვარჯიშების საშუალებით, სულიერი მოძღვრის – გურუს ხელმძღვანელობით. მედიტაციასთან

ერთად, მასში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ღვთაება იდამის[1] ყურებას (ანუ მზერას), ლოცვის ტექსტების (მანტრების) კითხვას და სხვა მაგიური რიტუალების აღსრულებას. ვაჯრაიანასათვის დამახასიათებელია მისტიკური სწავლება, რომელიც ადამიანსა და სამყაროს ერთმანეთთან აიგივებს; კერძოდ, ყველა გარეგნული პროცესი თუ მოვლენა პირდაპირ კავშირშია ადამიანის სხეულთან და ფსიქიკასთან. აქედან გამომდინარე, როდესაც ადამიანი საკუთარ თავს, ზნეს, თვისებებს ცვლის, ის ამით გარკვეულწილად სამყაროსაც ცვლის. ვაჯრაიანა ძირითადად გავრცელებულია ტიბეტში, ნეპალში, მონღოლეთში, ჩინეთში, იაპონიაში (შინგონის სკოლის სახით), ასევე რუსეთში.

ბუდისტური არქიტექტურა ძველ ინდოეთში

ბუდიზმმა კულტურათა მთელი ეპოქები შექმნა აზიის ქვეყნებში. თვით ინდოეთში, როგორც ზემოთ აღინიშნა, აყვავების პერიოდის შემდგომ, ბუდიზმმა თანდათან შესუსტება დაიწყო. მისი გავლენის შეკვეცის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მას მფარველობა და მხარდაჭერა მოაკლდა ხელისუფლების მხრიდან. გარდა ამისა, ბუდიზმს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა ინდუიზმის სახით, რომელიც უფრო ადვილად გასაგები და შესაბამისად, მისაღებიც აღმოჩნდა მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის. დიდი დარტყმა მიაყენა ბუდიზმს თურქების შემოსევებმა ნალანდაში მუჰამად ქჰალჯის მეთაურობით 1193 წელს. მუსლიმ დამპყრობელთა შემოსევები დაგვირგვინდა ინდოეთში დელის სასულთნოს წარმოქმნით (1206წ.), რასაც ცხადია, ისლამის მომძლავრება მოჰყვა ქვეყანაში. დამპყრობლები უმოწყა-

[1] იდამი – ღვთაება, რომელსაც მორწმუნე ბუდისტი თავის მფარველად ირჩევს.

ლოდ ანადგურებდნენ ტაძარ-მონასტრებს. ამასთან, ინდუისტურ სიწმინდეებთან შედარებით, გაცილებით მეტი ზარალი განიცადა ბუდისტურმა ტაძრებმა.

მიუხედავად მრავალი განსაცდელისა, ინდოეთის მიწაწყალზე შემონახულია ძველი პერიოდის ბუდისტური არქიტექტურის არაჩვეულებრივი ძეგლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუდისტურ კულტურასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი მხატვრული ძეგლები იქმნებოდა როგორც ბუდიზმის ადრეულ ეტაპზე, ისე შუა საუკუნეებში. ამასთან, ბუდისტური იკონოგრაფიული სახეები და სიუჟეტები ყველგან ადგილობრივი კულტურის ტრადიციებს ერწყმოდა. ბუნებრივია, რომ ბუდიზმის უძველესი ძეგლების შექმნას მის სამშობლოში – ინდოეთში ჩაეყარა საფუძველი, სადაც ჩამოყალიბდა ამ მოძღვრების იკონოგრაფიული ტრადიციები, სიმბოლოები, ადათ-წესები და ა.შ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძვ.წ. მე-3 საუკუნეზე უფრო ადრინდელი არქიტექტურული ძეგლები ჩვენამდე მცირე რაოდენობითაა შემონახული. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მანამდე მთავარ სამშენებლო მასალას ხე წარმოადგენდა, რომელიც დრო-ჟამის კატაკლიზმებს ვერ უძლებს. ძვ.წ. მე-3 საუკუნიდან კი ინდოეთში სამშენებლო მასალად ქვის გამოყენება დაიწყეს, კერძოდ, მეფე აშოკას ზეობის დროიდან (ძვ.წ. 272-232). შესაბამისად, ხსენებული პერიოდიდან მოყოლებული, მრავალი შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობაა შემონახული. წყაროების გადმოცემით, აშოკას სასახლე ქ. პატალიპუტრაში ულამაზეს ნაგებობას წარმოადგენდა. ის შემაღლებულ ადგილას იყო განთავსებული და სამი დარბაზისაგან შედგებოდა, რომლებიც ერთმანეთზე იყო დადგმული. მათგან მთავარი დარბაზი ქვის სვეტებით იყო გაფორმებული, რომლებზეც შემოხვეული იყო დეკორატიული ოქროს ყურძნის მტევნები და ვერცხლის ჩიტების ფიგურები. როგორც ზემოთ აღინიშნა, აშოკამ სახელმწიფო რელიგიად ბუდიზმი გამოაცხადა. ამიტომაც ყველაზე მეტი რაოდენობით სწორედ ბუდისტური საკულტო ნაგებობები იგე-

ბოდა და მემორიალური ძეგლებიც ბუდას სახელს უკავშირდებოდა.

ინდოეთში უმთავრესად გავრცელდა ბუდისტურ საკულტო ნაგებობათა სამი სახეობა: გამოქვაბულთა ანუ კლდეში ნაკვეთი ტაძრები და მონასტრები (ჩაიტია და ვიჰარა), ფილები და სვეტები (იგივე სტამბჰები). ძირითადად სწორედ აშოკას ზეობის ხანას განეკუთვნება ამ ტიპის არქიტექტურისა და ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები. გამოქვაბულთა ტაძრებში არქიტექტურის, ქანდაკებისა და ფერწერის ჰარმონიული სინთეზი იყო წარმოდგენილი. ფილა ნახევარსფეროს ფორმის მიწაყრილს წარმოადგენდა, რომელიც ქვით ან აგურით იყო მოპირკეთებული, მისი ზემო ნაწილში მოთავსებული იყო ერთგვარი კამერა ბუდას რელიკვიების (კბილი, თმა, ძვალი...) და სხვა წმინდა ნივთების შესანახად. მათ შორის იყო რელიგიური ტექსტები – სუტრები, რომლებსაც დიდი პატივი მიეგებოდა, როგორც ბუდას ჭეშმარიტი სიტყვების ჩანაწერს. გარედან ფილა შემოსაზღვრული იყო ოთხი კარიბჭით (რომელსაც ტორანა ეწოდება), რომლებიც სამყაროს ოთხ მხარესთან ერთად, ბუდას ცხოვრების ეტაპებს მიუთითებდა: დაბადებას (აღმოსავლეთი), გასხივოსნებას (სამხრეთი), ქადაგებას (დასავლეთი) და ნირვანას (ჩრდილოეთი). გალავნის კედლები და კარიბჭეები ნატიფი ოსტატობით შესრულებული რელიეფებით იყო დამშვენებული. მთელი ინდოეთის ტერიტორიაზე ათასობით ფილაა აღმოჩენილი, რომელთაგან კლასიკურ ნიმუშად მიჩნეულია სანჩაში არსებული ფილა (ძვ.წ. 250წ.). ესაა წრიული ფორმის ნაგებობა, რომელიც გარედან ქვიშითაა დაფარული. მისი სიმაღლეა 23,6მ, ფუძის დიამეტრი – 36,6მ. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, ფილები საფუძველს იღებს ვედური პერიოდის ყორღანებიდან. აქვე შევნიშნავ, რომ ეს ფილები გახდა ჩინური პაგოდების[1] და ტიბეტუ-

[1] პაგოდა – ბუდისტური საკულტო და მემორიალური ნაგებობა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომელიც კენტი რაოდენობის მრავალიარუსიან, ნაძვის ხის ფორმის კონსტრუქციას წარმოადგენს.

რი ჩორტენების (მონღოლური სუბერგანების) წინამორბედები.

ბუდისტური არქიტექტურის სხვა სახეობას წარმოადგენდა სტამბჰები – ქვის მემორიალური სვეტები, რომელთა სიმაღლე საშუალოდ 15 მ იყო. სვეტის ზემოთა ნაწილი გაფორმებული იყო სკულპტურული სიმბოლოებით ლოტოსის ყვავილის, რომელიმე წმინდა ცხოველის და სხვა გამოსახულებებით. მისი ზედაპირი კი ბუდისტური შინაარსის წარწერებით იყო დაფარული, ასევე ამოკვეთილი იყო მეფის ბრძანებულებები, რომლებიც ბუდიზმის ეთიკურ-რელიგიურ პრინციპებს უწევდა პროპაგანდას. სვეტები ისეთ ადგილებზე იგებოდა, რომლებიც ბუდიზმის ისტორიაში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენით იყო აღსანიშნავი. მსოფლიოში ფართოდაა ცნობილი მეფე აშოკას მიერ აგებული ე.წ. „ლომის კაპიტელი“ქ. სარნატში (ბენარესთან ახლოს), რომელიც ინდური ხელოვნების შედევრადაა აღიარებული და შესაბამისად, ის ინდოეთის სახელმწიფო გერბზე იქნა გამოსახული.[1] ეს არის წრიულ მოზაიკაზე ერთმანეთთან ზურგით შეზრდილი ოთხი ლომის (როგორც ძალაუფლების, სიმამაცის, სიამაყისა და ნდობის სიმბოლოს) გამოსახულება. მოზაიკაზე ამოკვეთილია ერთმანეთისაგან ბორბლებით გამოყოფილი სპილოს, ცხენის, ხარის და ლომის ბარელიეფები, რომლებსაც ლოტოსის ყვავილები ახლავს თან.

ფილებთან და სვეტებთან ერთად, ძველ ინდურ არქიტექტურაში ფართოდ იყო გავრცელებული გამოქვაბულთა და კლდეში ნაკვეთი ნაგებობები. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ბუდა თავის მოწაფეებს მოუწოდებდა გარიდებოდნენ ხმაურიან ადგილებსა და ყოველდღიური ცხოვრების ფუსფუსს. აქედან გამომდინარე, მისმა მიმდევრებმა ტაძარ-მონასტრების აგება დაიწყეს მთიან ადგილებში, მღვიმეებში, გამოქვაბულებში და კლდეებზე. პირველი ტაძარ-მონასტრე-

[1] აშოკას „ლომის კაპიტელი“ ეროვნული სიმბოლოს სახით დამტკიცებულ იქნა 1950 წლის 26 იანვარს, როდესაც ინდოეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

ბი აშოკას ზეობის ხანაში აიგო ბარაბარის და ნაგარჯუნას მთიანეთში, რითაც საფუძველი ჩაეყარა კლდის მონოლითური არქიტექტურის განვითარებას ინდოეთში. ამ ტიპის მრავალრიცხოვან ბუდისტურ ნაგებობათა შორის შედევრებად აღიარებულია აჯანტის და ელორის კომპლექსები. ორივე მათგანი ცენტრალურ ინდოეთში მდებარეობს, დედაქალაქ დელიდან დაახლოებით 1000კმ-ის დაშორებით.

აჯანტა სოფლის სახელია, რომლის სიახლოვეს განთავსებულია გამოქვაბულთა ტაძრები. ის სრულიად შემთხვევით იქნა აღმოჩენილი 1918 წელს: მადრასის არმიის ინგლისელი ოფიცრები მთებში ნადირობდნენ, ქ. აურანგაბადიდან 100კმ-ის დაშორებით (რომელიც ერთ დროს მუსლიმ მმართველთა დედაქალაქს წარმოადგენდა). ბუჩქებთან მათ ორმოს მსგავსი ჩაღრმავება შენიშნეს, რომელიც გამოქვაბულთა შესასვლელი აღმოჩნდა. აღნიშნული კომპლექსი 29 მღვიმეს მოიცავს და ნახევარ კილომეტრზეა გადაჭიმული. როგორც ჩანს, ბუდისტმა ასკეტებმა ეს ადგილი შეარჩიეს როგორც უკაცრიელობის, ისე სილამაზის გამო. სწორედ იქ გაიშალა გამოქვაბულთა ტაძრების მშენებლობა ფართო მასშტაბებით. მთლიანობაში ტაძრების აგება 900 წლის მანძილზე გრძელდებოდა: ძვ.წ. მე-2 საუკუნიდან ახ.წ. მე-2 საუკუნემდე მათ ადრეული ბუდიზმის მიმდევრები აშენებდნენ. მათი მთავარი მახასიათებელი ის იყო, რომ იქ არ იყო ქანდაკებები და ღვთაებათა გამოსახულებები. 400-წლიანი შესვენების შემდეგ – მე-6-7 საუკუნეებში დაიწყო ტაძრების აგების მეორე პერიოდი. სწორედ ამ გვიანდელი ხანის ნაგებობებმა მოუტანა აჯანტას საყოველთაო აღიარება არაჩვეულებრივი ფრესკების წყალობით, რომლებიც გამოსახავენ ბუდას ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდებს, მითოლოგიურ სიუჟეტებს, ცეკვებს, ბუდისტური თხზულებების (ანუ ავადანის) ილუსტრაციებს. აქვე გვხვდება არარელიგიური, ყოველდღიური ყოფის ამსახველი თემატიკაც: ნადირობის სცენები, მოცეკვავე ლამაზმანები, ელჩების მიღება სამეფო კარზე და ა.შ. მთლიანობაში მათ საფუძველზე შესაძლებელი ხდება ძველი ქალაქების არქიტექტურის, ხალხის ჩაცმულობის, საიუველირო

ნაკეთობების, სხვადასხვა აღჭურვილობის, წეს-ჩვეულებების შესწავლა. საღებავთა პალიტრა საკმაოდ შეზღუდულია, ჭარბობს წითელი და ყვითელი ფერები, ფონი კი – შავი. არის ასევე ლაჟვარდისფერი და საოცრად მკვეთრი და ცოცხალი თეთრი ფერი. გამოქვაბულთა ჭერი დეკორატიული ორნამენტებითაა მოხატული. ესაა ყვავილების, მცენარეების და ცხოველთა გამოსახულებები. ფრესკები აღფრთოვანებასთან ერთად, იწვევენ ეჭვს: მართლა განდეგილები ქმნიდნენ მათ, რომლებიც უარყოფდნენ ამქვეყნიურ ადამიანურ სურვილებს? მართალია, ბუდა ქადაგებდა ცხოვრებისეულ სიამოვნებათა ჩახშობას, თუმცა, ძველ მხატვართა ნამუშევრები მაინც ამტკიცებენ, რომ ცხოვრება მშვენიერია. ტაძართა ფასადებს ბუდასა და მისი მოწაფეების მრავალრიცხოვანი ქანდაკებები ამშვენებს. მთლიანობაში ეს დეკორატიული სიმდიდრე ჭეშმარიტად ინდური ხელოვნების ენციკლოპედიას წარმოადგენს.

საყურადღებოა, რომ აჯანტის ფრესკები ძლერ მსგავსებას ამჟღავნებს ჩინეთის გამოქვაბულთა ტაძრებთან – ტუნხუანგში, ასევე ბორობუდურის ტაძრებთან – ინდონეზიაში, რომლებიც დაახლოებით ერთსა და იმავე დროს იქნა მიტოვებული და გარკვეული ხნის მანძილზე მივიწყებულიც. მათ შორის არსებული მსგავსება ცალსახად მიუთითებს არა მხოლოდ რელიგიათაშორის დიალოგზე, არამედ ზოგადად კულტურათა ურთიერთკავშირზე შორეულ წარსულში. აჯანტის გამოქვაბულები ამჟამად ერთმანეთს ტურისტული ბილიკებით უკავშირდება, მაგრამ ადრეულ ხანაში თითოეულ მათგანს დამოუკიდებელი გასასვლელი ჰქონდა მდინარესთან. თავიანთი დანიშნულებით ეს გამოქვაბულები ორ ტიპად იყოფა: სალოცავები და სავანეები. ადრეული ბუდიზმის მიმდევრები ქვის მონოლითიდან კვეთდნენ თავიანთ სალოცავებს. იმ პერიოდის გამოქვაბულებისათვის დამახასიათებელი იყო შესასვლელის თავზე ნახევარწრიული ფორმის ფანჯრის არსებობა. გარედან ის გაფორმებული იყო როგორც თაღი, რომელსაც ნალის ფორმა ჰქონდა. მავრიტანულ თაღთან მსგავსების მიუხედავად, ეს დეტალი ძვ.წ. მე-2 საუ-

კუნიდან ინდური ე.წ. კლდის არქიტექტურის მახასიათებელს წარმოადგენდა. სავანეები (სანსკრიტულად – ვიჰარები) იმითაა გამორჩეული, რომ სალოცავი დარბაზების უკანა და გვერდითა კედლებზე ამოკვეთილია ნიშები საცხოვრებლისათვის. თითოეული ნიშა მატარებლის ვაგონის კუპეს წააგავს – მის ორივე მხარეს ქვის საწოლებია, შუაში კი – შესასვლელი ჭრილი. ცხადია, ამ ყველაფრის დამზადება უდიდეს ოსტატობას მოითხოვდა მშენებლებისაგან. რაოდენ რთული უნდა ყოფილიყო სკულპტორისა და ფერმწერისათვის ამ გამოქვაბულებში მუშაობა, სადაც მუდამ სიბნელე იყო. შუქის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა მზის სხივი, კერძოდ, გაპრიალებული სპილენძის სინების დახმარებით, ოსტატები მზის სხივს საჭირო მხარეს მიმართავდნენ ხოლმე.

სკულპტურის განვითარება ინდოეთში ისევ და ისევ ბუდისტურ ძეგლებს უკავშირდება. ახ.წ. I საუკუნეში ბუდას გამოსახულებები გამოჩნდა, რომლებიც თავდაპირველად კანონებით შეზღუდული არ იყო. როგორც ცნობილია, ბუდა მრავალსახოვანი ღმერთია და ამდენად, სხვადასხვა სახით (სანსკრიტულად - ავათარა) გამოისახებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც ბუდიზმი ინდოეთის საზღვრებს გასცდა. ბუდას კლასიკურ პოზად მიჩნეულია ლოტოსის ყვავილზე ფეხმორთხმით მჯდომი ბუდა.

ბუდისტური სკულპტურის ხარისხობრივი დონის თვალსაზრისით, ყველაზე მაღალგანვითარებული და გამორჩეული იყო ქ. განდჰარის სკოლა (ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთი), სადაც ანტიკური და შუა აზიის ხალხთა ტრადიციები იყო შერწყმული. ელინისტური გავლენა დასავლეთის იმ რეგიონებში შეინიშნებოდა, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო (ძვ.წ. მე-4ს.). ახ.წ. პირველივე საუკუნეებში როდესაც მხატვრულ გამომსახველობითმა კანონებმა ეროვნულ-ტრადიციული შტრიხები დაიმკვიდრა, ბუდას გამოსახვაც მკაცრად დაკანონებული ნორმებიც დაიწყო (უმცირესი დეტალებიც ზუსტად იყო გათვლილი), რომელთაგან გადახვევა დაუშვებელი იყო. შემუშავებულ იქნა ხელების და თითების ჟესტიკულაციის რთული სიმბოლიკა, ე.წ. „მუდრა“, სადაც თითოე-

ულ მათგანს განსაზღვრული მნიშვნელობა ჰქონდა. პირობითი ჟესტების და პოზების სისტემა არსებობდა რიტუალურ სატაძრო ცეკვებშიც, რაც მორწმუნეებს საშუალებას აძლევდა გაეგოთ ერთგვარი ღვთისმსახურება-პანტომიმის შინაარსობრივი არსი. განდჰარის ადრეული ხანის სკულპტურები ხასიათდება სტატიკურობით, თავად ბუდას სახეს კი უძრავი ნიღბის გამომეტყველება აქვს. მაგრამ დროთა ვითარებაში ბუდას და ბოდჰისატვების გამოსახულებებმა მეტი დახვეწილობა და სინატიფე შეიძინა – ისინი უკვე განასახიერებდნენ მშვენიერი გარეგნობის მქონე ადამიანის იდეალიზირებულ სახეს. მოგვიანებით ბუდას გამოსახულება შორდება განდჰარის ტიპს და ის სულ უფრო იდეალიზირებული და განყენებული ხდება. ეს, უპირველეს ყოვლისა, თვით ბუდას იერსახეს ეხება, ხოლო მის ირგვლივ რელიეფებზე გამოსახული სხვადასხვა სცენები, რომლებიც სახალხო ოსტატების მიერ იქმნებოდა, უწინდებურად ცოცხალ და მეტყველ სახეს ინარჩუნებდა.

რაც შეეხება ელორის ტაძართა კომპლექსს,[1] ის ერთი მთლიანი კლდოვანი მონოლითიდან იყო ამოკვეთილი და შესაბამისად, ერთიან ანსამბლს წარმოადგენდა და არა ცალკეულ ნაგებობებს. ამ კომპლექსიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კაილასის ტაძარი, რომელიც თავისი იერსახით ნამდვილი საოცრებაა. მისი სიგრძე 80მ-ია, სიგანე – 50მ. კომპლექსი, რომელიც დამშვენებულია ლომების და სპილოების სკულპტურებით, პირამიდისებური კოშკებით, მთლიანი ქვისგანაა გამოთლილი და არა ცალკეული ქვებისგან. კაილასის აგება დაიწო 756 წელს და საუკუნენახევრის შემდეგ დასრულდა. მისი თითოეული კედელი უნიკალურ სკულპტურულ ნიმუშს წარმოადგენს. ფასადს ამშვენებს ათეულობით სპილოს ქანდაკება. ყოველი კვადრატული მეტრი მრავალრიცხოვანი დეკორატიული დეტალებითაა შევსებული. ასევე შთამბეჭდავია ტაძრის ინტერიერი, რომლის ჭერი გაფორ-

[1] ის მდებარეობს მაჰარაშტრას შტატში, ქ. აურანგაბადიდან 30კმის დაშორებით, 1983 წლიდან ელორი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში.

მებულია დიდი ბარელიეფებით. ამგვარი უზარმაზარი ნაგებობის მონოლითურობა მოითხოვდა ძალიან დიდი სიზუსტის დაცვას. კაილასის ტაძარი ეძღვნება ინდუისტურ ღმერთს შივას. მის მთავარ კოშკში მოთავსებულია თაყვანისცემის ობიექტი – ამ ღმერთის ფალოსი – 1, 5 მეტრიანი ბოძი, რომელზეც მომლოცველები ყვავილების გვირგვინებს ჩამოაცმევდნენ. ტაძარში განთავსებულია შივას და პარვატის ვაჟის – განეშას ქანდაკება, ინდოელთათვის ის იღბლიანი დასაწყისის სიმბოლოა. ტაძარში არის ასევე სპილოების, ხარების, მოცეკვავე გოგონების ფიგურები.

ელორის ძეგლებში ორგანულადაა ერთმანეთთან შერწყმული ჩრდილო და სამხრეთ ინდოეთის ტრადიციები. იმავდროულად ეს მიუთითებს ინდოელთა რელიგიურ შემწყნარებლობაზე. როგორც ირკვევა, ხსენებულ კომპლექსს სამი რელიგიის მიმდევრები ქმნიდნენ: ინდუისტები, ბუდისტები და ჯაინები დაახლოებით მე-7-8 სს-ში. ყველა მათგანისათვის საერთო იყო არა მხოლოდ ენა – სანსკრიტი, არამედ საერთო სიმბოლოები, მაგალითად, ლოტოსის ყვავილი და სხვ. ამ ერთობლივმა მოღვაწეობამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო, რადგანაც ელორის კომპლექსი სხვადასხვა ხალხთა და რელიგიათა მრავალფეროვან ხელოვნებას წარმოაჩენს. კერძოდ, ელორის ბარელიეფები მსგავსებას ამჟღავნებენ აჯანტის ბუდისტურ ხელოვნებასთან, სპილოების სტილიზებული ფიგურები ძველი სპარსეთის გავლენაზე მეტყველებს. ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, შუამდინარეთის და ეგვიპტის სკულპტურისა და ხურომთოძღვრების ცალკეული ელემენტები შეითვისა.

გამოქვაბულთა ტაძრების სახეობას განეკუთვნება ასევე მეტად საინტერესო კომპლექსი კუნძულ ელეფანტზე[1] (ქ. ბომბეის სიახლოვეს), რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ბუდისტური და ინდუისტური ელემენტები. კომპლექსი მე-8

[1] ელეფანტი ანუ სპილო კუნძულს პორტუგალიელებმა უწოდეს, რადგან სატაძრო კომპლექსში ბევრი სპილოს გამოსახულება იყო. ეს სპილოები ინდუისტური ღმერთების ერთ-ერთი პოპულარული წარმომადგენლის – განეშას სიმბოლოებს წარმოადგენდა.

საუკუნეს განეკუთვნება, შედგება ორი ჯგუფისგან: პირველ მათგანში ხუთი ინდუისტური ტაძარია, მეორეში – ორი ბუდისტური ტაძარი. იქ არის შივას სამსახოვანი ქანდაკება (სიმაღლე 5.5მ), ასევე მოცეკვავე შივას (ანუ შივა ნათარაჯა) გამოსახულება, რომელიც საოცარი ექსპრესიულობით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ ხსენებული კომპლექსი საუკუნეთა მანძილზე წმინდა ადგილად იყო მიჩნეული როგორც ბუდისტებისათვის, ისე ინდუისტებისათვის. 1534 წელს კი კუნძულზე პორტუგალიელი კოლონიზატორები შეიჭრნენ და ბარბაროსულად დაარბიეს იქაურობა.

კლდეში ნაკვეთი ტაძრების ანალოგიური ნაგებობები ინდოეთიდან ფართოდ გავრცელდა აზიის სხვა ქვეყნებში. ჩინეთში, კორეაში, იაპონიაში, ნეპალში, მალაიზიაში გამოჩნდა ხისგან აგებული სხვადასხვა საკულტო ნაგებობები, განვითარდა ბუდისტურ სიუჟეტებზე შექმნილი არა მხოლოდ მონუმენტური სკულპტურა, არამედ დაზგური ფერწერაც. ბუდიზმთან იყო დაკავშირებული ქვის გრანდიოზული თუ მცირე ზომის სალოცავებისა და სატაძრო ანსამბლების ინტენსიური მშენებლობა ინდონეზიაში, ბირმაში, ლამაისტური ტაძრებისა კი – ტიბეტში, მონღოლეთში, დღევანდელი ბურიატიის ტერიტორიაზე, მოგვიანებით – რუსეთში.

არიელები და ვედური პერიოდი ინდოეთში

მართალია, გეოგრაფიული ადგილმდებარეობით ინდოეთი არ განეკუთვნება შორეული აღმოსავლეთის რეგიონს, მაგრამ რამდენადაც ის არის ბუდიზმისა და სხვა მნიშვნელოვანი აღმოსავლური რელიგიური მოძღვრებების სამშობლო, აუცილებლად მიგვაჩნია ნაშრომში მათი წარმოჩენა. მითუმეტეს, რომ ეს მოძღვრებები მჭიდრო კავშირშია როგორც ერთმანეთთან, ისე ბუდიზმთან მიმართებით.

ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის შუა ხანებიდან ინდისა და განგის დაბლობზე თავდასხმები დაიწყეს ინდო-ევროპულმა ტომებმა – არიელებმა, რომლებიც ინდოეთში ავღანეთისა

და შუა აზიის ტერიტორიებიდან შეჭირნენ და დროთა ვითარებაში ინდოეთის დიდ ნაწილს დაეპატრონენ. მათი დიდგვაროვანნი თავს „არიელებს“[1] ანუ კეთილშობილებს უწოდებდნენ, საიდანც ამ ტომებმა სახელწოდება მიიღეს. მართალია, ისინი მომთაბარეები იყვნენ, მაგრამ ინდოეთში მოხვედრის შემდგომ, თანდათან ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ და მესაქონლეობასთან ერთად, მიწათმოქმედებას, ხელოსნობას და სხვა ადგილობრივი დარგების განვითარებას მიჰყვეს ხელი. არიელთა უმეტესი ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობას შეერია, რითაც მათ ახალი სული შთაბერეს ინდურ ეთნოსს, ყოფას, კულტურას, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს. იმავდროულად, არიელებმა ბევრი რამ შეითვისეს მათთან შედარებით მაღალგანვითარებული ინდური ცივილიზაციისგან. ამრიგად, მათი გამოჩენით ინდოეთის მიწაწყალზე ქვეყნის ისტორიისა და კულტურის ახალი, ინდოარიული პერიოდი დაიწყო.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ არიელებს თან მოჰყვა მათი სარწმუნოება – ვედიზმი, ასევე ინდურ რეალობაში წარმოიშვა სპეციფიკური სოციალურ-სტრუქტურული ფენომენი – კასტები[2] ანუ ვარნები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კასტობრივმა სისტემამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ინდოეთის ისტორიულ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

არიელთა შესახებ უმთავრეს წყაროს „ვედები“ (ვედა სანსკრიტზე ნიშნავს - ცოდნას) წარმოადგენს, რომელიც არიელებს თან მოჰყვა ინდოეთში. ეს არის ოთხი ნაწილისა-

---

[1] არია (ანუ აირია) – სანსკრიტულ ენაზე ნიშნავს – ერთგულს, ერთი და იგივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს.

[2] კასტა – პორტუგალიური წარმოშობისაა და ნიშნავს – წარმომავლობის სიწმინდეს, სახეობას, ხარისხს. ინდურ ენაში კასტა აღინიშნება ტერმინით ჯატი (დაბადება) ან ვარნა (ფერი). კასტა ეს იყო ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც საერთო წარმომავლობა, საქმიანობა, რწმენა-წარმოდგენები, ტრადიციები ჰქონდათ და ერთსა და იმავე სოციალურ საფეხურზე იმყოფებოდნენ.

გან შემდგარი რელიგიური ხასიათის ძეგლები, მორალისა და სამართლის კოდექსები, ფილოსოფიური, მხატვრული და მითოლოგიური შინაარსის ტექსტები, რომლებიც სხვადასხვა დროს იქმნებოდა. ვედებში გაერთიანებულ კრებულებს სამჰიტები ეწოდება. ესენია: 1. რიგვედა – მთავარი ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნების კრებული, 2. სამავედა – სიმღერების კრებული, 3. იაჯურვედა – სამსხვერპლო ლოცვები და ფორმულები, ასევე მოკლე პროზაული კომენტარები მათთვის, 4. ათჰარვავედა – შელოცვების კრებული. მათგან ყველაზე ძველი და უმნიშვნელოვანესია რიგვედა, რომელიც ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის მიწურულს შეიქმნა პენჯაბის შტატში. ის შედგება 1028 ჰიმნისაგან, რომელიც შესრულებული იყო ვედურ ენაზე – სანსკრიტის ერთ-ერთ უძველეს განშტოებაზე. რიგვედა საინტერესო ცნობებს შეიცავს ინდოეთის მიწაზე არიელთა დამკვიდრების რთული პროცესის, ადგილობრივ ტომებთან მათი ბრძოლების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ. ვედური ლიტერატურის განვითარების შემდეგი ეტაპი იყო ე.წ. „კომენტარების“ შექმნა. ესენია: ბრაჰმანები, არანიაკები და უპანიშადები, რომლებიც მთელი I ათასწლეულის მანძილზე იქმნებოდა. მათი შექმნის აუცილებლობა განპირობებული იყო ვედური ენის სირთულითა და სიძველით. აღსანიშნავია ასევე „ვედანტა“ - მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული (ძვ.წ. მე-2 საუკუნეში) ნაშრომები ასტროლოგიაში, ლექსთწყობაში, ეტიმოლოგიაში და სხვ. საერთო ჯამში, ვედურმა ლიტერატურამ საფუძველი მოუმზადა ინდოეთის მთელი მომდევნო პერიოდის სულიერ კულტურას: თეოლოგიას, ფილოსოფიას და მეცნიერების სხვა დარგებს.

ვედურ პერიოდში ინდოეთში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა მსხვერპლშეწირვას. ეს რიტუალი სახლებში სრულდებოდა, რადგანაც თავდაპირველად არ გააჩნდათ ტაძრები. ადამიანები ღმერთებს მსხვერპლად სწირავდნენ ძროხის რძეს, კარაქს და თაფლს. ეს ტრადიცია ღმერთების დაპურებად მიიჩნეოდა, რათა ამ უკანასკნელთ შემდგომში ადამიანებისთვის სათანადო სამსახური გაეწიათ. აღსანიშნა-

ვია, რომ ვედიზმი იმქვეყნიურ ცხოვრებას არ ცნობდა – ეს ცნება უფრო მოგვიანებით გაჩნდა. სწორედ ვედების საშუალებით გახდა ცნობილი, რომ იმჟამინდელი ინდოელი საზოგადოება ოთხ ძირითად კასტად ანუ ვარნად იყო დაყოფილი: 1. ბრაჰმანები – უზენაესნი, ქურუმთა ფენა, რომელიც შუა საუკუნეებში ფეოდალურ არისტოკრატიად ჩამოყალიბდა და თანამედროვე ინტელიგენციაც უმთავრესად მათით არის წარმოდგენილი, 2. ქშატრიები – მეომართა ფენა და მოხელეები, რომელთა ხელში იყო პოლიტიკური ძალაუფლება და მმართველობის სისტემა, 3. ვაიშები – მიწათმოქმედნი, ვაჭარ-ხელოსნები, 4. შუდრები – მსახურები, ღატაკები, დაპყრობილი ტომების წარმომადგენლები, მონები და უთვისტომოები. ყველა ეს კასტა ერთმანეთისგან მკაცრად გამიჯნული იყო: არ შეიძლებოდა ქორწინება, რაიმე სახის ურთიერთობა სხვადასხვა კასტის წარმომადგენელთა შორის.

გადმოცემის თანახმად, ბრაჰმანები სამყაროს დამაარსებლის – ბრაჰმას ბაგეთაგან შეიქმნენ, ქშატრიები – მხრებისგან, ვაიშები – თეძოებისგან, შუდრები – ფეხის გულებისაგან. ეს ოთხი კასტა შემდგომში, ისტორიული განვითარებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შესაბამისად, მრავალრიცხოვან ვარნებად დანაწევრდა – მე-20 საუკუნის დამდეგისათვის მათმა რაოდენობამ 2000-ს მიაღწია. ისინი, ვინც ბრაჰმანებისგან, ქშატრიებისგან და ვაიშებისგან იღებდნენ სათავეს, ითვლებიან „ორჯერ დაბადებულებად". ეს „მეორე დაბადება" დაკავშირებულია სპეციალურ ცერემონიასთან, რომელიც ბრაჰმანებს უტარდებოდათ 8 წლის ასაკში, ქშატრიებს – 11 წლის ასაკში, ვაიშებს – 12 წლის ასაკში. რიტუალი საზეიმო ვითრებაში ტარდებოდა: ბიჭებს კრეჭდნენ, აბანავებდნენ, წითლებში გამოაწყობდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ. ცერემონიალი სრულდებოდა იმით, რომ მხოლოდ ბრაჰმანებს ჩამოჰკიდებდნენ წმინდა ზონარს, რომელიც მთელი სიცოცხლე უნდა ეტარებინათ.

კასტური სისტემა წარსულის მძიმე გადმონაშთია. ჯერ კიდევ 1946 წლის კონსტიტუციით (როდესაც ინდოეთმა დამოუკიდებლობა მიიღო), შემდეგ 1955 წლის კანონით, ინდო-

ეთში აიკრძალა მოსახლეობის კასტრობრივი დისკრიმინაცია, მაგრამ მხოლოდ ფორმალურად. ამის ახსნა ასეთია: კასტური პრობლემა ვერ გადაიჭრება მანამ, სანამ იარსებებს მისი სოციალური და ეკონომიკური ფესვები. გარდა ობიექტური ხასიათის ფაქტორებისა, არსებობს – სუბიექტურიც, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ფსიქოლოგიასთან და მენტალობასთან. ტრადიციების როლი კასტებში იმდენად ძლიერია, რომ მაღალერუდირებული ადამიანებიც იძულებულნი არიან დაიცვან ყველა ადათ-წესები. კასტური წესების დარღვევა განიხილებოდა როგორც დანაშაული (თუმცა დაუწერელი კანონის სახით) და ხშირად მთავრდებოდა ადამიანის კასტიდან გაძევებით. ცნობილი ფაქტია, მაგალითად, რომ მაჰათმა განდი ბომბეის ღვთისმსახურებმა კასტიდან მოკვეთეს იმის გამო, რომ მან ადათ-წესები დაარღვია. საზოგადოდ, განდი ყოველთვის გამოდიოდა კასტრობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

კასტა მით უფრო წმინდად ითვლებოდა, რაც ნაკლები ხორცი გამოიყენებოდა საკვებში. პირველად მეფე აშოკას დროიდან (ძვ.წ. მე-3ს.) მოყოლებული, რომელმაც აკრძალა ცხოველების მსხვერპლად შეწირვა, საკვებში ძროხისა და კამეჩის ხორცის გამოყენება აიკრძალა, შემდეგ კი – ყველანაირი საქონლის ხორცისა. ვეგეტარიანელობას ინდოეთში აქვს როგორც ჰიგიენური, ისე რელიგიური საფუძველი. კერძოდ, ქვეყნის ბუნებრივი პირობების, ჰავის გამო, ბევრი მსხვილფეხა საქონელი იქ დაავადებულია, ამიტომ მათი საკვებად გამოყენება საფრთხეში აგდებს ადამიანის ჯანმრთელობას. ამდენად, არა მხოლოდ ვეგეტარიანელები, არამედ საერთოდ მოსახლეობის უმეტესობა ერიდება ამ ცხოველთა ხორცის ჭამას, ისინი ამჯობინებენ თხის და ფრინველის ხორცს. შუა საუკუნეებში ისლამის გავრცელების, მონღოლთა დაპყრობების შემდეგ, ვეგეტარიანელობა თანდათან კარგავს პირპვანდელ სახეს, განსაკუთრებით მე-20 ს-ის დამდეგიდან – კასტური სისტემის შესუსტებასთან დაკავშირებით. საყურადღებოა ინდუსების დამოკიდებულება სასმელების მიმართ; ისინი არ ეტანებიან სპირტიან სასმელებს, უმაღლესი

კასტის წარმომადგენლებს კი საერთოდ ეკრძალებათ ალკოჰოლის მიღება. უმაღლესი კასტის ქალს მეორედ გათხოვება ეკრძალება. საერთოდ კასტრობრივი სისტემა კარჩაკეტილობით ხასიათდება: უფრო დაბალი კასტის ადამიანისგან წყლის მიღებაც კი არ შეიძლება. ტრადიციების როლი ინდოეთში იმდენად ძლიერია, რომ ელემენტარული გადახვევა მათგან განიხილება როგორც დანაშაული და მკაცრად ისჯება. ასე იყო წარსულში, თანამედროვე პერიოდში კი, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი, გაცილებით მცირე დოზითაა შემორჩენილი.

განსაკუთრებით მძიმეა უმდაბლესი ფენის – ხარიჯანის ანუ ღვთის ხალხის, ე.წ. „მიუკარებელთა“ საკითხი, რომელთა რაოდენობა 50 მილიონს აღწევს. იმის მიუხედავად, რომ ისინიც ინდუისტებად ითვლებიან, ასევე არავითარი რასობრივი სხვაობა მათსა და დანარჩენ ინდოელებს შორის არ არის, ისინი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ უფლება არა აქვთ შევიდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სასტუმროებში, რესტორნებში, კინო-თეატრებში, სუფრასთან დასხდნენ მაღალი ფენის წარმომადგენლებთან ერთად და ა.შ. 1980-81წ.წ. ინდოეთის მთავრობამ 1 მილიარდი რუპია გაიღო ხარიჯანთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამას არსებითად სიტუაციის გამოსწორება არ მოჰყოლია.

ვედური პერიოდიდან მოყოლებული, ინდოეთში რელიგიების ერთგვარი მოზაიკა ჩნდება. საერთოდ, ინდოეთის ერთ-ერთი მახასიათებელი თვისება რელიგიათა სიმრავლეა. მათგან პირველი იყო ვედიზმი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მრავალღმერთიანობა და ანთროპომორფიზმი. მისი ღმერთების პანთეონიდან ყველაზე ძლიერი და პოპულარული იყო დიაუსი – ცის ღმერთი, ღმერთების მამა (ძველბერძნული ზევსის ანალოგი). ის და მისი ცოლი, მიწის ღვთაება პრითჰივი ითვლებოდნენ სამყაროს, ღმერთებისა და ადამიანების წინაპრებად. ვედური ღმერთების პანთეონის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა მათი პირველი შთამომავალი – ინდრა, რომელსაც მრავალფუნქციური დატვირ-

თვა ჰქონდა; ის იყო სითბოს, სინათლის, წვიმის, ჭექა-ქუხილის ღმერთი, ბრძენი და მებრძოლი, სამყაროს მბრძანებელი და დემონების რისხვა. მას ეძღვნება რიგვედას 250 ჰიმნი. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ასევე აგნის – ცეცხლის, ოჯახური კერიის ღმერთს (მას რიგვედას 230 ჰიმნი ეძღვნებოდა), სომას – მათრობელა სასმელების ღმერთს, ვარუნას – ცის, ღამის, მიწის, კოსმოსის ღმერთს, სუჰიას – მზის ღმერთს, ვიშნუს (რომელიც შემდგომში ინდუიზმის ერთ-ერთ მთავარ ღვთაებად იქცა). თაყვანისცემის ერთ-ერთ უმთავრეს ობიექტს წარმოადგენენ დევებიც,[1] როგორც კეთილი ღვთაებები. იყო კიდევ სხვა უამრავი ღმერთი, ამ ღმერთების ნაკლებად პატივდებული ცოლები. არიელებს, ისევე როგორც ძველ ბერძნებს, ჰყავდათ ნახევრად ღმერთები, რომელთაგან ყველაზე ცნობადები იყვნენ აპსარები (ბერძნული ნიმფების ანალოგები), ციური მუსიკოსები, მოცეკვავეები, რომლებიც ზოგჯერ კენტავრის ფორმას იღებდნენ.

ბრაჰმანიზმი

არიელთა დამკვიდრებამ ინდოეთში, ადგილობრივ ტომებთან (მუნდებთან და დრავიდებთან) მათმა კონტაქტებმა, ცივილიზაციათა დიალოგმა – ამ ყველაფერმა განაპირობა თანდათან ადათ-წესების, უპირველეს ყოვლისა, საკულტორელიგიური ტრადიციების ერთმანეთთან შერევა, სხვადასხვა ეთნოსების ასიმილაცია. ამ პროცესების ფონზე წინა პლანზე წამოიწია მაგიის ხელოვნებამ. მკურნალები, ჯადოქრები, მაგიური რიტუალების ოსტატები საზოგადოებაში ყველაზე მოთხოვნადები და პატივდებულები გახდნენ, რამდენადაც მათი საქმიანობა, მიღებული თვალსაზრისის თანახმად, ადამიანებს იცავდა ბოროტი სულებისაგან და მათი მავ-

[1] ლათინური – deus – ღმერთი, ფუძიდან div – ნათება. აღსანიშნავია, რომ ვედიზმისგან განსხვავებით, ზოროასტრიზმში დევები პირიქით – ბოროტ სულებად იყვნენ მიჩნეული.

ნე ზემოქმედებისაგან. პარალელურად ქვეყანაში გაჩნდა ასკეტიზმის კულტი. ასკეტებს ზებუნებრივი ძალა მიეწერებოდა, რომელთაც ძალუძდათ სამყაროს შეცვლა, მისი განახლება და განადგურებისგან გადარჩენა. მაგიისა და ასკეზის წინა პლანზე წამოწევამ ვედური რელიგიის საფუძვლის – მსხვერპლშეწირვის პრაქტიკის რამდენადმე შეცვლა გამოიწვია. ამიერიდან მან უფრო მეტად სიმბოლური და პირობითი ხასიათი მიიღო. სიახლეს წარმოადგენდა ისიც, რომ გაჩნდნენ ახალი ღმერთები და ქალღმერთები (როგორც კეთილი, ისე ბოროტი), ზოგიერთი მათგანი არაარიული წარმოშობისა იყო. ახალ ღვთაებებს შორის დიდი რაოდენობით იყო აბსტრაქტულ-განყენებული ხასიათის სახეები, რაც მაგიისა და სიმბოლიკისკენ გაძლიერებულ ტენდენციაზე მიუთითებს.

გვიან ვედურ ხანაში ღმერთებს შორის წამყვანი ადგილი ბრაჰმამ დაიკავა. შესაბამისად, ვედების რელიგიას თანდათან ჩაენაცვლა ბრაჰმანიზმი. როგორც რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა და საკულტო-სარიტუალო პრაქტიკის სისტემა, ბრაჰმანიზმი ვედიზმის პირდაპირ მემკვიდრეს წარმოადგენდა. თუმცა, ის უკვე ახალი ეპოქის მოვლენა იყო, რომელიც საკმაოდ დაშორებული იყო ვედური პერიოდისათვის დამახასიათებელი ადათ-წესებისაგან. ტრანსფორმაციის ხანგრძლივმა პროცესმა, ჩრდილოეთ ინდოეთში რთული სოციალური სტრუქტურებისა და პროტოსახელმწიფოების ფორმირებამ, განაპირობა ძველი ინდოელი საზოგადოების საგრძნობლად დანაწევრება. საბოლოო ჯამში, სწორედ კასტურმა წყობამ მისცა დასაბამის ბრაჰმანიზმის ფორმირებას. ამ პროცესს თან სდევდა ბრაჰმანთა სტატუსის მკვეთრი ამაღლება: მათი ქონება ხელშეუხებელი იყო, მათ პრეროგატივას წარმოადგენდა მსხვერპლშეწირვის რიტუალების ჩატარება, რაშიც გასამრჯელოს იღებდნენ (ითვლებოდა, რომ ამის გარეშე რიტუალი აზრს კარგავდა); მათი სიცოცხლე საზოგადოების სხვა ფენებზე გაცილებით ძვირად ფასობდა; დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, გადაწყვეტილება ავტომატურად მათ სასარგებლოდ მიიღებოდა; არ შე-

იძლებოდა მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. გარდა ამისა, ბრაჰმანები მეფეთა მრჩევლებად მსახურობდნენ, მათ ხელთ იყო პოლიტიკური და განათლების სისტემის ბერკეტები. თავად ბრაჰმანებსაც გარკვეული დაწესებული ნორმები უნდა დაეკმაყოფილებინათ, მაგალითად: ნამდვილი ბრაჰმანული წარმოშობის (ე.წ. წმინდა სისხლის) უნდა ყოფილიყვნენ, მათთვის დაუშვებელი იყო სხვა კასტებთან სისხლის აღრევა, უნდა დაეცვათ სათანადო ქცევის ნორმები, სწავლითა და განათლებულობით გამორჩეულნი უნდა ყოფილიყვნენ, ხალხისთვის დახმარება უნდა გაეწიათ, მათთვის მსხვერპლშეწირვის რიტუალები ჩაეტარებინათ.

გვიან ვედურ პერიოდში ბრაჰმან-ქურუმთა ძალისხმევით, შეიქმნა პროზაული ტექსტები – ე.წ. „ბრაჰმანები“, რომლებიც შეიცავდა სარიტუალო, მითოლოგიურ განმარტებებს და კომენტარებს ოთხივე ვედისათვის. ისინი იქმნებოდა ძვ.წ. მე-10-7 საუკუნეებში, რაც ვედების კანონიზაციის პერიოდს ემთხვევა. მათ საფუძველზე კი შეიქმნა ფილოსოფიური ტექსტები „უპანიშადები“. ტერმინი უპა-ნი-შად – ნიშნავს – გვერდით ჯდომას ანუ მასწავლებლის ფერხთით ყოფნას, მისი დარიგებების მოსმენას, ტექსტის შეფარულ, იდუმალ არსში წვდომას. ყველაზე ადრინდელი „უპანიშადები“ ძვ.წ. მე-8-6 საუკუნეებს განეკუთვნება, დანარჩენი ნაწილები უფრო გვიან პერიოდში შეიქმნა. სხვადასხვა მონაცემებით, მთლიანობაში „უპანიშადების“ რაოდენობა 150-დან 235-მდე მერყეობს, რომლებსაც თავთავისი სახელწოდება აქვთ. მათი ავტორები უმეტესწილად ასკეტები იყვნენ, რომლებიც ხანგრძლივ დროს განდეგილობაში, ჭეშმარიტების ძიებაში და იდუმალი მოვლენების არსის შეცნობაში ატარებდნენ.

ბრაჰმანთა კასტის ფილოსოფიურ-რელიგიურ და სამართლებრივ კრებულს წარმოადგენდა „მანუს კანონები“,[1] რომე-

[1] კრებული შედგენილ იქნა ბრაჰმანთა ერთ-ერთი სკოლის მიერ. შემდგომში მისი საყოველთაოდ აღიარების მიზნით, მისი ავტორობა მიეწერა ინდოელთა მითოლოგიურ მეფეს – მანუს, რომელიც წმინდანად და ბრძენად იყო შერაცხული.

ლიც დაახლოებით ძვ.წ. მე-3-2 საუკუნეებში შეიქმნა. მასში თავმოყრილი იყო ზნეობრივი, ყოფითი და იურიდიული ხასიათის მითითებები. „მანუს კანონები“ უხვ ცნობებს შეიცავს ძველი ინდოეთის სოციალური წყობის, საზოგადოების კასტებად დაყოფის, სისხლის და სამოქალაქო სამართლის, ასევე ზოგადად სამართალწარმოების შესახებ. ხსენებული კრებულის მიხედვით, ყველაფერი ბრაჰმას უკავშირდება, კერძოდ, მის ბაგეთაგან წარმოიშვნენ ბრაჰმანები ანუ უმაღლესი კასტის წარმომადგენლები. ქშატრიები შეიქმნენ მისი მხრებისგან, ვაიშები – თეძოებისგან და შუდრები – ფეხის გულებისგან. იქვე განსაზღვრული იყო მათი ფუნქციებიც: ბრაჰმანებს უნდა აღესრულებინათ კულტმსახურება და გაეცნოთ ხალხისთვის წმინდა ტექსტები, მომდევნო კასტის წარმომადგენლებს – ქშატრიებს უნდა ემართათ სახელმწიფო და ხალხი, ვაიშებს ევალებოდათ საქონლის მომრავლება, ვაჭრობა და მიწათმოქმედება, ყველაზე დაბალი კასტა – შუდრები კი მათ ზემოთ მდგომი კასტების მორჩილება-მსახურებაში უნდა ყოფილიყვნენ. თითოეულ კასტას თავ-თავისი ღვთაებები ჰყავდა: ბრაჰმანთა მთავარი ღმერთი იყო ბრაჰმა, ქშატრიების – ინდრა, ვაიშების – შივა. მეოთხე კასტისთვის არ იყო განსაზღვრული კონკრეტული ღვთაება. მისი წარმომადგენლები ოფიციალურ კულტმსახურებაშიც არ მონაწილეობდნენ.

ბრაჰმანიზმმა შეითვისა ინდოეთის აბორიგენი მოსახლეობის (დრავიდები და მუნდები) ტოტემური წარმოდგენები რეინკარნაციის შესახებ და ის კასტური პრინციპების მორჩილად აღსრულების დასაკანონებლად გამოიყენა. კერძოდ, ამ საკითხისადმი მიდგომა შემდეგნაირი იყო: თუ შუდრა წესიერი სააქაო ცხოვრებით იცხოვრებდა, მაშინ მისი სული მეორედ დაბადებისას, უფრო მაღალი კასტის ადამიანის სხეულში მოხვდებოდა. გულში გავლებული ცოდვა კი დაისჯებოდა უფრო დაბალ კასტებში გადასვლით, სიტყვიერად წარმოთქმული ცოდვა – ცხოველში გადასვლით, ხოლო ფიზიკურად ჩადენილი ცოდვა – უსულო საგანში მოხვედრით. აქედან გამომდინარე, მოძღვრება კარმას შესახებ ბრაჰმანული რელიგიის საფუძვლად იქცა. კარმა ზოგადად, ინდური ფილოსო-

ფიური აზრის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ადამიანის კეთილი და ბოროტი საქმეების ჯამი (ანუ კარმა) განსაზღვრავს მისი მომავალი გარდასახვის, რეინკარნაციის ფორმას. შესაბამისად, კარგი კარმა სასიკეთო გარდასახვის გარანტია, ცუდი კარმის შემთხვევაში კი, გარდასახვა ხდება მონად, მწერად და ნეგატიური დატვირთვის მქონე საგნად. ამრიგად, ადამიანი თავისი წარსული ცოდვებისა თუ კეთილი ქმედებების საზღაურად, იღებს იმას, რაც დაიმსახურა. კარმას იდეას უდიდესი ფსიქოლოგიური დატვირთვა მიენიჭა ძველ ინდოეთში. ის გახდა ინდოელთა ათეულობით თაობების ინდივიდუალური და სოციალური ქცევის რეგულატორი. კარმას კანონი ვრცელდებოდა ყველაზე, გარდა ასკეტ-განდეგილებისა, რომლებიც საერო ცხოვრებას განუდგნენ და ღმერთების გზაზე იყვნენ დამდგარნი.

ბრაჰმანიზმის იდეების და დოქტრინების ფართოდ გავრცელებამ დროთა ვითარებაში განაპირობა ინდუიზმის წარმოშობა, რომელიც შემდგომში ინდოეთის სახელმწიფო რელიგია გახდა (მის შესახებ ცალკე იქნება საუბარი), თუმცა, მანამდე რელიგიურ-ფილოსოფიურმა აზრმა ქვეყანაში რამდენიმე გარდამავალი ეტაპი გაიარა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო სხვადასხვა სისტემების არსებობა. კერძოდ, ეს იყო ექვსი სისტემა – იგივე დარშანები, რომლებიც ზემოხსენებული „უპანიშადების" ბაზაზე ჩამოყალიბდა. მათგან სამი (ლოგიკა – ნიაია, კოსმოლოგია – ვაიშეშიკა, რიტუალები - მიმანსა) მეორეხარისხოვნად ითვლებოდა, მომდევნო სამი კი – უმთავრესად. ესენია: სანკჰია, იოგა და ვედანტა. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. სანკჰია – ეს სისტემა შეიქმნა ძვ.წ. მე-8-7 საუკუნეთა მიჯნაზე ინდოელი მოაზროვნის კაპილას მიერ. მასში ცენტრალური ადგილი უჭირავს ორ აქტიურად ურთიერთზემოქმედ საწყისს – პრაკრიტს (მატერია და ენერგია) და პურუშას (სულიერი საწყისი, რომელიც ქმნის მატერიალური სამყაროს ფორმებს ატომებიდან ადამიანამდე). სანკჰიას სისტემის თანახმად, ორივე მათგანის ურთიერთქმედება წარმო-

ადგენს მთელი სამყაროს წარმოშობისა და არსებობის საფუძველს. ამ სისტემის უმთავრესი არსი და მიზანია დაეხმაროს პურუშას გათავისუფლდეს მატერიის ტყვეობიდან, თავი დააღწიოს სანსარას მდგომარეობას (ანუ მიწიერ ცხოვრებას და გარდასახვებს) და კარმას, დატოვოს სხეული და მიაღწიოს ნეტარებას და თავისუფლებას – ამ მდგომარეობას ეწოდა მოკშა. ყოველივე ამის მისაღწევად საჭირო იყო მთელი რიგი რთული ეტაპებისა და საფეხურების გავლა.

რაც შეეხება მეორე სისტემას – იოგას, ის შეიქმნა ძვ.წ. მე-4-3 საუკუნეებში და უკავშირდება ინდოელი სწავლულის – პატანჯალის სახელს, რომელიც იყო „იოგა-სუტრას" ავტორი. იოგას სისტემაში უმთავრესი იყო სხვადასხვა სახის ვარჯიშები, რათა ინდივიდს ესწავლა თავისი ფიზიკური მდგომარეობის, გრძნობებისა და ემოციების კონტროლი. საამისოდ კი საჭირო იყო ასკეტური დისციპლინა, მტკიცე ნებისყოფა, გამძლეობა, შრომისმოყვარეობა და ა.შ. ვარჯიშების მთელი ეს სისტემა 8 საფეხურს მოიცავდა: თავშეკავება – იამა, მოცემულობათა შესრულება – ნიიამა, სხეულის ვარჯიშები – ასანა, სუნთქვის რეგულაცია – პრანაიამა, გრძნობების დისციპლინა – პრატიაჰარა, გონების დისციპლინა – დჰარანა, მზერა, ჭვრეტა – დჰიანა, ტრანსი და ექსტაზი – სამადჰა. თუ ბოლო საფეხურამდე მიაღწევდა მავანი, მისი სულიერი „მე" ანუ პურუშა გათავისუფლდებოდა და აღწევდა საბოლოო მიზანს – სრულ თავისუფლებას (ანუ მოკშას). 3. ვედანტა შეიქმნა დაახლოებით ძვ.წ. მე-7 საუკუნეში, ფართო განვითარება და დიდი პოპულარობა კი ახ.წ. მე-7 საუკუნეში მოიპოვა. ამ სისტემის ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს: ყველაფრის წყარო, სამყაროს საწყისი არის ბრაჰმანი, რომელიც ერთადერთი და განუყოფელია. სანკჰიასგან განსხვავებით, ვედანტა უარყოფს სამყაროს დუალიზმს ანუ არ აღიარებს განსხვავებას პურუშასა და პრაკრიტს შორის. მის თანახმად, მთელი მატიერიალურიი სამყარო ილუზორულია, ერთადერთი და აბსოლუტური რეალობა კი არის ბრაჰმანი.

ჯაინიზმი

ძველი ინდოელი საზოგადოება, არიელებისა და ადგილობრივი ტომების აღრევის პროცესში, კიდევ უფრო არათანასწორუფლებიან ნაწილებად – კასტებად დანაწევრდა, რომელიც ტომობრივი, პროფესიული და სხვა ფაქტორების ბაზაზე წარმოიშვა. როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოქმნილ სისტემაში ყველაზე მაღალი პოზიცია ბრაჰმანთა კასტას ეკავა. დროთა ვითარებაში არაბრაჰმანული კასტის წარმომადგენლებმა, ასევე არიელების და აბორიგენების შთამომავლებმა, ბრაჰმანთა მიერ შემუშავებულ ძირითად კონცეფციებს უძველესი არაარიული რწმენა-წარმოდგენები დაუმატეს. ამასთან, ახალი რელიგიური სისტემის დემოკრატიული სული ღიად უპირისპირდებოდა კასტობრივ, ჩაკეტილ ბრაჰმანიზმს. ამ ტიპის მოძღვრებას წარმოადგენდა ჯაინიზმი (ჯაინ – სანსკრიტულად ნიშნავს – გამარჯვებულს), რომელიც ინდუიზმისა და კასტური წყობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბდა. როგორც რელიგია, ის საუკუნეთა მანძილზე უპირისპირდებოდა ინდუიზმს – ინდოელთა მთავარ სარწმუნოებას. ჯაინიზმის ფუძემდებლად მიჩნეულია ძვ.წ. მე-6 საუკუნეში მოღვაწე სწავლული მაჰავირა ჯინა.[1] მის შესახებ ცნობილია, რომ დაიბადა ქშატრიების ოჯახში, ბუდას მსგავსად, 28-30 წლის ასაკში მიატოვა სახლ-კარი, ოჯახი და ასკეტი გახდა. 12 წლის მანძილზე ის ინდოეთის სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა და თავს მოწყალებით ირჩენდა. 40 წლის ასაკში მაჰავირა ჯინამ გასხივოსნებას მიაღწია (ჭეშმარიტება შეიცნო) და იმ დროიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლომდე თავის მოძღვრებას ქადაგებდა.

თავდაპირველად მაჰავირას მიმდევრები მხოლოდ ასკეტები იყვნენ, რომლებმაც უარი თქვეს ყველაფერ მატერიალურზე (ტანსაცმელზეც კი) „დიადი მიზნის" მისაღწევად –

[1] ზოგიერთი წყაროს ცნობით, მაჰავირა ჯინა ძვ.წ. 599 წელს დაიბადა, მკვლევართა უმეტესი ნაწილის აზრით კი, ის ძვ.წ. 539 ან 549 წელს დაიბადა.

გადარჩენისა და განთავისუფლებისათვის ანუ მოშკას მდგომარეობის მისაღწევად. მოგვიანებით ჯაინიზმის მიმდევართა თემი გაფართოვდა, მას შეუერთდნენ საერო პირები, ქურუმები და მოსახლეობის სხვა ფენები. ყველანი თანაბრად უნდა დამორჩილებოდნენ ქცევის საერთო ნორმებს, კანონებს და აკრძალვებს, რომლებიც მოძღვრების ძირითად არსს ქმნიდა. ისევე როგორც სხვა ძველ ინდურ დოქტრინებში, ჯაინიზმის მოძღვრების ამოსავალი წერტილი ის იყო, რომ ადამიანის სული მის მატერიალურ გარსზე უფრო მაღლა იდგა. ჯაინთა ძირითადი მიზნის - მოშკას მიღწევა კი სწორედ მატერიისაგან სულის განთავისუფლებას ნიშნავდა. საყურადღებოა, რომ ჯაინები კარმასაც მატერიალურად მიიჩნევდნენ, რადგანაც ის თითქოსდა ხელს უშლიდა სულს თავისი თვისებების სრულყოფილად გამოვლენაში. ხოლო როდესაც ადამიანი თავიდან მოიშორებდა კარმასაც, ის განთავისუფლდებოდა მატერიალური სხეულისგან, მის სულს უკვე აღარაფერი შეაფერხებდა და ხსნასაც მიაღწევდა. აქედან გამომდინარე, საჭირო იყო კარმისგან განთავისუფლება, რაც საკმაოდ რთულ პროცესად მიიჩნეოდა. ჯაინების აზრით, საამისოდ აუცილებელი იყო, უპირველეს ყოვლისა, ღრმა რწმენა, მოძღვრის დარიგებების მიღება-შესრულება, კეთილ საქმეთა კეთება, სათანადო ცოდნის მიღება და განსაზღვრული ქცევის ნორმების შემუშავება. ჩამოყალიბდა 5 ძირითადი ეთიკური პრინციპი, რომელთა შესრულება ჯაინებს ევალებოდათ, კერძოდ: არ მიაყენო ზიანი ცოცხალ არსებას (აჰიმსა), იყავი გულწრფელი და პატიოსანი (სატია), არ მოიპარო (ასტია), არ იმრუშო (ბრაჰმაჩარია), არ მოიხვეჭო ქონება (აპარიგრაჰა). ამ ხუთ მოთხოვნას ემატებოდა კიდევ სხვა შეზღუდვები ცხოვრებისეულ სიამოვნებათა შესაკვეცად.

ჯაინები გამოირჩევიან მკაცრი პურიტანული ცხოვრების წესით, მათთვის დამახასიათებელია მონოგამიურობა, სისტემატიური თვითკონტროლი, ცხოველებზე და მცენარეებზე ზრუნვა, ისინი არ მოიხმარენ ალკოჰოლს, არიან ვეგეტარიანელები. აღსანიშნავია, რომ ჯაინთა რიგებში თითქმის

არ არიან გლეხები, რადგან ძველთაგანვე ითვლებოდა, რომ გლეხის შრომა შეუთავსებელია აჰიმსას მკაცრი მოთხოვნების დაცვასთან. კერძოდ, მიწის დამუშავებისას და ხვნა-თესვის დროს, ჭიაყელისთვის ზიანის მიყენებაც ცოდვად ითვლებოდა. ამიტომაც ჯაინები ტრადიციულად, ქალაქებში სახლდებოდნენ და ვაჭრობა-ხელოსნობით იყვნენ დაკავებულნი. რაც შეეხება კასტებს, ჯაინიზმი არ უარყოფდა მათ არსებობას, მაგრამ ისეთი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, როგორც ინდუიზმში. მაგალითად, არ იკრძალებოდა კასტებს შორის ქორწინება, თემში მიიღებოდა ნებისმიერი კასტის და საზოგადოებრივი თემის წარმომადგენელი. არ იყო კვებითი აკრძალვები, არც კასტებს შორის კონტაქტები.

ცალკე ფენად იყო გამოყოფილი ჯაინი ასკეტი-ბერები, რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ რეჟიმს მოწყვეტილი იყვნენ. ბერობის კანდიდატი ჯერ სამი წელი მორჩილი უნდა ყოფილიყო და თავისი გურუს დარიგებები მოესმინა. შემდეგი სამწლიანი ეტაპი იყო ჯაინური ტექსტებისა და დოქტრინის შესწავლა. ამის შემდგომ მას ნათლობის რიტუალი უტარდებოდა და უკვე უკან დასახევი გზა მოჭრილი იყო. ეს ასკეტი ბერები მუდამ მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ, უსახლკარონი და უქონელნი, ქალაქებსა და სოფლებში გადაადგილდებოდნენ. ამასთან, ერთ ადგილას რამდენიმე დღეზე მეტ ხანს არ უნდა შეყოვნებულიყვნენ. მათ ცოტა უნდა სძინებოდათ და დილის ოთხ საათზე უკვე ფეხზე იყვნენ, ყურადღებით უნდა ყოფილიყვნენ, რომ შემთხვევით რომელიმე მწერისათვის ფეხი არ დაებიჯებინათ. დღის უმეტეს ნაწილს ისინი განსჯაში, ფიქრებში და დაკვირვებაში ატარებენ, რათა ამ გზით თანდათან კარმისგან განთავისუფლდნენ (ეს გზა სხვადასხვა სექტაში 16-დან 53 საფეხურამდე მერყეობს). ასკეტი ცხოვრობს შემოწირულობებით, მან ყოველდღიურად უნდა მოიპოვოს საკვები, რადგანაც მეორე დღისთვის საკვების ნარჩენების შენახვა აკრძალულია. ხანგამოშვებით ხდება მარხვის დაცვა, რაც ხშირად ხანგრძლივი დროის მანძილზე გრძელდება.

ასკეტიზმის ერთ-ერთ უკიდურეს ფორმად ჯაინიზმში ითვლება საკვებზე საერთოდ უარის თქმა და სიკვდილამდე შიმშილი. ამ ფორმის კატეგორიებს შორის აღსანიშნავია ასევე ასკეტები, რომლებიც წლების მანძილზე მდუმარებაში იმყოფებოდნენ, მზეზე, სიცივეში ან ფეხზე იდგნენ დიდხანს, საერთოდ შიშვლები დადიოდნენ ანუ მატერიალურ სამყაროსთან მათ აღარაფერი აკავშირებდათ, გარდა მცირეოდენი საკვები ულუფისა და წყლისა. ასეთმა ასკეტებმა მიიღეს სახელწოდება – დიგამბარები (ნიშნავს – ჰაერით შემოსილები ანუ შიშვლები). მოგვიანო პერიოდში ადგილი ჰქონდა ნაწილობრივ გადახრებს დაწესებული ნორმებიდან, რაც გარკვეული დოზით ამსუბუქებდა ჯაინ ასკეტთა ცხოვრების რეჟიმს. ზემოხსენებული ასკეტიზმის ნორმების დაცვა ყველას არ ძალუძდა, განსაკუთრებით რთული იყო ეს ქალებისათვის. მართალია, მათი რაოდენობა მცირერიცხოვანი იყო, თუმცა, ყოველთვის არსებობდნენ ჯაინი ასკეტი ქალებიც.

დღესდღეობით ჯაინ ბერს შეუძლია იქონიოს სამი ნივთი: ჯამი საკვებისათვის, პატარა ცოცხი და ქსოვილის ნაჭერი, რათა სხეულის ნაწილი დაიფაროს. ასკეტი ჯაინის უმთავრესი აღქმაა არ მიაყენოს ზიანი ცოცხალ არსებას. საამისოდ ის პირს პირბადით იფარავს, რომ შემთხვევით ჰაერიდან მწერი არ მოუხვდეს პირში. ცოცხი კი მას დასაგველად სჭირდება, რათა სიარულისას, მწერი არ გასრისოს. ამასთანავე, მან ცეცხლი არ უნდა დაანთოს ღამით, რადგან ალზე შესაძლოა მწერები დაიფერფლონ.

თანამედროვე ინდოეთში, მცირერიცხოვნების მიუხედავად, ჯაინიზმი გავლენიან რელიგიურ ერთობას წარმოადგენს (ის ინდოეთის მოსახლეობის დაახლოებით 3% შეადგენს). მას გავლენიანი პოზიციები უჭირავს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ფლობს გარკვეულო ეკონომიკურ ბერკეტებს და საკმაოდ დიდ კაპიტალს. აღსანიშნავია ასევე, რომ ჯაინიზმის მიმდევრებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ინდოეთის ისტორიასა და კულტურაში, ისინი მუდამ იყვნენ ქვეყნის კულტურული ელიტის გამორჩეული წარმომადგენლები. ჯაინთა ძალისხმევით, შუა საუკუნეებში ვი-

თარდებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგები, ლიტერატურა, ფერწერა და სხვა. ჯაინისტური ტაძრები კი მიმზიდველი იყო და არის თავისი ორიგინალური არქიტექტურით, პომპეზურობის ელემენტებით და გაფორმებით. ამჟამად ჯაინიზმი დაახლოებით 6 მილიონ მიმდევარს ითვლის. ინდოეთის გარდა, ჯაინები არიან ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში, შორეულ აღმოსავლეთში და ავსტრალიაში.

ინდუიზმი

ახალ ეპიკურ ეტაპზე (ძვ.წ. I ათასწლეული) ინდოეთში თანდათანობით ვედური რელიგიის ტრანსფორმაცია მოხდა ჯერ ბრაჰმანიზმად, შემდეგ ინდუიზმად,[1] რომელიც ქვეყნის უმთავრეს რელიგიას წარმოადგენს – მას მოსახლეობის 84% აღიარებს. მიმდევართა რაოდენობით ის მესამე რელიგიაა ქრისტიანობისა და ისლამის შემდეგ (ამ ნიშნით ის ბუდიზმს უსწრებს).[2] ინდუიზმის მიმდევართა საერთო რაოდენობა მსოფლიოში ერთ მილიარდს აღწევს, რომელთა უმეტესი ნაწილი აზიაში ცხოვრობს, ორ მილიონამდე – აშშ-ში, მილიონნახევარი – ევროპასა და აფრიკაში. ინდუიზმის ფორმირება ძვ.წ. მე-6-4 საუკუნეებში მიმდინარეობდა, ბუდიზმთან და ჯაინიზმთან დაპირისპირების პირობებში.

ბრაჰმანიზმის მსგავსად, ინდუიზმი იმთავითვე საზოგადოების კასტებად დაყოფას და სულთა გადასახლებას აღიარებდა. ვედიზმისა და ბრამანიზმის ელემენტების გარდა, მან ბევრი რამ შეინარჩუნა ძველი წარმართული ადათწესებიდანაც, ადვილად გაითავისა აბორიგენი ტომების

[1] ინდუიზმი სანსრკიტულად ნიშნავს – მარადიულ სარწმუნოებას, წესრიგს, მოძღვრებას. ინდუიზმის მიმდევრებს ინდუსებს უწოდებენ.

[2] სტატისტიკური მონაცემებით, ინდოეთის მოსახლეობა აღმსარებლობის მიხედვით, დაახლოებით შემდეგნაირად ნაწილდება: ინდუისტები – 84%, მუსლიმები – 12%, ქრისტიანები – 2%, სიქჰები – 1,7%, ბუდისტები – 0,7%, ჯაინები – 0,4%.

(მუნდების და დრავიდების) კულტები. ასე რომ, ინდუიზმი სხვადასხვა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სინთეზის საფუძველზე ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ ის არ ეფუძნება რომელიმე წინასწარმეტყველის ქადაგებას, როგორც მაგალითად, ქრისტიანობა, ბუდიზმი ან ისლამი. ინდუიზმის ევოლუციური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა ძველი რელიგიურ-ფილოსოფიური თეორიების გადამუშავება, მათი გამდიდრება წინამორბედი მოძღვრებებით, ღმერთების პანთეონით, რიტუალებით და სხვ., რომლებიც საზოგადოების თითქმის ყველა ფენისათვის მისაღები აღმოჩნდა. მართალია, ინდუიზმის საფუძვლები ძირითადად ადრეული რელიგიებიდან იღებს სათავეს, კერძოდ, მან შემოინახა წარმოდგენები კარმაზე, ვედების სიწმინდეზე, ასკეტიზმზე, თუმცა, იმავდროულად ბევრი ვედური ღმერთი წარსულს ჩაბარდა, ზოგმა ტრანსფორმაცია განიცადა, გაჩნდა ახალი ღმერთებიც. ყოველივე ამის საფუძველზე, დროთა ვითარებაში ინდუიზმს გარკვეული სპეციფიკური მახასიათებლები ჩამოუყალიბდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ბრაჰმანიზმთან შედარებით, ის გაცილებით უფრო მწყობრად ჩამოყალიბებულ მოძღვრებას და მკაცრი იერარქიის მქონე იდეოლოგიას წარმოადგენდა.

ინდუიზმი პოლითეისტური რელიგიაა, სხვადასხვა კულტითა და მრავალრიცხოვანი ღმერთებით, რომელთაგან უმთავრესია სამი: 1. ბრაჰმა – სამყაროს შემქმნელი, ბუნების საწყისის სიმბოლო. მისი კულტი სათავეს იღებს გვიან ვედურ პერიოდში (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი), კლასობრივი საზოგადოების გაჩენისა და ქურუმთა პრივილეგირებული კასტის – ბრაჰმანთა გაბატონების დროიდან. ბრაჰმა უმტესწილად გამოისახება ლოტოსის ყვავილით ხელში ან გედზე მჯდომი, ოთხი სახითა და ოთხი ხელით. დამკვიდრებული თვალსაზრისის თანახმად, ბრაჰმამ სამყაროს შექმნა შორეულ წარსულში დაასრულა, რითაც თავისი დიადი მისია უკვე შეასრულა და მისი სხვა რაიმე თხოვნებით შეწუხება დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, ინდუიზმის მიმდევრებში მის მიმართ ინტერესი იმდენად განელებულია,

რომ ტაძრებით მოფენილ ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ბრაჰმასადმი მიძღვნილი ტაძრები თითებზე ჩამოსათვლელია. საუკუნეთა მანძილზე მისი კულტი სხვა ღმერთებმა შეცვალეს, თუმცა მას უწინდებურად დიდი პატივი მიეგება.

2. ვიშნუ – მფარველი, მშვიდობისმოყვარე, ადამიანთა მხსნელი ღვთაება, რომელიც ბუნებაში ჰარმონიას და წესრიგს ამყარებს. ის არის იმ ყველაფრის მფარველი, რაც ბრაჰმამ შექმნა. იმავდროულად ის მხიარულია, უყვარს ხუმრობები და ოინები. უბრალო ხალხი იმთავითვე პატივს მიაგებდა ვიშნუს, როგორც ჩაგრულთა დამცველსა და სამართლიან მეუფეს. მას მრავალი განსახიერება (ავათარა) გააჩნია, რომელთაგან დავასახელოთ რამდენიმე; ყველაზე ხშირად ის გამოისახება რამას, კრიშნას[1] ან ბუდას სახით. ეს უკანასკნელი ჩართულია ინდუისტური ღმერთების პანთეონში, როგორც ვიშნუს მე-10 განსახიერება ანუ ავათარა და გმირობისა და სიმამაცის სიმბოლოდ აღიქმება. ვიშნუ გამოისახება ასევე ცხოველის სახით (ძირითადად თევზის, კუს, ადამიანი-ლომის და ტახის სახით). აღსანიშნავია ასევე წყალში, ათასთავიან დრაკონზე ან ლოტოსის ფორმის ტახტზე მჯდომი ვიშნუ. მორწმუნეთა აზრით, ეს ღვთაება ძირითადად ძილ-ბურანშია და მხოლოდ მაშინ იღვიძებს, როდესაც სამყაროს და ადამიანებს საფრთხე ემუქრება. სხვადასხვა ავათარად მოვლენილი, ის ბოროტებას ანადგურებს და კანონიერებას აღადგენს. ვიშნუს ცოლია ლაკშმი, რომელიც

[1] რამა – ძველი ინდური ეპოსის – „რამაიანას“ გმირი, რომელიც განასახიერებს კეთილშობილ მამაკაცს, მეომარს, ბრძენ მონარქს და მოსიყვარულე მეუღლეს. კრიშნა – ნიშნავს – შავს. ის არაარიული წარმოშობის, აბორიგენი ღვთაებაა, მისი კულტი ფართოდაა გავრცელებული ინდოეთში, ქალები მასში ხედავენ მხიარულ და ვნებიან საყვარელს. კრიშნას სახელზე უამრავი ტაძარია აგებული, მის პატივსაცემად შექმნილია სიმღერები, დრამები, იმართება დღესასწაულები. ყველაზე პოპულარულია გაზაფხულის დღესასწაულები – ჰოლი და კრიშნა-ლილი, რომლის დროსაც ყველა ერთმანეთს ფერად საღებავებს უსვამს, ყიდულობენ კრიშნას სხვადასხვა გამოსახულებებს, იმართება მხიარული წარმოდგენები და ა.შ.

ქმრის მოსიყვარულე და ერთგულია, მუდამ მის გვერდითაა და მხარში უდაგას.

3. შივა – ინდუიზმის ყველაზე გამორჩეული მრავალფუნქციური ღმერთია, რომელიც ურთიერთსაპირისპირო თვისებებით ხასიათდება. ერთი მხრივ, ის არის გამანადგურებელი, დამანგრეველი ძალის მქონე, მეორე მხრივ კი – გულმოწყალე, სიკეთისა და სიცოცხლის წყარო. თუმცა, შივას კულტში წინა პლანზე სხვა ფაქტორია წამოწეული, კერძოდ, ძლიერებისა და მამაკაცური საწყისის კულტი. ინდუიზმში ეს ასპექტი სიმბოლიზირებულია ლინგამას (სანსკრიტული ფუძიდან - „ლი", რაც ნიშნავს შერწყმას, განზავებას) ანუ მამაკაცური ცხოველმყოფელი საწყისის თაყვანისცემის ფორმით. ამიტომ შივას უმეტესწილად მიმართავენ შთამომავლობის გაგრძელების მსურველები, უშვილო ქალები. ამ კულტთან დაკავშირებულია შივაიტების ერთ-ერთი მთავარი დღესასწაული შივარატი ანუ შივას ღამე, რომელიც მარტის თვეში აღინიშნება. ამ დროს მამაკაცი შივაიტები მარხულობენ და ერთი ღამე არ სძინავთ, მეორე დღეს შივასთან მიაქვთ გარკვეული მცენარის ფოთლები, რომლებსაც მარხვის დასრულების შემდეგ თავად ჭამენ. ქალური საწყისი – შაკტი კი განსახიერებულია შივას ცოლებში, მრავალრიცხოვან ნაყოფიერების ქალღმერთებში.

შივა ითვლება დემონების რისხვად, რომლებთან ბრძოლებში მან არაერთხელ გამოავლინა სასწაულებრივი გმირობა. სწორედ დემონებთან და ბოროტებასთან შერკინების კუთხით გამოდის ის გამანადგურებლის ფუნქციით. სხვა ინდუისტური ღმერთების მსგავსად, შივა მრავალსახოვანი და მრავალხელიანია. ის უმეტესწილად გამოისახება იოგას ან ასკეტის სახით, ასევე ვეფხვის ან სპილოს ტყავით შემოსილი (სულ მისი 25 განსახიერებაა ცნობილი). როგორც წესი, შივას შუბლზე, წარბებს შორის მესამე თვალი აქვს – სიბრძნის თვალი. შივა ცეკვის, მუსიკისა და რითმის უზენაესი მეუფეცაა. საყოველთაოდ ცნობილია მისი ყველაზე პოპულარული სკულპტურული გამოსახულება „შივა ნათარაჯა" (სანსკრიტულად ნათარაჯა ნიშნავს –ცეკვის მეფეს), რომელიც კოს-

მიური ენერგიისა და სამყაროს დინამიური წესრიგის განსახიერებას წარმოადგენს; ნატიფი და დახვეწილი ფორმების ბრინჯაოს ქანდაკებაზე შივას ოთხი ხელი ცეკვის ჰარმონიულ მოძრაობებშია მოცემული. მარჯვენა ფეხით ის დგას ჯუჯა კაცზე – დემონური ენერგიის სიმბოლოზე. აქვე შევნიშნავთ, რომ ნებისმიერი ინდური ქორეოგრაფიული წარმოდგენა სწორედ შივა-ნატარაჯასადმი ლოცვის აღვლენით იწყება. ზოგიერთ გამოსახულებაში შივას შუბლი დახაზული აქვს 3 ჰორიზონტალური ხაზით, რომელთა ზემოთ ნახევარმთვარეა, მისი თავიდან კი გველები ეშვება, რომლებიც ტანზე ჰყავს შემოხვეული. ინდუისტური სიმბოლიკით ეს ხაზები სამ ღვთაებრივ ატრიბუტს განასახიერებს: ენერგიას, გონებას და გრძნობებს (მთვარე – გონებას, ხოლო გველი – გრძნობების სიმბოლოებია), რაც იმის მანიშნებელია, რომ შივა შესანიშნავად აკონტროლებს გრძნობებსა და ემოციებს. ინდოელთა რწმენით, შივა, ისევე როგორც მათი სხვა ღმერთები, მუდმივი ზამთრის სამყოფელში – ჰიმალაის მთებში ცხოვრობენ და იქიდან უწევენ მეთვალყურეობას მიწიერ სამყაროს.

ინდოელების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და პოპულარული ღვთაებაა განეშა (სანსკრიტულად ნიშნავს – მთავარსარდალს) – მსუქანი, დიდმუცლიანი ადამიანის ტანის მქონე სპილოსთავიანი არსება, რომელიც შივას და პარვატის შვილად ითვლება. ის არის სიმდიდრისა და ბარაქის სიმბოლო, ვაჭართა მფარველი, წამარტებისა და ბედნიერების მომტანი, რომელიც ადამიანებს დაბრკოლებებსა და სიძნელეებს აშორებს. ტრადიციულად, დღესაც მორწმუნე ინდოელები, საქმოსნები, სტუდენტები ჯერ განეშას მიაგებენ პატივს უხვი შესაწირავით (ბრინჯი, ერბო, თაფლი, ტკბილეული, ქოქოსის კაკალი), რათა საყვარელმა ღვთაებამ თავისი სიბრძნე და წარმატება დააპენტოს მათ და მხოლოდ ამის შემდეგ მიემართებიან თავიანთი საქმეების მოსაგვარებლად. განეშას დაბადების დღე ყოველთვის დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნება ინდოეთში. მის შესახებ სხვადასხვა ლეგენდა არსებობს, ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, პარვატიმ თიხის-

გან კერპი გამოძერწა, რომელსაც სული შთაბერა და თავის მცველად გაამწესა. ერთხელ, როდესაც შივამ მეუღლესთან შესვლა მოისურვა, მცველმა ის არ შეუშვა. ამით განრისხებულმა შივამ მას თავი მოჰკვეთა, მაგრამ როდესაც მეუღლის სასოწარკვეთა იხილა, პირობა დადო, რომ გააცოცხლებდა განეშას. შივა მთებიდან მიწაზე დაეშვა და პირველი ცოცხალი არსება, რომელიც დაინახა, მძინარე პატარა სპილო იყო. შივამ მას თავი მოჰკვეთა და ცოლს მიუტანა. მათ განეშას სპილოს თავი დაადგეს და გააცოცხლეს. ბრძენი ცხოველის თავით დაჯილდოებული განეშა სახელოვანი მხედართმთავარი გახდა.

ინდუისტურ რელიგიას ჰყავს ქალღმერთებიც, ღმერთების ცოლები, რომლებიც ნაყოფიერების ღვთაებებს და ქალურ საწყისს განასახიერებენ. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია დურგჰა და კალი. დურგჰა (სანსკრიტულად ნიშნავს – ძნელად შესაცნობს) 10-ხელიანი მრისხანე ქალღმერთია, რომელსაც გამოსახულებებში მუდამ თან ახლავს ლომი. ის არა მხოლოდ ყველა სულიერის დედაა, ის თვით ღმერთების მშობლადაც ითვლება. ავ სულთა შემმუსვრელი და გასაჭირში მყოფთა მფარველი ქალღმერთის კულტი ფართოდაა გავრცელებული ინდუიზმის მიმდევართა შორის. შემოდგომაზე დურგჰას ტაძრებში პომპეზური დღესასწაულები და ფესტივალები იმართება. დღესასწაულის ბოლო დღეს, მზის ჩასვლისას, დურგჰას კერამიკის სტატუეტები ხის ტივებზე თავსდება და წმინდა მდინარე განგში უშვებენ საზეიმო სიმღერის თანხლებით.

დურგჰასთან, შედარებით, კალი უფრო პირქუში და საშიში ქალღმერთია: სამთვალიანი, ოთხხელიანი (რომლებშიც იარაღი უჭირავს), დაკრეჭილი კბილებითა და გამოყოფილი ენით გამოისახება. მისი საყურეები თოთო ბავშვის სხეულს განასახიერებს, ყულსაბამი – თავის ქალებს. კალისადმი მიძღვნილი დღესასწაულები ფერადოვანი და პომპეზურია. აღსანიშნავია, რომ ხალხს მისი შიში და კრძალვა აქვს, რის გამოც მისთვის სისხლიანი მსხვერპლი მიაქვთ (ძირითადად ციკანი). კალი ითვლება ყველა იმის მფარველად, ვინც შავბნე-

ლი საქმეებითაა დაკავებული (ქურდები, დამნაშავეები, მკვლელები...) ძველად ქალღმერთებს მსხვერპლად ადამიანებს სწირავდნენ, ახლა უმთავრესად ბრინჯის, ყვავილებისა და ხილის შეწირვა ხდება, თუმცა, ცნობილია ფაქტები, რომ ზოგიერთ პერიფერიულ, შორეულ რაიონებში ბავშვებს სწირავენ მსხვერპლად.

ქალღმერთებს შორის აღსანიშნავია ასევე სარასვატი (სანსკრიტულად – წყლებით მდიდარი) – ბრაჰმას მეუღლე და სიბრძნის ქალმერთი. სარასვატი მოიხსენიება „რიგვედაში“, სადაც ის მდინარეებისა და ტბების მფარველად გვევლინება. მოგვიანებით მან ხელოვან ადამიანთა ნიჭის მწყალობელი ღვთაების სტატუსი შეიძინა. ინდუიზმში ბედნიერების ქალღმერთია ლაკშმი (სანსკრიტულად – ბედნიერების მომტანი), რომელიც ვიშნუს მეუღლე და მისი მარადიული თანამგზავრია. მთავარ ღმერთს ის ფერხთით უზის და არასოდეს ტოვებს მას. მშვენიერი ქალღმერთი ლოტოსის ყვავილზე განისვენებს და აწეული ხელით ლოცავს თაყვანისმცემლებს, ხოლო უბეში მოთავსებული ოქროთი სავსე ქოთნიდან მას მონეტები უცვივა. ლაკშმის ერთგულება და მეუღლის მიმართ დაუღალავი მსახურება ახლადგათხოვილებისათვის ეტალონად მიიჩნევა. ინდუიზმში არსებობს ასევე სხვადასხვა საოჯახო ღმერთები, რაც კონკრეტული გვარის თუ ოჯახის ტრადიციებით განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რომელ კასტას მიეკუთვნება ის. შესაბამისად, ყველა ოჯახში მოწყობილია სალოცავი კუთხე, სადაც სხვადასხვა გაღმერთებული ნივთები და სიწმინდეებია განთავსებული.

ინდუიზმის წერილობითი ძეგლები. ინდუიზმის ერთერთ უმთავრეს წმინდა წიგნად აღიარებულია „ბჰაგავადგიტა“ („ღმერთების სიმღერა“). მას საფუძვლად უდევს მოძღვრება სულთა მუდმივ გადასახლებაზე (ანუ სანსარა), რაც ადამიანის ქმედებათა შესაბამისად (ანუ კარმას) ხორციელდება. როგორც ზემოთ ითქვა, კარმას კანონები განსაზღვრავს ადამიანის გარდასახვის ხარისხს იმის მიხედვით, თუ როგორი ცხოვრების გზა განვლო მან – ღირსეული თუ

ულირსი, პოზიტიური თუ ნეგატიური. პირველყოფილი რწმენა-წარმოდგენების ელემენტებთან ერთად, ინდუიზმმა შემოინახა ასევე ცხოველების თაყვანისცემა, ბუნების მოვლენათა და წინაპართა კულტი. ცხოველებიდან განსაკუთრებული პატივი მიეგება ძროხას, მაიმუნს, გველს, სპილოს, რომელთა სახელზე ტაძრები იგებოდა, ლეგენდები და სხვადასხვა ნაწარმოებები იქმნებოდა.

ცხოველთა შორის გამორჩეულია დამოკიდებულება ძროხის მიმართ – მისი მოკვლა ისჯება ისევე, როგორც ადამიანის მოკვლა. მოხეტიალე ძროხები, კამეჩები, ხარები ინდოეთის ქალაქებში ქუჩების განუყოფელ კომპონენტს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ ინდოეთს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია მსხვილფეხა საქონლის რაოდენობის მიხედვით. ძროხის გაღმერთება ინდოეთში შორეულ წარსულში დაიწყო, ინდუიზმის ჩასახვის დროს. ითვლება, რომ ყველაფერი, რაც ძროხისგან მიიღება, წმინდაა. ტრადიციული კასტური წესების თანახმად, თუკი მაღალი კასტის წარმომადგენელი რაიმე სახის ურთიერთობაში შევიდოდა უფრო დაბალი კასტის ადამიანთან, ის კვლავ დაიბრუნებდა კასტობრივ სიწმინდეს, თუ დალევდა წმინდა სასმელს ანუ ძროხის რძეს. მისი ხორცი კი თითქმის არ გამოიყენება საკვებად ინდუსთა შორის. ძირითადად, გამოიყენება თხისა და ცხვრის ხორცი, ისიც უმთავრესად მუსლიმთა მიერ. ინდუიზმში დიდი პატივი მიეგება ასევე მაიმუნს. ლეგენდის თანახმად, როდესაც უძველეს ხანაში ლეგენდარული მეფე რამა ცეილონში ომობდა, მას თურმე დიდი დახმარება გაუწიეს მაიმუნებმა. ამიტომ ინდუისტურ ტაძრებში ძალიან ხშირია მაიმუნის გამოსახულებები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინდუიზმში წყალს, რომელსაც განწმენდის ფუნქცია მიეწერება. ამიტომაც განგი და ინდი წმინდა მდინარეებადაა შერაცხული, მორწმუნე ინდუსისთვის მათ ნაპირზე სიკვდილი დიდ ნეტარებად ითვლება.

ინდუიზმის წმინდი წიგნები საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა. თავდაპირველად ისინი ზეპირი, გარითმული ლექსების სახით თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მოგვიანებით

ეს ტექსტები უკვე წერილობით დაფიქსირდა, რომელთა უმეტესობა სანსკრიტულ ენაზეა დაწერილი. ისინი ორ კატეგორიად იყოფა – შრუტი და სმრიტი. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი: ტერმინი შრუტი სიტყვასიტყვით ნიშნავს – „გაგონილს“ და გამოიყენება ვედების მიმართ (რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი). ინდუსთა უმრავლესობა ვედებს მიიჩნევს არა ადამიანთა მიერ დაწერილად, არამედ უშუალოდ ღვთაებათა მიერ გამოცხადებულ ჭეშმარიტებად. ამ შრუტებში ყველაზე მნიშვნელოვნად აღიარებულია ვედების რიგვედას ნაწილი, როგორც ყველაზე ძველი ვედური წმინდა ტექსტი. თავის მხრივ, ყოველი ვედა ოთხ ნაწილად იყოფა, რომელთაგან ყველაზე პოპულარულია „უპანიშადები“, რომლებიც შეიცავს რელიგიურ-ფილოსოფიურ მსჯელობებს. სმრიტი – ნიშნავს „დამახსოვრებულს“. ამ კატეგორიის ლიტერატურაში ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლება ეპიკური პოემები „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“. სმრიტის კატეგორიას განეკუთვნება ასევე ე.წ. პურანები, რომლებშიც ინდუისტური რწმენა-წარმოდგენები და ფილოსოფიური არსი უფრო გამარტივებულ, გასაგებ ენაზეა გადმოცემული, ვიდრე ვედებში. არსებობს სხვა წმინდა ტექსტებიც, რომლებიც საყოველთაო პოპულარობით და ავტორიტეტით არ სარგებლობენ. მათგან აღსანიშნავია იოგა-სუტრა, ტანტრა, დევი-მაჰათმია და სხვა.

საქჰიზმი. ინდოეთის ერთ-ერთი ეროვნული რელგიური მიმდინარეობაა სიქჰიზმი[1]. მოსახლეობის დაახლოებით 2% სიქჰიზმის მიმდევარია, რომლებიც ძირითადად, პენჯაბის შტატში ცხოვრობენ და სააკმაოდ კომპაქტურ ეთნოკონფესიურ საზოგადოებას ქმნიან. ეს არის მონოთეისტური მოძღვრება, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთი ღმერთის იდეა. ის უარყოფს წეს-ჩვეულებების რთულ რიტუალებს, განდეგილობასა და ასკეტიზმს, სანაცვლოდ კი მორწმუნეებს აქტიური ცხოვრებისა და ურთიერთთანადგომისაკენ მოუწოდებს, ღმერთის ჭეშმარიტ მსახურებად ის ხალხზე

[1] სიქჰი – სიტყვასიტყვით ნიშნავს – მოსწავლეებს

ზრუნვას მიიჩნევს. სიქჰიზმი აღიარებს ყველა ადამიანის თანასწორობას ღმერთის წინაშე, განურჩევლად სქესისა, კასტობრივი და სოციალური სტატუსისა.

სიქჰიზმის დამაარსებელი იყო ქშატრიების კასტის წარმომადგენელი წვრილი ვაჭრის ოჯახიდან, გურუ ნანაკი (1469-1539). მან უარყო ვაჭრის კარიერა, მთელი თავისი ქონება ღარიბ-ღატაკებს დაურიგა და ცხოვრების დარჩენილი წლები თავისი მოძღვრების ქადაგებას მიუძღვნა. გურუ ნანაკი ქადაგებდა ღმერთისადმი ერთგულებას და მასთან უშუალო ემოციურ კავშირს, როგორც ღვთის შეცნობისა და გადარჩნის, ხსნის ძირითად საშუალებას, რაც ინდივიდუალური სულის ღმერთთან შერწყმის გარანტიას იძლეოდა. აქედან გამომდინარე, ეს ღრმად მისტიკური პროცესი აღარ საჭიროებდა ქურუმ-შუამავლებს ადამიანებსა და ღმერთს შორის. სიცოცხლის ბოლო წლებში გურუ ნანაკმა ქ. კარტაპურეში გაატარა, სადაც სიქჰების თემი დააარსა. იქვე ჩაეყარა საფუძველი სიქჰების რელიგიურ-ფილოსოფიურ დოქტრინას. აღსანიშნავია, რომ ძირითად დებულებებს სიქჰიზმი ინდუიზმსა და ისლამს დაესესხა, ასევე ბევრი რამ გადმოიღო სუფიური ორდენისგან. სიქჰების თემის წევრებს დილა-საღამოს შეკრებებზე ჰიმნების მღერა და რელიგიური შინაარსის ლექსების წარმოთქმა ევალებოდათ, ეწყობოდა საერთო ტრაპეზები (ე.წ. „გურუს სუფრა“), რომელზეც ასაკის, სქესის, რელიგიური მრწამსისა და კასტის განურჩევლად, ყველას შეეძლო მისვლა (ამგვარი რიტუალი დღესაც ტრადიციულად გრძელდება). საბოლოო ჯამში, სიქჰიზმი თავისი დემოკრატიულობით, ქალაქის მოსახლეობის, ვაჭარ-ხელოსნების იდეოლოგიას გამოხატავდა. სიქჰიზმის მთავარი ცენტრია ქ. ამრიტსარი, რომლის „ოქროს ტაძარში“ მათი საღვთო წიგნი „ადიგრანტჰი“ ინახება. მამაკაცი სიქჰების ჩაცმულობა და იერსახე განსხვავებულია სხვა ინდოელებისაგან. კერძოდ, მათი მახასიათებელია გაუკრეჭავი თმა, ულვაშები, ხელზე ფოლადის სამაჯური, თავზე სპეციფიკური თავსაბურავი. სიქჰების სამლოცველოებს გურუდვარა ეწოდება. მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, სიქჰიზმის მიმდევრები

თანამედროვე ინდოეთის რელიგიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

ინდოეთში დღესასწაულების უმრავლესობა რელიგიური წარმოშობისაა. ისინი აღინიშნება, როგორც ნამდვილი ეროვნული ფესტივალები, რომლებშიც მონაწილეობენ არა მხოლოდ ინდუიზმის მიმდევრები, არამედ ყველა – ქვეყნის მთელი მოსახლეობა, განურჩევლად მრწამსისა. ამ ფესტივალ-დღესასწაულებზე ნათლად ვლინდება ხალხური ხელოვნების მჭიდრო კავშირი მითოლოგიასთან, სხვადასხვა რწმენა-წარმოდგენებთან, ასევე იგრძნობა ინდუიზმის ის ძალა, რომელიც ადუღაბებს ხალხთა რელიგიურ-კულტურულ ტრადიციებს. საუკუნეთა მანძილზე ინდოელები გარე სამყაროს რელიგიური პრიზმით აღიქვამდნენ. თავის მხრივ, ეს ზეგავლენას ახდენდა და ახდენს როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების, ისე კულტურის თითქმის ყველა სფეროზე; რელიგიური მითოლოგია ასაზრდოებდა ინდურ ცეკვას, განსაკუთრებით ბევრია ინდოელ მოცეკვავეთა რეპერტუარში სცენები „რამაიანადან“. თანამედროვე ლიტერატურაში (განსაკუთრებით პოეზიაში), სახვით და თეატრალურ ხელოვნებაშიც ხშირია რელიგიური თემატიკა და სიუჟეტები.

ზოგადად, ინდოელებში ძალზე ღრმადაა გამჯდარი რელიგიურ ეთიკაზე დამოკიდებულება, რადგან მათთვის წარმოუდგენელია მორალი რელიგიის, უზენაესი იდეალისა და ღრმა რწმენის გარეშე. ბოროტებისა და სიკეთის, ცოდვა-მადლის საკითხებს, ამა თუ იმ ინდივიდის ქმედებათა სისწორეს ან პირიქით – შეცდომებს ინდოელები განიხილავენ ტრადიციული ღვთისმეტყველების სპექტრში. მაგალითად, თუკი ქრისტიანი ან მუსლიმი უკმაყოფილოა ამქვეყნიური ცხოვრებით, ის თავს იმშვიდებს იმქვეყნიური სამოთხით ან ჯოჯოხეთით. ინდოელებში კი ღრმადაა გამჯდარი კარმას იდეა, რომლის მიხედვითაც ადამიანის მომავალი არსებობა ანუ ხელახლა დაბადება დამოკიდებულია ამჟამინდელ ცხოვრებაში ჩადენილ ამა თუ იმ საქციელზე, ხოლო ტანჯვა და პრობლემები აწმყო ცხოვრებაში, ლოგიკურად გამართლე-

ბულია იმ ცოდვებითა და არასაკმარისი რწმენით, რაც ადამიანს ჰქონდა უწინდელ არსებობაში. საკითხისადმი ამგვარი მიდგომიდან გამომდინარე, ინდუსებს სჯერათ, რომ წინა ცხოვრებაში არსებობდნენ სხვა ადამიანის, რომელიმე ცხოველის ან მწერის სახით. ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ ინდურ პრესაში ხშირად არის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მავანმა მოულოდნელად გაიხსენა დეტალები თავისი უწინდელი ცხოვრებიდან. გამომდინარე იქიდან, რომ მეცნიერება ვერ ხსნის ამგვარ მოვლენებს, ინდოელები რელიგიური ახსნით კმაყოფილდებიან, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ინდუიზმის ერთ-ერთ მთავარ დოგმას – კარმას რწმენის პრინციპს.

თავი III
ჩინეთი

მსოფლიო ცივილიზაციათა საგანძურში ჩინეთს გამორჩეული ადგილი უჭირავს. მისი მდიდარი ცივილიზაცია 5000 წელზე მეტი ხნის წინ ჩაისახა მდ. ხუანხეს აუზში და იმ დროიდან მოყოლებული, საუკუნეთა მანძილზე აღმასვლით ვითარდებოდა. უძველესად მიჩნეულია სიას დინასტია (ძვ.წ. მე-20-17სს.), მას მოჰყვა შანგ-ინის (ძვ.წ. მე-17-12სს.), ჭოუს (მე-11-3სს.), ცინის (მე-3ს.) და ხანის (ძვ.წ. მე-3 – ახ.წ. მე-3სს.) დინასტიები, რის შემდეგაც ჩინეთის ისტორიის შუა საუკუნეების ეპოქა იწყება. ჩინეთში უძველესი დროიდანვე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტრადიციებს, რიტუალებს, ადათ-წესებს, სხვადასხვა სახის ცერემონიებს. ყურადღებას იმსახურებს ჩინური კულტურის თავისებური მიმართება რელიგიასთან და გარემომცველ ბუნებასთან. ისევე როგორც ბევრ სხვა სარწმუნოებაში, ჩინურ წარმოდგენებში, უწინარეს ყოვლისა, ბუნების ძალები და წინაპართა სულები იქნა გაღმერთებული. უზენაეს ღვთაებად მიჩნეული იყო ცა და ამიტომაც ძველმა ჩინელებმა თავიანთ ქვეყანას ცისქვეშეთი უწოდეს. ხალხი უძველესი დროიდან ეთაყვანებოდა მზის და სხვა მნათობთა კულტებს, მთებს, წყლებს და ა.შ. რაც შეეხება ჩინურ მითოლოგიას, მისთვის დამახასიათებელი იყო მითოლოგიური პერსონაჟების რეალურ არსებებად გადაქცევა, რომლებიც შორეულ წარსულში თითქოს მართლაც ცხოვრობდნენ.

ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებათა ფორმირების თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭოუს დინასტიის ხანა (ძვ.წ. 1027-256). ხსენებული ეპოქის შუა ხანებში ჩინეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში რადიკალური ძვრები მიმდინარეობდა: გაჩნდა ახალი ქალაქები და სავაჭრო ცენტრები, გაიზარდა ქალაქთა მოსახლეობა, ყალიბდებოდა ფუნდამენტური მოძღვრებები (კონფუციონიზმი და ტაოიზმი), მაღალ დონეს მიაღწია ლითონის და-

მუშავებამ, გაცხოველდა ვაჭრობა-ხელოსნობა, იგებოდა ჰიდროტექნიკური ნაგებობები და სხვ. ამის პარალელურად, ქვეყანაში მძლავრი კულტურული, სულიერი და ინტელექტუალური აღმავლობა მიმდინარეობდა, განსაკუთრებით წარმატებით ვითარდებოდა მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიცაა: ასტრონომია, მათემატიკა, ფილოსოფია და მედიცინა ძვ.წ. მე-11-6 საუკუნეებში იქმნებოდა სიმღერებისა და ჰიმნების საყოველთაოდ ცნობილი პოეტური კრებული „სიმღერების წიგნი" (ჩინურად – შიძინგ), რომელშიც 305 ლექსი შედიოდა. მასში განზოგადებული ეთიკური ნორმები შემდგომში, დასრულებული სახით კონფუციონიზმში გაფორმდა, გამომდინარე იქიდან, რომ ამ კრებულისთვის ლექსების შერჩევა და საბოლოო რედაქტირება თვით კონფუცის მიეწერება.

ჭოუს დინასტიის მმართველებმა დაიტოვეს მათ წინამორბედ ხელმწიფეთა ტიტული „ვანგ". იმპერატორის ხელისუფლების განმტკიცება-დაკანონებისა და ქვეყნის ცენტრალიზაციის მიზნით, პირველად იქნა გამოყენებული მისი ზეციური წარმომავლობის იდეა. ამის შედეგი იყო ის, რომ იმპერატორი ჩინელთა უზენაესი ღვთაების – ცის შვილად და ცისქვეშეთის (როგორც ჩინელები უწოდებდნენ თავიანთ ქვეყანას) მფლობელად იქნა აღიარებული. იმავდროულად იმპერატორს მიეწერებოდა მაგიერი ძალა – ტე, რაც მას შუამავლად ხდიდა ცასა და უბრალო მოკვდავ ადამიანთა შორის. იმავე პერიოდში საგრძნობლად გაფართოვდა რელიგიურ-ფილოსოფიური წარმოდგენები სამყაროზე, გაძლიერდა რწმენა იმქვეყნიურ ცხოვრებაზე და შესაბამისად, გაიზარდა წინაპართა კულტის მნიშვნელობაც. სწორედ ამის უშუალო შედეგი იყო ის, რომ გართულდა მიცვალებულთა დამარხვის წესები, რასაც სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს, კერამიკის, ნეფრიტის და სხვა მასალისგან დამზადებული ნაკეთობები ადასტურებს, რომლებიც თითქოსდა აუცილებელი იყო იმქვეყნიურ სასუფეველში.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ქვეყნის წინსვლას საგრძნობლად ამუხრუჭებდა გაუთავებელი ომები სხვადას-

ხვა დამოუკიდებელ სამეფოებს შორის, რომლებიც ხელისუფლებაში პირველობის მოსაპოვებლად იბრძოდნენ. სწორედ ამის გამო ის პერიოდი ჩინეთის ისტორიაში „მეომარ სამეფოთა ეპოქის“ (ჩინურად - ჭანგუო) სახელითაა ცნობილი, რომელიც ძვ.წ. მე-5-3 საუკუნეებს მოიცავს (475-221წ.წ.). დაპირისპირებულ სამეფოებს შორის, თავისი სიძლიერით ცინის სამეფო გამოირჩეოდა, რომლის ხელშიც საბოლოოდ ქვეყნის გაერთიანების სადავეები აღმოჩნდა ცინის დინასტიის სახით (ძვ.წ. 221-206).

„მეომარ სამეფოთა ეპოქა“ ჩინური ფილოსოფიის ოქროს ხანად ითვლება, რადგანაც სწორედ იმ პერიოდში ჩამოყალიბდა იქ ერთმანეთისგან განსხვავებული რამდენიმე ფილოსოფიური სკოლა. ესენია: კონფუციონიზმი, ტაოიზმი, ლეგიზმი, მოიზმი (თუმცა, არსებობდა ნაკლებმნიშვნელოვანი სხვა მოძღვრებებიც). საქმე ის იყო, რომ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვნებათაღელვის ფონზე ჩინელი საზოგადოების ინტელექტუალურ წრეებში ახალმა იდეებმა და ფასეულობებმა იჩინა თავი. ხანგრძლივმა ომებმა და ქვეყანაში არსებულმა ქაოსურმა სიტუაციამ ნათლად დაანახა მათ, რომ საჭირო იყო დაგროვილი ცოდნა-გამოცდილების გადამუშავება და მისი მწყობრ სისტემაში მოქცევა, რაც წარმატებით განხორციელდა კიდეც. ეს, უპირველეს ყოვლისა, კონფუციონიზმს და ტაოიზმს ეხება. მოგვიანებით ჩინეთში ბუდიზმმა შეაღწია, რომელმაც ასევე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყნის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და კულტურის სფეროებში. შუა საუკუნეებში კი ჩინეთში ისლამმა დაიწყო გავრცელება.

ხსენებულ ჩინურ ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებებს შორის, ძველ ჩინეთში წამყვანი პოზიცია კონფუციონიზმმა დაიკავა. მან უდიდესი როლი შეასრულა არა მხოლოდ ჩინური ცივილიზაციისა და ტრადიციების განმტკიცებაში, არამედ ზეგავლენა მოახდინა აღმოსავლეთ აზიის სხვა სახელმწიფოებზე (უპირველეს ყოვლისა, კორეასა და იაპონიაზე), კერძოდ, მათ იდეოლოგიაზე, განსაკუთრებით განათლების და სწავლა-აღზრდის სისტემებზე, ასევე სახელმწიფოს მარ-

თვის სფეროზე. თავისი გავრცელების არეალში კონფუციანური კულტი საუკუნეთა მანძილზე არაერთი საზოგადოებრივი თუ იდეოლოგიური მოძრაობის შთაგონების წყაროს წარმოადგენდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონფუცის სახელი აქტიურად ჟღერდა შუა საუკუნეების ევროპელ განმანათლებელთა, ფილოსოფოსთა და თეოლოგთა იდეოლოგიურ დისკუსიებში, რომლებიც არაერთგვაროვნად აფასებდნენ ჩინელი მოძღვრის სწავლებას, თუმცა, ცალსახად ერთსულოვნად აღიარებდნენ კონფუციონიზმის მნიშვნელობას მსოფლიო მასშტაბით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძველ ჩინურ მოძღვრებებზე საუბარს სწორედ კონფუციონიზმით ვიწყებთ.

კონფუცი და კონფუციონიზმი

კონფუციონიზმის ფუძემდებელია დიდი ჩინელი მოაზროვნე კონფუცი (ძვ.წ. 551-479), რომელიც ჩინეთში ქუნგ წ-ის[1] (ჩინურად ნიშნავს – მასწავლებელი ქუნგი, მოძღვარი ქუნგი) სახელით მოიხსენიება, კონფუცი კი – ეს არის მისი სახელის ლათინიზირებული ფორმა, რომელიც მას უწოდა იეზუიტმა მისიონერმა მათეო რიჩმა. ეს უკანასკნელი მე-16 საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩინეთში მოღვაწეობდა (გარდაიცვალა 1610წ.) და სწორედ მან გააცნო დასავლურ სამყაროს კონფუცის სახელი. რამდენადაც კონფუციონიზმის ჩასახვის პერიოდში ჩინურში არ არსებობდა რელიგიის აღმნიშვნელი ტერმინი, თავდაპირველად ის ვრცელდებოდა, როგორც ეთიკურ-ფილოსოფიური სწავლება. რელიგიად კი ის ათას წელზე მეტი ხნის შემდეგ გარდაიქმნა; კერძოდ, ახ.წ. მე-6 სა-

[1] საყურადღებოა, რომ ჩინურ და ქართულ ენებში თანხმოვანთა უმეტესობა ერთმანეთს ემთხვევა. ვითვალისწინებთ რა ამ გარემოებას, წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ მაქსიმალურად მიმსგავსებული ყოფილიყო ტერმინოლოგია ორიგინალთან (ინგლისური და რუსული ენებისგან განსხვავებით, სადაც გადმოტანილ ტერმინთა უმეტესობა ორიგინალისგან განსხვავებულია).

უკუნისათვის, შეითვისა რა ძველი ეროვნული რწმენა-წარმოდგენები, განსაკუთრებით – წინაპარათა და ბუნების მოვლენათა თაყვანისცემის კულტი, ამ მოძღვრების რელიგიად ტრანსფორმირება მოხდა. ლეგენდის თანახმად, კონფუცის დაბადება მარტორქამ იწინასწარმეტყველა. მას თურმე პირით ფირფიტა ეჭირა, რომელზეც ამოტვიფრული იყო, რომ დაიბადებოდა კრისტალივით სუფთა ბავშვი ამისათვის, რომ გაეძლიერებინა დასუსტებული ჭოუს დინასტია, თავად კი შემდგომში გახდებოდა მეფე სამეფოს გარეშე.

კონფუცის ბიოგრაფიის დეტალები თავმოყრილია სახელოვანი ჩინელი მემატიანის სიმა ციენის (ძვ.წ. 145-90) ნაშრომში „ისტორიული ჩანაწერები". მომავალი დიდი მოძღვარი დაიბადა ძვ.წ. 551 წელს ლუს სამეფოს პატარა ქალაქ ციუფუში (თანამედროვე შანტუნგის პროვინციაში). მისი დაბადების ადგილს მუდამ უამრავი ადამიანი სტუმრობს, მისი სახელობის ტაძარში რიტუალები სრულდება, ცერემონმაისტერი წარმოთქვამს სიტყვებს, რომელიც ჩინელებს ძველთაგანვე წმინდად მიაჩნდათ: „დაე, ქვეყნის მმართველმა ქვეყანა მართოს, მამა იყოს მამა, შვილი კი - შვილი". კონფუცი წვრილი მოხელის ოჯახში დაიბადა, მამა სამხედრო პირი იყო, დედა – წარჩინებულ საგვარეულოს ეკუთვნოდა. მას და-ძმაც ჰყოლია. კონფუცის მამა ადრე გარდაცვლილა (ის მაშინ სამი წლის იყო) და ოჯახის მთელი სიმძიმე დედას დააწვა, რომელიც დაუღალავად შრომობდა. მოგვიანებით მას კონფუცი ამოუდგა მხარში: ის საქონელს მწყემსავდა, სახელმწიფო მოხელეც იყო, ბუღალტერიც და ბაზრის ზედამხედველიც. იმავდროულად ის თვითგანათლებას ეწეოდა, გულმოდგინედ და ბეჯითად სწავლობდა. კონფუცის გააზრებული ჰქონდა, რომ ხელმოკლეობის გამო, საზოგადოებაში შესაფერისი ადგილის მოპოვება შეუძლებელი იყო სათანადო განათლების გარეშე.

იმჟამინდელ ჩინეთში განათლებულად ის ითვლებოდა, ვინც ექვს სფეროში ერკვეოდა, კერძოდ, უნდა სცოდნოდა: რელიგიური რიტუალების შესრულება, მუსიკა, მშვილდოსნობა, ეტლის მართვა, წერა-კითხვა და მათემატიკა. კონფუ-

ცი თითოეულ ამ დარგს ახალგაზრდობაშივე დაეუფლა. 19 წლის ასაკში ის დაქორწინდა თავის რჩეულ ქი გუანზე და ახალგაზრდებს მალევე პირველი ვაჟი შეეძინათ. კონფუციმ კერძო სკოლა გახსნა, სადაც ის პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, მოგვიანებით ლუს სამეფო კარზე დაიწყო სამსახური, სადაც მას ფართო ასპარეზი მიეცა – ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფოს დოკუმენტურ მასალებზე, არქივზე და მდიდარ ბიბლიოთეკაზე. ერთხელაც, როდესაც ლუს მმართველს წარჩინებულთა საგვარეულოები აუჯანყდნენ და ის იძულებული გახდა სხვა სამეფოში შეეფარებინა თავი, მას კონფუციც თან გაჰყვა. ლუს სამეფოში დაბრუნებისას, კონფუცი 40 წლის ყოფილა და უთქვამს: „40 წლისას ეჭვები გამიქრა“, 50 წლის ასაკში ამბობდა: „50 წლისამ უზენაესის ნების შეცნობა ვისწავლე“, მომდევნო 10 წლისთავზე კი უთქვამს: „60 წლისამ სიმართლისა და სიცრუის ერთმანეთისგან გარჩევა ვისწავლე.“ გადმოცემის თანახმად, ჩაის სმის ცერემონია კონფუცის დადგენილია. ეს რიტუალი მკაცრად და ზუსტად იყო გაწერილი. როდესაც კონფუცისთვის უკითხავთ, რის გარეშე ვერ გაძლებდა ნებისმიერი ჩინელი, მისი პასუხი იყო – ჩაის გარეშეო. ის ჩაის თურმე განსაკუთრებული ჭურჭლით მიირთმევდა და ქლიავის ჩირს ან მზესუმზირას ატანა.

უკვე ასაკოვანი კონფუცი სამეფოს მთავრის – ტინ კუნის მრჩევლად დაინიშნა, თუმცა, მალევე მან სახელმწიფო სამსახური მიატოვა და იმ დროიდან მოყოლებული, თითქმის 30 წელი ჩინეთის სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა, თავის მოძღვრებას ქადაგებდა, ადამიანებს მოუწოდებდა ეთიკური ნორმების კეთილსინდისიერად დაცვას. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კონფუცი თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, სადაც 72 წლის ასაკში გარდაიცვალა. კონფუციმ და მისმა მოძღვრებამ მის სიცოცხლეშივე მოიპოვა დიდი პოპულარობა. ამის დასტურია ის, რომ მას იმთავითვე უამრავი მიმდევარი და თაყვანისმცემელი გამოუჩნდა. კონფუცის საცხოვრებელი სახლის ადგილას შესანიშნავი სატაძრო კომპლექსი აიგო, სადაც უწინდებურად, დღესაც უამრავი ადამიანი მიდის მოსახილავად, რათა პატივი მიაგოს, როგორც

წმინდა ადგილს. ტაძართან და მოძღვრის აკლდამასთან იმპერატორის ბრძანებით, საცხოვრებელი ნაგებობა აიგო კონფუცის შთამომავლებისათვის, სადაც საუკუნეთა მანძილზე მისი სანათესაო მრავალი თაობა ცხოვრობდა. მისმა მოწაფეებმა ჩინეთის სხვადასხვ ქალაქში მოძღვარს ტაძრები აუგეს, რომელთა შესასვლელ კარიბჭეზე სტერეოტიპული წარწერა კეთდებოდა: „მასწავლებელი და ნიმუში ათიათასობით თაობისათვის, ცისა და მიწის თანასწორი“. ასეთ ტაძრებში საგანგებო რიტუალები ტარდებოდა. თანგის დინასტიის პერიოდში (618-907) კონფუცის მიენიჭა „პირველი წმინდანის“ საპატიო ტიტული, სუნგის დინასტიის (960-1279) მმართველობის ხანაში დაწესდა თაყვანისცემის რიტუალის ჩატარება მის საფლავზე, ცოტა მოგვიანებით მას მიენიჭა წოდება - „სახელმწიფოს მოძღვარი“. განსაკუთრებით პომპეზური იყო კონფუცის სულისათვის პატივის მიგება ცინგის დინასტიის (1644-1911) ბატონობის ბოლო წლებში.

არავინ იცის, ზუსტად როგორი იყო კონფუცი გარეგნულად, თუმცა, შემონახულია მისი უძველესი ხის ქანდაკების დეტალები, რომელიც მისმა მოსწავლეებმა დაუდგეს. სამეცნიერო წრეებში მიღებული თვალსაზრისით, კონფუცი იყო 185-190 სმ სიმაღლის, ფართო მხრებიანი და ძლიერი ფიზიკური მონაცემების მქონე მამაკაცი. ასე რომ, ის გამორჩეული იყო არა მხოლოდ ჭკუა-გონებით და განსწავლულობით, არამედ ვიზუალური კუთხითაც. კონფუცის ნაშრომების, მოძღვრებისა და ბრძნული გამონათქვამების საფუძველზე, იქმნება მამაკაცის პორტრეტი, რომელიც განათლებითა და აზროვნებით თავის დროს საუკუნეებით უსწრებდა წინ.

კონფუცის მოძღვრება. კონფუცის მიერ ჩამოყალიბებული მოძღვრება თავისი არსით რელიგიისა და ფილოსოფიის ჩარჩოებს სცდებოდა და ამდენად, ის ადამიანთა მთელი ცხოვრების წესის საფუძველს ქმნიდა. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ კონფუციონიზმი გაბატონებული კლასის ინტერესებს გამოხატავდა, საყოველთაო კანონად მიიჩნევდა საზოგადოების დაყოფას მმართველ და მორჩილ ფენებად ანუ

ერთი მხრივ, სრულყოფილ, კეთილშობილ ადამიანებად და მეორე მხრივ, მდაბიო ფენის წარმომადგენლებად. კონფუცის აზრით, კეთილშობილთა ფენა ყველანაირი დადებითი თვისებებით იყო შემკული, მათგან უმთავრესი იყო ორი თვისება – ჰუმანურობა ანუ კაცთმოყვარეობა (ჟენ) და პასუხისმგებლობის გრძნობა (ი). ჰუმანურობაში მოიაზრებოდა თავმდაბლობა, სამართლიანობა, გონიერება, ნებისყოფა, სიმამაცე, ადამიანების სიყვარული. ჟენ-ის მიღწევა კი შესაძლებელი იყო ზნეობრიი თვითსრულყოფის გზით, ეტიკეტის ანუ რიტუალის (ლი) ნორმების დაცვის საფუძველზე. ეს უკანასკნელი ემყარებოდა ასაკითა და მდგომარეობით უფროსის, უპირველეს ყოვლისა, ხელმწიფის (იგივე იმპერატორის) პატივისცემასა და მორჩილებას.

იმპერატორი ძველ და შუა საუკუნეების ჩინეთში ზეცის შვილად იყო აღიარებული, რომელიც ცის ნებას ასრულებდა დედამიწაზე. ამიტომაც მისი ხელისუფლება უწმინდესად და უზენაესად ითვლებოდა. ამასთან, ხელმწიფის მმართველობის ფორმა უნდა ყოფილიყო არა ძალისმიერი და სადამსჯელო მეთოდები, არამედ ზნეობრივი და ჰუმანური პრინციპები. აქედან გამომდინარე, კონფუცის „ოქროს კანონი“ შემდეგში მდგომარეობდა: „ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გინდა, რომ შენ გაგიკეთონ“. აქვე მისი ფრთიანი გამონათქვამებიდან კიდევ რამდენიმეს დავასახელებთ: „მმართველი ელიტა ქარს ჰგავს, უბრალო ხალხი კი – ბალახს. როდესაც ქარი უბერავს, ბალახი იხრება“, „რაც მეტ ცოდნას იძენ, მით უფრო იღბლიანი ხდები“, „ნუ იდარდებ იმაზე, რომ არ გაქვს მაღალი ჩინი, იდარდე იმაზე, იმსახურებ თუ არა მაღალ ჩინს“, „ვინც არ ფიქრობს შორეულ სიძნელეებზე, მას აუცილებლად მოელის ახლო უსიამოვნებები“, „სწავლა ფიქრის გარეშე – უშედეგოა, ხოლო ფიქრი სწავლის გარეშე - სახიფათო“, „შეეცადეთ, ოდნავ უფრო კეთილი იყოთ და თქვენ დაიანახავთ, რომ ცუდის გაკეთებას ვეღარ შეძლებთ“, „აირჩიე სამსახური, რომელიც სიამოვნებას განიჭებს და ცხოვრებაში ერთი დღეც არ მოგიწევს მუშაობა“, „ერთადერთი

ნამდვილი შეცდომაა, არ გამოასწორო შენს მიერ ჩადენილი შეცდომა“.

ქვეყანაში წესრიგის, სოციალური ჰარმონიისა და მშვიდობის დამყარების გზას კონფუცი საუკუნოვანი ადათ-წესების და ტრადიციების აღორძინებაში ხედავდა. ის წინააღმდეგი იყო ყველანაირი ინოვაციების და რეფორმების, ამიტომ აწმყოს პრობლემების გადაჭრის გასაღებს ის წარსულში, მივიწყებულ ძველ სიბრძნეში ეძებდა. ამ კუთხით კონფუცის მიერ შემუშავებული ფილოსოფიურ-ეთიკური სისტემა საკმაოდ კონსერვატიული იყო. მისი აზრით, წარსულის გამოცდილების გათვალისწინება ადამიანს ეხმარება იმაში, რომ ცხოვრებაში თავისი ადგილი იპოვოს და შეიგნოს მარტივი ჭეშმარიტება, რომ მეფე უნდა იყოს მეფე, ბატონი უნდა იყოს ბატონი, მამა უნდა იყოს მამა, ღარიბი უნდა იყოს ღარიბი და ა.შ. ამრიგად, კონფუცი საყოველთაო კანონად მიიჩნევდა უფროს-უმცროსებს, მამებსა და შვილებს, მდიდრებსა და ღარიბებს, ცოლსა და ქმარს შორის მკაცრად დაკანონებულ ნორმებზე დამყარებული ურთიერთობების დაცვას, ანუ ყველას უნდა სცოდნოდა თავისი უფლება-მოვალეობანი და ეკეთებინა ის, რაც მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა.

კონფუცის მოძღვრება განსაკუთრებულ ყურადღებას ავლენს ახალგაზრდობის მიმართ, კერძოდ, მოუწოდებს მას მშობლების მიმართ მოკრძალებისაკენ, უფროსების მიმართ პატივისცემისაკენ, ფართო სპექტრის განათლების მიღებისკენ. სწორედ კონფუციონიზმი დაედო საფუძვლად ძველი ჩინეთის განათლების სისტემის ფორმირებას, რომელშიც უპირატესობა ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ენიჭებოდა. ამ სისტემის წყალობით ჩინეთში განათლებულ მოხელეთა ფართო წრე შეიქმნა, რომელიც მოკლე ხანში პრივილეგირებულ ელიტად იქცა. კონფუციანური აღზრდა ოჯახში, პატარა ასაკიდან იწყებოდა. ბავშვს ასწავლიდნენ წინაპართა კულტის პატივისცემას და ე.წ. „სია“-ს (ანუ მამისადმი შვილების მორჩილებას) ნორმების დაცვას. უბრალო გლეხის ოჯახში კონფუციანური განათლება უმეტესწილად ამით შემოიფარგლე-

ბოდა. შეძლებულ ოჯახებში კი ბავშვს წერა-კითხვას და კლასიკურ კონფუციანურ თხზულებებს ასწავლიდნენ. კონფუციონისტები ეფექტურად მართავდნენ უზარმაზარ იმპერიას იმ პერიოდების გამოკლებით, როდესაც ქვეყანა კრიზისულ სიტუაციაში ექცეოდა ან ცენტრალური ხელისუფლება სუსტდებოდა ხოლმე. ხანის ეპოქიდან მოყოლებული (ძვ.წ. 206-ახ.წ. 220), კონფუციონისტები არა მხოლოდ მართავდნენ მთელ ქვეყანას, არამედ ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს, რათა კონფუციონიზმის ნორმებს საყოველთაო მასშტაბები ჰქონოდა, იმავდროულად შეიქმნა საკონკურსო შერჩევის სისტემა სხვადასხვა თანამდებობების დასაკავებლად. ამგვარი საკონკურსო გამოცდები მმართველი ელიტაში მოსახვედრ უმთავრეს გზად დაკანონდა. უფრო მოგვიანებით – შუა საუკუნეების ჩინეთში მთელი განათლების სისტემა ორიენტირებული იყო კონფუციონისტ სწავლულთა მომზადებაზე. საერთოდ ჩინეთში მუდამ იდეალად ითვლებოდა ერუდირებული და განსწავლული მოხელე. ამასთან, ამა თუ იმ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევისას, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კონფუციონისტ კლასიკოსთა კონცეფციების ცოდნის დონეს. ეს ნებისმიერ ჩინელს გზას უკაფავდა წარნმატებული კარიერისკენ, მატერიალური უზრუნველყოფისაკენ და საზოგადოებაში პატივისცემის მოპოვებისაკენ.

კონფუცი თავის მოძღვრებაში საგანგებო ყურადღებას უთმობდა წინაპართა კულტს და „სიაო“-ს დოგმებს. მასში მოიაზრება როგორც ცოცხალ, ისე გარდაცვლილ წინაპართა კულტი. მართალია, ამგვარი კულტი მეტნაკლები დოზით სხვა ქვეყნების ხალხისთვისაც იყო დამახასიათებელი, მაგრამ კონფუციონიზმმა მას იმდენად ღრმა დატვირთვა მიანიჭა, რომ ყოველი ჩინელის უპირველეს მოვალეობად და ქცევის საყოველთაო ნორმად იქცა. წინაპართა კულტი და „სიაო“-ს (ანუ მამისადმი შვილის მორჩილება) ნორმები, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ოჯახის და კლანური კულტის აყვავებას ქვეყანაში. ოჯახი საზოგადოების გულად ითვლებოდა. კონფუცი მას განიხილავდა, როგორც პატარა სახელმწიფოს,

ხოლო სახელმწიფოს – როგორც დიდ ოჯახს. ოჯახის შექმნისას, უმთავრესი იყო მშობლების გადაწყვეტილება, სიყვარული კი ამ ჭრილში, როგორც რაღაც პირადული და ემოციური, გაცილებით დაბალ განზომილებას წარმოადგენდა, ოჯახურ მოვალეობებთან შედარებით. ამასთან, მატერიალურად უზრუნველყოფილ მამაკაცს უფლება ჰქონდა რამდენიმე ცოლი ჰყოლოდა და ეს სულაც არ უშლიდა ხელს ოჯახის სიმტკიცეს. შთამომავლობის გაგრძელების კუთხით, უპირატესობა ვაჟების ყოლას ენიჭებოდა. კონფუციონიზმი სტიმულს აძლევდა დიდი და ძლიერი ოჯახური კლანების შექმნას, რომელშიც, როგორც წესი, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ უფროსი და უმცროსი თაობები თავიანთი შთამომავლებით. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ როგორც ნათესაურად, ისე ტრადიციებით და კლანური ურთიერთდახმარების ვალდებულებებით. ეს ყველაფერი ისევ და ისევ კონფუცის მიერ დაკანონებულ წინაპართა კულტსა და სიაო-ს ეფუძნებოდა.

კონფუცი ავტორია არაერთი კლასიკური ნაშრომისა, მაგრამ მისი მოძღვრების ძირითადი თეორიები თავმოყრილია ფუნდამენტურ ნაშრომში „ლუნ იუ“ („მსჯელობანი და საუბრები“). სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, ის მისმა მოწაფეებმა შეადგინეს კონფუცის დარიგებების, სწავლებისა და გამონათქვამების კლასიფიკაციის საფუძველზე, უკვე მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ. კლასიკური კონფუციანური თხზულებები თავმოყრიია ე.წ. „ხუთწიგნეულში“ (უ ძინგ) და „ოთხწიგნეულში“ (ს შუ). „ხუთწიგნეული“ მიჩნეულია კონფუციონიზმის ძირითად კანონიკურ წიგნად. მასში ჩამოყალიბებულია მაგიური ფორმულები, შელოცვები, ლეგენდარულ იმპერატორთა ისტორიები, კოსმოლოგიური და მითოლოგიური ხასიათის ძველი ჩინური ნიმუშები, საწესჩვეულებო დღეობათა აღწერილობები. „ოთხწიგნეულის“ პირველ წიგნში ძირითადად ჩამოყალიბებულია კონფუცის შეხედულებანი ადამიანის სრულყოფილებისაკენ მიმავალი გზის შესახებ, მეორე წიგნში განმარტებულია, როგორ უნდა ეჭიროს თავი ადამიანს

განსაცდელში და როგორ უნდა ილტვოდეს ის ჰარმონიისაკენ. „ოთხწიგნეულის“ მესამე წიგნში თავმოყრილია კონფუციისა და მისი მოწაფეების გამონათქვამები და აფორიზმები, მეოთხე წიგნში კი კონფუცის ყველაზე გვიანდელი პერიოდის მოწაფის – მენგ წის ფილოსოფიური სწავლებაა გადმოცემული.

აღსანიშნავია, რომ კონფუცი არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ორთოდოქსულობით, ის ნაკლებად ინტერესდებოდა მისტიკით. შესაბამისად, მთელი მისი ყურადღება მიპყრობილი იყო მოძღვრების პრაქტიკული მხარისაკენ ანუ კონფუციონიზმის ერთ-ერთი მახასიათებელი იყო უკიდურესი რაციონალიზმი. ტაოიზმისაგან განსხვავებით (რომლის შესახებ ცალკე თავში იქნება საუბარი), კონფუციონიზმი უარყოფდა ოფიციალურ სასულიერო პირთა ინსტიტუტს, სარიტუალო პრაქტიკის აღსრულება კი ევალებოდა სახელმწიფო ჩინოვნიკებს, საგვარეულოსა და ოჯახის უფროსებს. თუმცა, იმავდროულად არსებობდა კონფუციანური ტაძრები. ხანის ეპოქაში, ძვ.წ. 136 წელს კონფუციონიზმი ჩინეთის ოფიციალურ სარწმუნოებრივ და იდეოლოგიურ დოქტრინად გამოცხადდა, სხვა ფილოსოფიური სკოლები კი უარყოფილ იქნა.

კონფუციონიზმი პოლითეისტურ სარწმუნოებად ითვლება. მის პანთეონში უზენაეს ღვთაებად ცა მიიჩნევა, გაღმერთებულია ასევე თავად კონფუცი და მისი მოწაფეები. ძველ ჩინეთში ყოველ ოჯახს თავის პატარა სამლოცველო (მიაო) ჰქონდა, რომლის წინაშე საგვარეულოს ფუძემდებლებისადმი ლოცვას აღავლენდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ. ამ რიტუალს ოჯახის უფროსები ასრულებდნენ. თავდაპირველად მინიატურული სამლოცველოები იგებოდა საფლავთან და იქ სრულდებოდა რიტუალი. მას კი, ვისაც არ ძალუძდა ამგვარი სალოცავის აგება საგვარეულო სასაფლაოზე, თავის საცხოვრებელ სახლში უნდა ჩაეტარებინა შესაბამისი რიტუალი. თავდაპირველად ტაძარში აბრეშუმის ნაჭრისგან დამზადებულ თოჯინას ათავსებდნენ, რომელიც მიცვალებულს განასახიერებდა, მოგვიანებით კი თოჯინას

ხის შავი დაფა ჩაენაცვლა, რომელზეც წითელი საღებავით შესრულებული იეროგლიფებით ეწერა ტექსტი. დასაფლავების რიტუალის შემდეგ ოჯახის ყველა წევრი დაფის წინ დაიჩოქებდა, რომელზეც სპეციფიკური წარწერა კეთდებოდა იმის თაობაზე, რომ კონკრეტულმა პიროვნებამ ამა და ამ რიცხვში მოიხსენია მშობელი, რომ გარდაცვლილის სხეული უნდა დამარხულიყო, ხოლო მისი სული სახლში უნდა დაბრუნებულიყო და ოჯახის წევრებთან ყოფილიყო განუყრელად. ასეთი დაფები, რომლებიც მიცვალებულის სულს განასახიერებდა, სამუდამოდ რჩებოდა ტაძრებში. სარიტუალო დღეებში დაფების წინ საკურთხი თავსდებოდა. ძველ ჩინეთში შვილებისათვის უმთავრესი თაყვანისცემის ობიექტი ოჯახის უფროსის – მამის კულტი იყო, ხოლო ყველაზე დიდ უბედურებად უმემკვიდრეოდ გადაგებული კაცი ითვლებოდა. ამ კონტექსტში აღსანიშნავია კონფუცის ერთ-ერთი ნაშრომში ჩამოყალიბებული ხუთი ვალდებულება, რომლის აღსრულებაც შვილებს მშობლების მიმართ ევალებოდათ: 1. ყოველთვის გამოხატე ღრმა პატივისცემა მშობლებისადმი, 2. უნდა მიუტანო მათ საკვები, 3. განიცადო, როდესაც ისინი ავად არიან, 4. სულიერად განიცადო და იდარდო, როდესაც ისინი გარდაიცვლებიან. 5. მიუტანო საკურთხი და შესწირო მსხვერპლი მათ სულებს გარდაცვალების შემდგომ.

ამრიგად, კონფუციმ შეიმუშავა მორალურ-ეთიკური და ქცევის ნორმების სისტემა, რომელშიც უმთავრესი იყო: წინაპართა კულტი (როგორც გარდაცვლილთა, ისე ცოცხალი მშობლების), ცის ღვთიური ძალის რწმენა, იმპერატორის გაღმერთება, ასაკითა და სტატუსით უფროსის პატივისცემა, განსაკუთრებით – მშობლების მიმართ, ადამიანთა შორის ჰარმონიული ურთიერთობების დამყარება. ძველ და შუა საუკუნეების ჩინეთში კონფუციონიზმი მრავალისმომცველ ფუნქციას ასრულებდა, კერძოდ: ძირითადი სარწმუნოების, სახელმწიფო იდეოლოგიის, პოლიტიკური პროცესებისა და ადმინისტრაციული სისტემის მარეგულირებელ ფუნქციას. ის მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობდა ასევე ჩინური კულტურის ეთნოცენტრიზმის გაძლიერებას.

საუკუნეთა მანძილზე კონფუციონიზმი ჩინელი საზოგადოების აზრებისა და გრძნობების ფორმირებას ახდენდა, ძლიერ ზეგავლენას ახდენდა მათ რწმენაზე, ფსიქოლოგიაზე, ქცევის ნორმებზე, ყოველდღიურ ყოფაზე და კულტურაზე. ამ კუთხით გამონაკლისს წარმოადგენდა ცინის დინასტიის ფუძემდებლის, ცინ შიხუანგ-ტის ზეობის ხანა (ძვ.წ. 221-210), როდესაც წინა პლანზე ლეგიზმმა წამოიწია, კონფუციონიზმი კი დევნისა და რეპრესიების ობიექტად იქცა. მხოლოდ ცინის იმპერიის დამხობის შემდეგ დაიწყო კონფუციონიზმის აღორძინება, როდესაც მან სახელმწიფო იდეოლოგიის სტატუსი მოიპოვა (რაც მე-20 საუკუნის დასაწყისამდე შეინარჩუნა). გარკვეულ ბერკეტები მოიპოვა მეორე ჩინურმა ფილოსოფიურ-რელიგიურმა მოძღვრებამ – დაოიზმმა (იგივე ტაოიზმმა)[1] და ინდოეთიდან შეღწეულმა ბუდიზმმა, თუმცა ჩინელთა სულიერ საზრდოდ, უპირველესად მაინც კონფუციონიზმი რჩებოდა. 1976 წლიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში კონსტიტუციით განსაზღვრულია აღმსარებლობის თავისუფლება. ათეიზმის ზეწოლა, სარწმუნოებაზე უარის თქმის მიზნით, კანონით ისჯება. რელიგიებიდან დღესდღეობით ჩინეთში ძირითადად გავრცელებულია ბუდიზმი, ისლამი, ქრისტიანობა (უმეტესწილად კათოლიციზმი და პროტესტანტიზმი).

ტაოიზმი

დაახლოებით კონფუციონიზმის თანადროულად ჩინეთში აღმოცენდა მეორე დიდმნიშვნელოვანი ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრება ტაოიზმი, რომლის ფუძემდებელი იყო კონფუცის უფროსი თანამედროვე ლაო ძი (ჩინურად

[1] ჩინური სწორი ფორმა არის – ტაოიზმი, თუმცა ქართულ ენაში ხშირად გამოიყენება ტერმინი „დაოსიზმი“. ჩინური ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩვენ ვიყენებთ სწორ, შესატყვის ჟღერადობას ანუ – ტაოიზმს.

„ლაო წ“ ნიშნავს – მასწავლებელი, ბრძენი ლაო, თუმცა, „წ“ ითარგმნება ასევე, როგორც ბავშვი ან მოხუცი). თავდაპირველად ეს მოძღვრება წარმოიშვა როგორც ფილოსოფიური სისტემა და მხოლოდ მოგვიანებით მოხდა მისი ტრანსფორმირება რელიგიად, კერძოდ, ახ.წ. მე-2 საუკუნეში. ტაოიზმის ფორმირებაზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა კონფუციონიზმმა და ბუდიზმმა. საუკუნეთა მანძილზე, ჩინეთში არსებული კონკრეტული ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, მას ჰქონდა აყვავებისა და დაცემის, ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერისა და დევნის პერიოდები, ხანგამოშვებით ზოგიერთი დინასტიის ოფიციალური იდეოლოგიაც ხდებოდა. ტაოიზმმა სათავე დაუდო ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ხელოვნების არაერთ მიმდინარეობას არა მხოლოდ ჩინეთში, არამედ მის საზღვრებს მიღმაც, მათ შორის კორეასა და იაპონიაში. მთლიანობაში, ტაოიზმმა ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გარემომცველი ბუნების ესთეტიზაციაში და პოეტიზაციაში, რაც ჩინურ კულტურაში ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად იქცა.

კონფუციისგან განსხვავებით, ლაო ძის შესახებ ზუსტი ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. ამის გამო მკვლევართა ერთი ნაწილი მას ლეგენდარულ ფიგურად მიიჩნევს. ის დაიბადა დაახლოებით ძვ.წ. 604 წელს (სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია სხვა თარიღიც – ძვ.წ. 569, ასევე 499წ.). ლეგენდის თანახმად, ლაო ძის დედის მუცელში რამდენიმე ათეული წელი გაუტარებია (კერძოდ, 72 ან 81 წელი) და როდესაც დაიბადა, ის უკვე გაჭაღარავებული მოხუცი იყო. აქედან მოდის მისი სახელიც – მოხუცი ბავშვი, მოხუცი ბრძენი. ლაო ძი გარკვეულ ხანს საიმპერატორო კარზე მსახურობდა, შემდეგ მას ინდოეში უმოგზაურია, სადაც ბუდას მოძღვრებას გაეცნო. ლეგენდის თანახმად, მან 200 წელი იცოცხლა. მის მოძღვრებას საფუძვლად უდევს გზის ანუ ტაოს იდეა – მოძღვრება „ბუნების გზის“ შესახებ, რომელიც ადამიანმა უნდა განვლოს. შესაბამისად, დოქტრინის ცენტრშია მოძღვრება ტაოს შესახებ – ყოვლისმომცველ აბსო-

ლუტზე, რომელიც ყველგან და ყველაფერშია, მუდამ და უსასრულოდ ბატონობს. ის აღიქმება სამყაროს წარმოშობის, მისი განვითარებისა და დასასრულის განმსაზღვრელ მიზეზად. ტაოს შემეცნება, მის გზაზე სიარული, მასთან შერწყმა და მისი კანონებით ცხოვრება კი არის ადამიანის სიცოცხლის არსი და მიზანი. ლაო ძი ამგვარ ფორმულირებას უკეთებდა თავის კრედოს: „ადამიანი ცის კანონებს ემორჩილება, ცა – ტაოს კანონებს, ტაო კი – თავის თავს". აღსანიშნავია, რომ ტაოიზმის ზოგიერთი დებულება ქრისტიანობის გარკვეულ მცნებებს ემთხვევა (მაგალითად, „სიკეთე მიაგე მოძულესა შენსას" და სხვ.), მას ასევე საერთო მახასიათებლები აქვს ინდურ იოგასთან, ბრაჰმანიზმთან და ბუდიზმთან. კერძოდ, ეს მჟღავნდება ფიზიკური და სუნთქვითი ვარჯიშების სისტემაში, ასკეტური და განდეგილი ცხოვრების მოწოდებებში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეცნიერებაში მუსირებს მოსაზრება, რომ გარკვეულ მსგავსებათა გამო, ხსენებულ მოძღვრებებს, შესაძლოა, საერთო საფუძველი ჰქონდა (ცნობილია, რომ ამ გარემოებას ხაზს უსვამდა დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი).

ტაოიზმის თანახმად, სულიერი განწმენდისათვის აუცილებელი იყო უბრალოდ ცხოვრება, მცირე რაოდენობის საკვების მიღება, არ იყო საჭირო ცხოვრებისეულ საკითხებში აქტიურად ჩართვა, ყოველდღიური ფუსფუსი და ა.შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლაო ძის მოძღვრების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იყო უმოქმედობა – ადამიანი უნდა მიჰყოლოდა ბუნების კანონებს და სამყაროს განვითარების გზას (იგივე ტაოს) ისე, რომ არ უნდა ეცადა მათი გარდაქმნა, ხელი არ უნდა შეეშალა ბუნების კანონებისათვის. შესაბამისად, ადამიანის ცხოვრების ძირითად კრედოდ აღიარებული იყო უმოქმედობის პრიცნიპი. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს არ უნდა იყოს გაგებული, როგორც საერთოდ არაფრის კეთება და ზოგადად უმოქმედოდ ყოფნა. ეს ისეთი სპეციფიკური ყოფაა, რომელიც ტაოს კონცეფციას ესადაგება. ამ კონტექსტში საყურადღებოა ლაო ძის ზოგიერთი გამონათქვამი: „როდესაც ყველა უმოქმედოდ იქნება, მაშინ ამქვეყნად სრუ-

ლი სიმშვიდე დაისადგურებს“, „ის ვინც ცოდნას ფლობს, ის არ საუბრობს და ვინც საუბრობს, მან არაფერი იცის“, „მიეცი ადამიანს თევზი და მას ერთი დღე ექნება საკვები, ასწავლე მას თევზის დაჭერა და მას მთელი სიცოცხლე ექნება საკვები“, „ბრძენი დუმს, უმეცარი ქადაგებს“.

ადრეული ხანის ტაოიზმი ხასიათდება თანასწორობის, სიმდიდრის გაკიცხვის მოწოდებებით, სინამდვილისადმი დაუკმაყოფილებლობის გრძნობით. ლაო ძის მოძღვრების თანახმად, ყველა უბედურებისა და მანკიერების წყაროს სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებისა და კანონების აღსრულება წარმოადგენდა. ის ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა ადამიანთა ამბიციურობას და გამდიდრებისკენ ლტოლვას, მათი მახასიათებელი თვისებები უნდა ყოფილიყო თავმდაბლობა, მორჩილება, კაცთმოყვარეობა და უშუალოდ გამოვლენილი სიყვარული, ძალმომრეობისა და აგრესიის სურვილი კი, მათ თავიანთ თავში უნდა ჩაეხშოთ.

ლაო ძის მოძღვრება, ყველა სხვა ჩინურ სწავლებათა შორის, ყველაზე ახლოს აღმოჩნდა უბრალო ხალხის ინტერესებთან და ამიტომ მას იმთავითვე უამრავი მიმდევარი გამოუჩნდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე, ის ხალხის გრძნობებსა და გონებას ცრუ რწმენით იპყრობდა, აჩვევდა მას იმქვეყნიური ძალების ძლიერებას, შელოცვების, თილისმების და ამულეტების ძალის ბრმა რწმენას.

აღნიშნულ სფეროებთან იყო დაკავშირებული ტაოიზმის ერთ-ერთი მთავარი კონცეფცია უკვდავების შესახებ. სწორედ ამ ელემენტმა მოუტანა მას პოპულარობა არა მხოლოდ უბრალო ხალხში, არამედ თვით იმპერატორებიც გულისყურით ეკიდებოდნენ მის დოგმებს. უძველესი დროიდან ჩინელები ხანგრძლივ სიცოცხლეს და დღეგრძელობას ადამიანთა ბედნიერების სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. ტაოსელმა ბერებმა შეიმუშავეს მთელი რიგი ვალდებულებები, რომელთა შესრულება აუცილებელი იყო უკვდავების მისაღწევად. საამისოდ ჩამოყალიბებული იყო ფიზიკური და სუნთქვითი ვარჯიშების, შელოცვების, კვებისა და საგანგებო რეჟიმის

მთელი კომპლექსი. პირველი იმპერატორი, რომელმაც იწამა ტაოიზმის კონცეფცია უკვდავებასთან დაკავშირებით, იყო ცინ შიხუანგ-ტი (ძვ.წ. 221-210). გადმოცემის თანახმად, ტაოსელმა მაგმა მას გაანდო საიდუმლო ჯადოსნური კუნძულების არსებობის შესახებ, სადაც მოიპოვებოდა უკვდავების ელექსირი. ცნობილია, რომ როგორც ცინ შიხუანგ-ტი, ისე მომდევნო, ხანის დინასტიის იმპერატორები დიდი მონდომებიც ცდილობდნენ ხსენებული ელიქსირის მოპოვებას, გზავნიდნენ ექსპედიციებს შორეულ კურძულებზე, დიდ მატერიალურ სახსრებს გაიღებდნენ ელიქსირისა და უკვდავების აბების დასამზადებლად.

ტაოსელმა მაგებმა ლეგენდები შექმნეს, რაც გათვლილი იყო ხალხთა მასებზე, რადგანაც ეს უკანასკნელნი ყველაფერს ადვილად იჯერებდნენ. ასე შეიქმნა მითი უკვდავების ქალღმერთ სივანმეზე, რომლის ჯადოსნურ ბაღში თითქოსდა 3000 წელიწადში ერთხელ უკვდავების ნაყოფს ისხამდა ატმის ხე. ასე რომ, ტაოიზმის მიმდევრები სავსებით შესაძლებლად მიიჩნევდნენ უკვდავების ელიქსირის შექმნას. ისინი პატივს მიაგებდნენ რვა მაგს, რომლებმაც, მათი რწმენით, უკვდავებას მიაღწიეს. ეს არსებები (ჩინურად – სიან) შორეულ მთებში ცხოვრობდნენ და დაჯილდოებულნი იყვნენ ზებუნებრივი ძალებით. მაგალითად, მათ შეეძლოთ საგნების ოქროდ გადაქცევა, უჩინრად გახდომა, ყვავილების და სხვადასხვა მცენარეების აყვავება და სხვ. სიკვდილს კი ტაოსები აღიქვამდნენ ისეთ მდგომარეობად, როდესაც ადამიანის ცხოვრება ზეცაში გრძელდებოდა. ამასთან, შესაძლებელი იყო, რომ მიცვალებულს იმქვეყნადაც მიეღწია უკვდავებისათვის. გარდა ამგვარი მითებისა, ტაოიზმის მიმდევრები განთქმულნი იყვნენ, როგორც შესანიშნავი მკურნალები. მათ მაგიური შელოცვებით და რიტუალებით შეეძლოთ ადამიანთა გამოჯანმრთელება. სწორედ ამის საფუძველზე, მოგვიანებით წარმოიშვა ტაოსელთა საკმაოდ მძლავრი სექტები.

ტაოიზმში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ურთიერთსაპირისპირო ძალების – ინისა და იანგის სიმბოლოებს, რომლებიც ზოგადად, ჩინური ფილოსოფიის უმთავ-

რეს ცნებებს წარმოადგენს. ისინი ჩინეთში ჯერ კიდევ უძველესი მითოსური აზროვნებიდან იყო ცნობილი, როგორც ურთიერთდაპირისპირებული საწყისები. ინი და იანგი აღიარებულია ყოველი არსის ცვალებაობისა და განვითარების შემოქმედებით საწყისად. ამ ორი ძალის მოქმედება განიხილება, როგორც მოძრაობისა და ბუნებაში მიმდინარე ცვალებადობის მიზეზი. ინი არის წყვდიადი, უარყოფითი ძალის მატარებელი. ყველაფერი, რაც მიწასთან მჭიდრო კავშირშია, ინის ნაწილს წარმოადგენს, ის არის ქალური საწყისი, მისი სიმბოლოა მთვარე. იანგი კი არის დადებითობის, სინათლის, მზის, მამაკაცური საწყისის სიმბოლო. ყველაფერი, რაც ზეცასთანაა დაკავშირებული, იანგის სიმბოლოა. ინს ხშირად მიწის ან წყლის სახით გამოსახავენ, იანგს კი – ჰაერის ან ცეცხლის ალის სახით. მართალია, ინი და იანგი ურთიერთსაწინააღმდეგ ენერგიის მატარებელნი არიან, თუმცა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ არსებობენ. მათ შორის მჭიდრო კავშირია, ერთმანეთს აბალანსებენ, სრულ თანხვედრაში ურთიერთქმედებენ და სამყაროს ყველა კანონს განსაზღვრავენ ანუ საბოლოო ჯამში, ეს არის ორი საწყისის ჰარმონიული კავშირი. ფილოსოფიური შეხედულებების განვითარების კვალდაკვალ ინი დ იანგი სულ უფრო მეტ სიმბოლიზირებას ახდენენ ნათელისა და ბნელის, დღისა და ღამის, მზისა და მთვარის, ცისა და მიწის, სიცხისა და სიცივის, დადებითისა და უარყოფითის და ა.შ. ცნებებში. იანგისა და ინის შესახებ შექმნილმა წარმოდგენებმა ფართო სპექტრის გამოყენება ჰპოვა ჩინური ტრადიციული მედიცინის, საბრძოლო ხელოვნების, მუსიკის და სხვა სფეროების თეორიული საფუძვლების შემუშავებაში.

ლაო ძის ფილოსოფიური და რელიგიურ-მისტიკური ხასიათის თხზულება „ტაო ტე ძინგი“ („წიგნი გზისა და სათნოებისა“) პირველ ჩინურ პოეტურ ქმნილებადაა მიჩნეული, რომელიც იმავდროულად ფილოსოფიურ ტრაქტატს წარმოადგენს. ლეგენდის თანახმად, როდესაც ლაო ძი ჩინეთიან ინდოეთში მიემგაზვრებოდა, რათა იქაურ სიბრძნეს ზიარებოდა, საზღვრის საგუშაგოს უფროსს ეჭვი გასჩენია, რომ მოძ-

ღვარი სამუდამოდ ტოვებდა ქვეყანას. ამიტომ მან თხოვნით მიმართა ლაო ძის, რომ თავისი მოძღვრება სამშობლოში დაეტოვებინა. ამ უკანასკნელმა უხმოდ შეასრულა თხოვნა და 5000 სიტყვისგან შემდგარი „ტაო ტე ძინგი“ გუშაგებს გადასცა, რის შემდეგაც მან ჩინეთი დატოვა.

„ტაო ტე ძინგი“ არის პოეტური ფორმით გადმოცემული ბრძნული აფორიზმული შეგონებები,რომლებიც წიგნის ორ ნაწილშია განთავსებული 81 თავის სახით. ნაშრომის პირველ ნაწილში საუბარია თავად ტაოს სწავლების შესახებ, ხოლო მეორე ნაწილში სხვადასხვა კუთხით განმარტებულია ტე ანუ სიკეთისა და სათნოების ფენომენი. ლაო ძის სიტყვით: „ტაო წარმოშობს ყოველივეს, რაც სამყაროში არსებობს, ხოლო ტე – ყოველივეს კვებავს და ამდიდრებს“. ხსენებული თხზულება საუკუნეთა მანძილზე უშრეტ წყაროს წარმოადგენდა როგორც ფილოსოფოსებისა და მორწმუნეებისათვის, ისე პოეტებისა და მხატვრებისათვის, ზოგადად, სიბრძნისა და სიკეთის მაძიებელთათვის. ის გაჯერებულია ისეთი ზნეობრივი თვისებების გამომხატველი ცნებებით, როგორიცაა: კაცთმოყვარეობა, მოკრძალება, ზომიერება, მომჭირნეობა, სათნოება და სხვა. მთლიანობაში ეს თხზულება ზნეობრივი სრულქმნისაკენ მოუწოდებდა ადამიანებს. ლაო ძისათვის ტაო არის პირველსაწყისი, საიდანაც ყოველივე იშვა, შემქმნელი მიწისა და ცისა, ამასთანავე ის მიუწვდომელია უბრალო მოკვდავთათვის. ლაო ძის სიტყვით, ტაოს შეცნობა მხოლოდ მას ძალუძს, ვინც დათრგუნა თავის თავში ვნებები და სურვილები, ყველანაირი მოთხოვნილებები.

ლაო ძი კონფუცის არ ცნობდა ფილოსოფოსად და ცხადია, არც მის მოძღვრებას აღიარებდა. ჩინელი მემატიანე სიმა ციენი (ძვ.წ. 145-90) თავის ნაშრომში „ისტორიული ჩანაწერები“ („შიძი“) გვამცნობს, რომ ამ ორი მოძღვრის შეხვედრა დაახლოებით ძვ.წ. 517 წელს მოხდა, როდესაც კონფუცი უკვე ღრმად მოხუცებულ ლაო ძის ეწვია (ლაო ძი მასზე დაახლოებით 50 წლით უფროსი იყო) ფილოსოფიურ საკითხებზე სასაუბროდ. ლაო ძიმ თურმე ის უხალისოდ მიიღო, დიდხანს უსმინა მის არგუმენტებს და ბოლოს მიუგო: „შენი ქმედება

მაგონებს კაცს, რომელიც დაფდაფებს სცემს და თავად იუბედურებს თავს. მოძღვარო, ამით მხოლოდ აწუხებ ხალხს!“. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს კონფუცი და ლაო ძი, შედეგი კი ის იყო, რომ ისინი კიდევ უფრო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ვინაიდან მათი მსოფლმხედველობა რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მართალია, თავისი უმოქმედობის კონცეფციით ტაოიზმი უპირისპირდებოდა კონფუციონიზმს, რომელიც იმპერატორისა და საზოგადოების აქტიურ ქმედებებს ქადაგებდა, თუმცა, მოგვიანებით შესაძლებელი გახდა ამ ორი მოძღვრების გარკვეული დოგმების ერთგვარი შეთავსება, რის საფუძველზეც ნეოკონფუციონიზმი ჩამოყალიბდა.

საბოლოო ჯამში, ტაოიზმმა შუა საუკუნეების ჩინეთში შეძლო გამხდარიყო ქვეყნისა და ერის სულიერი კულტურის აუცილებელი ნაწილი. ის გავრცელდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ყველგან იყო დაფუძნებული მძლავრი სამონასტრო ცენტრები, ტაოსელი ბერები მონასტრებს აგებდნენ ტაოიზმის პანთეონის მრავალი ღმერთების, ღვთაებებისა და ქალღმერთების პატივსაცემად. საყურადღებოა, რომ მის პანთეონში რელიგიური დოქტრინების ფუძემდებლებთან (ლაო ძი, კონფუცი, ბუდა) და ღვთაებებთან ერთად, ხვდებოდნენ ასევე ისტორიული მოღვაწეები ან უბრალო ჩინოვნიკები, რომლებმაც თავიანთი სანაქებო საქმიანობით, გარდაცვალების შემდეგ პატივისცემა და აღიარება დაიმისახურეს. მათი სიმრავლის გამო, ტაოსელებს არ ძალუძდათ ყველა თავიანთი ღვთაებისა თუ გმირის სახელის ცოდნა და არც იყო ამის აუცილებლობა. ისინი მათგან გამოყოფდნენ მხოლოდ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ფიგურებს. მათ შორის იყო ჩინეთის პირველი გამაერთიანებლის სახელით ცნობილი იმპერატორი ცინ შიხუანგ-ტი, ქალღმერთი სივანგმუ, ღვთაებები: პანგუ, ტაიჩუ, ტაიცზი. ღმერთებისა და გამოჩენილი ადამიანების (მხედართმთავრების, სახელოვანი ოსტატების, გმირებისა და ა.შ.) საპატივცემულოდ აგებულ ტაძრებში ღვთისმსახურებას მუდამ ტაოსელი ბერები ატარებდნენ, რომლებიც იმავდროულად მაგების, მარჩიელების, წი-

ნასწარმეტყველებისა და მკურნალების ფუნქციებს ასრულებდნენ. ტაოსურ ღვთაებათა სპეციფიკურ კატეგორიას წარმოადგენდნენ უკვდავი არსებები, განსაკუთრებით – რვა მაგი, რომელთა შესახებ არსებული მითები და ლეგენდები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში, ისევე როგორც მათი გამოსახულებები გრაგნილებზე და ხისგან ან ძვლისგან დამზადებული ფიგურები.

ტაოიზმს ჩინეთში, ისევე როგორც ბუდიზმს, შედარებით მოკრძალებული ადგილი ეჭირა, რამდენადაც ის სერიოზულ კონკურენციას ვერ უწევდა ოფიციალურ რელგიურ-იდეოლოგიურ მოძღვრებას – კონფუციონიზმს. თუმცა, მთავარი იყო ის, რომ კონფუციონიზმთან დაპირისპირების პირობებში, ტაოიზმმა შეძლო გადარჩენა, მან შეავსო ის სიცარიელეები კულტურაში და ხალხის ცხოვრებაში, რაც მას ერგო წილად. რაც შეეხება ამ მოძღვრების ბუდიზმთან ურთიერთობას (რომელმაც ჩინეთში ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში შეაღწია), ის ხელს უწყობდა მის დამკვიდრებას ჩინეთის მიწა-წყალზე, სანაცვლოდ კი ბუდიზმისგან უხვად ითვლისებდა იდეებს, ცნებებს (მაგალითად, სამოთხის და ჯოჯოხეთის ცნებებს, ბერობის ინსტიტუტს), ასევე გაეცნო იოგების პრაქტიკას და სხვ. ტაოიზმი საჭირო იყო პრაქტიკულად საზოგადოების ყველა ფენისათვის, მაგრამ – სხვადასხვა კუთხით: განათლებული ზედა ფენა დაინტერესებული იყო მისი ფილოსოფიური თეორიებით, უბრალოებისა და ბუნებრიობის კულტით, თვითგამოხატვის თავისუფლების იდეებით. ტაოიზმის ეს მახასიათებლები ხიბლავდა ბევრ მოაზროვნეს, სწავლულს, მხატვარს, პოეტს. გაუნათლებელ და დაბალი ფენების წარმომადგენლებს კი ამ მოძღვრებაში იზიდავდა მაგიური რიტუალები, მკითხაობები, სულების რწმენა, სამკურნალო პრაქტიკა. მართალია, ტაოიზმს არასოდეს მოუპოვებია ჩინეთში დომინანტური სტატუსი ოფიციალურ რელიგიურ-ფილოსოფიურ ფასეულობათა სისტემაში, მაგრამ ისეთ პერიოდებში, როდესაც სახელმწიფო კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და კონფუციონიზმის ბერკეტები სუსტდებოდა, ის წინა პლანზე ინაცვლებდა.

ლეგიზმი და მოიზმი

ჩინური ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრება ლეგიზმი (იგივე ლეგალიზმი)[1] ძვ.წ. მე–4 საუკუნეში ჩამოყალიბდა, რომელიც მოიხსენიება ასევე, როგორც კანონის დამცველთა სკოლა. ლეგიზმი ქადაგებდა ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობას, რომელსაც კარგად შეიარაღებული სამხედრო ძალა უნდა ჰყოლოდა. ადამიანთა და სახელმწიფოს მართვის მეთოდები უნდა ყოფილიყო დამყარებული ძალადობაზე და უმკაცრეს დისციპლინაზე, თითოეული ადამიანის მიერ პირადი პასუხისმგებლობის მაღალ შეგრძნებაზე, კანონდაუმორჩილებლები კი სასტიკ სასჯელებს უნდა დაქვემდებარებოდნენ. ლეგიზმის თანამად, ტიტულები და პრივილეგიები ადამიანებს უნდა მინიჭებოდათ არა დაბადებისთანავე, ანუ – მემკვიდრეობითობის პრინციპით, არამედ მათი დამსახურების მიხედვით. შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანს ძალუძდა თავისი შრომითა და ღვაწლით მაღალი სტატუსისთვის მიეღწია. ლეგიზმის მთავარი კონცეფცია შემდეგში მდგომარეობდა: შეუძლებელია წარსულისკენ მიბრუნება; კანონს უნდა ემორჩილებოდეს ყველა და ყველაფერი – ადამიანები, ცა, მიწა, სხვადასხვა საგნები; კანონის ნებისმიერი დამრღვევი უმკაცრესად დაისჯებოდა. ლეგისტების მიერ წარმოდგენილ ქვეყნის მმართველს უნდა ჰქონოდა ხალხზე ზემოქმედებისა და კონტროლის უნარი, პოლიტიკური გადაწყვეტილებები კი მას ისე უნდა მიეღო, რომ არავისი ნდობა არ ჰქონოდა ანუ მას უნდა ჰქონოდა იმის უნარი, რომ დამოუკიდებლად მიეღო საჭირო და სამართლიანი გადაწყვეტილებები.

თავდაპირველად ლეგიზმის კონფუციონიზმის ოპონენტად გამოდიოდა, თუმცა, მოვიანებით თითქმის მთლიანად

[1] ლეგიზმი – კანონიკური სკოლა (ფა-ძია), რომელიც ევროპაში ლეგიზმის სახელით გავრცელდა. ლეგიზმის კონცეფციის ფუძემდებლები იყვნენ სახელმწიფო მაღალჩინოსნები შანგ იანგი (ძვ.წ. 390-338) და შენ პუხაი (ძვ.წ. 385-337წ.)

შეერწყა მას. ძირითადი განსხვავება მათ შორის ის იყო, რომ თუ კონფუციონიზმში მთავარი იყო მორალი და ტრადიციები, ლეგისტებისათვის უპირველესი იყო ადმინისტრაციული წესრიგი და დისციპლინა. კონფუცი წარსულზე იყო ორიენტირებული, ხოლო ლეგიზმი ამის წინააღმდეგი იყო. კონფუცი მართვის ჰუმანური მეთოდების მომხრე იყო, ლეგიზმი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, პირიქით – ძალადობრივ და მკაცრ მეთოდებს უჭერდა მხარს. აღსანიშნავია, რომ ლეგისტები ომს მიიჩნევდნენ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის უნივერსალურ საშუალებად. მათი აზრით, „თუ ომით შეიძლება მოსპო ომი, მაშინ ეს ომი დასაშვებია; თუ მკვლელობით შესაძლებელია მკვლელობის აღმოფხვრა, მაშინ ეს მკველობაც დასაშვებია“.

ლეგიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ შანგ იანგი (ძვ.წ. 390-338) და ხან ფეი (ძვ.წ. 280-233). შანგ იანგი სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო, რომლის ინიციატივით ამ სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა. გარდა ამისა, მისი ინიციატივით გაუქმდა გვაროვნული არისტოკრატია, როგორც სოციალური ფენა, ლიკვიდირებულ იქნა ყველა მემკვიდრეობითი პრივილეგია (საიმპერატორო საგვარეულოს გარდა), რაც ნამდვილი რევოლუციური ნაბიჯი იყო აღნიშნულ პერიოდში. რეფორმები შეეხო სამხედრო სფეროსაც, კერძოდ, თუკი მანამდე არმიას ხელმძღვანელობდა გვაროვნული არისტოკრატია და ეს მემკვიდრეობით გადაეცემოდა მის შთამომავლობას, რეფორმების შემდგომ შესაძლებელი გახდა, რომ მხედართმთავრის ან სხვა მაღალ თანამდებობაზე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებიც დაენიშნათ, რომლებსაც სათანადო კვალიფიკაცია და უნარები გააჩნდათ.

ჩინურ არმიაში დამკვიდრდა უმკაცრესი დისციპლინა. შემოღებული კანონების მიხედვით, დამარცხებული ან ტყვედ ჩავარდნილი მხედართმთავარი სიკვდილით ისჯებოდა, ხოლო თუკი ის მოახერხებდა სხვა სახელმწიფოში გაქცევას, სიკვდილით ისჯებოდა მთელი მისი ოჯახი. ჯარში და მთლიანად ქვეყანაში შემოღებულ იქნა კოლექტიური პასუ-

ხისმგებლობის სისტემა, კერძოდ, ერთი ჯარისკაცის მიერ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ჯარის მთელ ქვედანაყოფს, ხოლო კერძო პირის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მის მთელ სამეზობლოს.

შანგ იანგის მიერ სახელმწიფოს მასშტაბით შემოღებულ იქნა ზომისა და წონის ერთიანი სისტემა. მოგვიანებით, ცინის სამეფოს მიერ გაერთიანებულ ჩინურ სახელმწიფოშიც გატარდა ანალოგიური რეფორმები. შანგ იანგმა ლეგიზმს მორალური დოქტრინები დაუმატა, რითაც მოძღვრება კონფუციონიზმსა და ტაოიზმს დაუახლოვა. შანგ იანგი, ხან ფეი და მათი მიმდევრები სახელმწიფოს დასუსტების მიზეზს მოქმედი კანონების უსამართლობაში ხედავდნენ და ამიტომ ისინი მათ შეცვლას ცდილობდნენ. აღსანიშნავია, რომ ლეგისტები საჭიროდ არ თვლიდნენ ხალხის მასებისათვის განათლებისა და ცოდნის მიცემას. ისინი აცნობიერებდნენ, რომ გაუნათლებელი ხალხის მართვა უფრო იოლი იყო, რადგან მათ არ გააჩნდათ საკმარისი ცოდნა საიმისოდ, რომ საკუთარი შეხედულებები და მოთხოვნები გასჩენოდათ ან წარმოეჩინათ. უცოდინარი ხალხისათვის კი ნებისმიერი არგუმენტების თავს მოხვევა სირთულეს არ წარმოადგენდა.

ძველი ჩინეთის ხელისუფალთათვის ლეგიზმის მიერ შემოთავაზებული მკაცრი და ხისტი მმართველობის ფორმები სავსებით მისაღები აღმოჩნდა. ლეგიზმმა ფართო აღიარება მას შემდეგ მოიპოვა, როდესაც სათავეში ცინის დინასტია (ძვ.წ. 221-206ს.ს.) მოვიდა. ლეგიზმის გულმხურვალე მხარდამჭერი იყო ჩინეთის პირველი ცენტრალიზებული სახელმწიფოს და ცინის დინასტიის ფუძემდებელი ინგ ჭენგი (ძვ.წ. 221-210), შემდგომში ცინ შიხუანგ-ტი, რომლის სახელი ითარგმნება, როგორც „ჩინეთის პირველი იმპერატორი“. ის ისტორიაში ცნობილია, როგორც სასტიკი და დაუნდობელი მონარქი, თუმცა, იმავდროულად მან ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური, ადმინისტრაციული და სოციალური რეფორმები გაატარა. მისი ზეობა განსაკუთრებით აღსანიშნავია იმით, რომ სწორედ მან დაიწყო

ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობა (ძვ.წ. 214 წელს), ასევე ააგო მისთვის განკუთვნილი გრანდიოზული აკლდამის კომპლექსი, რომელიც ცნობილია ტერაკოტის არმიის სახელწოდებით.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო თემას, ინგ ჭენგმა შექმნა ლეგიზმით გაჯერებული ცენტრალიზებული ადმინისტრაციული სისტემა, ასევე შემოღებულ იქნა სასტიკი სასჯელები კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი მხრივ, ამ სისტემას დადებითი შედეგები მოჰყვა. კერძოდ, დანაწევრებული სამეფოებიდან ჩინეთი სწრაფად გადაიქცა კანონებზე დამყარებულ ცენტრალიზებულ იმპერიად. თუმცა, ქვეყნის შიგნით, იდეოლოგიურ სფეროში, ბალანსი დარღვეული იყო ლეგისტებსა და კონფუციონიზმის მიმდევრებს შორის დაპირისპირების გამო. კონფუციონისტები ხშირად აკრიტიკებდნენ იმპერატორს ტრადიციების უგულებელყოფისა და მეტისმეტად მკაცრი სასჯელების გამო, ამასთანავე ინგ ჭენგის ტოტალურ მმართველობას დღითი დღე სულ უფრო მეტი ხალხი უჯანყდებოდა. იმპერატორი კი ძალზე აგრესიულად რეაგირებდა ნებისმიერ კრიტიკაზე და ოპოზიციის გამოსვლებზე. ძვ.წ. 213 წელს მან კონფუციანური წიგნების დაწვა ბრძანა, მომდევნო 212 წელს 460 ყველაზე აქტიური კონფუციონიზმის მიმდევარის სიკვდილით დასაჯა და გაანადგურა კონფუციონისტური ტაძრები. ამგვარმა ქმედებებმა გააძლიერა მოსახლეობის ზიზღი ინ ჭენგის მიმართ, რის გამოც ბევრჯერ სცადეს მისი მოკვლა. შედეგად, იმპერატორი თურმე პარანოიამ შეიპყრო, მას უკვე ორი ღამის ერთსა და იმავე სასახლეში გატარება ეშინოდა, აღარავის ენდობოდა და თავიდან იშორებდა ყველა არასასურველ ოპონენტს.

ლეგიზმისკენ გადახრამ და კონფუციონიზმის უარყოფამ ჩინელ ხალხს წაართვა არა მხოლოდ ტრადიციებზე აპელირების უფლება, არამედ სულიერი კომფორტი, რადგანაც ზღვარგადასულ მკაცრ დისციპლინას, ჰარმონიული ნორმების გარეშე, სავალალო შედეგები მოჰყვა. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო ცინის იმპერიის დამხობის დაჩქარებას. ცინ

შიხუანგ-ტის გარდაცვალების შემდეგ ჩინეთში იფეთქა მასშტაბურმა აჯანყებამ, გამოიკვეთა ლეგიზმის არასიცოცხლისუნარიანობა და აქედან გამომდინარე, აუცილებელი გადა მისი ჩანაცვლება ნაკლებად მკაცრი, ჰუმანური იდეოლოიური სისტემით. ასეთი აღმოჩნდა კონფუციონიზმი, რომელიც მთელი ძალით აღორძინდა მომდევნო, ხანის დინასტიის (ძვ.წ. 206-ახ.წ. 220) მმართველობის პერიოდში.

ამრიგად, ლეგიზმმა ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცინის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, რამდენადაც მას გააჩნდა ის კანონები, რომლებიც აუცილებელი იყო ცენტრალიზებული ხელისუფლების ფუნქციონირებისათვის. ლეგისტებმა შეიმუშავეს დესპოტური სახელმწიფოს კონცეფცია, რაც კონფუციანელთა შესწორებების საფუძველზე, რეალიზებულ იქნა ძველ ჩინეთში. მცირე კორექტივების შეტანით, მან დამოუკიდებელი სახით ძვ.წ. მე-2 საუკუნემდე იარსება. ხსენებულ ასწლეულში ლეგიზმის ზოგიერთი დოქტრინა კონფუციონიზმმა შეითვისა, მომდევნო ხანებში კი ლეგიზმი თითქმის მთლიანად შეერწყა მას.

მოიზმი. მართალია, მოიზმი რელიგიად არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ რამდენადაც ის ჩვენს მიერ განხილულ ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებათა თანადროულად ფუნქციონირებდა ძველ ჩინეთში, უპრიანია, მოკლედ გავეცნოთ მის პრინციპებსაც. ძველ ჩინურ ფილოსოფიურ სკოლათა შორის მოიზმმა გარკვეული ხნის მანძილზე დამოუკიდებელი ნიშა მოიპოვა. მის ფუძემდებლად მიჩნეულია ცნობილი ჩინელი სწავლული და ფილოსოფოსი მო წი, რომელიც ძვ.წ. მე-5 საუკუნეში მოღვაწეობდა.[1] მისი მოძღვრების ცენტრალური პრინციპი იყო ე.წ. „საყოველთაო სიყვარულის“ იდეა, რაც ადამიანთა თანასწორუფლებიანობის ეთიკურ საფუძვლად მოიაზრებოდა. მოიზმის ეთიკური სისტემა ქადაგებდა ურ-

[1] მო წის ცხოვრება-მოღვაწეობის წლებად სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თარიღებია მითითებული: ძვ.წ. 480-400, 475-395, 470-391წ.წ.

თიერთპატივისცემისა და ურთიერთდახმარების პრინციპს. მო წის დიდხანს უმოგზაურია იმ მიზნით, რომ „საყოველთაო სიყვარული“ ექადაგა და სამეფოთა მმართველები ომების უსამართლობაში დაერწმუნებინა. მის მიერ შემუშავებული ძირითადი თეორიები თავმოყრილია ნაშრომში „მოძღვარ მოს წიგნი“, რომლებიც მისმა მოწაფეებმა ერთ კრებულში მოაქციეს (ნაშრომი 53 თავისგან შედგება).

მო წი და მისი მიმდევრები იმთავითვე კონფუცის შეხედულებათა წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მართალია, მო წი დიდად აფასებდა კონფუცის პიროვნებას, თუმცა, მის მოძღვრებას აკრიტიკებდა. მოისტების აზრით, კონფუციანური ეთიკა ადამიანის პიროვნებას ყველაფერში ზღუდავდა, რადგანაც მკაცრად განსაზღვრავდა თითოეული ადამიანის მოვალეობებს და ქცევის ნორმებს. მო წიმ მას დაუპირისპირა თავისი მოძღვრების პრინციპები: კერძოდ, ის ქადაგებდა სიბრძნისადმი პატივისცემას, საყოველთაო სიყვარულს, ეკონომიის გაწევას ხარჯვაში და დაკრძალვის ცერემონიალში, გამოდიოდა აგრესიისა და ომების, ზღვარგადასული მხიარულებისა და მუსიკის წინააღმდეგ. ამასთანავე, ის არ ცნობდა ბედისწერას ადამიანის ცხოვრებაში. მიდგომა ამგვარი იყო: ადამიანმა ბედნიერება და იღბალი თავად უნდა მოიპოვოს შრომითა და კეთილგონიერებით. თუკი ის თავისი ქმედებების აზრსა და მიზანს აცნობიერებს, მაშინ ის ბედისწერასაც უარყოფს. კონფუციონიზმისგან განსხვავებით, მო წი უარყოფდა საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფის სამართლიანობას, წინააღმდეგი იყო ჩინოვნიკების წარმომავლობის მიხედვით დაწინაურებისა. მას მიაჩნდა, რომ ყოველ ადამიანს თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდა, ყველაფერი პიროვნების თვითნაბად ნიჭზე იყო დამოკიდებული.

თუკი კონფუცი გამოარჩევდა განსაკუთრებულ სიყვარულს ოჯახის წევრების, ზოგადად ახლობლების მიმართ და მას განასხვავებდა უცხო ადამიანების მიმართ სიყვარულისაგან, მო წის მოძღვრების მიხედვით, ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად, ყველა ერთნაირად უნდა ყვარებოდა. მოისტები ერთგულების პრინციპისა და საყოველთაო სიყვარუ-

ლის ეტალონად ლეგენდარულ უძველეს მმართველს – იუ-ს მიიჩნევდნენ, რომელიც გადმოცემის თანახმად, წყალდიდობას ემსხვერპლა. მოიზმი გამოდიოდა ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის წინააღმდეგ; მო წიმ წამოაყენა თეორია, რომლის თანახმად, ძალაუფლება გადაეცემოდა „ყველაზე ბრძენ ადამიანს“, დამოუკიდებლად მისი წარმომავლობისა ანუ დაბალი ფენის წარმომადგენლებსაც ძალუძდათ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება. კონფუციონისტებისგან მოისტებს განასხვავებდა ისიც, რომ ეს უკანასკნელნი ტრადიციებიდან არა ყველაფრის, არამედ მხოლოდ საუკეთესოს შენარჩუნებას მოითხოვდნენ.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, მო წი იზიარებდა კონფუცის თვალსაზრისს ე.წ. „ცის ნების“ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრების კრიტერიუმად და განმსაზღვრელად მიიჩნევდა. „საყოველთაო სიყვარულის“ დოგმისათვის დაკანონებული ნორმის მისანიჭებლად და სამართლიანობის მისაღწევად, მო წი ცდილობდა თავისი მოძღვრების სასარგებლოდ გამოეყენებინა ცის მიმართ ჩინელი ხალხის რელიგიური თაყვანისცემა. ამიტომაც ხსენებული „საყოველთაო სიყვარულისა“ და მოძღვრების სხვა პრინციპები ცის კოსმიური ნების გამოხატულებად გამოცხადდა, რომელსაც ყველა უნდა დამორჩილებოდა. თუმცა, კონფუციონისტებისგან განსხვავებით, მოისტები ცასა და მიწას შორის შუამავლად „ცის შვილს“ ანუ იმპერატორს არ აღიარებდნენ, რამდენადაც მათი აზრით, ცა ყოველგვარი შუამავლის გარეშე, უშუალოდ თავად ამყარებდა კონტაქტს დედამიწაზე მაცხოვრებლებთან და ერთნაირი სამართლიანობით ექცეოდა თითოეულ მათგანს.

მოიზმის აყვავების ხანას ჩინეთში წარმოადგენდა ძვ.წ. მე-4 საუკუნე, მომდევნო მესამე ასწლეულში მან უკვე თავისი პოზიციები და პოპულარობა დაკარგა. უფრო მეტიც, რამდენადაც ის სხვადასხვა მიმდინარეობად დაიშალა, ხელისუფლების მხრიდან სახალხო მოძრაობებთან და შეთქმულებებთან ასოცირდებოდა და ამის გამო იდევნებოდა კიდეც. მოიზმის სკოლამ დამოუკიდებელი სახით მხოლოდ ორი საუ-

კუნე იარსება, შემდეგ მან ტრანსფორმაცია განიცადა და თანდათან შეერწყა სხვა ჩინურ დოქტრინებს. როგორც ჩანს, მას არ ძალუძდა ქვეყანაში გავრცელებულ უფრო მძლავრ ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებებთან დაპირისპირებას გამკლავებოდა.

ბუდიზმი ჩინეთში

ბუდიზმმა ჩინეთში ახ.წ. I საუკუნეში დაიწყო გავრცელება. მის შესახებ ინფორმაციის პირველი გამავრცელებლები იყვნენ ვაჭრები, რომლებიც ცენტრალური აზიიდან აბრეშუმის გზის საშუალებით, ჩინეთში ხვდებოდნენ და დიდ ქალაქებში თავიანთ ფაქტორიებს აარსებდნენ. ცოტა მოგვიანებით, II-III საუკუნეებში ჩინეთში ინდოელი ბუდისტი ბერებიც გამოჩნდნენ. ჩინურ წერილობით წყაროში „ხოუ ხანშუ“ („აღმოსავლეთ ხანის ისტორია“) გადმოცემული ლეგენდის თანახმად, იმპერატორმა მინგ ტიმ (58-75) სიზმარში ნახა შარავანდედით მოსილი ოქროსფრად გასხივოსნებული არსება. მეორე დღეს მას მრჩეველებისათვის უკითხავს, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ის. მას უპასუხეს, რომ ეს უთუოდ, ინდოელთა დიდი მოძღვარი ბუდა იქნებოდა. მაშინ იმპერატორმა ბრძანა, რომ ინდოეთიდან მისთვის ჩამოეტანათ ბუდას გამოსახულება და ბუდისტური წმინდა ტექსტები. ჩინეთში ბუდიზმის შეღწევის ოფიციალურ თარიღად მიჩნეულია ახ.წ. 65 წელი, როდესაც ინდოეთში წარგზავნილებმა ჩინეთის დედაქალაქ ლოიანში თეთრი ცხენით ბუდისტური სიწმინდეები – ბუდას ქანდაკება და ბუდისტური სუტრები შეიტანეს. მინგ ტიმ ეს მინიშნებად მიიჩნია და ქალაქ ლოიანთან ბუდისტური მონასტერი ააგო. ზემოაღნიშნულის გამო, მას „თეთრი ცხენის ტაძარი“ (ჩინურად – პაიმა ს) ეწოდა. ეს იყო პირველი ბუდისტური ტაძარი ჩინეთის მიწაზე, რომელიც ჩინური ბუდიზმის აკვნად და წმინდა ადგილად იქცა.

საწყის ეტაპზე ბუდიზმს ჩინეთში მთელი რიგი დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა, სანამ ის მყარ პოზიციებს დაიმკვიდრებდა. ამას რამოდენიმე ფაქტორი განაპირობებდა: კერძოდ, ქვეყანაში უკვე საუკუნეთა მანძილზე არსებობდა მძლავრი ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებები – ტაოიზმი და კონფუციონიზმი, ბუდიზმი კი ჩინელებისათვის სრულიად უცხო რწმენა-წარმოდგენების შემცველი იყო. აქედან გამომდინარე, ისინი ბრალს სდებდნენ ბუდისტ ბერებს საყოველთაოდ მიღებული წესრიგისა და ნორმების დარღვევაში. ბუდიზმის მთავარ მოწინააღმდეგეებად კონფუციანელები გამოდიოდნენ, რომლებიც კონფუცის მიერ შემუშავებული დოგმების გარდა, არაფერს ცნობდნენ. ისინი უარყოფდნენ ბუდიზმს, ვინაიდან ჩინეთში ზოგადად, იგნორირებული იყო ყველაფერი უცხოური ანუ „ბარბაროსული და უკულტურო“. ძველ ჩინეთში ჩამოყალიბებული იყო შეხედულება, რომ ჩინეთი წარმოადგენდა სამყაროს ცენტრს, ცისქვეშეთს. ჩინეთის თვით დასახელება „ჭუნგკუო“ ნიშნავს შუა, ცენტრალურ სახელმწიფოს. ამიტომაც ჩინელებს მიაჩნდათ, რომ ჩინურ ცივილიზაციასა და კულტურას ბადალი არ მოეპოვებოდა მსოფლიოში, ხოლო სხვა ხალხს ბარბაროსებად მოიხსენიებდნენ. თუმცა, თვით კონფუცი ამბობდა: „კარგი რამ ბარბაროსებისგანაც შეიძლება ისწავლოთ“. ბუდიზმის გავრცელებას აბრკოლებდა ასევე ის გარემოება, რომ ჩინური ენა სრულიად განსხვავებული იყო ძველი ინდური ენისაგან – სანსკრიტისაგან. ეს კი თავის მხრივ, რელიგიური ლიტერატურის თარგმნისა და ბუდისტური ნორმების ადეკვატურად აღქმის პრობლემას ქმნიდა.

ბუდიზმის სტატუსში კარდინალური ძვრები ჩინეთში ხანის დინასტიის (ძვ.წ. 206-ახ.წ. 220) დამხობის შემდეგ გამოიკვეთა. იმხანად ქვეყანაში შექმნილმა არამდგრადმა, ქაოსურმა პოლიტიკურმა სიტუაციამ ადგილობრივი ტრადიციული იდეოლოგიის კრიზისი გამოიწვია, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო ბუდიზმის მომძლავრებას და ფართოდ გავრცელებას. მის მთავარ ცენტრებად იქცა დიდი ქალაქები: ლოიანი, ჩანგანი, ნანკინი და სხვა. მმართველი დინასტიები,

რომლებიც მე-3-4 საუკუნეებში ხშირად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, ბუდიზმს აღიქვამდნენ უკვე არა როგორც უცხო მოძღვრებას, არამედ როგორც მძლავრ იდეოლოგიურ იარაღს ქვეყნის ცენტრალიზაციის მიმართულებით. ხელისუფლება ბუდიზმში ხედავდა საიმედო დასაყრდენ ძალას მსხვილი ფეოდალების სეპარატისტული მისწრაფებების გასანეიტრალებლად. ამასთანავე, ახალი სარწმუნოება მეტად სასარგებლო იყო იმ ქვეყნებთან ურთიერთობის დასარეგულირებლად, სადაც ბუდისტური კანონები იყო აღიარებული. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება ყველანაირად უწყობდა ხელს მის გავრცელებას და ბუდისტი ბერების საქმიანობას. ბუდიზმის ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს მე-3-4 საუკუნეებში ჩინეთის ყველა კუთხეში ულამაზესი ფერადოვანი ბუდისტური ტაძარ-მონასტრების, პაგოდების[1], ბუდას მონუმენტური ქანდაკებებისა და სხვა საკულტო ნაგებობების მშენებლობა. პარალელურად, სწრაფი ტემპით მატულობდა ბუდისტი ბერების რაოდენობა, დაიწყო ბუდისტური წმინდა ტექსტების – სუტრების თარგმნა, მომრავლდა ბუდისტური დღესასწაულების აღნიშვნა, ჩამოყალიბდა ბუდიზმის ძირითადი სკოლები და სხვა. ბუდისტური ლიტერატურის ჩინურად კლასიკური თარგმანის სკოლას საფუძველი ჩაუყარა ინდოელმა სწავლულმა კუმარაჯივამ (344-413), რომელიც ჩინეთში 383-413 წლებში მოღვაწეობდა. მისი საქმე წარმატებით გააგრძელეს მისმა მოწაფეებმა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ბუდიზმის რეალური არსის გაგებასა და აღმავლობას ჩინეთში.

მე-6 საუკუნეში ბუდიზმი უკვე მთელი ჩინეთის მასშტაბით გაბატონებულ სარწმუნოებად იქცა და ფაქტობრივად, სახელმწიფო რელიგიის სტატუსი მოიპოვა. აქვე უნდა აღი-

---

[1] პაგოდა – პორტუგალიური ტერმინი, ნიშნავს – წმინდა, დიადი, დიდებული (ჩინურად – პაოთა; იაპონურად – ტო.) ბუდისტური საკულტო ნაგებობა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში (ჩინეთი, კორეა, იაპონია, ტაილანდი, ვიეტნამი), კენტი რაოდენობის სართულებიანი კოშკისებური ტაძარი, რომელშიც განთავსებულია ბუდისტური რელიკვიები.

ნიშნოს, რომ ჩინეთში, ისევე როგორც კორეაში, იაპონიაში, ნეპალში და კიდევ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, ბუდიზმის მაჰაიანისტური მიმდინარეობდა დამკვიდრდა (მაჰაიანა სანსკრიტულ ენაზე ნიშნავს – დიდ ეტლს), რომელიც გულისხმობდა ხსნის ფართო გზას. უფრო კონკრეტულად, მის თანახმად, ნირვანას მიღწევა ძალუძდა პოტენციურად ყველა ადამიანს, შესაბამისი დაწესებული ნორმების დაცვის შედეგად და საამისოდ სულაც არ იყო საჭირო ასკეტური ცხოვრება. მაჰაიანაში ბუდა აღიარებულია ღმერთად, რომელსაც დაახლოებით ათასი განსახიერება გააჩნია.

ჩინურ ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებს გარკვეულწილად აკლდა თვალსაჩინოება, ბუდიზმი კი ამ დანაკლისს ავსებდა უამრავი ლეგენდებითა და ღვთაებათა კულტით, რაც რელიგიურ ხატწერაში გამოიხატებოდა. გარდა ამისა, ბუდისტურ რიტუალებში ფართოდ იყო ჩართული მუსიკა, ცეკვა, სიმღერა, სახვითი ხელოვნება და სხვა. ბუდას მიმართ თაყვანისცემის აღძვრაში დიდ როლს ასრულებდა აგრეთვე ბუდისტური საკულტო ნაგებობების ესთეტიკური მიმზიდველობის ძალა. როგორც გარეთა, ისე მათი შიდა ნაწილები დიდებულებით და პომპეზურობით გამოირჩეოდა. სატაძრო კომპლექსები მკვეთრ ფერებში იღებებოდა, რათა შორიდანვე შესამჩნევი ყოფილიყო ყველასთვის. ყოველივე ეს კი დიდ ზემოქმედებას ახდენდა ჩინელებზე, განსაკუთრებით უბრალო ხალხზე, რომელსაც ბუდიზმი უპირველეს ყოვლისა, იმის გამო მოსწონდა, რომ ის ქადაგებდა გულმოწყალებას, უბრალოებას, თანაგრძნობას ადამიანთა შორის, გამოდიოდა ჩაგვრის, სისასტიკისა და სიძუნწის წინააღმდეგ.

ჩინეთში შეღწევის შემდეგ, საუკუნეთა მანძილზე ბუდიზმმა გარკვეული სახეცვლილება განიცადა და ადგილობრივი ელემენტები შეითვისა. ეს ეხება როგორც საკულტო ნაგებობებს, ისე ბუდისტური ღმერთებისა და ღვთაებების პანთეონს. კერძოდ, ინდოეთში გავრცელებულ ფილებს, ჩინეთში პაგოდები ჩაენაცვლა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 15-სართულიანი აგურის პაგოდა ხენანში (აიგო 523 წ.) ცნობილი შაოლინის მთის მახლობლად, რომელიც ყველაზე

ძველია დღემდე შემონახულ პაგოდებს შორის. ძალზე შთამბეჭდავია ასევე სიანში (შანსის პროვინცია) 652 წელს აგებული ე.წ. „გარეული ბატების“ დიდი პაგოდა, რომლის სიმაღლე 65 მეტრია. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად პაგოდები ჩინეთში ხისგან იგებოდა, შემდეგ კი სამშენებლო მასალად ქვა და აგური დაემატა.

რაც შეეხება ბუდას ჩინურ განსახიერებებს, მათგან საყურადღებოა ბუდა მაიტრეა ანუ მომავლის ბუდა, რომელიც გამოისახება თავგადახოტრილი, ღიპიანი, მოცინარი სახის, ძალზე მსუქანი მამაკაცის სახით, ზოგჯერ მას ბავშვები ახვევია გარშემო. მორწმუნე ჩინელებმა მისი სიმსუქნე და ღიპი უსაზღვრო სიკეთის, გულმოწყალებისა და კეთილშობილების სიმბოლოდ აქციეს. ბუდისტური ტაძრები, ტაოისტური ტაძრების მსგავსად, ერთი ან რამდენიმე რომბისებური, დაბალი ნაგებობებისაგან შედგებოდა, რომლებიც მაღალი და არაპროპორციულად დიდი ზომის სახურავებით იყო გადახურული. ნაგებობებს გარს ერტყა დიდი ეზო და ასევე მაღალი გალავანი, რომელიც იფარებოდა ფერადი კრამიტით. ბუდისტური ტაძრების მთავარ კომპონენტს წარმოადგენდა ხის მსხვილი ბოძები, რომლებიც გალავანთან და ტაძრის კედლებთან ერთად, წითლად იღებებოდა. როგორც წესი, სატაძრო კომპლექსები იგებოდა მთის ფერდობზე, ჩანჩქერთან ან მდინარესთან ახლოს, სოფლებთან ან ქალაქის გალავანთან. ტაძარში საპატიო ადგილას თავსდებოდა სამი მთავარი ბუდას სკულპტურა: შუაში – აწმყოს ბუდა, აქეთ-იქით კი წარსულისა და მომავლის ბუდები. მათ გარდა, ტაძარში დიდი რაოდენობით სხვადასხვა ღვთაებებისა და კერპების გამოსახულებები იყო. ღვთაებათა ფიგურები, როგორც წესი, თეთრად იღებებოდა (თეთრი სიმშვიდის სიმბოლოს წარმოადგენდა), ავი სულების კი – შავად (შავი – შფოთვის, მღელვარებისა და შიშის სიმბოლოს).

ტაძრის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა დიდი თაღი – პაილოუ, რომელიც რომელიმე კონკრეტულ ღვთაებას ეძღვნებოდა. ტაძრის შესასვლელთან იდგმებოდა ლომის მსგავსი ფანტასტიკური ცხოველის ქვის დიდი ქანდაკება.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ტერიტორიაზე ლომი არ ბინადრობდა და მისი გამოჩენა სკულპტურაში ბუდიზმის გავრცელებას უკავშირდება, რომლის სიმბოლიკაში ლომი კანონების დამცველი და წმინდა ტაძრების გუშაგია. მოგვიანებით ლომების გამოსახულებები ჩინეთში ოფიციალურ დაწესებულებათა წინ და იმპერატორის, ასევე წარჩინებულთა აკლდამებზეც გამოჩნდა.

ჩინეთში ბუდიზმისა და ბუდისტური კულტურის აყვავების ზენიტს თანგის დინასტიის მმართველობის ხანა (618-907) წარმოადგენდა, დედაქალაქი ჩანგანი (თანამედროვე სიანი) კი ბუდიზმის სულიერ ცენტრად იქცა. ამის დასტურია იმ პერიოდში შექმნილი მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებშიც ჰარმონიულად იყო შერწყმული ახლად აღმოცენებული სტილი და უცხოური ელემენტები ძველ, ტრადიციული ჩინური კულტურის ელემენტებთან. მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა ბუდისტური სახვითი ხელოვნების, სკულპტურისა და არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშები, რომლებიც მსოფლიო მნიშვნელობის შედევრებადაა აღიარებული. ასეთია, მაგალითად, კანსუს პროვინციაში ქ. ტუნხუანგთან ახლოს მდებარე მოკაოს გამოქვაბულთა სატაძრო კომპლექსი, რომელიც ცნობილია ასევე „ათასი ბუდას გამოქვაბულების“ სახელით (იგებოდა მე-4-8 საუკუნეთა მანძილზე). ის 25კმ-ის სიგრძეზეა გადაჭიმული და მოიცავს რელიგიური, ასევე ყოფითი, სამეურნეო ხასიათის ფრესკებს, პეიზაჟებს, პორტრეტებს, ბუდასა და ბუდისტური ღვთაებების ქანდაკებებს. ყველაზე დიდი ბუდას სკულპტურა იქ 13 მ სიმაღლისაა. აღსანიშნავია ასევე ხენანის პროვინციაში, ქ. ლოიანის სამხრეთით, 13 კმ-ის დაშორებით მდებარე ლუნგმენის ბუდისტურ გამოქვაბულთა კომპლექსი (ლუნგმენ შიქუ). მას საფუძველი ჩაეყარა ჩრდილო ვეის დინასტიის ხანაში (386-539) და მისი მშენებლობა 400 წელი გრძელდებოდა. კომპლექსის სიგრძე 1 კმ-ია და მოიცავს უამრავ სვეტებს, ნიშებს წარწერებით, 70-ზე მეტ პაგოდას, სხვადასხვა ზომის 100000 ბუდას გამოსახულებას. მათგან ყველაზე დიდი 17,14 მეტრი სიმაღლის მჯდომარე ბუდას ქანდაკებაა. ანალოგიუ-

რი მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს, მაგრამ უსათუოდ, აღნიშვნას იმსახურებს 71 მეტრი სიმაღლის, კლდეში ამოკვეთილი ბუდას უზარმაზარი ქანდაკება, რომელიც სიჩუანის პროვინციაში მდებარეობს. ამ უზარმაზარ ქანდაკებაზე მუშაობა 713 წელს დაიწყო და 90 წელი გრძელდებოდა. მისი უნიკალურობის გამო, ის იუნესკოს მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაშია შეტანილი.

ხაზგასასმელია, რომ ბუდიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შუა საუკუნეების ჩინეთის არა მხოლოდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, არამედ მან ახალი ელემენტები შესძინა ჩინურ ფილოსოფიას, ლიტერატურასა და ხელოვნების სხვადასხვა დარგს. ბუდიზმმა ჩინეთში (ისევე როგორც კორეასა და იაპონიაში) ახალი იდეების და რწმენა-წარმოდგენების გარკვეული კომპლექსი შეიტანა, რომელიც იქ მანამდე საერთოდ არ იყო, ან ძალზე სუსტად იყო გამოხატული. საბოლოო ჯამში, ამ კომპლექსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის მთელ კულტურაზე. ბუდიზმით ეზიარა ჩინეთი ინდურ ლოგიკას, მათემატიკას, ასტრონომიას, მედიცინას და გაეცნო შუა აზიის ხალხთა კულტურას. ბუდისტური იდეებით იყო განმსჭვალული და შთაგონებული ადრეული შუა საუკუნეების ბევრი ჩინელი პოეტი, მხატვარი და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს მოღვაწე. ჩინეთში ბუდიზმის გავრცელების თვით პროცესი და ჩინური ბუდისტური ტრადიციის ფორმირება, წარმოადგენს მეტად ნაყოფიერი და ჰარმონიული ურთიერთგავლენის თვალსაჩინო ნიმუშს ინდურ და ჩინურ კულტურებს შორის. დროთა ვითარებაში ბუდიზმი შეერწყა ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებს, თავისი დოქტრინით კი გარკვეულწილად შეუთავსდა ჯერ ტაოიზმს, მოგვიანებით – კონფუციონიზმსაც, რამაც ხელი შეუწყო მას, რათა საბოლოოდ შესისხლხორცებოდა ჩინურ რეალობას.

მე-5-6 საუკუნეები ჩინეთში ბუდიზმის აყვავების ხანას წარმოადგენდა: ინტენსიურად ითარგმნებოდა ბუდისტური ლიტერატურა, იქმნებოდა ბუდისტური სკოლები, მატულობდა ბუდისტური ტაძარ-მონასტრების გავლენა, ისინი მსხვილ

მიწათმფლობელებად იქცნენ. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო მიწები გადასახადებისაგან თავისუფლდებოდა. მონასტრები ფლობდნენ ასევე სახელოსნოებს, მონებს, ჰყავდათ საკუთარი შეიარაღებული დაცვა, აწარმოებდნენ ვაჭრობასა და მევახშეობას. ბუდისტური ეკლესიის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის განუზომელი ზრდა პერიოდულად პროტესტს იწვევდა ხელისუფლების მხრიდან. ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე მოითხოვდა სამღვდელოების საგადასახადო პრივილეგიების გაუქმებას, საეკლესიო მიწების ნაწილის კონფისკაციას, გლეხების მონასტრების მიწებზე გადასვლის აკრძალვას, ასევე ტაძართა მშენებლობის შეზღუდვას. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ მე-5 საუკუნის 40-იან წლებში და მე-6 საუკუნის 70-იან წლებში მიმდინარეობდა მწვავე შეიარაღებული შეტაკებები საიმპერატორო ხელისუფლებასა და ბუდისტურ სამღვდელოებას შორის, რომელიც მუდამ ამ უკანასკნელთა გამარჯვებით სრულდებოდა. პარალელურად ქვეყანაში მომრავლდა ბუდისტური დღესასწაულების აღნიშვნა, მათ შორის ბუდასა და მისი დედის – მაიას დაბადების დღეების, ბუდას ცხოვრება-მოღვაწეობის ღირსშესანიშნავი თარიღების და სხვ.

მე-6-7 საუკუნეთა მიჯნაზე ჩინეთში ჩამოყალიბდა ბუდიზმის ძირითადი სკოლები, რომლებიც სამ ჯგუფად დაიყო: 1. ტრაქტატების სკოლები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ ფილოსოფიური პრობლემატიკით; 2. სუტრების სკოლები, რომლებიც ეფუძნებოდა ამა თუ იმ დოქტრინალურ ტექსტს, მისი ავტორობა კი ბუდას მიეწერებოდა და ბუდისტური ჭეშმარიტების უზენაეს გამომხატველად ითვლებოდა. მართალია, ამ ტიპის სკოლები რელიგიურ ტექსტებს ეფუძნებოდნენ, თუმცა, ხშირად თეორიულ-ფილოსოფიურ პრობლემატიკასაც ავითარებდნენ, რომლებსაც არაფერი ჰქონდათ საერთო ინდურ ტექსტებთან; 3. დჰიანას[1] სკოლები, რომლებიც

[1] დჰიანა სანსრკიტული ტერმინია და ნიშნავს – თვითჩაღრმავებას, მედიტაციას, ყურადღების კონცენტრაციას, მზერას. დჰიანა ძველინდური ბუდისტური მიმდინარეობა იყო, რომელიც თავის მიმ-

მთავარ ყურადღებას უთმობდნენ ბუდისტური ფსიქოტექნიკის პრაქტიკას, მედიტაციას, იოგას.

დჰიანას სკოლის საფუძველზე წარმოიშვა მიმდინარეობა ჩან-ბუდიზმი (რომელსაც დჰიანას ანალოგიური მნიშვნელობა გააჩნია). ლეგენდის თანახმად, მას საფუძველი ჩაუყარა ინდოელმა ბუდისტმა მოძღვარმა ბოდჰიდჰარმამ (440-528), რომელიც მე-6 საუკუნის დასაწყისში ინდოეთიდან ჩინეთში გადასახლდა. მან უარყო სუტრების შესწავლის აუცილებლობა, ყოველგვარი რიტუალები, ზოგადად, ადამიანის შეზღუდვა რაიმე ვალდებულებებით. მათ ნაცვლად, ჩან-ბუდიზმის მიმდევრებს ის მოუწოდებდა ცოდნის მიღებას თავისუფალი ლოგიკური ანალიზის, განსჯის, ინტუიციისა და ფიქრის გზით. ჭეშმარიტების ძიების გზაზე გასხივოსნების მისაღწევად, ასევე მნიშვნელოვან მეთოდად იყო მიჩნეული ერთგვარი დიალოგი მოძღვარსა და მოწაფეს შორის. კერძოდ, ამგვარი დიალოგის პროცესში მოძღვარი მოწაფეში გარკვეულ ასოციაციებს აღძრავდა, რაც თავის მხრივ, ინტუიციურ ბიძგს, სტიმულატორს წარმოადგენდა ამ უკანასკნელის გონების განვითარებისა და ე.წ. გასხივოსნებისათვის. აღსანიშნავია ჩან-ბუდიზმის სკოლის კიდევ ერთი სპეციფიკური მახასიათებელი: მისი მქადაგებლები დიდად აფასებდნენ ფიზიკურ შრომას, როგორც ადამიანისათვის სიამოვნების მინიჭების საშუალებას, განსაკუთრებით კი – კოლექტიურ შრომას. ისინი მოუწოდებდნენ თავიანთ მიმდევრებს, რომ ესწავლათ გარემომცველი ბუნების სილამაზითა და სიდიადით ტკბობა, რათა მთელი სისრულით აღექვათ მისი სიმდიდრე და მრავალფეროვნება. საბოლოო ჯამში, ჩან-ბუდიზმმა უდიდესი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ჩინურ, არამედ მთელი შორეული აღმოსავლეთის კულტურაზე, რამ-

---

დევრებს მოუწოდებდა, რომ განრიდებოდნენ გარე სამყაროს და საკუთარ ფიქრებში და გრძნობებში ჩაღრმავებულიყვნენ. დჰიანას მიზანი იყო ტრანსის მიღწევა მედიტაციის საშუალებით, რადგან ითვლებოდა, რომ ადამიანს სწორედ ტრანსის მდგომარეობაში ძალუძს ჩასწვდეს ჭეშმარიტების არსს, გასხივოსნებას (როგორც ეს თავად ბუდამ შეძლო).

დენადაც ის ჩინეთიდან აზიის სხვა ქვეყნებში გავრცელდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა რელიგიურ მიმდინარეობებთან შედარებით, ჩინეთში ის მცირერიცხოვნებით გამოირჩეოდა და მხოლოდ რამდენიმე მსხვილი სამონასტრო ცენტრი ჰქონდა.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ბუდიზმი ჩინეთის საიმპერატორო კარის მფარველობით სარგებლობდა. თუმცა, თანგის დინასტიის (618-907) ბოლო პერიოდში უცხოურ ზეგავლენას და ზოგადად, ყველაფერ არაჩინურს ხელისუფლება უკვე სიფრთხილით და სკეპტიკურად უყურებდა (მათ შორის იყო ბუდიზმიც). 845 წელს იმპერატორმა უ-წუნგმა ყველა უცხოური რელიგია აკრძალა, შესაბამისად, დაიწყო ბუდიზმის და მის მიმდევართა შევიწროება-დევნა, კონფისკაცია გაუკეთდა ბუდისტური თემის საკუთრებას და ა.შ. საქმე ის იყო, რომ ხსენებული იმპერატორი ტაოიზმის მიმდევარი იყო. აქედან გამომდინარე, მის მიზანს წარმოადგენდა ბუდისტური თემის ეკონომიკური დამოუკიდებლობის აღმოფხვრა და ბუდიზმის მიმდევართა მინიმუმამდე შემცირება. რეპრესიების შედეგად, მე-9 საუკუნის მეორე ნახევრიდან ბუდიზმის დაქვეითება დაიწყო, მან დაკარგა უწინდელი შემოქმედებითი ენერგია, თავისი ადგილი კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბუდიზმის აღორძინება დაიწყო სუნგის დინასტიის მმართველობის ხანაში (960-1279). ხსენებულ პერიოდში ის იქცა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად, რომელიც ხელისუფლების მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა (დაწესდა სპეციალური გადასახადები ბუდისტური თემისათვის). იმავდროულად, ბუდიზმი დიდი დოზით შეერწყა ადგილობრივ პოპულარულ რწმენა-წარმოდგენებს, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩინური რელიგიური სინკრეტიზმის ჩამოყალიბებაში.

ბუდისტური ღმერთების პანთეონი. ბუდისტური პანთეონი მრავალი ღვთაებებისგან შედგება. ჩინურ რეალობაში მათგან უმთავრესია წარსულის, აწმყოსა და მომავლის ბუ-

დები. ისინი განასახიერებენ ბუდიზმის მარადისობას დროის ამ სამ განზომილებაში. გარდა ძირითადი ბუდებისა, პატივი მიეგებოდა მეორეხარისხოვან ბუდებსაც, კერძოდ: მონანიების, მკურნალობის, სურვილების ასრულების და სხვა ფუნქციების მქონე ბუდებს. სულ ბუდიზმის პანთეონში ათასზე მეტი ბუდა არსებობდა, რომლებიც თითქოსდა სამყაროს შესაბამის დროსა და გარემოში ევლინებოდნენ. ბუდების უახლოეს თანამოაზრეებად ბოდჰისატვები ითვლებოდა – ზებუნებრივი არსებები, რომლებიც მიწიერი საქმეებით იყვნენ დაკავებულნი და ადამიანებს სიკეთეს უკეთებდნენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ღვთაებებმა მიაღწიეს წმინდანობის მაღალ სრულყოფილებას, მაგრამ ნირვანას ნეტარებაში არ გადასულან, რომელშიც ბუდები იმყოფებოდნენ. მათ უარი თქვეს ნირვანაში გადასვლაზე, რათა ადამიანებს „ხსნის ფართო გზაზე“ გასვლაში დახმარებოდნენ.

აწმყოს ბუდას ეწოდება შაკიამუნი, წარსულის ბუდას – ბუდა კაშბა. ბუდისტების აზრით, შაკიამუნის შემდეგ ერთმანეთს მრავალი ბუდა ჩაენაცვლება, რადგანაც ღმერთების სამყარო უსასრულოა. საბოლოოდ კი რვა მილიონ წელზე მეტი ხნის შემდეგ გამოჩნდება მაიტრეა, რომელიც მომავალს განასახიერებს. ამიტომაც მაიტრეას მომავლის ბუდა (ჩინურად – მილეფო) უწოდეს. გარეგნულად ის ბუდას ყველა სხვა გამოსახულებებისაგან განსხვავებულია: მსუქანი მამაკაცი, მოცინარი სახით, გაბრწყინებული თვალებით, გადახოტრილი თავით და უზარმაზარი მუცლით. ძველ ჩინეთში მას შეარქვეს მოცინარი ბუდა, ასევე – დიდღიპიანი მილე.

ერთ-ერთი ჩინური ლეგენდა მაიტრეას ჩინეთში გამოჩენის შესახებ ასეთ ამბავს გადმოგვცემს: დაახლოებით ათასი წლის წინ ჭენიანის პროვინციაში იდუმალებით მოცული ბერი გამოჩნდა, რომელსაც ზურგზე ტომარა ჰქონდა მოკიდებული. როდესაც მისთვის უკითხავთ, რა ჰქონდა ტომარაში, პასუხი იყო - „მთელი სამყარო“, მალე ის ჩინეთის ყველა მხარეში გაიცნეს ცი ცი-ს სახელით. ის დადიოდა სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ და ქადაგებდა სიკეთეს, გულისხმიერებას, სიყვარულს, ეხმარებოდა გაჭირვებულ ადამიანებს, უჩ-

ვენებდა მათ ხსნის გზას... ერთხელაც, უკვე მოხუცებული და დაუძლურებული ცი ცი ერთ-ერთ ბუდისტური ტაძრის ზღურბლზე დაეცა და წაიჩურჩულა: „ხალხო, თქვენ ვერ მიცანით! მე ხომ მაიტრეა ვარ“ და სული განუტევა. ასე გახდა წმინდა ცი ცი შაკიამუნის მემკვიდრე. მოცინარი ბუდას გამოსახულება იმ დროიდან სკულპტურაში განსახიერებული ბერის სახეა სწორედ იმ იდუმალი ტომრითურთ, საიდანაც ის ბუდიზმის წმინდა სიბრძნეს იძენდა. მორწმუნე ჩინელებმა გააღმერთეს ეს სახე და ამოუწურავი შესაძლებლობების, სიკეთისა და მოწყალების სიმბოლოდ აქციეს. მაიტრეას დიდი მუცელი და ტომარაც კი უსაზღვრო გულმოწყალების სიმბოლოებად დამკვიდრდა. მაიტრეას სტატუეტების წინ, როგორც წესი, დიდი იეროგლიფებით იწერებოდა: „ბუდა დიადი და ძლევამოსილია“. მაიტრეასა და შაკიამუნის გარდა, ჩინელებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბუდა ამითუოფუ (იგივე – ამითაბა), რაც ითარგმნება როგორც „უსასრულო სინათლე“. ეს ღვთაება სამოთხის, ბედნიერებისა და ყოველგვარი უბედურებისგან საუკეთესო დამცველის სიმბოლოს წარმოადგენდა. მორწმუნე ბუდისტებს სჯეროდათ, რომ ამითუოფუს სახელის ბევრჯერ წარმოთქმით, ადამიანს შეეძლო სამოთხეში მოხვედრილიყო, ზებუნებრივი ძალის მფლობელი გამხდარიყო.

ბუდისტური კანონების თანახმად, სამყაროს ზემოთ, სადაც ადამიანები ცხოვრობდნენ, სამი სამოთხე იყო. მათი კარები ღია იყო ბუდისტებისათვის მათი გარდაცვალების შემდგომ. ამ სამოთხის სამყაროს კი თითქოსდა სამი ყოვლისშემძლე ბუდა განაგებდა: შაკიამუნი, იაო ში და ამითუოფუ. შაკიამუნი აღიარებულია ცენტრალური სამოთხის მეთაურად, იაო ში აღმოსავლეთ სამოთხის გამგებელია და შაკიამუნის მარცხნივ გამოისახება. როგორც წესი, მას გამოსახავენ წმინდა ფიალით ხელში, რომელიც სამკურნალო ცვრითაა ავსებული. ეს ცვარი კი უკვდავების ძალას იძლევა და ყველა ავადმყოფობას არჩენს. მესამე ბუდა – ამითუოფუ შაკიამუნის მარჯვენა მხარესაა, ის დასავლეთის სამოთხის ღვთაებაა და დღეგრძელობის ბუდას განასახიერებს. მას

ორივე ხელი მუხლებზე უწყვია, ხელისგულებით ზემოთ და ერთ მათგანზე ლოტოსი უდევს – სიწმინდისა და უკვდავების სიმბოლო. ჩინურ ტაძრებში ბუდები, როგორც წესი, მოკეცილი მუხლებით სხედან. მათი ჩაცმულობა სადაა, ხელებისა და თითების სხვადასხვა მდგომარეობას გარკვეული სიმბოლური დანიშნულება აქვს. მაგალითისათვის, დავასახელოთ ჩინური ბუდების რამდენიმე, ყველაზე გავრცელებული პოზა: მუხლზე დადებული ხელის მტევნით ბუდამ თითქოს გასრისა უწმინდური ძალა და ადამიანები გაათავისუფლა მისი მავნე ზემოქმედებისაგან. მარჯვენა ხელი ნებისმიერ შემთხვევაში ბუდას სიბრძნის სიმბოლოა, რომელიც ყველას ასწავლის, თუ როგორ უნდა იცხოვროს. მეორე პოზა: მარცხენა ხელი წინ გაწვდილი, თავის დონეზე, მარჯვენა ხელი კი, გაშლილი მტევნით ხალხისკენაა მიმართული. მარცხენა ხელის ჟესტი ნიშნავს: „ადამიანებო, ნუ გეშინიათ!“ მარჯვენასი კი - „მე ყველაფერს გავაკეთებ, რაც თქვენ გსურთ!“. ზოგჯერ ბუდას ორივე ხელი ისეთ მდგომარეობაში აქვს, თითქოს ბურთი უჭირავს. ასეთ შემთხვევაში ბუდა „კანონების ბორბალს“ ატრიალებს, რათა სამყარო ბოროტებისგან გაწმინდოს. ხშირად ბუდა გამოისახება ასევე ხელაწეული და საჩვენებელი თითი რკალივით აქვს მოკაკვული. ეს ნიშნავს, რომ მოძღვარი ქადაგებს, ასწავლის მორწმუნეებს და გზას უჩვენებს მათ.

ყველა გამოსახულებაში ბუდას შუბლზე კოპი აქვს – სიდიადისა და მიუწვდომლობის სიმბოლო. ცისფრად შეღებილი თმა მიუთითებს, რომ ის ცაში იმყოფება. რაც შეეხება ლოტოსს, ის ჩინელთა საყვარელი ყვავილია (მისი სამშობლო ინდოეთია), რომელიც ივლისში და აგვისტოში ყვავის, დილას იშლება და ღამით იხურება, ცოცხლობს სამი დღე. მართალია, ის ჭუჭყში და ჭაობში იზრდება, მაგრამ თვითონ არასოდეს ისვრება. ჩინელთა წარმოდგენით, ლოტოსი ძველთაგანვე სილამაზის, სიწმინდისა და კეთილშობილების სიმბოლო იყო. ამიტომაც იყო, რომ ჩინური კლასიკური პოეზიის უამრავი ნიმუში ლოტოსს ეძღვნებოდა, ასევე ბუდა ხშირად გამოისახებოდა ლოტოსის ყვავილზე მჯდომი. აღსანიშნავია,

რომ ბუდას ქანდაკებების წინ მუდამ ანთია ცეცხლი – ითვლება, რომ „სინათლე ადამიანის გონებას სიბრძნით ასაზრდოებს“. ქანდაკებები მაღალ კვარცხლბეკზეა განთავსებული, რომელიც ორნამენტებით გაფორმებულ ჩინელთა წმინდა მთა სუმერუს განასახიერებს. ასეთი კვარცხლბეკები ფართოდ იყო გავრცელებული ჩინეთში, ამასთან, იდგმებოდა არა მხოლოდ ბუდისტურ ტაძრებში, არამედ სასახლეებშიც. ხშირად ბუდებს ხელებზე ფერადი აბრეშუმის ლენტები აქვთ შებმული (ჰადა), რაც ძვირფას საჩუქრად ითვლებოდა, მისი ჩუქებით გამოიხატებოდა ერთგულება, სიყვარული, პატივისცემა და მორჩილება.

ეგრეთ წოდებულ მეორეხარისხოვან ღვთაებათა შორის, ჩინეთში განსაკუთრებული პატივი მიეგებოდა ბოდჰისატვა გუანინს, რომელსაც უწოდებდნენ ასევე ძიუ-ნანს, რაც ნიშნავს – უბედურებისგან, ტანჯვისაგან მხსნელს. ტრადიციული წარმოდგენების მიხედვით, ვისაც რაიმე უბედურება შეემთხვეოდა, გუანანს უნდა შევედრებოდა საშველად. ხსენებულ ღვთაებას მიმართავდნენ ცოდვილები იმ იმედით, რომ ის დაიხსნიდა მათ ჯოჯოხეთის ცეცხლისგან. მას შესთხოვდნენ უშვილო ქალები, რომლებიც შვილის ყოლაზე ოცნებობდნენ. ბოდჰისატვა გუანინს მიეწერებოდა საოცარი გარდასახვის უნარი. მას ძალუძდა ყველგან გამოჩენილიყო ადამიანის ან რომელიმე ცოცხალი არსების სახით, რათა ადამიანები დაემშვიდებინა, ტანჯვისგან ეხსნა, შეენდო მათთვის ცოდვები, გამოეხატა სიყვარული მათ მიმართ.

საყურადღებოა, რომ ინდოელი ბუდისტების მტკიცებით, გუანინი მამრობითი სქესის იყო. ჩინეთშიც თანგის დინასტიამდე (618-907) მას მამაკაცის სახით გამოსახავდნენ ბუდისტურ მონასტრებში. თუმცა, მოგვიანებით ის ქალღმერთი გახდა და მისი გამოსახვა დაიწყო გაშლილი თმებიანი ქალის სახით, რომელსაც ხელში ბავშვი ეჭირა. შესაბამისად, ჩინეთში გუანინის ტრანსფორმირება მოხდა დედათა და ბავშვთა მფარველ ქალღმერთად. გუანინისადმი მიძღვნილი ღვთისმსახურება განსაკუთრებული პომპეზურობით გამოირჩეოდა: ბერები საუკეთესო სამოსს იცვამდნენ და გულ-

მოდგინედ განიბანებოდნენ. ერთი საათის მანძილზე ღვთისმსახურების დაწყებამდე და მისი დასრულების შემდეგ, ბერებს ეკრძალებოდათ სხვა საქმით დაკავება და საუბარი. ცერემონიის დაწყებისას, გუანინის გამოსახულების წინ ყვავილებს და ფერად-ფერად ქსოვილებს აწყობდნენ, საკუთრხეველზე სურნელოვან სანთლებს ანთებდნენ და ძღვენს დებდნენ. იმავდროულად ბერები ლოცვებს კითხულობდნენ და მგალობლები გალობდნენ.

ბუდისტურ ტაძრებში შუამავლის როლს ღმერთებსა და ადამიანებს შორის ბერები ასრულებდნენ. მორჩილი, რომელიც ბერად შედგომისათვის ემზადებოდა, უნდა დაეცვა შემდეგი წესები: არ დაქორწინებულიყო, არ ეცრუა, ფუფუნების საგნები არ შეეძინა, არ მიეღო მონაწილეობა ცეკვებში და თეატრალურ წარმოდგენებში, არ ჰყოლოდა პირუტყვი, არ ჰქონოდა ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი ქვები. როდესაც ახალგაზრდა 20 წლის შესრულდებოდა, მას თავს გადაპარსავდნენ და სპეციალურ სამოსს ჩააცმევდნენ. ჩინის მისაღებად მას სამი წლის მანძილზე წმინდა ტექსტები უნდა ესწავლა. ამის შემდგომ მოძღვარი მას ტაძარში წაიყვანდა და ბუდას გამოსახულების წინ დააჩოქებდა, ეს უკანასკნელი კი განაცხადებდა, რომ ნებაყოფილობით იღებდა ბერულ წესებს. ბერად გახდომისათვის, ზემოხსენებულთან ერთად, სხვადასხვა განსაცდელისთვის უნდა გაეძლო კანდიდატს. მაგალითად, მისი ნებისყოფისა და გამძლეობის შესამოწმებლად, მას თავზე გავარვარებულ ნახშირს ადებდნენ, ან ანთებულ სანთლებს და სხვ. თუ გამოსაცდელი ახალგაზრდა ასეთ შემთხვევებში ტკივილს შეიმჩნევდა ან გაინძრეოდა, მას მონასტერში არ მიიღებდნენ, ხოლო ვინც წარმატებით გადალახავდა ყველა განსაცდელს, ის ბერი ხდებოდა და საამისო საბუთიც ეძლეოდა. ღვთისმსახურების დროს ბერები ყვითელ ფერებში იმოსებოდნენ, სხვა შემთხვევებში კი – ნაცრისფერ სამოსში.

ბუდას ქანდაკებებთან ტაძრებში, როგორც წესი, ბევრი კანდელი და სურნელოვანი ჯოხები (სანდალოზის ხისგან დამზადებული) იყო. ტაძარში შემსვლელს კანდელიდან უნდა

მოეკიდებინა ცეცხლი სამი სურნელოვანი ჯოხისათვის და ნაცარში ჩაერჭო ისინი. ამით მორწმუნე თავის მოწიწებას და პატივისცემას გამოხატავდა ღვთაებების მიმართ. ჩინეთის მოსახლეობაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო ღვთაება ჩენვანგის ტაძრები, რომელიც ქალაქის მფარველად ითვლებოდა. თუ სხვა ტაძრებს ყოველდღიური სათხოვარით მიმართავდნენ მორწმუნე ბუდისტები, ჩენვანგის ტაძარში მხოლოდ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საკითხებზე რჩევის მისაღებად მიდიოდნენ. ჩენვანგი ბუდიზმის მიმდევრებში მიჩნეული იყო შუამავლად მიწას, ცასა და ჯოჯოხეთს შორის. მათი რწმენით, ის ყველა სხვა ღვთაებებზე უკეთესად ერკვეოდა რთულ და ჩახლართულ დანაშაულებში, კურნავდა ყველაზე მძიმე დაავადებებს, სჯიდა ბოროტ ადამიანებს და დამნაშავეებს. ყოველივე ამით ის სამართლიანობის აღდგენაში ეხმარებოდა ადამიანებს. ჩენვანგის გარეგნული იერი მის შინაგან სამყაროს გამოსახავდა: მკაცრი სახის, წარბშეკრული და ჩაფიქრებული, რომელიც თითქოსდა რაიმე რთული საქმის გადაწყვეტის ფიქრებშია ჩაძირული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეს ღვთაება განსაკუთრებულ შიშს გვრიდა მორწმუნეებს, რადგან ჯოჯოხეთში მოხვედრის ყველას ეშინოდა. ჩენვანგის კულტი უშუალოდ იყო დაკავშირებული ჯოჯოხეთის ღმერთების თაყვანისცემასთან, ამიტომ მის ტაძარში, როგორც წესი, განთავსებული იყო ჯოჯოხეთისა და საშინელი სამსჯავროს გამოსახულებები.

საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ღვთაება ერთდროულად ტაოიზმის პანთეონსაც ეკუთვნოდა და ბუდისტურსაც, ამიტომ მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება რთულია. როგორც ზემოთ ითქვა, გუანინი ბუდისტური პანთეონის ქალღმერთი იყო, თუმცა მოგვიანებით ის ტაოსურ პანთეონშიც ჩაერთო. შესაბამისად, მის გამოსახულებას საპატიო ადგილი ეკავა როგორც ტაოსურ, ისე ბუდისტურ ტაძრებში. ბუდიზმის ომის ღმერთს – გუანდის პატივს მიაგებდნენ ტაოიზმის მიმდევრებიც. ღვთაებრივი ნეფრიტის იმპერატორი დიდ ხნის მანძილზე ტაოსური ღმერთი იყო, თუმცა, ის ბუ-

დისტებმაც ჩართეს თავიანთ პანთეონში. ამგვარი მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ რამოდენიმე მათგანის დასახელებით შემოვიფარგლებით, რაც ცალსახად მიუთითებს რელიგიური სინკრეტიზმის არსებობაზე ისტორიულ ჩინურ რეალობაში. ბუდიზმზე მოქცეული ჩინელი იმავდროულად აგრძელებდა ცის, მიწის, მთავარის, მზის და წინაპართა სულების თაყვანისცემას, ასევე კონფუცის მორალური მცნებების დაცვას და სხვა. შესაძლებელი იყო მორწმუნე ჩინელი კონფუციონელი ყოფილიყო და პარალელურად ბუდიზმისა და ტაოიზმის მოძღვრებებისათვისაც მიეგო პატივი. ზემოთქმულის მიუხედავად, მაინც შესაძლებელია ამ სამი მოძღვრების განსაკუთრებული მახასიათებლის გამოყოფა: კონფუციონიზმში ეს არის დოქტრინა საზოგადოებაში და ოჯახში უფროსების მიმართ უმცროსების მორჩილების შესახებ, ტაოიზმში – იმქვეყნიური ძალების მისტიკური რწმენა, ბუდიზმში კი – ცხოვრებისეულ სიამოვნებათაგან განდეგილობა. ხალხურ წარმოდგენებში კონფუციონიზმი, ბუდიზმი და ტაოიზმი ერთიან კომპლექსად აღიქმებოდა, ამიტომაც ჩინეთში შეუძლებელი იყო რომელიმე მათგანის ცალკე გამოყოფა. სწორედ ამან განაპირობა იქ რელიგიური სინკრეტიზმის აღმოცენება.

ბუდიზმმა ჩინეთში შეიტანა მოძღვრება სამოთხესა და ჯოჯოხეთზე (აღსანიშნავია, რომ ეს ტაოიზმის ატრიბუტიც არის), მიწისქვეშა სამეფოზე და იმქვეყნიურ შურისგებაზე. ბუდისტურ სამოთხეს ჩინეთში ეწოდა „უმაღლესი სიხარულის სამყარო“. ხალხს სჯეროდა, რომ არსებობდა ე.წ. „ჩრდილების სამყაროც“, რომელიც მიწისქვეშა ცხოვრებას ესადაგებოდა: გარდაცვლილთა სულებს იქ სჯიდნენ ცუდი საქციელისათვის და იწონებდნენ მათ ღირსეულ ქმედებებს. სამოთხის მახასიათებელი იყო: თაფლის მდინარეები, ოქროს ხეები არაჩვეულებრივი ნაყოფით, მუსიკის ჰანგები, სიმღერები და ნეტარება. ბუდისტური სამოთხის განსაკუთრებულობა კი იმაში მდგომარეობს, რომ იქ არ არიან ქალები; თუკი ისინი მაინც დაიმსახურებდნენ და მოხვდებოდნენ სამოთხეში, მაშინვე მამაკაცებად იქცეოდნენ. სამოთხესთან დაპირისპირე-

ბული იყო ჯოჯოხეთი. ჩინურად მას ეწოდება დი-იუი ანუ მიწისქვეშა ციხე, ასევე ქვესკნელი, რომელიც მდებარეობდა მიწის ქვეშ ღრმად, უზარმაზარი ოკეანის ფსკერზე. ჯოჯოხეთის მბრძანებლად აღიარებული იყო სიკვდილის ღმერთი – იამა (ჩინურად მას უწოდებენ ასევე იანგ ლოვანს).

ამგვარად, ჩინური ბუდიზმი განსხვავდებოდა ინდური ბუდიზმისაგან, თუმცა, მასში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კლასიკური ბუდისტური ნორმები და კანონები. ინდური ბუდიზმი გულისხმობდა მკაცრ ასკეტიზმს, ბერების განცალკევებას გამოქვაბულებსა და მღვიმეებში, ხანგრძლივ მედიტაციას, უამრავ აკრძალვებს და ა.შ. თვითსრულყოფის ამგვარი მეთოდები იმდენად შორს იყო ჩინელი საზოგადოებისაგან, რომ ბუდიზმის მიმდევართა მზარდი რაოდენობის მიუხედავად, მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ჰქონდა ადეკვატურად გააზრებული ამ მოძღვრების ჭეშმარიტი არსი. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთში თავისი ძლიერების ზენიტში ყოფნის დროსაც კი, ბუდიზმმა ვერ მოიპოვა მონოპოლიური პოზიცია იდეოლოგიურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ სფეროებში. კონფუციონიზმთან და ტაოიზმთან ერთად, ის ე.წ. სამი მოძღვრების ანუ სამი რელიგიის სინკრეტულ ტრიადას ქმნიდა, სადაც თითოეული მათგანი გარკვეული დოზით ერთმანეთს ავსებდა.

ტიბეტური ბუდიზმი – ლამაიზმი

ბუდიზმის სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ლამაიზმს,[1] რომელიც ტიბეტში ჩაისახა, მოგვიანებით კი გავრცელდა მონღოლეთში და რუსე-

[1] ლამა – ტერმინი ტიბეტური წარმოშობისაა და ნიშნავს – უმაღლესს, უმაღლეს ქურუმს. ეს ტერმინი იგივეა, რაც სანსკრიტული „გურუ"; ის გამოიყენება მონაზვნების, ბერების და ლამაიზმის სხვა პრაქტიკოსების ტიტულის გამოსახატავად.

თის ტერიტორიაზე (ბურიატიაში, ტუვაში და ყალმუხეთში). ტიბეტი მდებარეობს ჩინეთის დასავლეთ ნაწილში ტიბეტის პლატოზე, რომელიც დედამიწის უმაღლეს რეგიონადაა აღიარებული (მისი სიმაღლე 4900 მეტრია) და ამიტომაც ის მოიხსენიება ასევე, როგორც „სამყაროს სახურავი“. ზოგადად, ტიბეტი მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს როგორც გეოგრაფიული, ისტორიულ-კულტურული, ისე რელიგიური და პოლიტიკური კუთხით. ამჯერად ჩვენი ყურადღების ობიექტს მისი რელიგიური ასპექტები წარმოადგენს.

რამდენადაც ტიბეტი ყველა მხრიდან მაღალი მთებით იყო შემოფარგლული, საუკუნეთა მანძილზე ის შედარებით იზოლაციაში იმყოფებოდა მეზობლებისაგან და თავად ჩინეთის ხელისუფლებისგანაც. რეგიონში გავრცელებული იყო პრიმიტიული მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ზოგან კი მოსახლეობა მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა, მკაცრი კლიმატის გამო. რელიგიური კულტებიდან უმთავრესად გავრცელებული იყო შამანიზმზე და ანიმისტურ კულტზე დაფუძნებული ადგილობრივი რელიგია ბონ-პო. ტიბეტში ბუდიზმის შეღწევის თარიღთან დაკავშირებით, სხვადასხვა ცნობები არსებობს. ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, ბუდიზმის გავრცელება სრონცზან გამბოს ზეობის ხანაში (629-649) დაიწყო. მისი ორი მთავარი მეუღლე – ნეპალელი და ჩინელი პრინცესები ბუდისტები იყვნენ, რომლებმაც ტიბეტში ჩაიტანეს ბუდისტური რელიკვიები და წმინდა ტექსტები. ამ სიწმინდეების გაცნობის საფუძველზე, სრონცზან გამბომ ბუდიზმი მიიღო და მისი გულმხურვალე მფარველიც გახდა. შედეგად, ის და მისი ორივე მეუღლე გაღმერთებულ იქნენ და საყოველთაო თაყვანისცემის ობიექტებად იქცნენ, თვით მეფე კი განიხილებოდა ბუდა ამითუოფუს განსახიერებად. მაგრამ გამბოს ნაადრევმა სიკვდილმა შეაჩერა ბუდიზმის ფართოდ გავრცელება ტიბეტში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდათ ბონ-პოს რელიგიის ქურუმებს. მთელ ქვეყანაში გაიშალა ანტიბუდისტური მოძრაობა: ნადგურდებოდა ტაძრები, წმინდა წიგნებს ფლავდნენ მიწაში ან წვავდნენ, ამსხვრევდნენ ბუდისტურ ღვთაებათა გამოსახუ-

ლებებს და ა.შ. ასე რომ, ლამაიზმმა საკმაოდ გრძელი და რთული გზა განვლო, მანამ საბოლოოდ მოხდებოდა მისი გამარჯვება ტიბეტში.

ბუდიზმის აღორძინების ახალი ეტაპი ტიბეტში უკავშირდება მეფე ტისრონგის სახელს, რომელმაც ინდოეთიდან მოიწვია ცნობილი სასულიერო მოღვაწე პადმა სამბჰავა. მათი ერთობლივი ძალისხმევით მოხდა ტიბეტური ბუდიზმის რეფორმირება, დაიწყო ტიბეტურ ენაზე ბუდისტური წმინდა ტექსტების თარგმნა, ახლებურად ჩამოყალიბდა ლამაისტური სასულიერო კორპორაცია, რომელსაც უზარმაზარი უფლებები და პრივილეგიები მიენიჭა. 978 წელი ტიბეტური ბუდიზმის ოფიციალურად გაფორმების თარიღად ითვლება. პადმამ მეფესა და 25 შერჩეულ ახალგაზრდას ბუდისტური საკულტო საიდუმლო გაანდო. ამგვარად განსწავლულები, რომლებიც უკვე ლამები ხდებოდნენ, სასწაულების მოხდენის უნარებს იძენდნენ, კერძოდ, შეეძლოთ ეფრინათ, როგორც ფრინველებს, მზის სხივზე გაევლოთ, უბრალო ნივთები ოქროდ ექციათ და სხვა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ტიბეტში კვლავ გაიშალა ანტიბუდისტური მოძრაობა, ამჯერად ხელისუფლების ხელშეწყობით. საქმე ის იყო, რომ ქვეყანაში შექმნილი კრიზისული სიტუაციის, შიმშილობისა თუ სტიქიური უბედურებების მთავარ დამნაშავედ ბუდიზმი იქნა გამოცხადებული, რომლის ზეგავლენითაც დავიწყებულ იქნა ადგილობრივი რელიგია ბონ-პო – ტიბეტელების კეთილდღეობის დამცველი. იმ პერიოდში კვლავ დაიწყო ტაძრების ნგრევა, წმინდა წიგნების დაწვა, ლამების გადინება ქვეყნიდან, ლამაიზმის მიმდევართა დევნა.

ლამაიზმის საბოლოოდ გამარჯვება და გაბატონება ტიბეტში მე-11 საუკუნის შუა ხანებში მოხდა, რაც ინდოელი სასულიერო მოღვაწის ატიშას (982-1054) აქტიურ რეფორმატორულ საქმიანობას უკავშირდება. ატიშა ბენგალიაში, სამეფო ოჯახში დაიბადა, სათანადო განათლების მიღების საფუძველზე, ის მაგადჰას სამეფოში მაჰაიანას მიმდევართა მეთაური გახდა. ტიბეტში კი ის 1040 წელს ჩავიდა, სასულიერო პირთა მხრიდან ხანგრძლივი თხოვნებისა და მიწვევების შემდეგ (ნეპალის გავლით). ატიშამ იქ შემოიკრიბა ინდოელ და ტიბეტელ ბერთა დი-

დი ჯგუფი და გაატარა მთელი რიგი რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო კლასიკური ბუდიზმის ტრადიციების, განსაკუთრებით კი სამონასტრო დისციპლინის განმტკიცებისაკენ. მისი ძალისხმევით რამდენიმე მსხვილი მონასტერი დაარსდა, რომლებიც ტიბეტში ბუდიზმის გავრცელების ცენტრებად იქცნენ. გარდა ამისა, ატიშა ცდილობდა ბუდიზმი გაეთავისუფლებინა შამანური და მაგიური წეს-ჩვეულებებისაგან (რაც ბონ-პოსთვის იყო დამახასიათებელი). მართალია, მის ინოვაციურ ღონისძიებებს თავიდან დიდი წინააღმდეგობები შეხვდა პადმა სამბჰვას მომხრეებისაგან, მაგრამ საბოლოოდ მისმა სწავლებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ტიბეტში ლამაიზმის გამარჯვებაში. საქმე ის იყო, რომ ტიბეტური ბუდიზმი წარმოადგენდა ჰინაიანას, მაჰაიანასა და ბონ-პოს ერთგვარი სინთეზის პროდუქტს. ეს უკანასკნელი კი მოიცავდა შამანურ, მაგიურ კულტებს და ტანტრიზმის[1] სხვადასხვა ელემენტებს. ტანტრიზმმა უდიდესი ზეგავლენა იქონია ლამაიზმზე. კერძოდ, ლამაიზმის თითქმის ყველა სპეციფიკური მახასიათებელი, ბევრი მისი კულტი და წეს-ჩვეულება, უპირველეს ყოვლისა, ბუდისტური ტანტრიზმის საფუძველზე აღმოცენდა.

მე-11 საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, ტიბეტი მოიფინა პაგოდებისა და მონასტრების ფართო ქსელით, რომლებმაც წამყვანი პოზიციები მოიპოვეს როგორც იდეოლოგიურ, ისე პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ატიშას მოწაფეები წარმატებით აგრძელებდნენ მის რელიგიურ პოლიტიკას: შეიზღუდა ბერების მიერ მაგიის ხელოვნების გამოყენება, დამყარდა მკაცრი სამონასტრო დისციპლინა, წინა პლანზე

---

[1] ტანტრიზმი – სანსკრიტულად ტანტრა ნიშნავს – ტექსტი, ძაფი, კავშირი. ეს არის ბუდიზმისა და ინდუიზმის სხვადასხვა მიმდინარეობათა საერთო სახელწოდება. ინდუიზმში ტანტრიზმი ეყრდნობა ტანტრას წმინდა ტექსტებს და შივას მეუღლის – შაქტის ქალური ენერგეტიკული საწყისის კულტს. ბუდიზმში კი ტანტრიზმის მთავარი მახასიათებელია მისტიკა და მაგია, რითაც გაჯერებული იყო მისი ყველა რიტუალი. ტანტრას მისტიკურ-მაგიური საფუძვლები ასახვას ჰპოვებდა ორ ძირითად ასპექტში – მედიტაციაში და მაგიურ წეს-ჩვეულებებში.

გადმოიწია რელიგიურმა მორალმა (რიტუალების ნაცვლად). ლამაიზმის ისტორიაში განსაკუთრებული გამორჩეული ადგილი უჭირავს ცზონხავას (იგივე – ცზონკაბა, 1357-1419). ის იყო აღმოსავლეთ ტიბეტის მკვიდრი, რომელმაც საუკეთესო ბუდისტური განათლება მიიღო და ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ასაკში მაღალ სასულიერო წოდებებს მიაღწია. შედეგად, მან ძალზე დიდი პოპულარობა მოიპოვა, ტიბეტის სხვადასხვა კუთხიდან მასთან მიდიოდნენ მოწაფეები და მიმდევრები, რომლებიც მისგან ცოდნისა და რჩევა-დარიგების მიღებას ეშურებოდნენ. ცზონხავამ კიდევ უფრო განავრცო ზემოხსენებული ატიშას რეფორმები: ბერები არ უნდა დაქორწინებულიყვნენ, მინიმუმამდე შეზღუდა მაგიური წეს-ჩვეულებების პრაქტიკა, კიდევ უფრო გაამკაცრა სამონასტრო დისციპლინა, ტანტრიზმის რიტუალები და კულტები საგრძნობლად შეკვეცა. ცზონხავამ ლამები დაყო ფუნქციებისა და რიტუალების შესრულების შესაძლებლობათა მიხედვით. კერძოდ, არსებობდნენ ასტროლოგი, მკითხავი, მედიკოსი ლამები, ასევე დაკრძალვათა სპეციალისტი და სწავლული ლამები. მის სახელს უკავშირდება ასევე ლამაიზმში რთული რიტუალების დაფუძნება, რომლის დროსაც გამოიყენებოდა თეატრალური ხელოვნების ელემენტები და მუსიკა. ამგვარი მისტერიები სრულდებოდა სხვადასხვა ღვთაებათა პატივსაცემად, ბოროტი სულების ზემოქმედებისგან მოსახლეობის განწმენდის მიზნით, წმინდანთა დღეობების, ასევე რაიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად.

ლამების იერარქიაში ორი უმაღლესი წოდება წარმოიშვა: დალაი-ლამა და პანჩენ-ლამა, რომლებიც სასულიერო და საერო ხელისუფლებას განასახიერებდნენ.[1] მე-16 საუკუნი-

[1] მე-18 საუკუნის შუა ხანებში ჩინეთის იმპერატორმა ციან ლუნგმა (1736-1795) ტიბეტში გააუქმა საერო და სასულიერო ხელისუფლებათა დაყოფა და მთელი ძალაუფლება დალაი-ლამას დაუტოვა. მე-17-19 საუკუნეებში ტიბეტი ფორმალურად ჩინეთის ვასალურ სამფლობელოდ ითვლებოდა, თუმცა, ისევე როგორც ადრეულ პერიოდში, ჩინეთის საიმპერატორო კართან მისი კონტაქტები ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა.

დან ტიბეტის დალაი-ლამამ ჩინეთისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელება დაიწყო და იმავდროულად ტიბეტი თეოკრატიული სახელმწიფო გახდა. ლამაისტური ტრადიციის მიხედვით, როდესაც დალაი-ლამა (ან პანჩენ-ლამა) გარდაიცვლებოდა, მისი სული თითქოსდა ჩასახლდებოდა იმ დროს დაბადებულ მამრობითი სქესის ბავშვში, რომლის ძებნა მაშინვე იწყებოდა. დალაი-ლამას კრემაციის დროს, თვალს ადევნებდნენ კვამლის მიმართულებას, რათა გარკვეულიყო, თუ სად მოხდებოდა მისი ხელმეორედ დაბადება. როდესაც მაღალი ლამები რამდენიმე შესაფერის ბავშვს იპოვნიდნენ, ხდებოდა მათი გულდასმით შემოწმება, რათა გარკვეულიყო, თუ რომელი ბავშვი იყო გარდაცვლილი დალაი-ლამას ჭეშმარიტი რეინკარნაცია. ერთ-ერთი მთავარი ტესტი შემდეგში მდგომარეობდა: ბავშვებს დაუწყობდნენ სხვადასხვა ნივთებს, მათ შორის გარდაცვლილი დალაი-ლამას (ან პანჩენ-ლამას) კუთვნილ ნივთს. რომელი ბავშვიც მისკენ გაიწევდა ან ხელში აიღებდა, სწორედ ის ხდებოდა რჩეული (ასეთ ბავშვებს ხუბილგანები ეწოდებოდა). დალაი-ლამა ითვლებოდა ბოდჰისატვა ავალოკიტეშვარას განსახიერებად, პანჩენ-ლამა კი – ბუდა ამითუოფუსი. სრულწლოვანების მიღწევამდე ხუბილგან ბავშვს რეგენტები ენიშნებოდა მაღალი სასულიერო პირთა რიგებიდან, რომლებიც ამ ხნის მანძილზე ტიბეტს მართავდნენ. მას ძალიან მკაცრ რეჟიმში ზრდიდნენ, მშობლებისგან მოწყვეტილად, მონასტრის კედლებში. თუკი წამოზრდილი ხუბილგანი ეურჩებოდა რეგენტს ან მის ინტერესებს არ ითვალისწინებდა და საკუთარი სურვილისამებრ მოიქცეოდა, მას სავალალო აღსასრული ელოდა. ტიბეტის ისტორიაში არაერთი მაგალითი არსებობს, რომ ასეთ ბავშვს სხვადასხვა გზით თავიდან იშორებდა რეგენტი.

გვიან შუა საუკუნეებში ტიბეტში უმაღლესი სასულიერო და პოლიტიკური ძალაუფლება დალაი-ლამას ხელში აღმოჩნდა კონცენტრირებული, რომელიც ცოცხალ ღმერთად იყო შერაცხული. მისი რეზიდენცია დედაქალაქ ლჰასაში (რომელიც წმინდა ქალაქად ითვლებოდა) განთავსდა, ულამაზეს სასახლის კომპლექსში – პოტალაში, რომელიც მე-17

საუკუნეში აიგო (მისი მშენებლობა 1645 წელს დაიწყო). პოტალა შედგება თეთრი და წითელი სასახლეებისგან: თეთრი – წარმოადგენს პოლიტიკურ ცენტრს, წითელი ანუ ცენტრალური სასახლე კი განკუთვნილია რელიგიური ღონისძიებებისათვის, დალაი-ლამების კურთხევისათვის[1] და სხვა ტრადიციული რიტუალებისათვის. პოტალას სასახლე ტიბეტური ბუდიზმის სიმბოლოს და სიწმინდეს განასახიერებს.

ლამაიზმის ღმერთების პანთეონი. ლამაიზმის ღმერთები და ღვთაებები საკმაოდ მრავალრიცხოვანია, ამასთან, მათი არსი და ფუნქციები ხშირ შემთხვევებში ერთმანეთში აღრეულია. აქედან გამომდინარე, ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ მთავარ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან ღვთაებებზე. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მაჰაიანას ბუდიზმში არსებული მრავალრიცხოვანი ბუდების, ბოდჰისატვებისა და წმინდანების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა ლამაიზმში. იერარქიულად მათ სათავეშია და ყველაზე მეტად პატივდებულია არა თავად მთავარი ბუდა (ანუ გაუტამა შაკიამუნი), არამედ – ამითუოფუ (რომლის შესახებ ზემოთ იყო საუბარი). ის აღიარებულია დასავლეთის სამოთხის მბრძანებლად, შაკიამუნის საქმეთა გამგრძელებლად და ამჟამინდელი სამყაროს შემქმნელ-მფარველად. დიდი პატივი მიეგება ასევე ამითუოფუს ემანაციას – ბოდჰისატვა ავალოკიტეშვარას, რომლის განსახიერებადაც დალაი-ლამა ითვლება. სხვა ბუდებსა და ბოდჰისატვებს შორის (მათი რაოდენობა ლამაიზმში ათასს აღწევს) განსაკუთრებით გამორჩეულები არიან მომავლის ბუდა მაიტრეა და მანჯუშრი (იგივე მანჯუგოშა) – სიბრძნის მფარველი, ღვთაებრივი ზეშთაგონების მქონე და სამ-

[1] როგორც ცნობილია, ამჟამინდელი დალაი-ლამა დევნილობაში იმყოფება ინდოეთში (1959 წლიდან), პოლიტიკური მიზეზების გამო. იმდროინდელმა ინდოეთის პრემიერმინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ მას და მის მრავალრიცხოვან მიმდევრებს თავშესაფარი მისცა. ინდოეთის ტიბეტური ქალაქია დარამშალა (ჩრდილოეთ ინდოეთის მთიანეთში). ტიბეტური უბანი არის ქ. დელიშიც. პოტალას თეთრ სასახლეში კი დღესდღეობით არის ადგილობრივი მმართველის (დალაი-ლამას ანალოგი) რეზიდენცია.

ყაროს შემქმნელი. საყურადღებოა ის ღვთაებები და სულები, რომელთა უმეტესობა გამოისახება საშინელი ურჩხულების, ეშვებიანი მახინჯი არსებების სახით ანუ გარეგნული იერით ისინი რისხვასა და სიბოროტეს აფრქვევენ. თუმცა, რეალურად ისინი მფარველი ღვთაებებია – ე.წ. დოკშიტები, რომელთა მისიას წარმოადგენს, თავიანთი საშინელი გარეგნობით დააფრთხონ სარწმუნოების მტრები და დაანახონ მათ, რომ მრევლი საიმედო მფარველობის ქვეშაა.

ლამაიზმში არის ასევე ქალღმერთების კულტი. მათგან უმთავრესია ლჰამო – ქ. ლჰასას მფარველი, რომელიც დოკშიტების რიცხვს განეკუთვნება, ზოგიერთი თავისი ფუნქციით (გამოისახება სისხლის მოყვარული არსების სახით) ის ახლოსაა ინდუიზმის ქალღმერთებთან – დურგჰასთან და კალისთან. დაბოლოს, გამორჩეულად მაღალი კატეგორიის წმინდანებს წარმოადგენენ ლამაიზმში ნაგარჯუნა – მაჰაიანას მამამთავარი და ლამაიზმის დამფუძნებლები – ატიშა და ცზონხავა. ეს სამი წმინდანი ყველაზე ხშირად გვხვდება ბუდებისა და ღვთაებების გამოსახულებების გვერდით. მათთან ერთად, სალოცავებში განთავსებულია წმინდა ცხოველებისა და მონსტრების მრავალრიცხოვანი გამოსახულებები, ასევე სხვადასხვაგვარი მანდალები.[1] ლამაისტურ პანთეონში მოხვდნენ ინდუიზმის ღმერთებიც, მაგალითად: ინდრა, ბრაჰმა, ვარუნა, აგნი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ლამაიზმში არსებუ-

[1] მანდალა – სანსკრიტულად ნიშნავს – წრე, დისკო. ეს არის ბუდისტური პანთეონის ღვთაებათა გეომეტრიული განლაგების სქემა, რომელიც გამოსახავს მათ იერარქიას და გადმოსცემს ბუდიზმის კოსმოგენურ კონცეფციას. მე-13 საუკუნეში გავრცელდა ე.წ. პეიზაჟური მანდალა, რომელიც უკავშირდება ღვთაებებისა და სალოცავების პეიზაჟის ფონზე გამოსახვას. მისი მახასიათებელია დიდი ტოპოგრაფიული სიზუსტით და სიმეტრიულობის დაცვით გამოსახვა. მანდალა არის საკრალური სიმბოლო, რომელიც გამოიყენება მედიტაციების დროს, ხელოვნების სხვადასხვა დარგში, ტაძრების მშენებლობისას და სხვ. დამტკიცებულია, რომ მისი ვიზუალური მხარე პოზიტიურად მოქმედებს ადამიანებზე და აქედან გამომდინარე, მანდალა-თერაპიის მეთოდმა ფართო გავრცელება ჰპოვა ასევე სამკურნალო კლინიკურ პრაქტიკაში.

ლი ღმერთები თუ ღვთაებები, ყველანი მატერიალური თვისებების მატარებელნი არიან თავიანთი სურვილებით, მოთხოვნილებებით, ნაკლოვანებებით და ქცევებით, ანუ ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანების თვისებები გააჩნიათ.

ლამაიზმის წმინდა წიგნად აღიარებულია „განჯური“ (ტიბეტურად ნიშნავს – წინასიტყვაობის თარგმანს), რომლის შედგენა მე-14 საუკუნეში დასრულდა. ეს არის წმინდა ტექსტების კრებული, რომელიც ეძღვნება ბუდა შაკიამუნის. გარდა ამისა, ის მოიცავს ტიბეტურ ენაზე თარგმნილ სუტრებს, ჰინაიანასა და მაჰაიანას ტრაქტატებს. მთლიანად „განჯურის“ კრებული იყოფა შვიდ ნაწილად, რომლებშიც თემატური დაჯგუფების პრინციპით, სხვადასხვა დოგმატური საკითხებია განხილული. ლამაიზმის დოგმატიკისა და კულტისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია წმინდა ტექსტების მეორე კრებული „დანჯური“ (ანუ „მოძღვრების თარგმანი“), რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება და შეიცავს ჩინურიდან, სანსკრიტულიდან ტიბეტურ ენაზე თარგმნილ ბუდისტურ სუტრებს. მასში მოქცეულია ასევე ცნობილი ბუდისტი ავტორების ნაწარმოებები, მხატვრული თხზულებები ბუდას ცხოვრებაზე, ტრაქტატები მაგიური რიტუალებისა და შელოცვების შესახებ. საღვთო ტრაქტატების გარდა, ლამაისტური ბიბლიოთეკა მდიდარია უამრავი სხვა წერილობითი ძეგლებით ისტორიაში, ფილოსოფიაში, ლინგვისტიკაში, ხელოვნებაში, ფარმაკოლოგიაში, ასტრონომიაში, მუსიკაში და სხვა, რომლებიც ტიბეტური კულტურის საგანძურადაა აღიარებული.

ლამაიზმში, ისევე როგორც სხვა რელიგიებში, ტაძარსალოცავები განასახიერებენ სამონასტრო კომპლექსების საფუძველს. დიდ მონასტრებში მუდამ ბევრი ლამები იყვნენ, უფრო პატარებში კი – მცირე რაოდენობით. ლამები მრავალსაფეხურიანი მომზადების გზას გადიოდნენ, რომელიც მოიცავდა განათლებას, რიტუალების დაუფლებას, მომდევნო უფრო მაღალ წოდებათა მინიჭებას, ხსნის გზაზე შედგომას (დჰიანა-ლამა) და ა.შ. ლამების ცხოვრება საკმაოდ მკაცრი ნორმებით იყო რეგლამენტირებული, მხოლოდ ყვე-

ლაზე დაბალი რანგის მქონეებს (რომლებიც დაკავებულნი იყვნენ მაგიური პრაქტიკით და სამკურნალო საქმით) შეეძლოთ დაერღვიათ დაუქორწინებლობის ტაბუ, ეჭამათ ხორცი, ოღონდ იმ პირობით, თუკი ცხოველი საგანგებოდ მათთვის არ იყო დაკლული. ლამებს შორის საკმაოდ მკაცრი იერარქია არსებობდა. მაღალი რანგის ლამები დანარჩენებისგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ ბუდების, ბოდჰისატვებისა და სხვა ლამაისტური წმინდანების ე.წ. გარდასახულებად ანუ ხუბილგანებად ითვლებოდნენ. მათ შემდეგ იყვნენ გელუნები, უფრო ქვემოთ – გეცულები, შემდეგ – მორჩილები და ბოლოს ლამები, რომლებიც მაგიითა და სამკურნალო საქმით იყვნენ დაკავებულნი.

ტაძრებში ყოველდღიური ღვთისმსახურება, მცირე ხურალები ხშირად დღეში სამჯერ ტარდებოდა (განსაკუთრებით დიდ მონასტრებში), რომლის დროსაც ლოცვები აღევლინებოდა ბუდიზმისა და ბუდასადმი ხოტბის შესხმით, ასევე სურვილები გამოითქმებოდა იმის თაობაზე, რომ რიტუალის ყველა მონაწილეს ბუდას მდგომარეობისთვის მიეღწია. გარკვეულ დღეებში და განსაკუთრებით წლის პირველი თვის პირველ ნახევარში (ანუ ახალი წლის დადგომისას) დიდი ხურალები ტარდებოდა, რომელიც საზეიმო და ფერადოვან დღესასწაულებს წარმოადგენდა. საზეიმო და პომპეზურია ასევე მაიტრეასადმი, ცზონხავასადმი და სხვა წმინდანებისადმი მიძღვნილი ხურალები. ისევე როგორც ბუდიზმში, ლამაიზმშიც გამორჩეულია ორი დღე თვეში – 15 და 30 რიცხვები, რომლებიც მორწმუნეებმა მარხვასა და მონანიებაში უნდა გაატარონ. ამ დღეებში ტაძრებში ღვთისმსახურება მთელი დღის მანძილზე მიმდინარეობს. ერისკაცები ამ დროს სალოცავებში არ დაიშვებიან, ისინი გარედან ისმენენ ლოცვებს, ტაძრის მუსიკას, სიმღერას და თავადაც წარმოთქვამენ წმინდა ფორმულებს. აღსანიშნავია, რომ ბუდასადმი მიძღვნილი ლოცვების გარდა, ბერები კითხულობენ ე.წ. მანტრებს, რომლებშიც ღრმა აზრია ჩადებული. მათი კითხვა დიდი სიზუსტითაა საჭირო, რადგან მანტრა ლამაიზმში წმინდა ტექსტადაა აღიარებული.

ლამაისტური ტაძარ-მონასტრები უამრავი აქსესუარებითაა მორთული და გაფორმებული, როგორიცაა: დოლები, ზარები, მანდალები, ფერადი ლენტები და ლამაისტური მაგიური პრაქტიკის სხვა ნივთები. მთლიანობაში საკულტო აღჭურვილობა ტაძრებში მეტად მდიდრული და პომპეზურია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლამაიზმის რიტუალები და ცერემონიები, რომლებიც სხვა სარწმუნოებებისაგან სრულიად განსხვავებულია. ეს არის თეატრალური წარმოდგენების ანალოგიური ცერემონიები, რომლებიც შეიცავენ ვერბალურ, მუსიკალურ, საცეკვაო (სხეულის რიტმული მოძრაობების სახით) ელემენტებს, ასევე საზეიმო პროცესიებს, მსხვერპლშეწირვის (ძირითადად, ბრინჯით, პურის ერთგვარი სახეობით – ბალინით და ყვავილებით) რიტუალებს. ეს ყველაფერი ზღვის უზარმაზარი ნიჟარების ხმიანობის, ზარებისა და საყვირების აკომპანიმენტით მიმდინარეობს. სატაძრო რიტუალებთან ერთად, ლამაისტების საოჯახო ყოფა-ცხოვრებაშიც რელიგიური ნორმების დაცვას ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საამისოდ მათ აქვთ საოჯახო საკურთხეველი – პატარა კარადის სახით, რომელიც სავსეა ბუდისტური ღვთაებებისა და დემონების მინიატურული ქანდაკებებით. იქვე თაროზე, როგორც წესი, განთავსებულია ფიალები, რომლებიც განკუთვნილია მსხვერპლშეწირვისათვის ღვინით, ზეთით და კუმისით, ასევე აწყვია სასაკმევლე, სანთლები და ყვავილები.

ტიბეტელი ბერები. ტიბეტელი ბერები იმთავითვე მეტად კარჩაკეტილი ცხოვრების წესით გამოირჩეოდნენ და ასეა თანამედროვე პერიოდშიც. ბერის გზის არჩევა საკმაოდ რთულია, ყველაფერი მატერიალური მონასტრის კედლებს მიღმა რჩება და ბერებს არაფერი გააჩნიათ, გარდა სამოსისა, თბილი პლედისა და თეფშისა. გარე სამყაროსთან ისინი მხოლოდ მაშინ კონტაქტობენ, როდესაც მათთან პროდუქტები ან სხვა საჭირო ნივთები მიაქვთ. სამონასტრო ცხოვრების წესი დაკანონებულია და გათვლილია ყველა წვრილმანი. დღე ლოცვით იწყება და იმავეთი მთავრდება, ლოცვებს შორის შუალედში ბერები სამუშაოს ასრულებენ, რომელიც აუ-

ცილებელია მათი და მონასტრის არსებობისათვის, ან მედიტაციით არიან დაკავებულნი. მონასტერში შეუძლებელია რაიმე ზედმეტი ხმის გაგონება. ბერებთან საუბარმა შეიძლება რამდენიმე საათი გასტანოს, რომლის დროსაც ისინი ყურადღებით უსმენენ თანამოსაუბრეს, თავად კი სიტყვაც არ დასცდებათ. ამგვარი ხერხით ბერები ამოწმებენ ადამიანის მოთმინების უნარს, ვინაიდან თვლიან, რომ ცხოვრება ქაოსურია, ხოლო მთავარ აზრში ჩაწვდომა და მისი შეცნობა მხოლოდ მოთმინებითაა შესაძლებელი. ამ საკითხში მათეული მიდგომა შემდეგში მდგომარეობს: ადამიანი, რომელსაც მოთმინება არ ძალუძს და სურს ყველაფერი სწრაფად შეიტყოს, უმაღლესი ცოდნის ფლობას არ იმსახურებს. ამგვარ გამოცდას სხვა დანიშნულებაც აქვს; კერძოდ, მსგავსი მოსმენით ტიბეტელი ბერები ადამიანის სულში იხედებიან და არასოდეს გაუმხელენ საიდუმლოებებს მათ, ვინც მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობით ინტერესდება რაიმე საკითხით. მხოლოდ ის, ვინც ცოდნის მისაღებად და სულის სრულყოფილებისთვისაა ტიბეტში ჩასული, შეძლებს მის საიდუმლოებებს ფარდა ახადოს.

რაც შეეხება განდეგილ ბერებს, ამ გზის ამრჩევი სიცოცხლეშივე წმინდანად მიიჩნევა. რიგითი ბერები მათ მუდამ დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ, თუმცა, მათზე ბევრს არ ლაპარაკობენ, რადგან ეს ერთ-ერთ საიდუმლოდ ითვლება. განდეგილები მხოლოდ ერთეულები ხდებიან. თუმცა, რაიმე საგანგებო რიტუალი საამისოდ არ არსებობს. კერძოდ, მსურველი მოწაფე მონასტრის ხელმძღვანელთან მიდის და საკუთარ სურვილს აუწყებს და ნებართვის მიღების შემდგომ, ცხოვრების ახალ წესებს ექვემდებარება. განდეგილი ბერები ორ სახეობად იყოფა: მათი ერთი ნაწილი გამოქვაბულებში გადადის საცხოვრებლად და დუმილის ფიცს არ დებს. მეორე ტიპის განდეგილები კი პატარა ქოხში იკეტებიან და მათ არა აქვთ არა მხოლოდ კომუნიკაცია გარე სამყაროსთან, არამედ მზის სხივი და სუფთა ჰაერიც კი. უნდა აღინიშნოს, რომ ხალხი განდეგილებს დიდი პატივისცემით ეკიდება, მათთვის საკვები უფასოა. სპეციალურად გაჰ-

ყავთ გზები განდეგილების ადგილსამყოფელამდე მისასვლელად. მათთან შეხვედრა მიიჩნევა უსაფრთხოების და კეთილდღეობის გარანტად, ასევე სიბრძნის მიღების საშუალებად, რადგან ბერის თითოეული სიტყვა გასხივოსნებასთან მიახლოების ნაწილს წარმოადგენს.

ის განდეგილი, რომელიც ქოხში იკეტება, წინასწარ მიდის ტაძრის ხელმძღვანელთან, რათა აუწყოს გადაწყვეტილების შესახებ, შემდეგ ბერებიდან ირჩევს ე.წ. დარაჯს. ადრეულ ხანაში განდეგილი და დარაჯი ერთად აშენებდნენ ქოხს, რომლის ერთ ოთახში შედიოდა განდეგილი, ხოლო დარაჯი ოთახის შესასვლელს აგურებით ამოქოლავდა, ტოვებდა მხოლოდ პატარა ფანჯარას საკვებისა და წყლის მისაწოდებლად. შენობა ძალიან მცირე ზომისაა, მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯია სიგრძესა და სიგანეში. დარაჯს საკვები კვირაში ერთხელ მიაქვს განდეგილთან და ულუფა მხოლოდ ერთ პატარა ჯამს შეადგენს. ჰაერი ოთახში მხოლოდ კვირაში ერთხელ ნიავდება. შესაბამისად, განდეგილი შიმშილთან და სიცივესთან ერთად, ჰაერის გამუდმებულ უკმარისობას განიცდის. ცხადია, ამგვარი მეთოდები მეტისმეტად სასტიკად აღიქმება ჩვეულებრივ მოკვდავთა მიერ, მაგრამ ტიბეტელები თვლიან, რომ რაც უფრო მეტად იტანჯება სხეული, მით უფრო ძლიერია სული. განდეგილი სამყაროს დროთა ვითარებაში სხვაგვარად აღიქვამს; სიბნელის გამო, ის კარგავს მხედველობას, მაგრამ მისი სმენა იმდენად ძლიერდება, რომ მას შეუძლია გაიგონოს, როგორ ჩქეფს ვენებში სისხლი. მოძრაობებიდან ის მხოლოდ საკვების აღებას ახერხებს, ხოლო ჰაერის უკმარისობას ის ტრანსში გადაჰყავს და ნელ-ნელა ის სულიერი თავისუფლების მდგომარეობას აღწევს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც რიგითი ბერების ცხოვრებაა იოლი, ისინი ხანგრძლივ დროს ატარებენ ლოტოსის პოზაში, ხის ყუთებში ჩამსხდარნი, ცოტას ჭამენ, ბევრს შრომობენ, წლობით არ ლაპარაკობენ, მოწყვეტილნი არიან გარე სამყაროს და ახლობლების მონახულების უფლებაც კი არ აქვთ.

მოკლედ შევეხოთ ტიბეტელი ბერების ჩაცმულობას; უფროსი ლამების სამოსი გამოირჩევა ჩვეულებრივი ლამე-

ბის სამოსისაგან იმით, რომ მათი მოსაცმელი ყვითელი ფერის უნდა იყოს. ასევე მათ მოსასხამს უნდა ჰქონდეს წაგრძელებები მხრების ადგილას, რაც სპილოს ყურებს განასახიერებს და რწმენის სიმტკიცეზე მიანიშნებს, სპილოსებურ სიძლიერესა და შეურყევლობაზე. უფროს ლამებს გამოსასვლელი სამოსიც აქვთ, რომლებსაც ხურალების დროს იცვამენ. ეს სამოსი ყოველდღიურის მსგავსია, მაგრამ უფრო ძვირფასი მატერიისგან იკერება.

რიგით ბერებს მოსასხამი ძირითადად წითელი ან ყვითელი[1] ფერისა აქვთ (თუმცა, არის სხვა ფერისაც, მაგალითად – იასამნისფერი), რომლის უკანა მხარეს ლურჯი კვადრატია გამოსახული. ეს კვადრატი იმ ჩინელი ბერის მიმართ პატივისცემის ნაშანია, რომელიც ადრეულ ხანაში ტიბეტში ჩავიდა განსაკუთრებული რიტუალის ჩასატარებლად. საამისოდ ოთხი უფროსი ლამა იყო საჭირო და სამმა ტიბეტელმა ბერმა ე.წ. „ლურჯქუდიანთა" სკოლის წარმომადგენელი მოიწვიეს. იმ დროიდან მოყოლებული, ტიბეტელ ბერებს ხსენებული სიმბოლო შემორჩათ. სამოსის ქვედა ბოლოს (ანუ შამტაბი) ტარების ორი ხერხი არსებობს: პირველი მეთოდი ნაკეცების მზის ამოსვლის მიმართულებით დამაგრებაა, მეორე კი – ნაკეცების ერთმანეთის შემხვედრი მიმართულებით. შამტაბის დასამაგრებლად საჭიროა ქამარი. არსებობს მათი სხვადასხვა ვარიანტი, მათი ფერი ან წითელია ან ყვითელი, თუმცა, ქამრების სახეობა არ მეტყველებს არანაირ რანგობრივ განსხვავებაზე. ლამას სამოსის ზემოდან იცმევა მანტია ანუ ორხიმჟი. ეს არის ინდური სარის ინტერპრეტაცია, რომლის სიგრძე ექვს გაშლილი მკლავს უნდა უდრიდეს (დაახლოებით ექვსი მეტრი). ორხიმჟს ორნაირად ატარებენ – ის ან ხელზეა გადაკიდებული ან მხარზე. მხარზე გადაკიდებული ორხიმჟის ტარების უფლება მხოლოდ რჩეულებს აქვთ, და-

[1] მათი სამოსის ორი სახეობა არსებობს – ზაფხულის და ზამთრის. საზაფხულო ტანსაცმელს ზაფხულის პირველი თვის პირველი დღიდან იცვამენ, ხოლო ზამთრისას – შემოდგომის პირველი თვის პირველი დღიდან.

ნარჩენებმა ის ხელზე გადაკიდებული უნდა ატარონ. აღსანიშნავია, რომ ბუდაც კი ხელზე გადაკიდებული ორხიმჟითაა ხოლმე გამოსახული. რაც შეეხება თავსაბურავს, რიგითი ლამები დაბალ, ყვითელ ქუდებს ატარებენ, საიდანაც წარმოსდგება „ყვითელქუდიანთა“ სკოლის დასახელება. უფროსი ლამები კი გრძელყურებიან ქუდებს ატარებენ, რომლებსაც ვანშუ ეწოდება. ზამთარში ქუდის კიდეები ბეწვით იკერება, ზაფხულში კი, რა თქმა უნდა, მის გარეშე გამოიყენება. ტიბეტში რაც უფრო მაღალი რანგის იყო ლამა, მით უფრო სქელი ძირი ჰქონდა მის ფეხსაცმელს, თუმცა, დროთა განმავლობაში ეს ტრადიცია დაიკარგა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ტიბეტელ ბერებს ძირითადად ყვითელ ან წითელი სამოსი აცვიათ. ეს იმით არის განპირობებული, რომ ტიბეტურ რელიგიაში ცეცხლი ყველაზე წმინდა სტიქიად ითვლება. სწორედ ამიტომ ატარებენ ბერები მსგავს სამოსს, რათა სიმბოლური ცეცხლის მეშვეობით განიწმინდონ.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან ცალსახად ნათელია, რომ ლამაიზმი საკმაო დოზით განსხვავდება ტრადიციული ბუდიზმისაგან. თუკი ბუდიზმი პირველ პლანზე რელიგიის კონცეპტუალურ მხარეს აყენებდა, ლამაიზმში მთავარი ადგილი რიტუალურმა მოძღვრებებმა და პომპეზურმა თეატრალიზებულმა ცერემონიებმა მოიპოვა, ასევე მისთვის დამახასიათებელია ხუბილგანებისა და ლამების კულტი, რის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი. მართალია, ლამაიზმი არ უარყოფს ნირვანას, მაგრამ ის იმდენად შორს იქნა გადაწეული, რომ მორწმუნეთათვის ნირვანასკენ ლტოლვა არააქტუალური და რეალურობისგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. ბუდიზმისგან ამგვარი გადახრით, ლამაიზმმა ფართო გავრცელება ჰპოვა ხალხთა მასებში, რამდენადაც წინაამღდეგ შემთხვევაში, სარწმუნოება მთელ თავის მიმზიდველობას დაკარგავდა უბრალო ხალხში. ნირვანას ადგილი ლამაიზმში სამოთხემ დაიკავა; თუკი მორწმუნე ლამაისტური მორალის მოთხოვნებს შეასრულებდა, ტანჯვითა და პრობლემებით აღსავსე ცხოვრების შემდეგ, მას იდილია და ნეტარება ელოდა სამოთხეში. იდეა სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ ლამაიზმმა მაჰაია-

ნისტური ბუდიზმისგან შეითვისა, თუმცა, მან ახალი ელემენტებით გაამდიდრა აღნიშნული ცნებები. საყურადღებოა, რომ სამოთხეც და ჯოჯოხეთიც დროებით ადგილსამყოფელად მიიჩნევა, რადგანაც ადამიანი მუდმივი გარდასახვების პროცესში იმყოფება ანუ უარყოფითი თუ დადებით კარმის პერიოდების დასრულებას მოჰყვება მომდევნო, ახალი გარდაქმნა-გარდასახვა (რეინკარნაცია) და ა.შ. ამასთან, ეს ყველას ეხება, ზეცაში მყოფ ღვთაებებსაც კი.

საბოლოო ჯამში, ლამაიზმმა თავისი სპეციფიკური მახასიათებლებით, დოქტრინითა და წეს-ჩვეულებითი რიტუალებით, უდიდესი როლი შეასრულა არა მხოლოდ ტიბეტის, არამედ აზიის სხვადასხვა ხალხთა ისტორიაში. დალაი-ლამას განდიდებით და გაღმერთებით ლამაისტურმა დოქტრინამ ტიბეტი ბუდიზმის საკრალურ ცენტრად აქცია, თავად კი დღემდე ინარჩუნებს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და იდუმალებით მოცული რელიგიის სტატუსს.

თავი IV.
იაპონია

იაპონია ანუ როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ – ამომავალი მზის ქვეყანა,[1] მდებარეობს აღმოსავლეთ აზიაში. თავისი გამორჩეული ადგილმდებარეობისა და მკაცრი ბუნებრივი კატაკლიზმების გამო (მიწისძვრები, ვულკანები, წყალდიდობები, ქარიშხლები...), საუკუნეთა მანძილზე ის თვითმყოფად და ზოგიერთი პარამეტრებით უნიკალური მახასიათებლების მქონე სახელმწიფოდ ყალიბდებოდა, რომელიც დღესდღეობით მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალგანვითარებულ ლიდერ ქვეყანას წარმოადგენს. იაპონიის ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების სპეციფიკა დიდი დოზით განპირობებულია გარე სამყაროსგან მისი კუნძულოვანი იზოლირებულობით. თუმცა, უძველეს ხანაში ის კონტინენტთან სახმელეთო გადასასვლელებით ყოფილა დაკავშირებული, რადგანაც მაქსიმალური გამყინვარების პერიოდში ოკეანის დონე 140 მეტრით დაბალი იყო დღევანდელთან შედარებით. ძვ.წ. მე-10-8 ათასწლეულებში კი ყინულის გლობალურ დნობასთან დაკავშირებით, ოკეანის დონემ 100-140 მეტრით აიწია და იაპონია თანდათან მატერიკს გამოეყო, რის შედეგადაც ახლებური კონფიგურაცია მიიღო – რკალისებური ფორმა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. არქიპელაგის ოთხი ათასზე მეტი კუნძულიდან უმთავრესია ოთხი: ჰოკაიდო, ჰონშიუ, შიკოკუ და კიუშუ. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის კუნძულებს ერთმანეთისაგან განსხვავებული გეოგრაფიული და კლიმატური პირობები აქვთ, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრების გარემო-პირობებიც განსხვავებულია, არქიპელაგი მთლი-

---

[1] ქვეყნის იაპონური სახელწოდება „ნიჰონ“ (უფრო ოფიციალურ შემთხვევებში - ნიპონ) ორი იეროგლიფისგან შედგება, რომელთაგან პირველი ნიშნავს – მზეს, მეორე – საფუძველს, საყრდენს. აქედან მომდინარეობს გადატანითი მნიშვნელობით – იაპონია, როგორც ამომავალი მზის ქვეყანა ანუ „იქ, სადაც მზე ამოდის“.

ანად აქტიურ სეისმურ ზონაშია მოქცეული და შესაბამისად, მისი ყველა მხარის საერთო მახასიათებელია მიწისძვრები, ვულკანები, ცუნამები და ა.შ. სწორედ ბუნების მრისხანე ძალებთან გამუდმებული ჭიდილი განაპირობებდა იაპონიის არქიპელაგზე მოსახლე ადამიანებში უძველესი დროიდან ისეთი თვისებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: ამტანობა, შეუპოვრობა, მტკიცე ნებისყოფა, შრომისმოყვარეობა, სიბეჯითე. არანაკლებ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ზემოთ აღნიშნულმა გარემოებებმა იაპონელთა სარწმუნოების, ტრადიციების, მენტალობის, კულტურის და ზოგადად, ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაზე.

სანამ უშუალოდ იაპონიაში გავრცელებულ რელიგიებზე დავიწყებთ საუბარს, უპრიანია მოკლედ შევეხოთ იაპონიაზე გარეშე ზეგავლენის საკითხს, რამდენადაც ბუდიზმის, კონფუციონიზმისა და ტაოიზმის შეღწევა – გავრცელება ქვეყანაში, სწორედ ამ ზეგავლენის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს. მსოფლიოში ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ქვეყანა, რომელმაც იაპონიის მსგავსად, შეძლო უცხოური ზეგავლენის საკმაოდ დიდი დოზით შეთვისების მიუხედავად, კვლავ თვითმყოფადი და ეროვნული დარჩენილიყო. აქ იგულისხმება კონტინენტური, უმთავრესად ჩინური გავლენა იაპონიაზე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა, კერძოდ, ძვ.წ. მე-3 საუკუნიდან ახ.წ. მე-8 საუკუნის მიწურულამდე. იაპონიამ კონტინენტური ცივილიზაციის თითქმის ყველა მონაპოვარი გადაიღო. ამასთან, ამ პროცესს ფრიად პრაგმატული ხასიათი ჰქონდა ანუ ხდებოდა მხოლოდ იმის გათავისება, რაც საჭირო და სასარგებლო იყო ქვეყნისათვის. უცხო ელემენტები იაპონურ რეალობაში ახალ თვისებებს იძენდა, კრეატიულად გარდაიქმნებოდა და თანდათან ჰარმონიულად ერწყმოდა ადგილობრივ რეალობას. ამ კონტექსტში იაპონია შეიძლება იდეალურ პოლიგონად ჩაითვალოს, რომელიც რაიმე სახის ძალადობისა და გარეშე ზეწოლის აქტებით არ ყოფილა დამძიმებული ანუ ხდებოდა ნებაყოფლობითი წაბაძვა. საბოლოო ჯამში კი, როგორც იაპონიის ისტორიიდან ცნობილია, მან წარმატებით გაართვა თავი კონტინენტური ცივილიზაცი-

ის ელემენტებთან ასიმილაციის პროცესს და ისტორიულ-პოლიტიკური, ასევე კულტურული განვითარების გარკვეულ ეტაპზე, კონკრეტულად, მე-9 საუკუნიდან გარეშე ზეგავლენისგან განთავისუფლდა და მან დამოუკიდებელი გზით, თანაც დიდი აღმასვლით დაიწყო განვითარება.

იაპონელთა უძველესი რელიგია – შინტოიზმი

შინტოიზმს (იაპონურად შინტო ნიშნავს – ღმერთების გზას) იაპონიაში გავრცელებულ რელიგიებს შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს. ახ.წ. მე-6 საუკუნის შუა ხანებში იაპონიაში ჩინეთიდან (კორეის გზით) ბუდიზმი და კონფუციონიზმი გავრცელდა, მე-16 საუკუნეში კი ევროპიდან ქრისტიანობამ შეაღწია. მისი გავრცელება იაპონიის არქიპელაგზე პირველი ევროპელების – პორტუგალიელების გამოჩენას უკავშირდება. საუკუნეთა მანძილზე, ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ცალკეულ რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებებს, კონფესიებს და სარწმუნოებებს იაპონიაში ერთმანეთისგან განსხვავებული სტატუსი ჰქონდათ. რაც შეეხება დღევანადელობას, იაპონიაში არსებული ყველა რელიგიური ორგანიზაციები თავიანთი წესების შესრულებაში სრული თავისუფლებით სარგებლობენ. იაპონიის კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, რელიგიის თავისუფლება ყველასათვის გარანტირებულია, არცერთი რელიგიური ორგანიზაცია არ უნდა იღებდეს სახელმწიფოსაგან პრივილეგიას და არ უნდა სარგებლობდეს პოლიტიკური ძალაუფლებით.

იაპონიის სახელმწიფოს ფორმირებას მე-4-6 საუკუნეებში თან ახლდა ოფიციალური იდეოლოგიის ჩამოყალიბების პროცესი, რაც უპირველეს ყოვლისა, ეფუძნებოდა ეროვნულ სარწმუნოებას – შინტოიზმს, შემდეგ კი კონტინენტიდან იმპორტირებულ ბუდიზმს და კონფუციონიზმს, ასევე ამ უკანასკნელთან დაკავშირებულ სხვა ჩინურ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ კონცეფციებს. აქედან გამომდინარე, იაპონიის

ოფიციალური იდეოლოგია იმხანად როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური წარმომავლობის იდეებისა და რწმენა-წარმოდგენების რთულ კონგლომერატს წარმოადგენდა.

შინტოიზმი (იგივე შინტო) იაპონელთათვის იყო და არის ისტორია, ტრადიციები, ყოველდღიურობა და თვით სიცოცხლეც. მის თანახმად, იმპერატორი ზეციურ სულთა შთამომავალია, თითოეული იაპონელი კი მეორე რანგის სულების – კამების შთამომავალია. შინტოიზმი შორეულ წარსულში, ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდში ჩაისახა, თუმცა, ზუსტი თარიღი უცნობია. იაპონიის არქიპელაგის იმჟამინდელ მოსახლეობაში უდიდესი როლი ენიჭებოდა მაგიის ხელოვნებას. ამიტომაც იყო, რომ უძველესი სარწმუნოების საწყისი ფორმა მაგიური რიტუალებისა და შამანიზმის საფუძველზე აღმოცენდა, რომელსაც მოგვიანებით შინტოიზმი ეწოდა. ასე რომ, უპირველეს ყოვლისა, მაგიის, ასევე ანიმიზმის, ფეტიშიზმისა და შამანიზმის სინთეზის შედეგად თანდათან იაპონელთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ფორმირება მოხდა. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ შინტოიზმმა განმსაზღვრელი როლი შეასრულა იაპონელთა ეროვნული თვისებების, მათი ტრადიციების, ადათ-წესების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში, ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ განვითარებაში მთლიანად. ადრინდელი ხანის წერილობითი წყაროების არარსებობის პირობებში (დამწერლობა იაპონიაში ახ.წ. მე-5 საუკუნეში გაჩნდა, ჩინური იეროგლიფების სახით), სწორედ მას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა არქიპელაგის შორეული წარსულის შესწავლის საქმეში.

ჯიომონის ხანის[1] (ძვ.წ. 13000-300), რომელიც ნეოლითის პერიოდს შეესაბამება, საკულტო დანიშნულების მქონე აღმოჩენილ ნივთებს შორის დომინირებს ქვისგან ან თიხისა-

[1] ჯიომონ – ნიშნავს „დაგრეხილ თოკს“. სახელწოდება იმ პერიოდის კულტურამ მიიღო იმჟამად გავრცელებულ ნაკეთობებზე არსებული ორნამენტების გამო, რომლებიც დაგრეხილ თოკს წააგავდა. ეს ტერმინი სამეცნიერო ლიტერატურაში ამერიკელმა მკვლევარმა ე. მორსმა (1835-1925) შემოიტანა, რომელიც იაპონური არქეოლოგიის პიონერადაა აღიარებული.

გან დამზადებული ქალის მცირე ზომის (3-დან 50სმ-მდე) ფიგურები, რომლებსაც დოგუ (იაპონურად ნიშნავს – თიხის გამოსახულებას) ეწოდება. რთული ორნამენტებით გაფორმებული ეს არაჩვეულებრივი მინიატურული ფიგურები განასახიერებდა ნაყოფიერების ღვთაებას, ოჯახის დიასახლისს, მონადირეთა, ფეხმძიმეთა და ბავშვების მფარველს, ასევე ცხოველებისა და მცენარეების ქალღმერთს. ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ აღმოჩენილი დოგუს უმეტესი ნაწილი დამტვრეულია, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს ფიგურები რიტუალური მიზნებისთვის გამოიყენებოდა. კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, დოგუ გამოიყენებოდა რიტუალებში, რომლებიც დაკავშირებული იყო ავადმყოფების ან დაჭრილების განკურნებისათვის. ასეთ შემთხვევაში ქანდაკებას იმ ნაწილს ამტვრევდნენ, რომელიც ადამიანის სხეულის მტკივან ნაწილს შეესატყვისებოდა. დოგუმ იმთავითვე რელიგიურ-მაგიური დატვირთვა შეიძინა, რომელიც ავი თვალისგან იცავდა ადამიანს. როგორც ჩანს, ამით აიხსნება მისი სიმრავლე და პოპულარობა მთელი იაპონიის მასშტაბით. იმავდროულად ეს მიუთითებს ქალის მაღალ სოციალურ სტატუსზე იმჟამინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისტორიიდან ცნობილია, რომ შორეულ წარსულში იაპონიის არქიპელაგზე ქალი აღჭურვილი იყო როგორც საერო, ისე სასულიერო ფართო უფლებამოსილებით.

რელიგიური რიტუალების ევოლუცია იაპონიის არქიპელაგზე ყველაზე ნათლად დასაკრძალავი ინვენტარის ნიმუშზე ვლინდება. იაიოის ეპოქაში,[1] რომელიც რკინა-ბრინჯაოს ხანას შეესატყვისება (ძვ.წ. III – ახ.წ. IIIსს.), სოციალური დიფერენციაციის კვალდაკვალ ფიქსირდება როგორც მდიდრული, ისე უბრალო სამარხები. აღსანიშნავია, რომ ხსენე-

[1] სახელწოდება „იაიოი“ სპეციფიკური ტიპის კერამიკის აღმოჩენის ადგილიდან მომდინარეობს; კერძოდ, 1884 წელს ტოკიოს ჰონგო იაიოის რაიონში აღმოჩენილ იქნა ახალი ტიპის ნაკეთობები, რომელიც ჯომონის შემდეგ დაწყებულ ეპოქად იქნა აღიარებული.

ბულ პერიოდში სრულიად ქრება დოგუ. სამაგიეროდ, ჩნდება ბრინჯაოს ხმლები და ზარები, რომლებიც არსებული წესისამებრ, მიწაში ჩამარხული ინახებოდა და თემისათვის მათი გამოჩენა მხოლოდ რიტუალური ცერემონიების დროს ხდებოდა. ეს ტრადიცია შემდგომში მემკვიდრეობით მიიღო შინტოიზმმა. კერძოდ, შინტოისტური ტაძრის სიწმინდე (იაპონურად – შინტაი) მორწმუნეებისათვის თვალხილული იყო მხოლოდ რიტუალების დროს, სხვა შემთხვევებში შინტაი დახურულ კარს მიღმა ინახებოდა, ზოგ ტაძარში კი მისი გამოჩენა საერთოდ არ ხდებოდა. ბრინჯაოს ხმლები და ზარები უზრუნველყოფდა რელიგიური თემის ერთობას და დაცვას ბნელი ძალების ზემოქმედებისაგან. რიტუალური დატვირთვა ჰქონდა ასევე ბრინჯაოს სარკეებს, რომლებსაც გვიანი იაიოის პერიოდიდან არა მხოლოდ დასაკრძალავ აქსესუარად იყენებდნენ, არამედ ცოცხლების კეთილდღეობისათვის მიძღვნილი რიტუალების შესრულების დროსაც. სარკე, როგორც შინტოისტური ტაძრის სიწმინდე, დღესაც ინარჩუნებს რიტუალურ ფუნქციას. საკმარისია ითქვას, რომ ის საიმპერატორო კარის ერთ-ერთ რეგალიას წარმოადგენს.

თავდაპირველად შინტოიზმს არ გააჩნდა ჩამოყალიბებული დოგმატური სისტემა და წმინდა წიგნები, არც სპეციალური საკულტო ნაგებობები ჰქონდა. მხოლოდ მოგვიანებით, გარედან შეღწეული ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების, განსაკუთრებით კი ბუდიზმის გავლენით, მას გარკვეული დოგმები ჩამოუყალიბდა. შინტოიზმი გამოხატავდა ადამიანის უძლურებას ბუნების წინაშე. აქედან გამომდინარე, მისი მიმდევრები დიდ პატივს მიაგებდნენ ბუნების მოვლენებს: ქარს, წვიმას, თოვლს, ქარიშხალს, მზეს და სხვ., ასევე ცხოველებს, მცენარეებს, წყლებს და მთებს. ამ უკანასკნელთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს წმინდა მთად შერაცხულ ფუჯიამას, რომელსაც იაპონელები ფუჯის უწოდებენ. ადრეული შინტოიზმი ფაქტობრივად, ბუნების კულტს განასახიერებდა, ამასთან, ბუნების მიმართ თაყვანისცემა უფრო მეტად მოტივირებული იყო აღტაცებით და კრძალვით, ვიდრე შიშით. ადამიანები აღმერთებდნენ არა

მხოლოდ ძლიერ და მოწიწების აღმძვრელ ბუნების მოვლენებს, არამედ ყველაფერ ლამაზსა და სიამოვნების მომგვრელს. სილამაზისა და ზოგადად, მშვენიერების სიღრმისეულად შეგრძნება იაპონური ხასიათის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს.

შინტოიზმის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია წინაპართა სულების მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა. მასთან უშუალო კავშირშია სულების ანუ კამების (იაპონურად – ღვთაება, უზენაესი) თაყვანისცემა. შინტოიზმის თანახმად, კამი ყველგან და ყველაფერშია, სულიერ თუ უსულო საგნებში, ცხოველებში, მცენარეებში, მთებში, ზღვებში, მდინარეებში, ასევე წინაპართა სულებში, რომელნიც ზებუნებრივი ძალებით იყვნენ დაჯილდოებულნი. კამის ძალუძს განსახიერდეს რიტუალურ ნივთებშიც, მაგალითად, მახვილში, სარკეში და სხვ. შინტოიზმის დოქტრინის მიხედვით, რამდენადაც ადამიანი დასაბამს სულისგან იღებს, ამიტომ ყოველი ადამიანის წმინდათა წმინდა მოვალეობაა პატივი მიაგოს კამის და წინაპრებს იმისთვის, რომ მას სიცოცხლე უბოძეს. შინტოიზმში არ ჩანს მკვეთრი გამიჯვნა ადამიანსა და კამის შორის, ვინაიდან გარკვეული თვალსაზრისით, ადამიანი თავად მოიაზრება როგორც კამი ან შესაძლოა, მომავალში, სიკვდილის შემდეგ იქცეს ასეთად.

შინტოიზმის მრავალრიცხოვანი ღმერთების პანთეონში უმთავრესია მზის ქალღმერთი ამატერასუ,[1] რომლის შესახებ უამრავი მითი, ლეგენდა და ისტორიული თხზულება არსებობს, ამატერასუს სახელობის ტაძრებითაა მოფენილი იაპონიის მთელი ტერიტორია. განსაკუთრებით ცნობილი და პოპულარულია წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ისტორიულ ქალაქ ისეში არსებული სატაძრო კომპლექსი ისე-ჯინგუ. შორეული წარსულიდან მოყოლებული, დღემდე ისეს ტაძარში

[1] ამატერასუს სრული სახელია ამატერასუ ოომიკამი, რაც იაპონურად ნიშნავს – ციდან მანათობელ დიად ქალღმერთს. ლეგენდის თანახმად, ის იყო ქალღმერთ იძანამისა და მისი მეუღლის – იძანაგის ქალიშვილი.

იაპონიის იმპერატორები ატარებენ განსაკუთრებულ რელიგიურ ცერემონიებს, ასევე სტუმრობენ მას ეროვნული დღესასწაულების, ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენების დროს, რათა მათ შესახებ პირადად აუწყონ მზის ქალღმერთს. ხსენებულ ტაძარში ინახება საიმპერატორო ძალაუფლების ერთ-ერთი სიმბოლო – წმინდა სარკე, რომელიც ამატერასუს სულს განასახიერებს. ის მუდამ აბრეშუმის ნაჭერშია გახვეული და მისი ჩვენება ძალზე იშვიათად ხდება. მართალია, გარეგნულად ტაძარი ძალიან სადაა, (ისე როგორც ყველა შინტოისტური ტაძარი), მაგრამ იმავდროულად, თავისი იერსახით მეტად შთამბეჭდავი და დიდებულია. აღსანიშნავია, რომ მე-7 საუკუნიდან მოყოლებული, ამატერასუს ტაძარი ყოველ ოც წელიწადში იშლება და მისი ხელახლა აგება ხდება, კვიპაროსის ხის მასალისგან. ისეს ტაძრის მონახულება, ისევე როგორც ფუჯის მთასთან მიახლოვება, იაპონელთა პატრიოტული აღზრდის პროგრამაში შედის. სიცოცხლეში ერთხელ მაინც, ყველა იაპონელი უნდა მიეახლოს მას.

შინტოს თანახმად, ადამიანებსა და ღმერთებს შორის კავშირი ხორციელდება ამატერასუს შვილთაშვილის, მის მიერ დედამიწაზე წარგზავნილი პირველი მითიური იმპერატორის – ჯიმუს მეშვეობით, რომელმაც ძვ.წ. 660 წელს საფუძველი ჩაუყარა იაპონიის იმპერატორთა დინასტიას. ამიტომაც იმპერატორი იაპონიაში ღვთაებრივ არსებად იქნა აღიარებული და მას უდიდესი პატივი მიეგება. მისი ძალაუფლების სიმბოლოდ სამი წმინდა ნივთი დაკანონდა: სარკე – ღვთაებრიობის, მახვილი – ძლიერების და იასპი – ქვეშევრდომთა ერთგულების სიმბოლოები. შესაბამისად, ისინი განასახიერებდნენ: მზეს, მთვარესა და ელვას. ამატერასუს შემდეგ შინტოს ღმერთების პანთეონში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ამატერასუს ძმას, დამანგრეველი ძალის მქონე ქარიშხლის ღმერთს – სუსანოოს, ბრინჯის, ბარაქისა და ხვავის ღვთაებას – ინარის, მთვარის ღმერთს – ცუკიიომის და სხვებს, რომელთა შესახებ ასევე მრავალი მითი და ლეგენდა არსებობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მითებში

შინტოისტურ ღვთაებათა მახასიათებელი თვისებები ხშირად ერთმანეთში არეულია, მათი შესაძლებლობის სფეროები გამოკვეთილად განსაზღვრული არაა და მათი ადგილსამყოფელიც გაურკვეველია. თვით ის ფაქტი, რომ ადრეულ ხანაში ღმერთები არ გამოისახებოდა არც სკულპტურაში და არც ნახატებში, შინტოს ღმერთების პანთეონის ბუნდოვანებაზე მიუთითებს.

ამრიგად, შინტოიზმში უმთავრესია სულები (კამი), ბუნების მოვლენები და ძალები. აქედან გამომდინარე, მისი განმარტება შესაძლებელია მოკლედ შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: შინტოიზმი არის უძველესი პოლითეისტური იაპონური სარწმუნოება, რომელიც ქადაგებს ბუნების მოვლენების და სულების თაყვთანისცემას. ადრეული შინტოიზმის მორალურ-ეთიკური ნორმების შემდგომ განვითარებაზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ჩინურმა და ინდურმა ფილოსოფიურ-რელიგიურმა მოძღვრებებმა. კერძოდ, კონფუციონიზმისა და ტაოიზმის გავლენით შინტოიზმში დამკვიდრდა ძლიერისადმი სუსტის, უფროსისადმი უმცროსის მორჩილების დოგმები. კონფუციონიზმის მსგავსად, შინტოიზმი მიწიერი ცხოვრების აპოლოგიას ეწეოდა და ნაკლებად ინტერესდებოდა იმქვეყნიური ცხოვრების იდეით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიაში კონფუციონიზმი ძირითადად მორალური ქცევის ნორმებში და სწავლა-აღზრდის სფეროში დამკვიდრდა. გარკვეული სიახლეები და ცვლილებები შეიტანა შინტოს წეს-ჩვეულებებსა და ეთიკურ ნორმებში ბუდიზმმა. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდეს, ბუდას და ბუდისტურ ღვთაებათა გამოსახულებებმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრა შინტოისტურ ტაძრებში ანუ ბუდა ჩართულ იქნა შინტოისტური ღმერთების პანთეონში. იაპონიაში ამ ორი სარწმუნოების ურთიერთობა ხანგრძლივი დროის მანძილზე (დღევანდელობის ჩათვლით) ძირითადად მშვიდობიან თანაარსებობას და ურთიერთშეთავსებას ემყარებოდა. თუმცა, იყო დაპირისპირების პერიოდებიც, რაც იაპონიაში შექმნილ კონკრეტულ ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებასთან იყო დაკავშირებული.

ინტერესს იმსახურებს საიქიოს მიმართ შინტოიზმის დამოკიდებულება. მის თანახმად, რამდენადაც ადამიანები და სულები ერთსა და იმავე სამყაროში არსებობენ (ეს უკანასკნელნი თავის დროზე თითქოს ციდან დაეშვნენ დედამიწაზე), ადამიანმა ხსნა იმქვეყნიურ სასუფეველში არ უნდა ეძებოს. ამის მიღწევა მას სიცოცხლეშივე ძალუძს, შესაბამისი ქცევის ნორმების დაცვის, ასევე სულებთან და ღვთაებებთან ჰარმონიული ურთიერთობის წყალობით. ამასთან, პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, კონკრეტულად რომელი ღვთაების მიმართ გამოიხატება თაყვანისცემა. არანაკლებ სპეციფიკურია სიკეთის და ბოროტების შინტოისტური გაგება. მის მიხედვით, ადამიანი ბუნებით კეთილშობილი არსებაა და სამყაროც, რომელშიც ცხოვრობს, სიკეთითაა აღსავსე, რადგან ეს კამების (ანუ სულების) სამყაროა. რაც შეეხება ბოროტებას, ის ბნელეთიდან შემოჭრილი გარეშე ძალაა, რომელიც გარკვეულ სიტუაციაში ადამიანის ხორცსა და სულს აცდუნებს უღირსი საქციელის ჩასადენად. ამას კი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს: ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ნებისყოფა, ქმედების მიზეზი, მოტივაცია და სხვა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შესაძლოა, ადამიანს ესა თუ ის დანაშაული ცოდვად არ ჩაეთვალოს. თუმცა, აგრესიული ქმედების ჩადენამდე, ის უნდა შეეცადოს მოთოკოს ემოციები და მშვიდობიანად მოაგვაროს წამოჭრილი პრობლემა. ამრიგად, შინტოიზმი მის მიმდევრებს სრულ თავისუფლებას ანიჭებს სიკეთისა და ბოროტების, ცოდვისა და მადლის გაგებაში, იქიდან გამომდინარე, რომ მას არანაირი გამოკვეთილი კონცეფცია ამასთან დაკავშირებით არ აქვს ჩამოყალიბებული.

სხვა რელიგიებისგან განსხვავებით, შინტოიზმს არ გაჩნია კანონიკური საეკლესიო წიგნები. ყოველ ტაძარს თავისი წეს-ჩვეულებები, მითები და ღვთაებები ჰყავს, რომლებიც უცნობია სხვა ტაძრის სასულიერო პირთათვის და მრევლისათვის. ეს მითები თავმოყრილია იაპონიის უძველეს ისტორიულ-მითოლოგიურ წერილობით ძეგლებში – „კოჯიკი" („უძველესი ამბების ჩანაწერები", შედგენილი 712წ.) და

„ნიჰონ შიოკი“ ან შემოკლებით „ნიჰონგი“ („იაპონიის ქრონიკები“, შედგენილი 720წ.). მათში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემულია სხვადასხვა ისტორიული მოვლენები უძველესი დროიდან მოყოლებული, მითები, ლეგენდები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები. მართალია, ისტორიული ფაქტების გაშუქების კუთხით, ისინი ობიექტურობით და ორიგინალურობით არ გამოირჩევა, ხშირ შემთხვევაში ტენდენციურობაც ახასიათებთ, მაგრამ იაპონიის უძველესი მითებისა და რწმენა-წარმოდგენების (მათ შორის შინტოიზმის) გასაცნობად, ხსენებული ქრონიკები ძვირფას პირველ წყაროებს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ „კოჯიკისა“ და „ნოჰონგის“ ტენდენციური ხასიათი მოგვიანებით იაპონიაში გამოყენებულ იქნა საიმპერატორო დინასტიის ღვთაებრიობის და უწყვეტობის, ასევე იაპონელი ერის გამორჩეულობის დასასაბუთებლად. აქედან გამომდინარე, შინტოიზმს მკაფიოდ გამოხატული ნაციონალიზმი ახასიათებს. როგორც ცნობილია, ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი თავიანთი წინასწარმეტყველის პირველაღმოჩენაზე აცხადებენ პრეტენზიას, რომელიც მთელი კაცობრიობისადმია მიმართული. მათგან რადიკალურად განსხვავებულია შინტოს კონცეფცია, რომლის თანახმად, შინტოს ღმერთებმა და სულებმა შექმნეს არა ზოგადად ადამიანები, არამედ მხოლოდ იაპონელები. აქედან გამომდინარე, მხოლოდ იაპონელი და არა სხვა ერის წარმომადგენელი დაბადებიდანვე შინტოს ეკუთვნის. ამიტომაც წარმოუდგენელია, რომ არაიაპონელი ამ სარწმუნოების მიმდევარი იყოს.

შინტოისტური საკულტო ღვთისმსახურება ოთხ ძირითად ელემენტს შეიცავს: 1. განწმენდა (ჰარაი), 2. მსხვერპლშეწირვა (შინსეი) – მასში იგულისხმება სხვადასხვა საკვები, სასმელი, ქსოვილები, ყვავილები, ფერადი ქაღალდებისგან დამზადებული ფიგურები, 3. მოკლე ლოცვა (ნორიტო), 4. ზეთით კურთხევა (ნაორაი). ღვთისმსახურება მეტად მარტივია: ტაძარში შესვლამდე მომლოცველი ხელებს განიბანს, ტაძრის ღვთაებას ეთაყვანება, რამდენჯერმე ტაშს შემოჰკრავს სულების ყურადღების მისაპყრობად და მისთვის სა-

სურველ თემაზე იწყებს ლოცვას. კულტის ძირითადი არსი მდგომარეობს კონკრეტული ტაძრის ღვთაების თაყვანისცემაში, რომელიც როგორც წესი, არანაირ კავშირში არ არის სხვა შინტოისტური ტაძრის ღვთაებებთან. ამგვარი მარტივი ხასიათის სარწმუნოება ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როგორც ჩანს, უკვე აღარ აკმაყოფილებდა სწრაფად განვითარებადი საზოგადოების მოთხოვნებს. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ მე-6 საუკუნის შუა ხანებში მატერიკიდან შეღწეულმა ბუდიზმმა იაპონიაში წარმატებით იწყო გავრცელება და წამყვანი პოზიციაც დაიკავა. მეორე მხრივ, სწორედ შინტოისტური კულტის პრიმიტიულობა (რაც მორწმუნისაგან მცირეოდენ ძღვენს და მარტივი რიტუალების შესრულებას ითხოვდა), საუკუნეთა მანძილზე ამ სარწმუნოების სიმტკიცისა და მდგრადობის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. აღსანიშნავია, რომ მორწმუნეთათვის სულაც არ არის აუცილებელი ტაძარში წასვლა სალოცავად. საამისოდ იაპონელთა უმეტესობას სახლში აქვს შინტოისტური საოჯახო საკურთხეველი – კამიდანა. ეს არის ხის მინიატურული ყუთი, რომელიც როგორც წესი, ჩამოკიდებულია სასტუმრო ოთახის კედელზე. მასზე აწყობენ ტაძარში შეძენილ თილისმებს, ასევე ბრინჯის კვერებს, სანთლებს, საკეს და სხვადასხვა საკვებს. კამიდანას რთავენ წმინდა ხის – საკაკის ტოტებით, რადგანაც ითვლება, რომ ის ღვთაებებს და სულებს იზიდავს.

სისადავითა და უბრალოებით გამოირჩევა შინტოისტური ტაძრის (იაპონურად – ჯინგუ, ჯინჯა) როგორც გარეგნული იერსახე, ისე მისი ინტერიერი. ტაძრებში უმეტესწილად ღმერთების გამოსახულებები არ არის, თუმცა, ზოგიერთი მათგანი მორთულია ლომის, ირმის, მაიმუნის, მელიისა და სხვა ცხოველთა გამოსახულებებით, რომლებიც ითვლებიან შესაბამისი ღმერთების წარგზავნილებად, როგორც ტაძრის მცველები. ხშირია მათში ასევე ბუდას გამოსახულებები. მიუხედავად ღვთაებათა თაყვანისცემაში არსებული განსხვავებისა, შინტოისტური ტაძრების შიდა მოწყობილობა საერთო პრინციპს ემორჩილება. კერძოდ, ის ორი ნაწილისგან შედგე-

ბა: 1. საკურთხეველი – ჰონდენი, სადაც ინახება კონკრეტული ტაძრის წმინდა სული ანუ კამის სიმბოლო – შინტაი; 2. სამლოცველო დარბაზი – ჰაიდენი. საკურთხევლის წინ ხის ყუთია მოთავსეული, რომელშიც მომლოცველმა ლოცვის წინ ხურდა ფული უნდა ჩაყაროს. ბუდისტური სატაძრო კომპლექსებისგან განსხვავებით, რომლებიც პომპეზურობით, ფერადოვანი გამით, იარუსებიანი პაგოდებითა და კოშკურებით ხასიათდება, შინტოისტური ტაძრები მომცრო ზომის, ხის სადა ნაგებობებია. საყურადღებო ფაქტია, რომ ყოველ ოც წელიწადში ერთხელ მათი დაშლა და ხელახლა აწყობა ხდება. არსებული ტრადიციის თანახმად, სულებისათვის (იგივე კამებისათვის) სწორედ ამდენი ხანი იყო მიზანშეწონილი ერთ ადგილას სტაბილურ მდგომარეობაში ყოფნა.

ტაძრის ადგილმდებარეობა საგანგებოდ შეირჩეოდა ბაღებისა და პარკების სიღრმეში, რათა გარემომცველ ბუნებასთან ჰარმონიულად შეხამებული ყოფილიყო და არაფერს დაერღვია მყუდრო გარემო. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული სისადავისა და უბრალოების ფონზე, შინტოიზმს მეტად ხმაურიანი და მხიარული სადღესასწაულო პროცესიები, გროტესკული ცერემონიები და ტემპერამენტიანი ცეკვები ახასიათებს, რომლებიც ტაძარში იწყება და ქუჩაში გრძელდება. დღესდღეობით ზოგიერთი შინტოისტური დღესასწაული ლამაზ, ფერადოვან კარნავალადაა ქცეული, რომლის დროსაც მთავარი აქცენტი სხვადასხვა სახის გართობებზე, სანახაობრივ წარმოდგენებზე, მათ გაფორმებაზე კეთდება და ამდენად, თავიანთი უწინდელი რიტუალური ხასიათი თითქმის დაკარგული აქვთ.

შინტოისტური ტაძრისკენ მიმავალ გზას მართკუთხა ფორმის დიდი თაღი – თორიი (იაპონურად ნიშნავს – ჩიტის ქანდარას) მიანიშნებს, რომელიც ხისგანაა დამზადებული. ტრადიციულად, ის წითლადაა შეღებილი და ორი ბოძისგან შედგება, რომლებიც ზემო ნაწილში ერთმანეთს ორი ძელით უკავშირდება. ყველა შინტოისტურ ტაძარს, რაოდენ პატარაც არ უნდა იყოს ის, აუცილებლად ახლავს თორიი, რადგან შინტოიზმში მას განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა

აქვს. ის აღიქმება იღბლის, კეთილდღეობისა და წარმატების სიმბოლოდ. ძველად იაპონიის მოსახლეობას სჯეროდა, რომ გარდაცვლილთა სულები მიჰყავდათ ჩიტებს, რომლებიც თორიიზე ისვენებდნენ ხოლმე. სწორედ აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდება – ჩიტის ქანდარა. ტრადიციის მიხედვით ითვლება, რომ თორიი შესასვლელ კარიბჭეს წარმოადგენს იმქვეყნიურ სამყაროსკენ, რომელიც სულების სამფლობელოა. ვინც მის ქვეშ გაივლის, ის ტაძარში მოხვდება, ასევე შესაძლებლობა ეძლევა კავშირი დაამყაროს სულებთან და შინტოს ღვთაებებთან. ასე რომ, თორიის, ანუ კარიბჭის მეშვეობით მყარდება უხილავი კავშირი ორ სამყაროს – ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს შორის. იმავდროულად ის ერთგვარ ზღვარს წარმოადგენს საეროსა და სასულიეროს, ერთობასა და განდეგილობას, შეცნობადსა და შეუცნობადს შორის.

შინტოიზმის მახასიათებელი კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი ისაა, რომ სიცოცხლის მანძილზე შინტოისტს პარალელურად შეუძლია გახდეს ბუდისტი, ქრისტიანი, ან რომელიმე სხვა კონფესიის მიმდევარი. მიუხედავად ამისა, ის მაინც შინტოისტად რჩება, სხვა რელიგიასთან ზიარება კი მხოლოდ დროებით მოვლენად აღიქმება. ამგვარი მიდგომის შედეგია ის, რომ იაპონიაში გავრცელებულ რელიგიურ მიმდინარეობებს თითქოს გადანაწილებული აქვთ ფუნქციები. ყველაზე ნათლად ეს შინტოიზმისა და ბუდიზმის ურთიერთმიმართების მაგალითზე წარმოჩინდება. სწორედ ამ ორი სარწმუნოების (როგორც დომინანტი რელიგიების) სინთეზის შედეგია, რომ სარიტუალო პრაქტიკაში მათი წესები შეთანხმებულად ფუნქციონირებს. ზოგადად კი იაპონიისათვის დამახასიათებელია რელიგიური სინკრეტიზმი, როდესაც მორწმუნეები ერთდროულად რამდენიმე სარწმუნოებას აღიარებენ. ეს კი თავის მხრივ, რელიგიური პრაქტიკის აღრევას იწვევს. მაგალითად, იაპონიაში ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ერთ ოჯახში ბუდისტური სალოცავი კუთხეც არის და შინტოისტურიც, ან კიდევ ქორწინება ტარდება ბუდისტური რიტუალებითაც და ქრისტიანულ ეკლესიაშიც. ახალ-

დაბადებული ბავშვის მონათვლა შინტოისტური რიტუალის შესაბამისად ხდება (შინტოს ტაძარში ხდება ასევე ბავშვის დაბადების დღის, 3,5,7 წლის შესრულების აღნიშვნა), ხოლო გარდაცვალების კულტთან დაკავშირებულ ცერემონიას ბუდისტი ბონზა წარმართავს და ა.შ.

რაც შეეხება შინტოისტურ ღვთისმსახურებას, ადრეულ ხანაში ის ტომის ბელადებისა და უხუცესების პრეროგატივას წარმოადგენდა. VIII საუკუნიდან ხელისუფლებამ ამ მისიის აღმასრულებლად გავლენიან ფეოდალურ საგვარეულოთა წარმომადგენლების დანიშვნა დაიწყო და ეს საპატიო თანამდებობა მემკვიდრეობითი გახდა. ასე წარმოიშვა კანუშის (იაპონურად ნიშნავს – კამის პატრონი) ინსტიტუტი და შინტოიზმის ქურუმებმა დღემდე ეს სახელი შეინარჩუნეს. მართალია, კანუშებს ყველა რიტუალური ცერემონიის ჩატარება ევალებოდათ, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობის რიტუალებს, როგორც წესი, იმპერატორი ატარებდა. VIII საუკუნის დასაწყისში საიმპერატორო კარზე შინტოს საქმეთა სპეციალური დეპარტამენტი შეიქმნა, რითაც ეს სარმწუნოება კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მმართველ დინასტიას. კანუშები თანამედროვე პერიოდშიც VIII-IX საუკუნეების დროინდელი სამოსის ნიმუშით იმოსებიან. ეს არის თეთრი კიმონო, თეთრი ან ფერადი წვრილი ნაკეცებიანი ქვედაბოლო და შავი ქუდი. ტაძარში ისინი თეთრი წინდებით დადიან, ხოლო პროცესიის დროს მაღალყელიანი შავი ფეხსაცმელი აცვიათ. ტაძრის გარეთ კანუშები რიტუალურ ტანსაცმელს არ ატარებენ და ჩვეულებრივი სამოქალაქო სამოსი აცვიათ. მათ უფლება აქვთ სასულიერო საქმიანობას ჩვეულებრივი სამოქალაქო სამსახურიც შეუთავსონ. საინტერესოა, რომ ქალსაც შეეძლო კანუში გამხდარიყო, თუმცა, ეს იშვიათი იყო. ადრეული პერიოდში მხოლოდ ისეს შინტოისტურ ტაძარში მამაკაც კანუშისთან ერთად, იყო უმაღლესი ქურუმი ქალი – საიმპერატორო გვარის ასული. ბევრ ტაძარში არიან საცერემონიო სამოსში გამოწყობილი ქალები (თეთრ კიმონოსა და ალისფერი ქვედაბოლოთი), მაგრამ ისინი არანაირ სასულიერო წოდებას არ ფლობენ. ისინი არიან

ტაძრის მოცეკვავეები (მათ ეწოდებათ მიკო), რომლებიც რიტუალურ ცეკვებს ასრულებენ.

1867-1868წ.წ. ბურჟუაზიული რევოლუციისა და მეიჯის (იაპონურად ნიშნავს – განათლებული მმართველობა) რესტავრაციის შემდეგ, საკანონმდებლო აქტით იაპონიაში შინტოისტური და ბუდისტური ტაძრების გამიჯვნა მოხდა, შინტოიზმი ფაქტობრივად, სახელმწიფო რელიგიად იქცა. სწორედ იმ დროიდან განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა შინტოს კონცეფცია იმპერატორის ღვთაებრივი წარმომავლობისა და იაპონელი ერის გამორჩეულობის შესახებ. შინტოიზმი იაპონიის მილიტარისტული წრეების იდეოლოგიურ იარაღად იქცა, მაგრამ II მსოფლიო ომში მარცხის შემდეგ (1945წ.), მისი პრესტიჟი იაპონიაში ერთბაშად დაეცა: გაქარწყლდა მითი იმპერატორის ღვთაებრივ წარმომავლობაზე – 1946 წლის 1 იანვარს იმპერატორმა საჯაროდ უარყო თავისი ღვთაებრივი წარმომავლობა.[1] აიკრძალა შინტოისტური ლიტერატურა, შინტოიზმის პროპაგანდა და ა.შ. მართალია, იმხანად შინტოიზმმა ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერის დაკარგვით საგრძნობლად იზარალა, მაგრამ მან მაინც შეინარჩუნა ტაძრები და კლერიკალური ინსტიტუტები. შინტოიზმის გავლენის აღდგენა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის კონსერვატიულად განწყობილი ნაწილისა და შინტოს სამღვდელოების ძალისხმევით, მან კვლავ დაიბრუნა ოფიციალური სტატუსი. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ 1966 წელს იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილებით, აღდგენილ იქნა ეროვნული დღესასწაული

[1] იაპონიის 1947 წლის კონსტიტუციის თანახმად, იმპერატორი უწინდებურად აღარ ითვლებოდა ღვთაებრივ არსებად, ის გახდა ქვეყნისა და ერის ერთიანობის სიმბოლო. ამიერიდან მას შეეძლო მხოლოდ იმ ფუნქციების შესრულება, რაც მითითებული იყო კონსტიტუციაში. კერძოდ, ის მხოლოდ ფორმალურად ამტკიცებს მთავრობას, მინისტრთა კაბინეტის რჩევითა და თანხმობით, ის აცხადებს კანონებს, იწვევს საპარლამენტო სხდომებს და ანიჭებს ჯილდოებს.

– იმპერიის დაარსების დღე, 11 თებერვალი. როგორც ზემოთ აღინიშნა, შინტოისტური ტრადიციის თანახმად, ძვ.წ. 660 წელს სამეფო ტახტი დაიკავა მითიურმა პიროვნებამ – ჯიმუმ (660-585), რითაც იაპონიაში საფუძველი ჩაეყარა საიმპერატორო დინასტიის უწყვეტობას.

ამრიგად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ცალსახად ნათელია, რომ შინტოიზმი იაპონელთათვის იყო და არის არა მხოლოდ სარწმუნოება, არამედ – ცხოვრების წესი, ყოველდღიურობა, ტრადიცია, წარსულიც და მომავალიც. შინტოიზმმა იაპონელებს განსაკუთრნებული შეხედულებები ჩამოუყალიბა ყველაფერზე, ბუნებაზე, სამყაროზე, ადამიანთა შორის ურთიერთობებზე. ეს შეხედულებები ხუთ ძრითად პრინციპს ემყარება: 1. ცივილიზაცია სამყაროს თვითგანვითარების შედეგია, 2. სიცოცხლის ძალა მართავს სამყაროს, 3. ბუნება და ისტორია ერთ მთლიანობას წარმოადგენს. 4. მრავალღმერთიანობა არის გზა ჭეშმარიტი რწმენისაკენ, 5.შინტოიზმი საკუთრივ იაპონელთა რელიგიაა.

დღესდღეობით შინტოიზმი, ბუდიზმთან ერთად, იაპონიის გაბატონებული სარწმონოებაა. გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ერთდროულად ორივე სარწმუნოების მიმდევარია, მათი ზუსტი რაოდენობის მითითება ვერ ხერხდება. ყოველ შემთხვევაში ბოლო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, იაპონიის მოსახლეობის დაახლოებით 83.9% შინტოისტია, 71.4% ბუდისტი, 2% ქრისტიანი. გარდა ამისა, ქვეყანაში დიდი რაოდენობით სხვადასხვა სექტა არსებობს.

ბუდიზმი და ბუდისტური კულტურის ფორმირება იაპონიაში

იაპონიაში შეღწევამდე ბუდიზმმა საკმაოდ გრძელი – თითქმის ათასწლოვანი გზა განვლო. მე-8 საუკუნის იაპონური ისტორიულ-მითოლოგიური თხზულების „ნიჰონ შიოკის“ („იაპონიის ქრონიკები“) ცნობით, 552 წელს იაპონიაში კორეის ნახევარკუნძულის ერთ-ერთი სახელმწიფოს, ფექჩეს ელჩობა ჩავიდა, რომელმაც ადგილობრივ მმართველს, კიმეის სხვა საჩუქრებთან ერთად, ბუდისტური წმინდა წიგნები, საკულტო ნივთები და ბუდას მოოქროვილი ქანდაკება მიართვა. ამასთან ერთად, ელჩობის შემადგენლობაში მყოფმა ბუდისტმა ბერებმა ბუდიზმის ქადაგების ნებართვა ითხოვეს იმ მოტივით, რომ ბუდას სახელზე აღვლენილ ლოცვებს უდიდესი მაგიური ძალა ჰქონდა და შესაბამისად, ის ბედნიერებასა და კეთილდღეობას მოუტანდა იაპონელებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიის არქიპელაგის მოსახლეობა ამ სარწმუნოებას ნაწილობრივ ადრეც იცნობდა, თუმცა მაშინ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების დონე ჯერ კიდევ არ იძლეოდა მისი გავრცელების საშუალებას. დროთა განმავლობაში კი გვაროვნულ-ტომობრივი კავშირების რღვევის კვალდაკვალ, იაპონიაში ბუდიზმის გავრცელების წანამძღვრები გამოიკვეთა და მან თანდათან პოპულარობაც მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მმართველი ელიტის დიდი ნაწილი მაშინვე მიემხრო კორეელ წარგზავნილთა წინადადებას. ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ბუდიზმის ზოგიერთმა მთავარმა დოგმამ, რომელიც უარყოფდა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას და წარჩინებულთა მიმართ დაბალი ფენების მორჩილებას ქადაგებდა. რამდენადაც ეს ყოველმხრივ ესადაგებოდა გაბატონებულ ფენათა ინტერესებს, ბუდიზმი მათი მსოფლმხედველობის ორგანულ ნაწილად იქცა და აღქმული იქნა მძლავრ იდეოლოგიურ იარაღად დაბალი ფენების მორჩილების დასაკანონებლად.

ბუდიზმის მომხრეთა შორის ლიდერობდა სოგას გავლენიანი საგვარეულო, მოწინააღმდეგე მხარეს კი წარმოადგენდნენ მონონობეს და ნაკატომის ფეოდალური საგვარეულოები. ეს უკანასკნელნი თავიანთი წარმომავლობის სათავეს იაპონელთა უძველესი რელიგიის – შინტოიზმის ღმერთების პანთეონიდან იწყებდნენ და აქედან გამომდინარე, მათთვის ყოვლად მიუღებელი იყო უცხო სარწმუნოების გავრცელება ქვეყანაში. 587 წელს დაპირისპირებულ მხარეებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა, რომელიც სოგას გვარის გამარჯვებით დასრულდა. ამის შედეგად სოგას გავლენის არეალი საგრძნობლად გაფართოვდა,[1] რაც სათანადოდ აისახა ქვეყნის იდეოლოგიაზეც და ბუდიზმმა სწრაფად დაიწყო მომძლავრება. ამიერიდან ბუდიზმი მოიაზრებოდა ერთ-ერთ უმთავრეს ბერკეტად ქვეყანაში ხელისუფლების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ბუდიზმის გავრცელება იაპონიაში უშუალო კავშირში იყო ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულებაზე მის მიმართ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბუდიზმის მომძლავრებით, იაპონიაში შინტოიზმის პოზიციები არ შერყეულა, რადგანაც მას უძველესი დროიდან ღრმა და მყარი ტრადიციები გააჩნდა. უფრო მეტიც, საგრძნობლად ამაღლდა მისი მთავარი ღვთაების – ამატერასუს კულტი. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, რომ ამ ორ სარწმუნოებას შორის ერთგვარი კომპრომისული, მშვიდობიანი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. თუმცა, იყო დაპირისპირების პერიოდებიც, რაც იაპონიაში შექმნილი კონკრეტული ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული.

ბუდიზმის იდეოლოგები ხელს უწყობდნენ შინტოიზმთან ბუდიზმის სინკრეტიზაციას. კერძოდ, მათი ძალისხმე-

---

[1] სოგას პრეროგატივა გახდა ამ გვარის ქალიშვილთა გათხოვება საიმპერატორო დინასტიის წარმომადგენლებზე. ქორწინების შედეგად გაჩენილ ბავშვებს კი მომავალში შესაძლებლობა ეძლეოდათ პოლიტიკური მმართველობის სათავეში მოქცეულიყვნენ. მოგვიანებით აღნიშნული პრეროგატივა ფუჯივარას გვარმა მოიპოვა.

ვით, მკვიდრდებოდა შეხედულება, რომ შინტოისტური ღვთაებები ბუდისტური ღმერთებისა და წმინდანების განსახიერებებს ანუ ავათარებს წარმოადგენდნენ. ამის შედეგი იყო ის, რომ შინტოისტური ღმერთები ბუდისტურ ღვთაებათა პანთეონში იქნა ჩართული, ხოლო შინტოისტურ ტაძრებში ბუდას ქანდაკებებმა დაიკავეს საპატიო ადგილი. აღსანიშნავია ასევე, რომ ბუდისტი ქურუმები ხშირად მონაწილეობდნენ შინტოისტურ რიტუალებში. ამგვარი მოქნილი ტაქტიკის წყალობით, ბუდიზმმა იაპონიაში მყარი პოზიციის დამკვიდრება შეძლო. იმავდროულად, იაპონიის ისტორიული რეალობა გვიჩვენებს, რომ სწორედ შინტოიზმი წარმოადგენდა იაპონური კულტურულ-იდეოლოგიური სისტემის საფუძველს, უცხოური მოძღვრებები კი (ბუდიზმი, კონფუციონიზმი, ტაოიზმი...) მისთვის ცალკეული ელემენტების მიმწოდებლები იყვნენ, რომლებიც ნაწილობრივ შეერწყნენ შინტოიზმს და ამ პროცესში თავიანთ პირვანდელ სახესაც იცვლიდნენ.

იაპონელებმა ბუდას მოძღვრებაში ერთგვარი მაგიური ძალა იწამეს, ისევე როგორც თავიანთ ეროვნულ სარწმუნოებაში. ასე რომ, იაპონიაში ბუდიზმი ვრცელდებოდა არა როგორც მოძღვრება ხსნის ან გადარჩენის შესახებ (როგორც ეს კლასიკურ ინდურ ბუდიზმში იყო), არამედ როგორც მაგიის ხელოვნება, რომელიც ადამიანებს უბედურებისგან დაიცავდა, ბედნიერებას და კეთილდღეობას მოუტანდა მათ. ამ კუთხით ბუდიზმის ფუნქციები შინტოიზმისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა. საინტერესოა, რომ მათ შორის გავლენის სფეროების ერთგვარი გადანაწილება მოხდა; მაგალითად, ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევების დროს ხალხი ბუდისტურ რიტუალებს მიმართავდა, შინტოს განკარგულებაში ძირითადად ბუნების მოვლენები (ქარიშხალი, წვიმა, მიწისძვრა, წყალდიდობა, გვალვა...) რჩებოდა.

ისევე როგორც ჩინეთში, კორეაში, ნეპალში და აზიის კიდევ ზოგიერთ ქვეყანაში, იაპონიაში ბუდიზმის მაჰაიანისტური მიმდინარეობა დამკვიდრდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, მის თანახმად (რომელიც ხსნის ფართო გზად მოიაზრე-

ბა), ნირვანას მიღწევა შეეძლო არა მხოლოდ ღვთისმსახურთა ვიწრო წრეს (როგორც ეს ჰინაიანაში იყო), არამედ პოტენციურად ყველას, ვინც შესაბამის ბუდისტურ ნორმებს დაიცავდა. მაჰაიანაში ბუდა ღმერთადაა შერაცხული, რომელსაც ათასამდე გარდასახვის უნარი გააჩნია. იაპონიის ხელისუფლებამ იმთავითვე სათანადოდ შეაფასა ბუდიზმის როლი ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეში და ამიტომაც ყოველმხრივ ხელს უწყობდა მის გავრცელებას. ცხადია, ახალი სარწმუნოება ისე სწრაფად ვერ მოიპოვებდა წარმატებას, ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერი ფენის მხრიდან ქმედითი მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდა. მე-7-8 საუკუნეები იაპონიაში ბუდიზმის მძლავრი აყვავების ხანას წარმოადგენდა. იმპერატორ ტემუს (673-686) 685 წლის ედიქტის მიხედვით, ბუდიზმმა იაპონიაში ფაქტობრივად, სახელმწიფო რელიგიის სტატუსი მოიპოვა. კერძოდ, მის თანახმად, ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში ბუდას გამოსახულება და ბუდისტური სალოცავი უნდა განთავსებულიყო. ამას მოჰყვა დიდებული, პომპეზური ბუდისტური ტაძრებისა და პაგოდების მშენებლობის დაწყება. კონტინენტიდან იაპონიაში შეღწეულ ბუდიზმს მისი თანმდევი კულტურის გავრცელება მოჰყვა. ბუდიზმის მეშვეობით იაპონია ეზიარა კონტინენტზე აღმოცენებული სკულპტურის, ხუროთმოძღვრების, არქიტექტურის, სახვითი ხელოვნების დახვეწილ და მაღალმხატვრულ ტექნიკას. ასე რომ, ბუდიზმი წარმოადგენდა იაპონიაში გარედან შეღწეული კულტურული დინების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს, რომელიც დროთა ვითარებაში მის ორგანულ ნაწილად იქცა.

ბუდას მიმართ თაყვანისცემის აღძვრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბუდისტური საკულტო ნაგებობების ვიზუალური ესთეტიკური მიმზიდველობის ძალა. მათი როგორც ინტერიერი, ისე ექსტერიერი სილამაზითა და პომპეზურობით გამოირჩეოდა. შიგნიდან ტაძრები მორთული იყო ბუდას გამოსახულებებით, მრავალგვარი ბუდისტური აქსესუარებით, რომლებიც გამოყენებითი ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს განასახიერებდნენ. ამ შთამბეჭდავ გარემოს

ემატებოდა ბუდისტური მუსიკა, ეგზოტიკური ცეკვები ნიღბებით, რომლებიც ღვთისმსახურების დროს ტაძრებში სრულდებოდა. გარედან ტაძრები მკვეთრ ფერებში (წითელ, მწვანე, ოქროსფერ, ნარინჯისფერ...) იღებებოდა, რათა შორიდანვე შესამჩნევი და მიმზიდველი ყოფილიყო. სატაძრო კომპლექსების განუყოფელ კომპონენტს წარმოადგენდა ბუდას მონუმენტური ქანდაკება და პაგოდა (იაპონურად - ტო), რომელიც ბუდიზმის წმინდა რელიქვიების შესანახ ადგილსამყოფელად იყო განკუთვნილი. პაგოდები მრავალიარუსიანი ქონგურებით გაფორმებული, კენტი რაოდენობის სართულებისგან შედგებოდა, რადგან ბუდიზმში კენტი რიცხვები სასიკეთო სიმბოლოებად ითვლება. უმეტესწილად ხუთსართულიანი პაგოდები იგებოდა, რომელთაგან თითოეული სამყაროს ხუთ პირველსაწყისს განასახიერებდა: წყალს, მეტალს, ცეცხლს, ხეს და მიწას. აღსანიშნავია, რომ პაგოდების კონსტრუქცია მომდევნო ხანებში იაპონური საერო არქიტექტურის ეტალონად იქცა.

გამომდინარე იქიდან, რომ ბუდისტური ტაძრების აგებას უზარმაზარი მატერიალური სახსრები და საუკეთესო სამშენებლო მასალა სჭირდებოდა, უბრალო ხალხისთვის თავდაპირველად უცხო და მიუწვდომელი აღმოჩნდა კონტინენტიდან შეღწეული ახალი სარწმუნოება, მაგრამ დროთა ვითარებაში ბუდიზმმა დაბალ ფენებშიც დაიწყო გავრცელება. მათ თავიანთი გაერთიანებების შექმნა დაიწყეს (იაპონურად – ტაშიკი), რომლის წევრები დიდი გაჭირვებით აგროვებდნენ სახსრებს ბუდისტური სალოცავების ასაგებად. ასე ეყრებოდა საფუძველი ბუდიზმის გავრცელებას ხალხთა მასებში, რომელიც შემდგომში ე.წ. ხალხური ბუდიზმის სახით ჩამოყალიბდა. ბუნებრივია, რომ ბუდიზმის სტატუსის გაძლიერების პარალელურად, ფართოვდებოდა ბუდისტური ტაძარ-მონასტრების პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენის არეალი, კერძოდ, ისინი უკვე აქტიურად ერეოდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ფლობდნენ დიდ ქონებას და უზარმაზარ მიწებს მათზე მომუშავე გლეხებითურთ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბალანსის დასაცავად, კანონ-

მდებლობა ითვალისწინებდა შინტოისტური ტაძრებისთვისაც იმავე რაოდენობის მიწის გამოყოფას. ბუდისტურ მონასტერთა უმეტესობას დაქირავებული შეიარაღებული რაზმებიც ჰყავდა, რომლებიც არა მხოლოდ საეკლესიო ქონებას იცავდნენ, არამედ საბრძოლო ფუნქციებსაც ასრულებდნენ სხვადასხვა ბუდისტურ სექტებს შორის მიმდინარე შიდა ომების დროს, ასევე ხელისუფლებასთან დაპირისპირების შემთხვევებში. იაპონიაში ბუდიზმის პოზიციების განმტკიცებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საიმპერატორო კარზე ბუდისტური ცერემონიების ჩატარება დაიწყო, კრემაციის ბუდისტურმა წესმა თანდათან ჩაანაცვლა დასაფლავების შინტოისტური ტრადიცია: დედოფალი ჯიტო (690-702) იაპონიის მონარქებიდან პირველი იყო, რომლის ნეშთსაც კრემაცია გაუკეთდა 702 წელს. მისი ფერფლი იმავე ყორღანში ჩაფლეს, სადაც მისი მეუღლე – ტემუ იყო დასაფლავებული.

მე-8 საუკუნის ოფიციალურ ქრონიკაში „შოკუ ნიჰონგი“ („იაპონიის ანალების გაგრძელება“, რომელიც აშუქებს 697-791 წლების ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს) ხაზგასმულია ბუდიზმის, როგორც სახელმწიფო მფარველის ფუნქცია, ბუდისტური ლოცვების მაგიური ძალა, რომელსაც ძალუძდა სახელმწიფო ეხსნა შეთქმულებებისა და უბედურებისაგან. ამიტომაც იყო, რომ ტახტიდან გადადგომის შემთხვევაში, ასევე მოქმედი იმპერატორისთვისაც მონაზვნად აღკვეცა და ნეშთის დაწვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა შუა საუკუნეების იაპონიაში. მართალია, საიმპერატორო კარი დიდ მფარველობას უწევდა ბუდისტურ ტაძარ-მონასტრებს, მაგრამ იმავდროულად მკაცრად აკონტროლებდა ბუდისტური სამღვდელოების საქმიანობას (მათთვის შემოღებულ იქნა 13-საფეხურიანი რანგების შკალა). ხელისუფლება ყველა ღონეს მიმართავდა, რათა ის ერთგვარ ჩინოვნიკურ აპარატად არ ჩამოყალიბებულიყო და დამოუკიდებელი ინტერესების მქონე სოციალურ ფენად არ ქცეულიყო. სახელმწიფო აპარატისაგან გარკვეული დოზით დამოუკიდებლობის მოპოვება ბუდიზმმა მე-8 საუკუნის მიწურულს შეძლო, როდესაც თავისი პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცა.

იაპონიის მიწა-წყალზე აგებულ პირველ ბუდისტურ ტაძრებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს იმჟამინდელ სატახტო ქალაქ ასუკაში სოგას გვარის ძალისხმევით, 593 წელს აგებულ ასუკადერას ტაძარს, რომლის აღმშენებლები კორეიდან მოწვეული ოსტატები იყვნენ. ამ ნაგებობის ოდინდელი დიდებულებისგან დღეისათვის შემორჩენილია მჯდომარე ბუდას სამმეტრიანი ქანდაკება, რომელსაც ასუკას დიდ ბუდას უწოდებენ. რაც შეეხება თვით ტაძარს, ის დაშლილ და გადატანილ იქნა ქ. ნარაში მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი ქვეყნის დედაქალაქი გახდა (710წ.) აქვე შევნიშნავ, რომ ამგვარი წესი ანუ ნაგებობების დაშლა და მათი სხვა ადგილას გადატანა დამკვიდრებულ ტრადიციას წარმოადგენდა შუა საუკუნეების იაპონიაში. 624 წლისათვის იაპონიაში 46 ბუდისტური ტაძარი, ასეულობით ქურუმი, მონაზონი და ბერი იყო. აღნიშნულ პერიოდში ბუდიზმის გავრცელებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს კორეიდან მიგრირებულმა (რომელთა შორის კორეელებთან ერთად, ჩინელებიც იყვნენ) ღვთისმსახურებმა, სწავლულებმა, ხუროთმოძღვრებმა, მხატვრებმა, რომლებიც სახლდებოდნენ იაპონიაში, ეწეოდნენ პედაგოგიურ საქმიანობას, იდეოლოგიურ აგიტაცია-პროპაგანდას, აგებდნენ და აფორმებდნენ ბუდისტურ ტაძრებს, ხშირი იყო მათი ქორწინებებიც იაპონელებზე. ამგვარი საშუალებებით ხსენებული მიგრანტები იაპონიაში ნერგავდნენ კონტინენტურ კულტურას, რელიგიურ მოძღვრებებს და ხელს უწყობდნენ სხვადასხვა ეთნიკური ელემენტების ერთმანეთთან შერწყმას.

იაპონიის ისტორიის ნარას პერიოდი (710-784) კულტურის მძლავრი აყვავების ხანას წარმოადგენდა და რამდენადაც ეს კულტურა უმთავრესად ბუდიზმთან იყო დაკავშირებული, ის ბუდისტური კულტურის ოქროს ხანადაა აღიარებული. განსაკუთრებულ აღმავლობას არქიტექტურამ მიაღწია – როგორც სატაძრო, ისე საერო არქიტექტურამ, რომელიც სინატიფითა და დახვეწილობით გამოირჩეოდა. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ჩინეთისა და კორეისგან განსხვავებით, იაპონიაში ტაძრების ხელახლად გადაღებვა არ

ხდებოდა (როდესაც ისინი ფერს კარგავდნენ). იაპონელები ბუნებრივ იერსახეს ამჯობინებდნენ და ამით ბუნების მიმართ ერთგვარ პატივისცემას, მოკრძალებას გამოხატავდნენ. ბუდიზმმა იაპონიაში შეიტანა არა მხოლოდ ახალი არქიტექტურული ფორმები, არამედ მშენებლობის განსხვავებული ტექნიკაც. ამ მხრივ უმნიშვნელოვანეს სიახლეს წარმოადგენდა ქვის საძირკველის შემოღება. ძველ შინტოისტურ ნაგებობებში კონსტრუქციის მთელი სიმძიმე მიწაში განთავსებულ ხიმინჯებს აწვებოდა, რაც საგრძნობლად ზღუდავდა ნაგებობის დასაშვებ თუ სასურველ ზომებს. ასუკას პერიოდიდან (592-710) დაიწყო რკალისებური ზედაპირის მქონე და კუთხეებაწეული პაგოდის ტიპის სახურავების გავრცელება, რომლებიც უკვე მიღებულ ნორმად დამკვიდრდა. რაც შეეხება სამშენებლო მასალას, იაპონიაში ყველა არქიტექტურული ნაგებობა ხისგან იგებოდა, ადრეულ შუა საუკუნეებში მშენებლობაში ქვა და აგური არ გამოიყენებოდა. მართალია, ეს გამუდმებით ხანძარსაშიშ სიტუაციებს ქმნიდა, მაგრამ სამაგიეროდ, მიწისძვრების დროს შენობები ნაკლებად ზიანდებოდა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ხის მასალა გარემომცველი ბუნებისა და ადამიანის შემოქმედების ოპტიმალურად შერწყმის საშუალებას იძლევა. იაპონელთა აზრით, ლანდშაფტთან არქიტექტურის ჰარმონიულად შერწყმა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ორივე მათგანი ერთი და იგივე მასალისაგან შედგება ანუ ამ შემთხვევაში საუბარია ხის შესახებ.

ბუდიზმის გავრცელების კვალდაკვალ, იაპონური ხელოვნების თითქმის ყველა დარგი მისი ზეგავლენის ქვეშ მოექცა. იაპონური ფერწერის დღემდე შემონახულ ნიმუშებს (მე-7-8 საუკუნეების) ჩინური და ინდური სახვითი ხელოვნების ძლიერი ზეგავლენა ეტყობა, ამასთან, ის ძირითადად ბუდისტურ სარწმუნოებასთან იყო დაკავშირებული. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, იაპონური ფერწერის ისტორია სათავეს სწორედ ბუდისტური ხელოვნებიდან იღებს, რომლის მთავარი ობიექტები მრავალსახოვანი ბუდები და ბოდჰისატვები იყვნენ. საწყის

ეტაპზე ისინი იმ სახით გამოისახებოდა, როგორც ეს ჩინეთსა და ინდოეთში იყო მიღებული. ასე რომ, იაპონელ ოსტატებს მცირე შესაძლებლობა ჰქონდათ თავიანთი შემოქმედებითი დამოუკიდებლობისა და იმპროვიზაციის გამოსავლენად. ამგვარ ფერწერას, რომლის სიუჟეტები მთლიანად ბუდიზმთან იყო დაკავშირებული, ბუცუ-გა ეწოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით – ჰეიანის პეროიოდში (794-1185) ამ კუთხით სიტუაცია შეიცვალა, კერძოდ, თავად ბუდამ და ბუდისტურმა სიწმინდეებმა უკვე იაპონიზირებული სახე მიიღეს. ბუდიზმთან იყო ასევე დაკავშირებული მუსიკის, ცეკვისა და თეატრალური ხელოვნება.

იაპონიაში კონტინენტური კულტურის ელემენტებისა და იდეოლოგიის დანერგვაში უდიდესი წვლილი მიუძღვის უფლისწულ შიოტოკუ ტაიშის (573-622),[1] რომელიც ჩინური კულტურისა და რელიგიური მოძღვრებების დიდი თაყვანისმცემელი იყო. საისტორიო წყაროების თანახმად, ის უაღრესად ნიჭიერი და ერუდირებული ადამიანი იყო, შესანიშნავად იცოდა ჩინური ენა, ფილოსოფია, ლიტერატურა, განსაკუთრებით ცნობილი იყო, როგორც ბუდისტური და კონფუციანური იდეოლოგიის საუკეთესო მცოდნე. შიოტოკუს მთავარ საზრუნავს ქვეყანაში ბუდისტური მორალური და ინტელექტუალური ღირებულებების დანერგვა წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, მისი ძალისხმევით იაპონიაში არაერთი ბუდისტური ტაძარი აიგო. ვინაიდან იმხანად იაპონიის სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციისათვის სტიმულის მიმცემი ჩინეთის იმპერია იყო, შიოტოკუ გეგმაზომიერად ცდილობდა გადმოეღო ჩინელთა ყველა მონაპოვარი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა

[1] შიოტოკუ ტაიში იყო თავისი მამიდის – დედოფალ სუიკოს (592-628) რეგენტი, თუმცა ფაქტობრივად, ქვეყნის რეალური მმართველი ის იყო. მისი ნამდვილი სახელი იყო უმეიადო, თუმცა, შემდგომ მას ეწოდა შოტოკუ ტაიში, რაც იაპონურად ნიშნავს – უმაღლესი სათნოების უფლისწულს. იაპონიის ისტორიაში ის მეტად პოპულარული პიროვნებაა, ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ მე-20 საუკუნის ბოლომდე იაპონური ფულის კუპიურაზე (1000 იენა) მისი სახე იყო გამოსახული.

სფეროში. საამისოდ მე-7 საუკუნის დამდეგიდან ჩინეთში სისტემატურად იგზავნებოდა მისიები, ჩინეთის საიმპერატორო კართან მყარი პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მიზნით, ასევე საჭირო ინფორმაციების მისაღებად, რაც დაკავშირებული იყო სახელმწიფო აპარატის, მიწათმფლობელობის, გადასახადების, განათლების სისტემის ორგანიზების საკითხებთან.

ქ. ნარა, უპირველეს ყოვლისა, განთქმულია ულამაზესი ბუდისტური ტაძრებით. მათგან განსაკუთრებით გამორჩეულია ჰორიუჯი და ტოდაიჯი, რომლებიც თავიანთი მასშტაბურობითა და ორიგინალური არქიტექტურით იაპონიაში აგებული სატაძრო კომპლექსების კლასიკურ ნიმუშებს განასახიერებენ. ჰორიუჯი მსოფლიოში დღემდე შემონახულ ყველაზე ძველ ხის ნაგებობადაა აღიარებული. ტაძარი 607 წელს აიგო ნარას სამხრეთ-დასავლეთით, დედოფალ სუიკოსა და მის ძმისშვილის – შიოტოკუს ძალისხმევით. მოგვიანებით ტაძარს სხვა ნაგებობები დაემატა და ის ნარას შემოგარენში მოექცა. კომპლექსი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: აღმოსავლეთის, სადაც რვაკუთხოვანი ე.წ. „ოცნების ტაძარი“ იყო და დასავლეთის – სადაც განთავსებული იყო სატრაპეზო, კანცელარია, საგანძური, აბანო და სხვა დამხმარე ნაგებობები. აღსანიშნავია, რომ „ოცნების ტაძარში“ ინახება ბუდისტური ხელოვნების შედევრად აღიარებული ქალმერთ კანონის[1] ხის ქანდაკება, რომელიც გარედან ოქროს ფურცლებითაა დაფარული. დღესდღეობით მისი გამოჩენა მნახველთათვის მხოლოდ შემოდგომისა და გაზაფხულის განსაზღვრულ დღეებში ხდება. ჰორიუჯის კვადრატული ფორმის ეზოში მდებარეობს ე.წ. ოქროს ტაძარი (კონდო) და ხუთიარუსიანი პაგოდა (მისი სიმაღლეა 32.45მ), რომლებიც ჩინურ და კორეულ არქიტექტურულ სტილთა ჰარმონი-

[1] კანონი – მოწყალების ქალღმერთი ბუდიზმში (ჩინური გუანინის ანალოგი), რომელიც განასახიერებს სიყვარულს, გულმოწყალებას და თანადგომას. ბუდისტური ლეგენდის თანახმად, ადამიანების ხსნისა და გადასარჩენად მას 33 სხვადასხვა სახის მიღება ძალუძდა.

ულ ნაზავს განასახიერებს. კონდოს კედლის ფრესკები, რომლებზეც ბუდას ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდებია გამოსახული, იაპონური ბუდისტური ფერწერის უძველეს ნიმუშადაა მიჩნეული. 623 წელს შიოტოკუ ტაიშის ხსოვნის პატივსაცემად (რომელიც 622 წელს გარდაიცვალა) ჰორიუჯის ტაძარში საყოველთაოდ განთქმული ბუდისტური ტრიადა დაიდგა – ლოტოსის ყვავილზე მჯდომი, ბრინჯაოში ჩამოსხმული ბუდა ორ ბოდჰისატვასთან ერთად. მისი ავტორია სახელოვანი ჩინელი ხუროთმოძღვარი ტორი. „ნიჰონ შოკის" თანახმად, 670 წელს ჰორიუჯის მეხი დაეცა და მისი დიდი ნაწილი დაიწვა. მას შემდეგ მას არაერთხელ გაუკეთდა რესტავრაცია და დღეისათვის თითქმის პირვანდელი სახითაა შემონახული ზემოხსენებული კონდო, პაგოდა და დარბაზების გარკვეული ნაწილი. აღსანიშნავია, რომ ჰორიუჯის კომპლექსი იყო იაპონიის პირველი კულტურულ-ისტორიული ძეგლი, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში იქნა შეტანილი (1993 წელს).

მასშტაბურობითა და დიდებული იერსახით გამოჩრეულია ასევე ნარას ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განთავსებული ტოდაიჯის (იაპონურად – აღმოსავლეთის დიდებული ტაძარი) სამონასტრო კომპლექსი. მისი მთავარი ტაძარი მსოფლიოში დღემდე შემონახულ ყველაზე დიდ ხის ნაგებობადაა აღიარებული (სიმაღლე – 49მ, სიგრძე – 86მ, სიგანე – 50მ). კომპლექსის მშენებლობა 743-752 წლებში მიმდინარეობდა. იმპერატორ შომუს (701-756; ზეობის წლები – 744-756) ბრძანებით, ტაძრის მთავარ დარბაზში ბუდა ვაიროჩანას (იაპონურად – მოკაშკაშე, გაბრწყინებული) უზარმაზარი ქანდაკება დაიდგა, რომლის სიმაღლე 16მ იყო (კვარცხლბეკთან ერთად – 22მ). მასშტაბური ზომების გამო, მას დაიბუცუ ანუ დიდი ბუდა ეწოდა. ქანდაკების ჩამოსასხმელად ასეულობით ტონა სხვადასხვა მეტალი (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ბრინჯაო...) დაიხარჯა. მისი დამზადება 747-752 წლებში მიმდინარეობდა კორეული წარმოშობის ხუროთმოძღვრის – კიმიმაროს ხელმძღვანელობით. მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ლოტოსის კვარცხლბეკზე მჯდომი დაი-

ბუცუ: მისი მარტო თავი და კისერი 5 მეტრს აღწევს, შუბლზე არსებული ე.წ. მესამე თვალი ადამიანის თავზე უფრო დიდი ზომისაა, ნესტოებში კი თავისუფლად ეტევა ზრდასრული ადამიანი. ბუდას წინ გაწვდილი მარჯვენა ხელი კურთხევის ჟესტიკულაციაა, რითაც ის თავის მრევლს ლოცავს. მარცხენა ხელით კი (ხელისგულით ზევით) ის სიკეთეს აფრქვევს გარშემო მყოფთათვის. ცისფრად შეღებილი თმის (რაც ზეცასთან სიახლოვის მანიშნებელია) 866 კულული ბუდას ღვთაებრიობის ნიშანია, კოპი შუბლზე კი – სიდიადისა და მიუწვდომლობის სიმბოლოა. იმავდროულად, ის სიბრძნის მესამე თვალია, რომლითაც ბუდა თითქოს ყველას და ყველაფერს ხედავს. 752 წელს დიდი ზარ-ზეიმით ქანდაკების გახსნის ცერემონიალი შედგა, რომელსაც უამრავი ადგილობრივი და უცხოელი სტუმარი ესწრებოდა. ადრეული შუა საუკუნეების იაპონიის ისტორიაში ეს ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ და გრანდიოზულ ღონისძიებადაა აღიარებული.

გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველ პერიოდში იაპონია გაუთავებელი ფეოდალური შიდა ომების ასპარეზს წარმოადგენდა, იმპერატორი შომუ ცდილობდა ბუდისტური იდეოლოგია ქვეყანაში სტაბილურობის დასამკვიდრებლად გამოეყენებინა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ტოდაიჯის კომპლექსის აგება (გოლიათი ბუდას ქანდაკებითურთ), რისთვისაც იმპერატორმა უშურველად გაიღო კოლოსალური მატერიალური ხარჯები. მისი ჩანაფიქრით, ტოდაიჯი ბუდას მიწიერი წმინდა ადგილსამყოფელი უნდა გამხდარიყო. ტოდაიჯის მეტად დრამატული ბედი ხვდა წილად, საუკუნეთა მანძილზე მან მრავალ განსაცდელს გაუძლო მიწისძვრების, ხანძრებისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა სახით. 1180 წელს, ფეოდალური შიდა ომის დროს, ტაირას საგვარულოს დაჯგუფებამ მოწინააღმდეგე მინამოტოს ბანაკის მომხრე ამბოხებული ბერების დასასჯელად, ქ. ნარა გადაწვა. ცხადია, რომ დიდად იზარალა ტოდაიჯიმაც, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ნანგრევების სახით აგრძელებდა არსებობას. მე-17 საუკუნეში კი ბუდისტმა ბერმა კოკეიმ (1648-1705) მისი აღდგენა დაიწყო და 1692 წელს ბუდას ქანდაკების ხელახ-

ლად კურთხევის საზეიმო ცერემონიალი შედგა. სისტემატური რესტავრაციების წყალობით, ბუდა ვაიროჩანა დღესაც მედიდურად გადმოჰყურებს მრევლსა და მნახველებს (ოღონდ 1 მ-ით უფრო მოკლეა, უწინდელთან შედარებით).

საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ტოდაიჯის უნიკალური საგანძური – შიოსოინი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა იმპერატორ შომუს მეუღლემ – კომიომ (701-760), მისი გარდაცვალების შემდეგ. მასში დაცულია ხელოვნების არაჩვეულებრივი ნიმუშები, უნიკალური დოკუმენტური მასალა, ეგზოტიკური ნივთები, იარაღები, მუსიკალური ინსტრუმენტები, თეატრალური ნიღბები, ბუდისტური სუტრები და სხვა. კოლექციის ღირებულება იმდენად დიდია, რომ იაპონელთა ცნობიერებაში ის აღიქმება, როგორც ერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლო. სამონასტრო კომპლექსების უმეტესობის მსგავსად, ტოდაიჯი ერთდროულად რელიგიური ღვთიმსახურების ადგილიც იყო, სასულიერო სასწავლებელიც და კულტურის კერაც.

ერთ-ერთ საუკეთესო ბუდისტურ საკულტო ძეგლადაა აღიარებული იაკუშიჯის ტაძარი, რომელიც 680-697 წლებში შენდებოდა იმპერატორ ტემუს თაოსნობით ქ. ფუჯივარაში, 718 წელს კი ის დაშლილ და გადატანილ იქნა ახალ დედაქალაქ ნარაში. ტაძრის ცენტრალურ დარბაზში განთავსებულია მკურნალი ბუდას ანუ იაკუში-ნიორაიას სკულპტურა (2.55მ სიმაღლის) ორ ბოდჰისატვასთან ერთად. იქვეა ქალღმერთ კანონის ბრინჯაოს ქანდაკება (2 მ-ზე მეტი სიმაღლის), რომლის იერსახეში და ჩაცმულობაში შერწყმულია იაპონური, ჩინური და ინდური ელემენტები. კომპლექსის მთავარ მშვენებას კი წარმოადგენს ორიგინალური კონსტრუქციის სამიარუსიანი ე.წ. აღმოსავლეთის პაგოდა (სიმაღლე 43მ), რომელსაც იარუსებს შორის კიდევ აქვს ქვედანაყოფები. თავისი ნატიფი და დახვეწილი ფორმების გამო, მას იაპონელებმა „გაშეშებული მუსიკა" შეარქვეს. სამწუხაროდ, მეორე ანალოგიური – დასავლეთის პაგოდა 1528 წელს მთლიანად დაიწვა და ამჟამად იმ ადგილას მისი ასლია აღმართული.

ადრეული პერიოდის იაპონიის ტაძრების გარკვეულმა ნაწილმა დღემდე ვერ მოაღწია, უმეტესობამ კი რესტავრირებული ან ხელახლა აგებული სახით მოაღწია, რადგანაც როგორც ზემოთ ითქვა, ისინი ხისგან იგებოდა. მართალია, ხის მასალა უფრო მდგრადი იყო მიწისძვრების მიმართ, მაგრამ ვერ უმკლავდებოდა ხანძრებსა და დრო-ჟამის მსვლელობას. ამ მხრივ, იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ნარას დასავლეთ ნაწილში 759 წელს აგებული ტოშიო-დაიჯი (ანუ „ჩინური ტაძარი"), რომელიც არასდროს დაზიანებულა და ამდენად, პირვანდელი სახე შეინარჩუნა. მისი დამფუძნებელი იყო ჩინელი ბუდისტი ბერი განჯინი (688-763), რომელიც დაბრმავების მიუხედავად, აქტიურად აგრძელებდა რელიგიურ მოღვაწეობას.[1] დიდ დამსახურებათა გამო, განჯინი იმავე მონასტრის ეზოშია დაკრძალული, ტაძარში კი დაცულია საოცარი რეალისტურობით გამორჩეული ხისგან დამზადებული მისი ქანდაკება, რომლის ხილვის საშუალება მნახველებს წელიწადში ერთხელ ეძლევათ – 5-დან 7 ივნისის ჩათვლით. ტაძრის მშვენებაა ასევე უფლისწულ შიოტოკუ ტაიშის გამოსახულება თავის ორ ვაჟთან ერთად. ტაძრის სიწმინდეთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. ათასხელიანი ქალღმერთ კანონის და ბუდას მონუმენტური ქანდაკებები. აღნიშნული ტაძარი განსაკუთრებით იმით არის პოპულარული, რომ მის მთავარ დარბაზში ათასამდე, ზუსტად კი, ბუდას 864 ერთნაირი ქანდაკებაა ჩამწკრივებული.

ცალსახად ნათელია, რომ იაპონიის მინა-წყალზე აგებული ბუდისტური საკულტო ნაგებობები სრულად წარმოაჩენს ადრეული შუა საუკუნეების ბუდისტურ კულტურას: ხუროთმოძღვრებას, არქიტექტურას, სკულპტურას, სახვით და გამოყენებით ხელოვნებას. იმავდროულად ბუდისტური ტაძარ-მონასტრები მსხვილი საგანმანათლებლო ცენტრე-

[1] განჯინი ჩინეთიდან იაპონიაში 753 წელს ჩავიდა, იმპერატორ შომუს მიწვევით და სიცოცხლის ბოლომდე იქ დარჩა. ის ცნობილია, როგორც ბუდისტური სექტის – რუცუს გამავრცელებელი იაპონიაში.

ბიც იყო, სადაც მოღვაწეობდნენ სწავლულები, მწერლები, მხატვრები, ფუნქციონირებდა სასწავლებლები. იმავე პერიოდში გაჩნდა პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები, რომელთა მთავარ თემატიკას ბუდისტური მოძღვრება, მისი სიწმინდეები და ფასეულობები წარმოადგენდა, ფართოდ გავრცელდა ასევე ბუდისტური წმინდა ტექსტების გადაწერა. თავის მხრივ, ეს ხელს უწყობდა კალიგრაფიისა და ხელოსნობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებული იყო ქაღალდის, ტუშის, ფუნჯებისა და საღებავების დამზადებასთან. აღნიშვნას იმსახურებს ისიც, რომ პირველი საავადმყოფოები, თავშესაფრები და სხვა საქველმოქმედო უწყებები იაპონიაში ბუდისტურმა სამღვდელოებამ დააარსა. ნარას პერიოდის დამასრულებელი ეტაპის ბუდისტური ხელოვნების ნიმუშებში თვალნათლივ იკვეთება ეროვნული ელემენტები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იაპონელი ოსტატები თანდათან თავისუფლდებოდნენ გარეშე ზეგავლენისაგან და თამამად ავითარებდნენ ეროვნულ კულტურას.

იაპონიაში ბუდიზმის განვითარების შემდგომი ეტაპი უკავშირდება ჰეიანის[1] (დღევანდელი კიოტო) პერიოდს (794-1185). აღნიშნული ხანის არქიტექტურის განუყოფელ კომპონენტს, ისევე როგორც ნარას პერიოდში, ბუდას სკულპტურული გამოსახულებები წარმოადგენდა, თუმცა, მომრავლდა შინტოისტურ ღვთაებათა გამოსახულებებიც (უმთავრესად, ეს იყო ჰაჩიმანის, მაცუოს და ქალღმერთ ნაკაცუ ჰიმეს ქანდაკებები). მართალია, ოსტატები უწინდებურად დაკანონებული ბუდისტური ნორმებით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ მათ შემოქმედებაში ნათლად გამოიკვეთა ასევე ადგილობრივი, იაპონიზირებული შტრიხები. კერძოდ, ბუდას კლასიკური ანუ ინდური გამოსახულების (იგულისხმება მედიტაციის მდგომა-

[1] ჰეიანი – ითარგმნება, როგორც მშვიდობის და სიმშვიდის დედაქალაქი (ჰეი – მშვიდობა: ან-სტაბილურობა, სიმშვიდე; კიო - დედაქალაქი). 1177 წელს ჰეიანი ხანძრისგან თითქმის მთლიანად დაიწვა, აღდგენა-განახლების შემდეგ, მას კიოტო (ანუ სატახტო ქალაქი) ეწოდა. 784-794 წლების მანძილზე კი საიმპერატორო რეზიდენცია განთავსებული იყო ქ. ნაგაოკაში.

რეობაში ლოტოსის ყვავილზე მჯდომი ბუდა) გვერდით, გაჩნდა მისი განსხვავებული ფიგურები, მომრავლდა ასევე დემონების, მრავალთავიანი და მრავალხელიანი ღვთაებების ქანდაკებები. იგივე ითქმის ჰეიანის პერიოდის სახვით ხელოვნებაზე, რომელიც ბუდისტური მოტივების მძლავრი აღმავლობით აღინიშნა. ამასთან, ის უკვე ეროვნული შტრიხებით იყო გაჯერებული. კონტინენტური კულტურის ტრანსფორმაციის პროცესი ყველაზე დიდი დოზით ლიტერატურაში გამოჩნდა. კერძოდ, შეიქმნა ახალი ჟანრები, მიმდინდარეობები და ისეთი ესთეტიკური კატეგორიები, რომლებიც ჩინეთში უკანა პლანზე იყო დარჩენილი ან სულაც არ არსებობდა. ყოველივე ზემოთქმულისა და კიდევ სხვა პარამეტრების საფუძველზე, ჰეიანის პერიოდი იაპონური ეროვნული კულტურის აყვავების „ოქროს ხანადაა“ აღიარებული.

რელიგიური სინკრეტიზმი იაპონიაში კიდევ უფრო გაღრმავდა კამაკურას პერიოდში (1185-1333)[1], გაძლიერდა ბუდისტური და შინტოისტური რწმენა-წარმოდგენების ურთიერთგავლენა, იაპონელთა რელიგიური სამყარო კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. ამასთან, ისევე როგორც ჰეიანის პერიოდში, ბუდიზმს წამყვანი პოზიციები ეკავა. ამ კუთხით მთავარ სიახლეს წარმოადგენდა ის, რომ ბუდიზმის სხვადასხვა სკოლები (ზოგიერთი მკვლევარი მათ სექტებად მოიხსენიებს) აღმოცენდა: ნიჩირენი, ძენ-ბუდიზმი, ჯიოდო (იგივე იკო), შინშიუ და სხვა. მთავარი განსხვავება მათ შორის მდგომარეობდა ყოფიერების პრობლემების გადაჭრის მიმართ სხვადასხვაგვარ მიდგომაში. მათგან ყველაზე გავლენიანი და ძლიერი აღმოჩნდა ძენ-ბუდიზმი, რომელმაც უამრავი მიმდევარი გაიჩინა და საზოგადოების ყველა ფენის

[1] მე-12 საუკუნის მიწურულს, ფეოდალური შიდა ომების შედეგად, იაპონიაში პოლიტიკური მმართველობის ახალი სისტემა – სამხედრო-ფეოდალური დიქტატურა ანუ შიოგუნატი (შიოგუნ – იაპონურად ნიშნავს „უმაღლეს მთავარსარდალს“) დაარსდა. ახალმა მმართველმა ანუ შიოგუნმა იორიტომო მინამოტომ (1192-1199) ქვეყნის მეორე დედაქალაქად კამაკურა გამოაცხადა. კიოტო კი საიმპერატორო კარის დედაქალაქად რჩებოდა.

წარმომადგენელი მიიზიდა. ზოგადად, მან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია იაპონელთა ფსიქოლოგიის და მორალის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებზე. აქედან გამომდინარე, ძენ-ბუდიზმი უთუოდ, იმსახურებს საგანგებო ყურადღებას და მის შესახებ ცალკე თავში იქნება საუბარი.

ხაზგასასმელია, რომ ბუდიზმის სხვადასხვა სკოლების აღმოცენების მიუხედავად, იაპონიაში შინტოიზმის სტატუსი არ შერყეულა. შესაბამისად, ამ ორ სარწმუნოებას შორის დაპირისპირება არ შეიმჩნეოდა. ბუდიზმის რომელი მიმდინაროეობის მიმდევარიც არ უნდა ყოფილიყო ადამიანი, ის მაინც პატივს მიაგებდა თავის საგვარეულო ღვთაებას (ანუ უჯიგამის – საგვარეულოს მითოლოგიურ წინაპარს). როგორც ზემოთ აღინიშნა, შინტო ყველა იაპონელის უმთავრეს მსოფლმხედველობას წარმოადგენდა და ასეა ახლაც. შინტოისტური წესებისა და ცერემონიების გარეშე წარმოუდგენელი იყო იაპონური სახელმწიფოს ფუნქციონირება და საერთოდ ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სისტემურად ჩამოყალიბებულ ბუდისტურ კონცეფციებთან მუდმივი თანაარსებობის პირობებში, შინტოიზმი იძულებული იყო თვითგამოხატვის ახალი ფორმები ეძებნა. განსახილველ პერიოდში ამგვარი ძიების ყველაზე ლოგიკურ გამოსავალს მსოფლგაგების ბუდისტურ სისტემაში ჩართვა წარმოადგენდა.

კამაკურა ტაძრების სიმრავლით გამოირჩეოდა და გამოირჩევა დღესაც, სადაც 176 ბუდისტური, შინტოისტური და ძენ-ბუდიზმის ტაძარია. აღსანიშნავია, რომ კამაკურას შიოგუნები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სამშენებლო საქმეს, კერძოდ, საკულტო ნაგებობების აღმშენებლობას. საამისოდ ხუროთმოძღვრები ჩინეთში იგზავნებოდნენ ცოდნის გასაღრმავებლად. ცნობილია, რომ პირველი შიოგუნი – იორიტომო მინამოტო პირადად ხელმძღვანელობდა ტაძრების აგებას, ფრესკებით და ორნამენტებით მათ გაფორმებას. უფრო მეტიც, ის არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ კამაკურათი და უზარმაზარ მატერიალურ სახსრებს ხარჯავდა ტაძრების, სალოცავების, ქანდაკებების აგებაზე მთელი იაპონი-

ის მასშტაბით, კიოტოს საიმპერატორო სასახლესაც კი უწევდა ფინანსურ შემწეობას. იორიტომოს თაოსნობით აღდგენილ იქნა ფეოდალური შიდა ომების შედეგად დაზიანებული არაერთი სამონასტრო კომპლექსი, მათ შორის ზემოხსენებული ტოდაიჯიც. კამაკურას მთავარი ღრსშესანიშნაობები ისევ და ისევ ბუდას სახელს უკავშირდება. ეს იმით აიხსნება, რომ სწორედ კამაკურას პერიოდში (1185-1333) აღმოცენდა ბუდიზმის სხვადასხვა მიმდინარეობები. ქალაქის სიმბოლოდ და ერთგვარ სავიზიტო ბარათად აღიარებულია მსოფლიოში ცნობილი, ე.წ. ლოტოსის პოზაში მედიტაციაში მყოფი, მჯდომარე ბუდას უზარმაზარი ქანდაკება, რომელიც სხვადასხვა მონაცემებით, 11 ან 13,5 მეტრის სიმაღლისაა. სიდიდის მიხედვით ის მეორე ადგილზეა იაპონიაში, ქ. ნარას ტოდაიჯის ტაძრის ბუდას შემდეგ. ქანდაკება 1252 წელს ჯერ ხისგან დამზადდა, შემდეგ კი ბრინჯაოში იქნა ჩამოსხმული. თავდაპირველად ის ტაძრის დარბაზში ყოფილა განთავსებული, მაგრამ 1369 და შემდეგ 1495 წლების ცუნამების შედეგად, ნაგებობა მთლიანად განადგურდა და 1495 წლიდან ბუდა ღია ცის ქვეშ აღმოჩნდა. თავზე მას ვერცხლის კულულები აქვს, რომლებიც 830 ლოკოკინითაა განსახიერებული. ლეგენდის მიხედვით, ლოკოკინები, რომლებიც ბუდიზმში სიბრძნის სიმბოლოდ მიიჩნეოდა, მზის მცხუნვარებისგან იცავდნენ ხანგრძლივ მედიტაციაში მყოფ ბუდას. ქანდაკების შიგნით ზემოთ ამავალი კიბეა, მის ბოლოში კი – გადმოსახედია ბუდას თვალებიდან, საიდანაც თვალწინ მთელი ქალაქის პანორამა იშლება.

საუკუნეთა მანძილზე ბუდიზმი და მისი თანმდევი მრავალფეროვანი კულტურა სულ უფრო განიმტკიცებდა თავის პოზიციებს იაპონიის არქიპელაგზე. მან ღირსეულად გაუძლო დრო-ჟამის მსვლელობას, შიოგუნებისა და მონარქების მონაცვლეობას, პოლიტიკურ და რელიგიურ დაპირისპირებებს. შედეგად, დღესდღეობით ბუდიზმი ლიდერ სარწმუნოებას წარმოადგენს იაპონიაში, თუმცა შინტოიზმი, როგორც იაპონელოთა ყოვლისმომცველი ეროვნული სეგმენტი, წარმატებით აგრძელებს მის გვერდით ფუნქციონირებას.

კონფუციონიზმი და ტაოიზმი იაპონიაში

იაპონიაში კონფუციონიზმის ისტორია იაპონური სახელმწიფოებრიობისა და კულტურის განვითარების ადრეული ეტაპიდან იღებს სათავეს. რამდენადაც კონფუცისა და ლაო წის ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებათა შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი,[1] ამჯერად იაპონიაში მათი გავრცელებისა და სტატუსის წარმოჩენით შემოვიფარგლებით.

კონფუციონიზმთან იაპონელთა პირველი შეხება 285 წლით თარიღდება, როდესაც კორეიდან ჩასულმა კონფუციანელმა სწავლულმა ვან იმ იამატოს[2] იმპერატორს საჩუქრად მიართვა კონფუცის ნაშრომი „მსჯელობანი და საუბრები“ და ჩინური ენის შესასწავლი სახელმძღვანელო „ათასი იეროგლიფი“. კონფუციანური ეთიკურ-მორალური ნორმების და ცხოვრების წესების გავრცელება კი დაახლოებით ბუდიზმის თანადროულად დაიწყო (მე-6 საუკუნის მეორე ნახევარი). მატერიკიდან მიგრირებულ ჩინელებს და კორეელებს იაპონიაში თან ჩაჰქონდათ არა მხოლოდ კონფუციანური თხზულებები, არამედ ასევე ტაოისტური ლიტერატურა. მართალია, ამ უკანასკნელის პოზიციები არ გაძლიერებულა იაპონიაში, თუმცა მან გარკვეული ზეგავლენა მოახდინა იაპონელთა ცხოვრების წესისა და რელიგიური პრაქტიკის ზოგიერთ ელემენტებზე. კერძოდ, საკმაოდ ფართოდ გავრცელდა მაგიის ტაოსური პრინციპები, შელოცვები, თილისმები, მარჩიელობა, წინასწარმეტყველება, ავი თვალისგან დამცავი

---

[1] იხ. წინამდებარე ნაშრომში: კონფუცი და კონფუციონიზმი, გვ. 73-83, ტაოიზმი, გვ. 83-91.

[2] იამატო – დიდი ტომობრივი კავშირი, რომლის სახელწოდება კუნძულ ჰონშიუს ცენტრალურ ნაწილში, ნარას დაბლობზე მდებარე გეოგრაფიული ადგილიდან მომდინარეობს. იამატო ეწოდებოდა იაპონიის ადრეკლასობრივ სახელმწიფოს მე-8 საუკუნემდე. 702 წელს კი პირველად გამოჩნდა ტოპონიმი „იაპონია“ (ანუ ნიჰონ ან ნიპონ, რაც ნიშნავს – ამომავალი მზის ქვეყანა), როდესაც იამატოდან ჩინეთში გაგზავნილმა ელჩობამ თავისი ქვეყანა ამ ახალი სახელწოდებით დააფიქსირა.

სხვადასხვა საშუალებები, ასევე – ჩინური ტრადიციული მედიცინის მეთოდები და პრინციპები.

609 წლიდან იაპონიიდან ჩინეთში იგზავნებოდნენ ახალგაზრდები, ღვთისმსახურები, სხვადასხვა მისიები, კონფუცის მოძღვრების საფუძვლიანად შესასწავლად. აღსანიშნავია, რომ კონფუციონისტები იყვნენ იაპონიის დინასტიური მატიანეების პირველი შემდგენლები, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საიმპერატორო კარის სამოხელეო აპარატის ფორმირებაში, ინიშნებოდნენ იმპერატორთა მრჩევლების თანამდებობაზე, აწარმოებდნენ სახელმწიფო ხაზინის ხარჯთაღრიცხვას, განაგებდნენ ტაძრების აღმშენებლობის საკითხებს და სხვა. იმპერატორ ტენჯის ზეობის ხანაში (662-670) შეიქმნა პირველი სახელმწიფო სასწავლო დაწესეულება, რომელსაც სათავეში ედგა კორეელი კონფუციონისტი სწავლული. იმპერატორ ტემუს მმართველობის პერიოდში კი (672-686) ხსენებული სასწავლებელი გადაკეთდა ე.წ. „საიმპერატორო სკოლად“, რომელიც კონფუციონიზმისა და ჩინური კულტურის გავრცელების მთავარ ცენტრს წარმოადგენდა. ასე რომ, კონფუციონიზმი, როგორც იაპონელი არისტოკრატიის დიდი ნაწილის იდეოლოგია, ფართო ასპარეზს უხსნიდა ქვეყანაში ჩინური კულტურის მთელი სისტემის დანერგვას. იაპონური კონფუციონიზმის თავისებურება იმაში მადგომარეობდა, რომ ის საზოგადოების უმაღლესი არისტოკრატიული წრეების კუთვნილებას წარმოადგენდა და მიუწვდომელი რჩებოდა ხალხთა ფართო მასებისათვის. აღსანიშნავია, რომ იაპონიაში გაბატონებული ბუდიზმი საკმაოდ ნეგატიურად იყო განწყობილი კონფუციონიზმისა და ტაოიზმის მიმართ, ამიტომაც მათ ფართო გავრცელება ვერ ჰპოვეს. შედარებით კეთილგანწყობილად ტაოიზმის ელემენტები, მასთან სტრუქტურულად მონათესავე, შინტოიზმმა მიიღო.

კონფუციანური იდეების გავრცელება იაპონიაში უფლისწულ შიოტოკუ ტაიშის სახელს უკავშირდება. კონფუციანური და ბუდისტური ნორმებით იყო გაჯერებული მის მიერ 604 წელს 17 მუხლისგან შემდგარი „კანონთა კრებულის“

შექმნა, რომელშიც ფორმულირებული იყო სახელმწიფო წყობისა და მართვის პარინციპები, ასევე ჩამოყალიბებული იყო გაბატონებული ფენებისადმი მიმართული მორალურ-ეთიკური ხასიათის რეკომენდაციები. სწორედ აღნიშნულმა კოდექსმა შეამზადა ნიადაგი და საფუძველი 645 წელს დაწყებული ტაიკას რეფორმებისათვის (იაპონურად ნიშნავს – დიდი ცვლილებები), რომელიც ჩინეთიდან გადმოღებულ კანონთა სისტემას ეფუძნებოდა.

კონფუციანურმა იდეებმა იაპონური რეალობის სხვადასხვა სეგმენტში შეაღწია, კერძოდ, განათლების, სწავლა-აღზრდის, იურისპუდენციისა და ადმინისტრაციული მმართველობის სფეროებში. აქვე ხაზგასასმელია, რომ უმეტეს შემთხვევებში ჩინურთან შედარებით, მან სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია შეიძინა. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. კერძოდ, იაპონელი საზოგადოება და სახელმწიფო ჩინურისგან განსხვავებული იყო, თავისებურებებით გამოირჩეოდა თითოეული მათგანის მიერ შემუშავებული წარმოდგენა სამყაროზე. თავის მხრივ, ეს გავლენას ახდენდა კონფუციანური ტექსტების გაგების ხარისხზე და მათ ადეკვატურად ინტერპრეტაციაზე იაპონელთა მხრიდან. გარდა ამისა, ჩინეთისგან განსხვავებით, იაპონიაში იგნორირებული იყო ე.წ. „ცის მანდატი“,[1] ხოლო საკონკურსო გამოცდების საფუძველზე თანამდებობის მიღების შესაძლებლობა ბლოკირებული იყო იაპონელი საზოგადოების სისხლისნათესაობრივი სტრუქტურით. იაპონიის სპეციფიკურ თავისებურებებსა და სხვაობას ჩინეთისაგან განაპირობებდა

[1] ცის მანდატი – ჩინური კონცეფცია, რომლის თანახმად, უზენაეს ღვთაებად ცა იყო აღიარებული. იმპერატორი, როგორც „ცის შვილი“, ვალდებული იყო პატივი მიეგო მისთვის მთელი ცისქვეშეთის ანუ ჩინეთის მოსახლეობის სახელით. თუკი რაიმე მიზეზით, ის ვერ ასრულებდა თავის მოვალეობებს, „ცის მანდატს“ კარგავდა და უნდა გადამდგარიყო. ასეთ შემთხვევებში მთელი დინასტიის შეცვლაც კი იყო დასაშვები. იაპონია საკითხისადმი ამგვარ მიდგომას არ იზიარებდა, რამდენადაც დინასტიის შეცვლა დაუშვებლად იყო მიჩნეული.

ასევე მისი კუნძულოვანი მდებარეობა, უფრო ნაკლები მოსახლეობა და ტერიტორია, შედარებითი დაცულობა გარეშე მტრისგან (ჩინეთს კი მუდამ პრობლემები ჰქონდა სხვადასხვა მომთაბარე ტომების შემოსევების გამო), იაპონელი საზოგადოების გვაროვნულ-ტომობრივი ხასიათი, შინტოიზმზე დაფუძნებული ადგილობრივი ტრადიციები და სხვა.

ცნობილი ფაქტია, რომ თავად ჩინეთი არ ცდილობდა იაპონიის მოქცევას თავისი იდეოლოგიური და პოლიტიკური ზეგავლენის არეალში. ამიტომაც ჩინური ელემენტების შეღწევა არქიპელაგზე ხდებოდა შერჩევის გზით, ანუ ხდებოლდა იმის გადაღება, რაც მიესადაგებოდა იაპონელთა ადათ-წესებსა და სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურებს. ძალზე მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობდა ჩინეთსა და იაპონიას შორის ისეთი ფუნდამენტური საკითხის განსაზღვრაში, როგორიც იყო მმართველი მონარქის სტატუსი. კერძოდ, ჩინეთში საგანგებო კანონებით იყო რეგლამენტირებული იმპერატორის ჩაცმულობა და მის ადგილსამყოფელი სხვადასხვა ცერემონიების დროს. იაპონიაში კი ამის მსგავსი არაფერი იყო, იმპერატორის პიროვნება ნებისმიერი წერილობითი საკანონმდებლო დებულებების მიღმა იყო დატოვებული. ასევე არ იყო განსაზღვრული ისეთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხი, როგორიცაა საიმპერატორო ტახტის მემკვიდრეობითობის წესი (კანონმდებლობით ეს მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაწესდა). მართალია, იმპერატორის ცხოვრება მკაცრად რეგლამენტირებული იყო, მაგრამ ეს ზეპირი სახით არსებობდა და არა წერილობით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იაპონურ ქრონიკებში („კოჯიკი“ და „ნიჰონ შიოკი“) დაფიქსირებული იყო მთელი სამეფო დინასტიის საკრალურობა და შეუცვლელობა.

ამრიგად, ბუნებრივია, რომ ჩინური საზოგადოებრივი, პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ სხვა ნორმების გადატანა იაპონურ რეალობაში სახეცვლილებას განიცდიდა და ადგილობრივი, ტრადიციული სოციალური წყობის საფუძვლებს მხოლოდ გარკვეული დოზით არღვევდა, თანაც ეს სისტემატურ ხასიათს არ ატარებდა. აღნიშნული გარემოებები

ვრცელდება კონფუციონიზმზეც, რომლისთვისაც იაპონიაში შინტოიზმი და ბუდიზმი ძნელად გადასალახავი ბარიერები აღმოჩნდა და ამიტომაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მან იქ მხოლოდ გარკვეული სეგმენტები მოიცვა.

ტაოიზმისაგან განსხვავებით, მოგვიანებით კონფუციონიზმმა იაპონიაში აღორძინება დაიწყო. საამისოდ ხელსაყრელი პირობები გაჩნდა ტოკუგავას დინასტიის მმართველობის ხანაში (1603-1867), როდესაც იაპონელი საზოგადოების ინტელექტუალურ ცხოვრებაში ამ მოძღვრების დებულებებმა წამყვანი ადგილი დაიკავა. მე-17 საუკუნის დასაწყისშივე გაიხსნა კონფუციანური სკოლები (როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სკოლები), 1630 წელს დედაქალაქ ედოში (დღევანდელი ტოკიო) შეიქმნა აკადემიის რანგის სასწავლებელი, სადაც კონფუციანური განათლების ჩინოვნიკებს ამზადებდნენ. გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შემდეგ, კურსდამთავრებულები შესაბამის თანამდებობებზე ინიშნებოდნენ. ძველ კლასიკურ კონფუციონიზმთან ერთად, აღნიშნულ პერიოდში გავრცელება დაიწყო ნეოკონფუციონიზმმა, რომელიც ტოკუგავას ხელისუფლების ოფიციალური იდეოლოგია გახდა. მისთვის ყველაზე მისაღები აღმოჩნდა კონფუციანური მოძღვრების ე.წ. ჭუსიანიზმის[1] ფორმა, რადგანაც იმედოვნებდა, რომ ნეოკონფუციონიზმი დამატებით შესაძლებლობებს მისცემდა მას ძალაუფლების განსამტკიცებლად. ბუდიზმისგან განსხვავებით, ჭუსიანიზმი ამქვეყნიურ ცხოვრებას ტანჯვად არ მიიჩნევდა, ადამიანებზე თავს დამ-

[1] ჭუსიანიზმის ფუძემდებელი იყო ჩინელი ფილოსოფოსი ჭუ სი (1130-1200). კონფუციონიზმის დოგმებზე დაფუძნებულ მის მოძღვრებაში უმთავრესი იდეა იყო სოციალური გრადაციის ნორმების დაცვა, ქვეშევრდომთა უპირობო მორჩილება საზოგადოების ზედა ფენების მიმართ. მის თანახმად, კონფუციონიზმში არარსებული საეკლესიო ორგანიზაციის როლი სახელმწიფოს სახელისუფლო აპარატს უნდა შეესრულებინა. იაპონიაში ჭუსიანური სკოლის ფუძემდებელი იყო ჰაიაში რაძანი (1583-1657), რომელიც ასზე მეტი ისტორიული, ფილოსოფიურ-რელიგიური და სამართლებრივი ხასიათის ნაშრომის ავტორი იყო.

ტყდარ უბედურებებს კი სამყაროში არსებული წესრიგის მათ მიერ არასწორი გაგებით ხსნიდა. ჭუსიანიზმი აღიარებდა საზოგადოების ფენობრივ და სოციალურ დაყოფას – კეთილშობილებად და მდაბიოებად, რამდენადაც ეს ბუნებრივ და მყარ აქსიომად იყო მიჩნეული. ის ქადაგებდა ხელისუფალთა მიმართ ქვეშევრდომთა მორჩილებასა და სამსახურს, არსებული სოციალურ-ეკონომიკური წყობილების სიმტკიცეს და სხვა. სწორედ ამ სახის დებულებათა გამო, იაპონიის მთავრობა დაინტერესებული იყო ჭუსიანიზმის იდეოლოგიის გაბატონებით ქვეყანაში. ხელისუფლების მხარდაჭერიდან გამომდინარე, ჭუსიანიზმის მქადაგებელთა ძალისხმევის წყალობით, აღნიშნულმა მოძღვრებამ სწრაფად დაიწყო გავრცელება.

ორთოდოქსული იდეოლოგის სტატუსის მიუხედავად, 1790 წლამდე ჭუსიანიზმი იაპონიაში ერთადერთ კონფუციანურ სკოლას არ წარმოადგენდა. აღნიშნულ წელს გამოცემული სამთავრობო ედიქტის თანახმად კი, ყველა კონფუციანური მიმდინარეობა კანონგარეშედ გამოცხადდა და სკოლებშიც მათი სწავლება აიკრძალა, გარდა ოფიციალური ჭუსიანიზმისა. მაგრამ რამდენადაც მე-18 საუკუნის მიწურული უკვე ტოკუგავას ეპოქის დაქვეითების საწყის პერიოდს წარმოადგენდა, ზემოხსენებულ დეკრეტს აღარ ძალუძდა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძვრების, განსხვავებული იდეოლოგიების (მათ შორის შინტოიზმის) გავლენის გაძლიერების შეჩერება. ამ უკანასკნელთა მიხედვით, ჭუსიანიზმი მეტისმეტად აკადემიური და ძნელად გასაგები იყო, ამასთანავე რამდენადაც ის ჩინეთიდან იყო გადმოღებული, მას არ ძალუძდა იაპონიის სპეციფიკურ გარემოებებთან ადეკვატურად შეთავსება. საბოლოო ჯამში, სხვადასხვა იდეოლოგიური სკოლების წარმომადგენელთა მოღვაწეობამ ბიძგი მისცა ქვეყნისათვის მეტად სასარგებლო პროცესების დაწყებას. კერძოდ, ფართოდ გაიშალა რელიგიურ-რეფორმატორული მოძრაობა, გამოიკვეთა საზოგადოებრივი აზრის ჰუმანისტური ტენდენციები, რომლებიც დაბალ ფენათა ინტერესებს იცავდა და არსებულ სოციალურ

სისტემას აკრიტიკებდა. ეს ყველაფერი ახალი დროისა და პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების დამსახურებას წარმოადგენდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პროცესები იმხანად საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

რაც შეეხება ტაოიზმს, იაპონიაში მისი ზოგიერთი ელემენტი კონფუციონიზმის პარალელურად გავრცელდა, თუმცა, განსაკუთრებული პოპულარობა არ მოუპოვებია. მან შეაღწია ასევე კორეაში, კამბოჯაში, ვიეტნამში, მაგრამ ბუდიზმთან კონკურენციას ვერ უძლებდა და მუდამ ჩრდილში რჩებოდა. ამ მხრივ გამონაკლისი იყო მხოლოდ მისი სამშობლო – ჩინეთი, სადაც ლაო წის მოძღვრება სერიოზულ კონკურენციას უწევდა ბუდიზმს. იაპონიის მიწა-წყალზე ტაოიზმმა გარკვეული სახეცვლილება განიცადა ადგილობრივი ადათ-წესების შესაბამისად, რის საფუძველზეც მან მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა იაპონურ კულტურაზე, ლიტერატურაზე, ასევე ტრადიციებზე. იაპონიაში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ჩინური ტაოსური ლეგენდები დიდ მაგებზე, რომლებმაც თითქოსდა უკვდავების ელიქსირის მოპოვების შედეგად, უკვდავებას მიაღწიეს (მათ ეწოდებოდათ - სენინ) და განდეგილად ცხოვრობდნენ შორეულ მთებში. სწორედ ამ ლეგენდებს დაეფუძნა იაპონური ხელოვნების სპეციფიკური დარგი – ონმედო (ანუ „ინისა და იანგის ჰარმონიის გზა“), რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა სახის მარჩიელობის, მაგიური განკურნების, ბედისა და ასტროლოგიური წინასწარმეტყველების ხელოვნებას. დიდ ინტერესს იწვევდა მოსახლეობაში ალქიმია და მისი მეშვეობით „უკვდავების რეცეპტების“ დამზადება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ტაოიზმმა შვა შორეულ აღმოსავლეთში ალქიმია, რომლის მთავარ მიზანს „უკვდავების ელიქსირის“ მოპოვება და შექმნა წარმოადგენდა.

ყურადღებას იმსახურებს ტაოიზმის როლი იაპონური სახელმწიფოებრივი მოდელის ფორმირებაში; იამატოს სამეფო კარი წარმოჩინდებოდა, როგორც ტაოსური ნორმების ერთგვარი სარკისებური ანარეკლი. ამ მიმართულებით მნიშ-

ვნელოვანი იყო მმართველის ტიტულის შეცვლა. კერძოდ, თავდაპირველად იამატოს მმართველებს ოკიმი (ჩინური იეროგლიფების – „დიდი ვანი“ ანუ „დიდი ბატონი“ იაპონური ფორმა) ეწოდებოდა, რაც ჩინეთთან ვასალურ ურთიერთობას გულისხმობდა. მე-6 საუკუნის ბოლომდე იაპონია მართლაც ჩინეთის ვასალად ითვლებოდა. მომდევნო ხანებში კი, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის კვალდაკვალ, დაიწყო ჩინური ასტროლოგიური ტერმინის „ტიან ხუან“-ის (იაპონურად - ტენნო) გამოყენება, რაც პოლარულ ვარსკვლავს, ასევე – ზეციურ იმპერატორს ნიშნავს. ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად, აღნიშნული ტერმინი იაპონიაში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრებოდა, როგორც „ცის შვილი“. ტაოსური წარმოდგენების თანახმად, ტიან ხუანი ანუ ტენნო – ტაოსური პანთეონის უზენაესი და უმთავრესი ღვთაება, ზეციურ იისფერ სასახლეში (იისფერი განსაკუთრებული საკრალურობის გამომხატველად ითვლებოდა) იმყოფებოდა, საიდანაც ტაოსელ ბრძენთა ქმედებებს წარმართავდა. სწორედ აქედან გაჩნდა იაპონელთა განსაკუთრებული დამოკიდებულება იისფერის მიმართ. ამ ფერის სამოსს იცმევდნენ საიმპერატორო კართან ყველაზე მეტად დაახლოებული დიდებულები. ტაოსური ტრადიცია ამოქმედდა ასევე იაპონიის მმართველთა რვაკუთხოვან (როგორც საკრალური რიცხვის)[1] სამარხებში და საიმპერატორო ტახტის კონსტრუქციაში. უზანესი მმართველის განუყოფელ ატრიბუტად ითვლებოდა რვაკუთხოვანი სარკე და მახვილი, რომლებიც ტაოსური რიტუალის აუცილებელ ნივთებს წარმოადგენდა.

თანგის დინასტიის გაბატონების შემდეგ (618-907) ჩინეთი აღმოსავლური სამყაროს უძლიერეს და ლიდერ სახელმწიფოდ იქცა. აღნიშნული პერიოდი სიახლეებით, ნოვატო-

[1] რიცხვი რვა (8) საკრალურადაა მიჩნეული სხვადასხვა აღმოსავლურ რელიგიებში. ტაოიზმში ის წარმატების, იღბლის, სიკეთის მომასწავებელ სიმბოლოს წარმოადგენს, ასევე რვა ტაოსელი წმინდა მაგის (რომლებმაც უკვდავებას მიაღწიეს) ფენომენალურ ძალასა და უნარებს განასახიერებს.

რობით, რეფორმებითა და კულტურის აყვავებით აღინიშნა, რასაც დიდი ენთუზიაზმით ეწაფებოდა იაპონია. იმავდროულად, წინა პერიოდებისაგან განსხვავებით, ორ ქვეყანას შორის უკვე პარიტეტულ უფლებებზე დაფუძნებული ურთიერთობები ვითარდებოდა, რეგულარული სახე მიიღო მათ შორის დიპლომატიურმა, სავაჭრო-ეკონომიკურმა და კულტურულმა ურთიერთობებმა. ანალოგიური ურთიერთობები ვითარდებოდა იაპონიასა და კორეის ნახევარკუნძულის სახელმწიფოებს შორის. რაც შეეხება სარწმუნოების საკითხს, ხსენებული პერიოდის იაპონიაში, რელიგიური მრავალფეროვნების მიუხედავად (შინტოიზმი, ბუდიზმი, კონფუციონიზმი, ტაოიზმი) დომინანტური პოზიცია ბუდიზმს ჰქონდა მოპოვებული.

ძენ-ბუდიზმი

ბუდიზმის მეტად ორიგინალურ და საინტერესო მიმდინარეობას წარმოადგენს ძენ-ბუდიზმი (თუმცა მკვლევართა ერთი ნაწილი მას ბუდიზმის ერთ-ერთ სექტად მიიჩნევს). სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, მისი, როგორც მოძღვრების ისტორია ინდოელი ბუდისტი ბერის – ბოდჰიდჰარმას ჩინეთში ჩასვლის დროიდან იწყება (მე-6 საუკუნის დასაწყისი). ჭეშმარიტების ძიების პროცესში მყოფი ბოდჰიდჰარმა თურმე მიხვდა, რომ მხოლოდ რიტუალების შესრულებით შედეგს ვერ მიაღწევდა. ამიტომ მან საფუძვლიანად შეისწავლა ბუდას მოძღვრება და მედიტაცია დაიწყო. საამისოდ საჭირო იყო ლოტოსის პოზაში ხანგრძლივი დროის მანძილზე ჯდომა და გონების კონცენტრაცია, მაგრამ ბოდჰიდჰარმას თვალები ეხუჭებოდა და ეძინებოდა, ამის გამო გამწარებულმა, თურმე ქუთუთოები მოიგლიჯა და გადაყარა. მისმა შეუპოვარმა ხასიათმა საბოლოოდ შედეგი გამოიღო და ის გასხივოსნდა. ამის შემდგომ ბოდჰიდჰარმამ მოწაფეების ძებნა დაიწყო, რათა თავისი გამოცდილება გაეზიარებინა, მაგრამ ინდოეთში მისი მოძ-

ღვრებით არავინ დაინტერესებულა. ამიტომ ის ჩინეთში გაემგზავრა, სადაც გასხივოსნებულ ოსტატს უამრავმა ჭეშმარიტების მაძიებელმა მიაშურა. მიუხედავად ამისა, ბოდჰიდჰარმა პირით კედლისკენ იჯდა გამუდმებით და ზედ არავის უყურებდა. „არ არის განსხვავება, რაღა კედელს ველაპარაკო და რაღა თქვენ“, – უთქვამს მას. ასე იჯდა, მანამ ერთი ჭაბუკი არ მიუახლოვდა, რომელმაც მარჯვენა ხელი მოიჭრა, წინ დაუდო ბოდჰიდჰარმას და უთხრა: „აჰა, ჩემი ხელი მიიღე ჩემგან ძღვნად. თავსაც მოვიჭრი, თუ არ მობრუნდები!“. მაშინ გაეღიმა ბოდჰიდჰარმას, შემობრუნდა და განაცხადა: „ვისაც ძალუძს მარჯვენა ხელი გაიღოს ჭეშმარიტებისათვის, ის ღირსია გადარჩენის“. ამის შემდგომ მან თავისი მოძღვრების გავრცელება დაიწყო ჩინეთში.

ასე ჩაეყარა ასაფუძველი ჩან-ბუდიზმს. როგორც ზემოთ აღინიშნა, „ჩან“ მომდინარეობს სანსკრიტული „დჰიანა“-დან, რაც ნიშნავს – თვათჩაღრმავებას, მედიტაციას, მზერას, ყურადღების კონცენტრაციას. ბოდჰიდჰარმას მკაცრი და შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა, ის უკომპრომისო იყო მოწაფეებთან დამოკიდებულებაში. თუ ბუდა თვლიდა, რომ ბუდისტს აგრესიაზე აგრესიით არ უნდა ეპასუხა, ბოდჰიდჰარმა სხვა აზრისა იყო, ის ამბობდა: „მე მჭირდება ეს სიცოცხლე იმისათვის, რომ მივაღწიო ნირვანას და თუ ვინმე შეეცდება მის ხელყოფას, მე შემიძლია დავიცვა თავი“. ჩან-ბუდიზმის სტრუქტურა იმთავითვე მოიცავდა როგორც რელიგიურ ელემენტებს, ისე ცხოვრებისეულ ფილოსოფიას და სოციალურ-ფსიქოლოგიურ სეგმენტებს, რაც დაკავშირებული იყო ადამიანის ცხოვრება-მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებთან.

მე-12 საუკუნის მიწურულს ჩან-ბუდიზმი ჩინეთიდან იაპონიაში გავრცელდა, სადაც იაპონური ენის ფონეტიკური ნორმების შესაბამისად, „ძენ“-ად იქცა. ძენ-ბუდიზმის დოქტრინები არქიპელაგზე პირველად ნარას პერიოლში (710-784) გახდა ცნობილი, თუმცა, მისი, როგორც დამოუკიდებელი მოძღვრების გავრცელება კამაკურას ეპოქაში (1185-1333) მოხდა და განსაკუთრებული პოპულარობა, უპირვე-

ლეს ყოვლისა, სამურაების სამხედრო ფენაში მოიპოვა. იაპონიაში ძენი რამდენიმე მიმართულებად გაიყო, მათგან უმთავრესი იყო რინძაი და სოტო (უფრო ნაკლებად - ობაკუ), რომელთა ფუძემდებლები იყვნენ ბუდისტი ბერები – ეისაი (1141-1215) და დოგენი (1200-1253). ეისაი ორჯერ იმყოფებოდა ჩინეთში ცოდნის გასაღრმავებლად. 1191 წელს ის იაპონიაში დაბრუნდა „ძენის მოძღვრის" წოდებით და სათავეში ჩაუდგა რინძაის სკოლას. იმ დროიდან მოყოლებული, ინტენსიურად დაიწყო ძენ-ბუდიზმის გავრცელება იაპონიაში. აღსანიშნავია, რომ ეისაის მიეწერება იაპონიაში ჩაის სმის რიტუალის აღორძინება, როგორც ძენის განუყოფელი კომპონენტისა.

რინძაის სკოლის იდეურ საფუძველს წარმოადგენდა გონების უცაბედი გაცისკროვნება-განათება (იაპონურად – სატორი). ამის მისაღწევად მოძღვრები მოწაფეთა წვრთნის სისტემაში იყენებდნენ სხვადასხვა მეთოდს, რომელთა შორის უმთავრესი ადგილი ეკავა ე.წ. კოანს.[1] მის თანახმად, თუ მოწაფე მოახდენს ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრაციას და მთელი არსებით მოიწადინებს შეკითხვის შეფარული აზრის ამოცნობას, ის აუცილდებლად იპოვის საჭირო პასუხს. საამისოდ კი მან უარი უნდა თქვას ლოგიკურ-ფორმალურ აზროვნებაზე და ქვეცნობიერ-ასოციაციურ განსჯას მიმართოს. ასე რომ, კოანის ამოხსნა არის აზრობრივი ბარიერის გადალახვა, რაც მოვლენათა ახალი სეგმენტების აღმოჩენის საშუალებას იძლევა. ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ ძენის მოძღვარი არ კითხულობდა სუტრებს, არ ასრულებდა რიტუალებს, არ ეთაყვანებოდა წმინდანთა გამოსახულებებს, მოწაფეებს დარიგებებს აძლევდა არა გრძელი ქადაგებებით, არამედ მინიშნებებით და კოანის მეთოდის გა-

[1] კოან – აღნიშნავს სპეციფიკურ კითხვა-გამოცანებს, რომლებსაც მოძღვარი ამოსაცნობად აძლევდა მოწაფეს. საამისოდ სულაც არ იყო საჭირო ლოგიკური აზროვნება, წიგნების კითხვა და რიტუალების ცოდნა. საკმარისი იყო მხოლოდ ინტუიცია, რომელიც განჭვრეტის დახმარებით, ადამიანს ჭეშმარიტების შეცნობამდე მიიყვანდა.

მოყენებით (მაგალითად, პარადოქსული გამონათქვამებით, დარტყმით, დაყვირებით და სხვ.), რომლის მიზანს წარმოადგენდა მოწაფის უცაბედ გაცისკროვნებამდე, გონების განათებამდე მიყვანა. ბუნებრივია, რომ სისტემა, რომელიც ესოდენ დაშორებული იყო დაკანონებული დოგმებისაგან და თეორიებისაგან, საზოგადოების სხვადასხვა ფენაში ინტერესს აღძრავდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძენის მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ, რომ ძენი ბუტაფორიული, ექსცენტრიული და პრეტენზიული მისტიციზმი იყო, რადგანაც ის უპირისპირდებოდა რიტუალებს და დოგმატურ ნორმებს. ამის გამო ბუდიზმის სხვადასხვა სექტები მას მკვეთრად უპირისპირდებოდნენ. თუმცა, სწორედ ძენ-ბუდიზმის ეთიკური ელემენტების წყალობით გამოინახა იაპონიაში კომპრომისი ბუდიზმსა და ჩინურ მოღვრებებს (ტაოიზმი, კონფუციონიზმი) შორის.

ეისაისაგან განსხვავებით, სოტოს სკოლის ფუძემდებელი დოგენი უარყოფდა ზემოხსენებულ კოანების სისტემას. მან შეიმუშავა ჭეშმარიტების წვდომის ახალი მეთოდი, რომელსაც ეწოდა ძაძენი (ანუ ძენი მჯდომარე მდგომარეობაში). დოგენის აზრით, ამგვარი მედიტაციის დროს ადამიანი ეთიშება ყოველგვარ ყოფითი ხასიათის საზრუნავს, სულიერ, ფიზიკურ და სხვა სახის განცდებს, რის შედეგადაც მას ძალუძს თანდათან შინაგანი გაცისკროვნების ანუ სატორის მდგომარეობას მიაღწიოს. ამგვარ სიტუაციაში ადამიანი გრძნობს, რომ მისი „მე“ თითქოს ქრება, განიბნევა და სანაცვლოდ, სამყაროსთან შერწყმის შეგრძნება ეუფლება. დოგენი თავის დოქტრინას უკავშირებდა იაპონელთა ცხოვრების წესს, მათ შრომით საქმიანობას, ყოველდღიურ საფიქრალ-საზრუნავს. ამიტომაც იყო, რომ მონასტრებში, სადაც ის თავის შეხედულებებს ნერგავდა, ბერები დაკავებულნი იყვნენ ფიზიკური შრომით, ზრუნავდნენ ხალხის საჭირბოროტო და ყოფითი საკითხების მოგვარებაზე და სხვ. ძენის ხსენებული ორი მიმართულებიდან, სოტომ უფრო მეტი პოპულარობა სოფლის მოსახლეობაში, გლეხებში და საშუალო რანგის სამურაებში მოიპოვა, რინძაიმ კი ფართო გავრცელება ჰპოვა

უფრო საზოგადოების ინტელექტუალურ ფენებში და მაღალი რანგის სამურაებში. აქედან გამომდინარე, უპრიანია წარმოვაჩინოთ ძენ-ბუდიზმი, როგორც სამურაების მთავარი იდეოლოგია.

თავდაპირველად სამურაების სამხედრო ფენის რწმენის ობიექტს ბუდისტური სექტა – ჯიოდო (იაპონურად ნიშნავს – სუფთა მიწას) და მისი მთავარი ღვთაება ამიდას (იგივე ამითაბჰა) - „უკიდეგანო სინათლის ბატონის“ კულტი წარმოადგენდა. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სამურაებმა იაპონიაში გავრცელებული რელიგიური მოძღვრებებიდან ის ელემენტები გაითავისეს, რომლებიც ყველაზე მეტად ახლოს იყო მათ სულიერ სამყაროსთან. მათი მორალურ-ეთიკური ნორმების კოდექსი „ბუშიდოც“ (ნიშნავს – „მეომრის გზა“) აღმოსავლეთის რელიგიებიდან იღებდა ფილოსოფიურ და ეთიკურ დოქტრინებს, ზოგ შემთხვევებში კი ერწყმოდა მათ. მაგალითად, ბუდიზმმა „ბუშიდოში“ შეიტანა ბედისწერის გარდუვალობის რწმენა, სიმტკიცის გრძნობა ხიფათისა და უბედურების მიმართ, სიცოცხლისადმი – მშვიდი, სიკვდილისადმი კი – გულგრილი დამოკიდებულება. იაპონელთა უძველესი სარწმუნოებისგან – შინტოიზმისგან „ბუშიდომ“ შეითვისა სამშობლოს სიყვარული, წინაპართა კულტი, მშობლების მიმართ შვილების მოკრძალება და ვალდებულებები. შინტოიზმისათვის დამახასიათებელი გარკვეულ საგანთა, მაგალითად – მახვილის გაღვთაებრივება, პირდაპირ ესადაგებოდა სამურაების საბრძოლო სულისკვეთებას. სამურაების მსოფლმხვედლობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ასევე კონფუციონიზმმა, კერძოდ, ადამიანთა შორის ურთიერთობების შესახებ შემუშავებულმა ხუთმა დოგმამ: უმცროსი უნდა ემორჩილებოდეს უფროსს (აქ იგულისხმება, როგორც ასაკით უფროსის, ისე სოციალური მდგომარეობით მაღლა მდგომის მიმართ მორჩილება), მამას – შვილი, ბატონს – ქვეშევრდომი, ქმარს – ცოლი, მეგობართა შორის – თანასწორუფლებიანი ურთიერთობები. ასე რომ, სამურაების რელიგიური მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა შინტო-

იზმის, ბუდიზმისა და კონფუციონიზმის გარკვეული ელემენტების შერწყმის საფუძველზე.

საბოლოოდ, სამურაების ცხოვრებაში დომინანტური პოზიცია დაიმკვიდრა ძენ-ბუდიზმმა, რომელიც მათ მთავარ იდეოლოგიად იქცა. მეომართა ფენაში მის პოპულარობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ძენის ის მოთხოვნები, რომლებიც საოცარი სიზუსტით მიესადაგებოდა მათი ცხოვრების წესს, კერძოდ: მკაცრი თვითდისციპლინა, მიზანდასახულობა, სიმამაცე, სიუზერენისადმი ვასალის უპირობო მორჩილება, სისადავე, უბრალოება, მამაკაცის უმთავრეს მოვალეობად სამხედრო საქმიანობის აღიარება. გარდა ამისა, ძენ-ბუდიზმი ტანჯვისაგან ხსნის გზას მხოლოდ შინაგან გაცისკროვნებაში, ამქვეყნიური ყოველგვარი სიამოვნებისაგან და ფუფუნებისაგან განდგომაში ხედავდა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ ძენი კონფუციანურ იდეებსაც შეიცავდა უფროსისადმი უმცროსის მორჩილებისა და არსებული სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმის მარადიულობის შესახებ. ცხადია, ეს ყველაფერი გაბატონებული კლასის წისქვილზე ასხამდა წყალს, რათა თავისი ძალაუფლება ხალხთა მასებზე კიდევ უფრო გაეძლიერებინა და განემტკიცებინა. ძენი ქადაგებდა, რომ ამქვეყნად ყველაფერი წარმავალია და დროის მცირე მონაკვეთითაა შემოფარგლული. სიკვდილი კი გარდაუვალი და მარადიულია, ამიტომაც როდესაც მისი ჟამი დადგება, ადამიანი მშვიდად უნდა დაუხვდეს მას. აქედან მომდინეარეობდა სამურაების გულგრილი და უშიშარი დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ. ძენი შთააგონებდა მეომარს, რომ მტრის პირისპირ აუღელვებელი, თავდაჯერებული და იმავდროულად თავშეკავებული ყოფილიყო. სწორედ რკინისებური მტკიცე ნებისყოფის წყალობით, ის ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავდა და გამარჯვებასაც მოიპოვებდა.

ძენ-ბუდიზმმა თავისი პრინციპებითა და ნორმებით მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მეომართა ფენის კოდექსის – „ბუშიდოს“ შინაარსი. ამაში მოიაზრება სამურაების მა-

ხასიათებელი ისეთი აუცილებელი თვისებები, როგორიცაა: სიმამაცე, თავისი პატრონი ფეოდალის მიმართ ფანატიკური ერთგულება, პატიოსნებისა და ღირსების გამძაფრებული გრძნობა, თვითმკვლელობის (იაპონურად – ჰარაკირი, ასევე – სეპუკუ ან კაპუკუ, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს – მუცლის გაფატვრას) კულტი მოვალეობის გამო და ღირსების დასაცავად, ასევე იმის მტკიცე რწმენა, რომ გმირულად დაღუპული მეომარი რაინდის სახელს სათანადო პატივი მიეგებოდა თაობების მიერ საუკუნეთა მანძილზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფანატიზმი და თავგანწირვისათვის მზაობა, რაც სამურაებს ძენ-ბუდიზმიდან ჰქონდათ შესისხლხორცებული, განსხვავდებოდა ისლამის მეომართა ფანატიზმისაგან. ეს უკანასკნელნი თავს სწირავდნენ (და ახლაც სწირავენ თავს) სარწმუნოების სახელით, იმქვეყნად – სამოთხეში ჯილდოს მიღების იმედით. ბუდიზმში (ისევე როგორც ძენ-ბუდიზმში) და შინტოიზმში კი არ არსებობდა საიქიოში მარადიული ნეტარების კონცეფცია. საქმე ის არის, რომ ზოგადად, იაპონური სულიერი კულტურა (ისევე როგორც ჩინური) ორიენტირებული იყო ამქვეყნიურ ცხოვრებაზე. აქედან გამომდინარე, სასიკვდილოდ მზად მყოფი მეომარი რაინდები საიქიო ნეტარებაზე და კეთილდღეობაზე კი არ ოცნებობდნენ, არამედ ღირსეულ აღსასრულზე და ცოცხალთა ხსოვნაში ნათელი კვალის დატოვებაზე. ამგვარი დამოკიდებულება სიკვდილისადმი, როგორც ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენის მიმართ, რომლის დროსაც ერთი მდგომარეობა იცვლება მეორეთი (ადრინდელ ცხოვრებაში დაბრუნების პერსპექტივით, ოღონდ უკვე ახალი – მეორედ დაბადებულის სახით), სტიმულირებული იყო ბუდიზმით, კერძოდ კი ძენ-ბუდიზმით. „ბუშიდოს“ ეთიკური ნორმებიდან და ძენის დოქტრინიდან გამომდინარე, სამურაისათვის ყველაზე მაღალ შეფასებად მიიჩნეოდა მის საფლავზე გაკეთებული შემდეგი სახის ეპიტაფია: „მას არასოდეს დაუჩაგრავს სუსტი და არასოდეს დაუხევია უკან ძლიერის წინაშე“.

იაპონიაში სამურაების სამხედრო ფენის არსებობის ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო მისი აღზევების, ბატო-

ნობის, შემდეგ დასუსტების და ბოლოს აღსასრულის პერიოდები, რაც უშუალო კავშირში იყო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან. მე-16 საუკუნეში სამურაების ფენამ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია და შესაბამისად, სახელისუფლებო სოციალური კიბის უმაღლეს საფეხურზე მოექცა. სწორედ სამურაების განსაკუთრებული აღზევების პერიოდიდან იღებს სათავეს ცნობილი იაპონური ფრთიანი გამოთქმა: „ყვავილთა შორის ალუბალი, ადამიანთა შორის – სამურაი“. მათი არსებობის საჭიროება განპირობებული იყო ქვეყანაში მიმდინარე გაუთავებელი ფეოდალური შიდა ომებით, რომელთა მთავარ მამოძრავებელ ძალას სამურაები წარმოადგენდნენ. მათი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა მე-19 საუკუნეში, როდესაც ქვეყანა საომარი-გასამხედროებული ცხოვრების რეჟიმიდან მშვიდობიან, სამოქალაქო ყოფაზე გადავიდა და აქედან გამომდინარე, სამურაებმა თავიანთი ფუნქცია დაკარგეს.

სიახლეებმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, განსაკუთრებით კი 1867-1868 წლების ბურჟუაზიულმა რევოლუციამ (ე.წ. მეიჯის რესტავრაციამ), უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა სამურაების ბედი: 1867წ. მიწურულს დაემხო შიოგუნატის სისტემის მმართველობა (ამ აქტით იაპონიაში აღდგენილ იქნა იმპერატორის ერთმმართველობა) და მასთან ერთად დასრულდა სამურაების ხანაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, რა თქმა უნდა, ეს უმტკივნეულოდ არ მომხდარა და ადგილი ჰქონდა სამურაების ამბოხებებს, შეტაკებებს სახელისუფლო საჯარისო ფორმირებებთან და სხვ. მაგრამ ვინაიდან ეს ფენა შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში უკვე დრომოჭმული ფეოდალური ურთიერთობების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენდა, ბუნებრივია, რომ ქვეყნის შემდგომი განვითარების კონკრეტულ ეტაპზე ის ისტორიის კუთვნილება გახდა.

რაც შეეხება უშუალოდ ძენ-ბუდიზმს, იაპონიაში განსაკუთრებულ აყვავებას მან მე-14-15 საუკუნეებში მიაღწია, როდესაც მისი მფარველობა შიოგუნებმა დაიწყეს. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, ძენის დოქტორინით ხელ-

მძღვანელობდნენ არა მხოლოდ პროფესიონალი მეომრები, არამედ საზოგადოებას სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი ხელოვნების მოღვაწეები. რამდენადაც ძენის ხელოვნება საუბრის სხვა თემას წარმოადგენს, თანაც მეტად ორიგინალურსა და საინტერესოს, მის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი. ძენ-ბუდიზმმა იაპონიაში რელიგიურთნ ერთად, ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური და ესთეტიკური დატვირთვა შეიძინა. საუკუნეთა მანძილზე მისი იდეები ისე შეეზარდა იაპონურ რეალობას, რომ მისი არსებობა აღარც კი შეიმჩნევა ანუ ისე აღიქმება, როგორც ბუნებრივად არსებული აუცილებელი სეგმენტი. თანამედროვე პერიოდში ძენის მოძღვრება დაუახლოვდა სოციოლოგიას, ფსიქიატრიას, ფსიქოლოგიას, გამოყენება ჰპოვა ფსიქოთერაპიაში. სპორტის სხვადასხვა სახეობაში, იოგურ ვარჯიშებში და სხვ.

ძენ-ბუდიზმი იაპონურ ხელოვნებაში

შუა საუკუნეების იაპონური ხელოვნების სხვადასხვა დარგმა მეტნაკლები დოზით განიცადა ძენ-ბუდიზმის ზეგავლენა, ზოგიერთი სპეციფიკური ხელოვნების სახეობა კი უშუალოდ ძენის საფუძველზე შეიქმნა. როგორც ზემოთ ითქვა, ძენ-ბუდიზმმა იაპონიაში ჩინეთიდან მე-12 საუკუნის მიწურულს შეაღწია, მე14-15 საუკუნეებიდან კი ძენის, როგორც კულტურული ფენომენის ბიოგრაფია დაიწყო. საქმე ის იყო, რომ სისხლისმღვრელი სასტიკი ფეოდალური შინაომების ეპოქაში სწორედ ძენის მონასტრები იქცა იმ წყნარ, მყუდრო სავანეებად, სადაც იაპონურ კულტურას ძალუძდა განვითარება და ეს ნათლად აისახა მის ყველა სფეროში. თუკი თავდაპირველად კამაკურას ეპოქაში (1185-1333) სამხედრო ფენის მახასიათებელი იყო სიმკაცრე, სისადავე და უბრალოება, დროთა ვითარებაში სამურაების ესთეტიკურმა იდეალებმა არსებითი სახეცვლილება განიცადა. თანდათან გა-

მოიკვეთა ჰეიანის არისტოკრატთა ცხოვრების წესის მიბაძვისაკენ, ფუფუნებისაკენ, სინატიფისაკენ ლტოლვა, რაც ადრე მათი მხრიდან გაკიცხვის ობიექტს წარმოადგენდა. ზოგადად, იაპონიაში ახალი ესთეტიკური პრინციპების ფორმირებაში განმსაზღვრელ როლს სწორედ ძენ-ბუდიზმი და მისი მონასტრები ასრულებდნენ, რომლებიც იმ დროისათვის რელიგიურთან ერთად, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებს წარმოადგენდნენ.

ძენის მიერ წმინდა რელიგიური ელფერის დაკარგვა, რაც კამაკურას ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი, იაპონური კულტურის მსოფლმხედველური საფუძვლების შეცვლას უწყობდა ხელს. აქედან გამომდინარე, ძენის დოქტორინით ხელმძღვანელობდა უკვე არა მხოლოდ მეომრების ფენა, არამედ სწავლულები, ვაჭრები, ხელოსნები, მხატვრები, პოეტები და ხელოვნების სხვა სფეროთა წარმომადგენლები. ძენი მათი ცხოვრების ყოველდღიურ ყოფასა და შემოქმედებით მოღვაწეობას დაუკავშირდა. სწორედ ამის საფუძველზე იაპონიაში ხელოვნების ისეთი სპეციფიკური დარგები შეიქმნა, როგორიცაა: ყვავილთა შეკონვა-შეხამების ხელოვნება ანუ იკებანა, ჩაის სმის რიტუალური ცერემონია, ბაღების და პარკების მოწყობის ხელოვნება, ასევე ახალი ბიძგი მიეცა ფერწერის, პოეზიის, თეატრის, არქიტექტურის განვითარებას. ძენ-ბუდიზმის ესთეტიკური კონცეფციის არსი ყველგან და ყველაფერში (განსაკუთრებით გარემომცველ ბუნებაში) სილამაზის, მშვენიერების ძიებაში მდგომარეობდა. აღნიშნული კონცეფცია ახალ ეტაპს წარმოაჩენდა გარე სამყაროს შეცნობის პროცესში და მასში ადამიანის ადგილის პოვნის მცდელობაში. ცხადია, რომ ბუნების სილამაზისა და მისი ამოუწურავი მრავალფეროვნების ასახვისკენ სწრაფვა, თავის გამოხატულებას პოულობდა ადამიანის შემოქმედებით მოღვაწეობაში და შესაბამისად, კულტურის სხვადასხვა სფეროში. თვალსაჩინოებისათვის, ამ პროცესს თვალი გავადევნოთ იაპონური ხელოვნების ზოგიერთი დარგის ნიმუშზე.

ძენ-ბუდიზმის ესთეტიკის პრინციპების ზეგავლენით განვითარდა იაპონური პეიზაჟის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური სტილი, „ერთი კუთხის“ სახელწოდებით ცნობილი მიმდინარეობა ფერწერაში, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა მხატვარმა მა იუანმა (1175-1225). ამ სტილს ეწოდება – ვაბი, რაც სიმწირეს, სილარიბეს ნიშნავს, მაგრამ არა პირდაპირი გაგებით. ამ ტერმინის ქვეშ ნახატის ლაკონურად გამოსახვა იგულისხმებოდა, მხატვრისაგან ის საღებავების მომჭირნედ გამოყენებას მოითხოვდა. მაგალითად, შემოდგომის გამოსახვისათვის საკმარისი იყო გამხმარ ტოტზე ეულად მჯდომი ჩიტის ან გაყვითლებული ფოთლის დახატვა. ამგვარი ნახატი მნახველში აღძრავს სურვილს საკუთარ „მე“-ს ჩაუღრმავდეს, სამყაროს მარადიულობა შეიგრძნოს. ძენის მქადაგებელთა აზრით, მხატვარი შემოქმედების პროცესში გარემომცველ სამყაროს უნდა შეერწყას საკუთარი „მე“-ს უარყოფით. მხოლოდ ასეთი პირობებშია შესაძლებელი ნამდვილი შედევრების შექმნა. „ერთი კუთხის“ ნახატებში ფიგურები ერთი შტრიხით ანუ ფუნჯის ერთი მოსმით გამოისახებოდა, რომელიც ხშირად დასრულებულიც არ იყო. ამგვარი ნახატები მნახველში სასიამოვნო გაოცებას იწვევს, რადგან ერთი შეხედვით დაუსრულებლობას, ქვეტექსტად სიღრმისეული სრულყოფილება უდევს.

მე-14 საუკუნის მიწურულიდან იაპონური ფერწერის წამყვან მიმართულებად მონოქრომული ფერწერის სტილი – სუიბოკუ იქცა, რომლის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძენ-ბუდიზმმა. ეს იყო თეთრ გრაგნილზე ტუშით შესრულებული ნახატები, რომლებიც ძირითადად ჩინური კლასიკური პეიზაჟის სქემას და მის შემადგენელ ელემენტებს იმეორებდა, გამოისახებოდა ასევე ფრინველები და ყვავილები. სუიბოკუს მარტივი სიუჟეტები ღრმა ქვეტექსტს შეიცავდა. სუიბოკუ მხატვრებისათვის (რომელთა უმეტესი ნაწილი ძენ-ბუდიზმის ბერები იყვნენ), მთავარი იყო არა დეკორატიულობა, არამედ სიმბოლურობა, რითაც გაჯერებული იყო როგორც პეიზაჟის ცალკეული დეტალები, ისე ადამიანთა ყოველდღიური ქმედებები. ამ სტილის საუკეთესო

წარმომადგენლები შიუბუნი (1414-1465) და სეშიუ (1420-1506), ძენის ბერები იყვნენ. სეშიუს შემოქმედება მიჩნეულია შუა საუკუნეების შორეული აღმოსავლთის ხელოვნებაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად, რამდენადაც თვალნათლივ წარმოაჩენს იმ პერიოდის იაპონური ფერწერის ეროვნულ თვითმყოფადობას და სპეციფიკას. მონოქრომული ფერწერის კანონებმა შემდგომი სახეცვლილება მე-14-15 საუკუნეთა მიჯნაზე განიცადა, რაც ე.წ. „კანოს სკოლას“ უკავშირდება. ამ სამხატვრო სკოლის ფუძემდებელი იყო სახელოვანი მხატვარი კანო მასანობუ (1434-1530). მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა ღირსეულად გააგრძელეს მისმა შთამომავლებმა, რის საფუძველზეც „კანოს სკოლა“ იაპონური მხატვრული კულტურის სიმბოლოდ იქცა.

პოეზიაში ძენის გავლენა ყველაზე თვალსაჩინოდ აისახა პოეტურ ჟანრში ჰაიკაი, რომელიც ჩამოყალიბდა სიმღერების, ხუმრობების და მხიარული შაირების ნიადაგზე. თავდაპირველად პოეზიის ამ სახეობით უმეტესწილად თავს იქცევდნენ მონასტრებში, სამურაების ოჯახებში, მოგვიანებით კი – ვაჭრები, ხელოსნები და საზოგადოების სხვა ფენის წარმომადგენლებიც. ჰაიკაი (ანუ ხუთტაეპიანი ლექსი) ერთგვარ თამაშ-შეჯიბრს წარმოადგენდა, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: თამაშის წესის თანახმად, საჭირო იყო გონებამახვილობის და საზრიანობის გამოჩენა, რომელიმე მონაწილის მიერ წარმოთქმული ლექსის დასაწყისი სტრიქონებისთვის გაგრძელების მოფიქრება. ამასთან, პოეტური ფორმა ისე უნდა განვითარებულიყო, რომ საბოლოოდ მთლიანობაში ხუთტაეპიანი ლექსი შექმნილიყო. რაც უფრო დახლართული იქნებოდა პირველი ნაწილის შინაარსი, იმდენად მეტად ფასობდა მეორე პარტნიორის მიღწევა, თუკი ის იმპროვიზაციით გაამდიდრებდა და გარკვეულ აზრს შესძენდა მთელ ლექსს. დროთა ვითარებაში ჰაიკაიმ სახეცვლილება განიცადა და მისი ძირითადი ფორმა გახდა სამტაეპიანი 17-მარცვლიანი (5-7-5) ლაკონური ლექსი, რომელსაც ჰაიკუ ეწოდება.

ჰაიკუ იდეათა ასოციაციის პრინციპებზეა აგებული. სიტყვიერი გამომსახველობა მასში უკანა პლანზეა გადაწეული და მთავარია გამონათქვამის შეფარული აზრი. ჰაიკუში ორი ძირითადი ელემენტი ერთიანდება: დაუსრულებელი და მყისიერი (ანუ წამიერი), რასაც თავის მხრივ, თანხვედრა ჰქონდა ძენის იდეებთან. კერძოდ, ძენის მოძღვართა აზრით, ლექსი წამიერი შინაგანი განათების პროცესში უნდა დაწერილიყო ან უცებ, ყოველგვარი წინასწარი მოფიქრების გარეშე. ამგვარი დახელოვნება კი მხოლოდ ძენის იდეების დაუფლებით იყო შესაძლებელი. იმავდროულად მკითხველიც სულიერი განათების მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რათა ჰაიკუს შინაარსობრივ აზრს ბოლომდე ჩასწვდომოდა. აქედან გამომდინარე, ეს მხოლოდ რჩეულთა პრეროგატივად მიიჩნეოდა. ჰაიკუს შინაარსობრივი ფესვები მჭიდროდ იყო დაკავშირებული იაპონელთა ტრადიციებთან, რწმენა-წარმოდგენებთან, მითოლოგიასთან და ისტორიასთან. ამიტომაც მასში ესოდენ ნათლად იყო წარმოჩენილი იაპონელთა ეროვნული ხასიათი. ჰაიკუს ჟანრში ბევრი იაპონელი პოეტი წერდა (და წერს თანამედროვე პერიოდში), მათ შორის გამორჩეულია დიდი კლასიკოსი მწერალი მაცუო ბაშო (1644-1694), რომელიც იაპონური ლიტერატურის ისტორიაში, უწინარეს ყოვლისა, ჰაიკუს ჟანრის შედევრების ავტორადაა აღიარებული.

ლიტერატურაზე ძენის გავლენის შესახებ საუბრისას, საყურადღებოა ე.წ. „ხუთი მონასტრის ლიტერატურა“ (იაპონურად – გოსან ბუნგაკუ), რომელიც იაპონიაში მე-13 საუკუნეში აღმოცენდა და აყვავების ზენიტს მე-14 საუკუნეში მიაღწია. ეს ლიტერატურა იაპონიის ხუთ დიდ მონასტერში იქმნებოდა ძენ-ბუდიზმის ბერების მიერ. მისი ფუძემდებელი იყო ძენ-ბუდიზმის მქადაგებელი იჩინეი იჩიძანი (1280-1367). „ხუთი მონასტრის ლიტერატურა“ ჩინურ ენაზე იწერებოდა და ჟანრული მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. კერძოდ, ის მოიცავდა ძენის მოძღვართა ქადაგებებს, მათ საუბრებს მოწაფეებთან, ხშირად მასში ჩართული იყო გარდაცვლილი ბერების პოეტური ქმნილებები. გარდა ამისა, იწერებოდა

ტაძარ-მონასტრების ისტორია, სხვადასხვა ქრონიკები, დღიურები, ესეები, ბუდისტური სუტრების კომენტარები, ფილოსოფიური ტრაქტატები, ჩინური ლექსთწყობის სახელმძღვანელოები, ენციკლოპედიები და ძენის ტერმინთა ლექსიკონები. ასე რომ, „ხუთი მონასტრის ლიტერატურა“ ძალზე მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლების შემცველია. თითქმის არ იყო დარჩენილი საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, სადაც არ აღწევდნენ ძენის ბერები, რომელთა გავლენა სულ უფრო მატულობდა. ამას განსაკუთრებით ის გარემოება უწყობდა ხელს, რომ ბერები თავდადებულად იღწვოდნენ მოსახლეობის განათლებისათვის, ასწავლიდნენ ახალგაზრდებს წერა-კითხვას, სამონასტრო სკოლებში ატარებდნენ გაკვეთილებს სხვადასხვა საგნებში, ახლოს იყვნენ ხელოვნების დარგებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან და სხვა. ეს ყოველივე ძალიან იზიდავდა და პოზიტიურად განაწყობდა მოსახლეობას ძენის ბერების და მთლიანად ძენ-ბუდიზმის მიმართ.

ძენის პრინციპები სათანადოდ აისახა თეატრალურ ხელოვნებაში, კონკრეტულად თეატრალურ ჟანრში – ნო. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მე-12 საუკუნის მიწურულს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი რადიკალური ძვრების ფონზე, სხვადასხვა თეატრალური ჟანრების სინთეზის პროცესი დაიწყო, რაც მე-14 საუკუნეში დასრულდა. სწორედ ამ სინთეზის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს იაპონური კლასიკური თეატრი ნოოგაკუ, რომელიც უფრო ხშირად მოიხსენიება სახელწოდებით – ნო (იაპონურად ნიშნავს – ოსტატობას). მისი ფუძემდებლები იყვნენ მამა-შვილი კანიამი კიოცუგუ (1333-1384) და ძეამი მოტოკიო (1363-1444), რომლებიც არა მხოლოდ დრამატურგები და რეჟისორები, არამედ იმავდროულად შესანიშნავი მსახიობები და კომპოზიტორებიც იყვნენ. ნოს თეატრმა იმთავითვე წარმატებით დაიწყო ფუნქციონირება. ამაში დიდი წვლილი მიუძღოდა შიოგუნ აშიკაგა იოშიმიცუს (1358-1408), რომელიც თეატრალური ხელოვნების დიდი მოტრფიალე იყო. როდესაც 1374 წელს ის ნოს სპექტაკლს დაესწრო, მასზე ისეთი

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნანახმა, რომ მაშინვე თეატრის მფარველობა ითავა. რამდენადაც ნოს რელიგიურ-მისტიკური და რომანტიკული ხასიათის წარმოდგენები არისტოკრატიის, სამურაების მოთხოვნებსა და გემოვნებას მიესადაგებოდა, მას მეცენატობას უწევდნენ სამხედრო იერარქიის უმაღლესი ხელისუფალნი ანუ შიოგუნები. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი მათგანი ხშირად თავადაც იღებდა მონაწილეობას სპექტაკლებში.

ნოს წარმოდგენები ერთდროულად ოპერის, დრამისა და ბალეტის ნაზავს წარმოადგენდა, სიტყვიერი მასალა კი გარითმული პროზით ან ლექსით იყო წარმოდგენილი. პიესებისთვის სიუჟეტები ძირითადად იაპონურ კლასიკურ ლიტერატურას, ბუდისტურ და შინტოისტურ ლეგენდებს ეფუძნებოდა, თუმცა, რეპერტუარში იყო ასევე სპექტაკლები სხვადასხვა ღვთაებებზე, მეომრებზე, სასიყვარულო თავგადასავლებზე და სხვა. ვინაიდან ნოს თეატრის უმთავრესი ატრიბუტი ნიღაბია, მას ნიღბების თეატრსაც უწოდებენ. დამზადებული იყო რამდენიმე ათეული სტანდარტული ნიღაბი, თითოეული მათგანი გამოსახავდა ადამიანს, ცხოველს, ღმერთებს, დემონებს, მწერებს, მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიუანსებით. ნიღბების მოხატულობა, სტილი და ფორმა იმთავითვე გარკვეულ შემუშავებულ კანონებს ემორჩილებოდა (ის დღესაც ტრადიციული რჩება). შესაბამისად, მათი დამზადება მაღალ პროფესიონალიზმსა და ოსტატობას მოითხოვდა. ეს მასკარადული ნიღბები ხელოვნების არაჩვეულებრივ ნიმუშებს წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, რომ მსახიობები მათ სათუთად ინახავდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ. უნიკალურ ნიღბებთან ერთად, ნოს თეატრი გამოირჩევა მრავალფეროვანი დეკორატიული კოსტიუმებით, რომელთა სტანდარტები დღესდღეობითაც ისტორიული სიზუსტითაა დაცული. რაც შეეხება ნოს თეატრის სცენას, ის მომცრო ზომის კვადრატული ფორმისაა, მაყურებლის დარბაზისგან გამოყოფილია დაახლოებით ერთი მეტრის მონაკვეთით, რომელიც ხრეშითაა დაფარული. სცენა სამი მხრიდან ღიაა, ყოველგვარი დეკორაციების გარეშე,

მის ერთადერთ აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს უკანა მხარეს, ოქროსფერ ფონზე გამოსახული ტოტებგაშლილი სტილიზებული ფიჭვი, რომელიც დღეგრძელობის სიმბოლოდ აღიქმება.

რაც შეეხება უშუალოდ ძენ-ბუდიზმის გავლენას ნოს თეატრზე, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ნოს მსახიობები და სპექტაკლების დამდგმელი რეჟისორები ძირითადად იმ აუდიტორიას ემსახურებოდნენ, რომლის ესთეტიკური თვალთახედვა ძენ-ბუდიზმთან იყო დაკავშირებული. როგორიც არ უნდა ყოფილიყო პიესის შინაარსი, ყველა შემთხვევაში მისი კომპოზიცია, გარემო და გამომსახველობითი მეთოდები მთლიანად ძენის კანონებს ესადაგებოდა. კერძოდ, ყველაფერში იგრძნობა ბანალურობისგან, სიცხადისგან და წინასწარ განზრახულობისგან თავის დაღწევისკენ სწრაფვა, განსაკუთრებულად ძლიერი ემოციების გამოხატვა კი ხდება მინიშნებით, თავშეკავებულად და ნართაულად. მთლიანობაში, ნოს თეატრი თავისი ორიგინალურობით, რეკვიზიტით, მსახიობთა სტილიზებული მოძრაობებით, მუსიკის ჰანგებით, სპეციფიკური დეკლამაციით, საოცარ ეფექტს ახდენს მაყურებელზე, რომელიც ჯადოსნურ სამყაროში ხვდება და ჩნდება იმის განცდა, რომ შორეული წარსულის გარდასულმა მოვლენებმა თითქოს აწმყოში გადმოინაცვლა.

მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში ნოს თეატრმა აყვავების ზენიტს მიაღწია. იმ პერიოდში თეატრს მეცენატობას უწევდნენ ხელისუფლების სათავეში მყოფი ოდა ნობუნაგა (1573-1582) და ტოიოტომი ჰიდეიოში (1582-1598), რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ნოს შემოქმედებით ცხოვრებაში. ნობუნაგას ძალიან უყვარდა სანახაობრივი წარმოდგენები და მის რეზიდენციაში ხშირად იმართებოდა სპექტაკლები, ის იწვევდა გამოჩენილ მსახიობებს, ორკესტრს, მოცეკვავეებს. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ის თავად მონაწილეობდა ნოს ცეკვებისა და სიმღერების შესრულებაში. ჰიდეიოში კი 1587 წლიდან მოყოლებული, თვითონ ხსნიდა საიმპერატორო კარზე წარმოდგენილ ნოს ტრადიციულ საახალწლო სპექტაკლს – „ტაკასაგო“, მთელ რიგ წარმოდგე-

ნებში კი მთავარ როლს ასრულებდა. მაგალითად, 1593 წელს, კორეაში ლაშქრობის წინ, ჰიდეიოშიმ გრანდიოზული გამოსამშვიდობებელი სამდღიანი წარმოდგენა გამართა, რომელსაც იმპერატორიც ესწრებოდა. წარმოდგენილ იქნა 16 სპექტაკლი და ყველა მათგანში ჰიდეიოშიმ მონაწილეობა მიიღო, რამაც მაყურებელთა აღტაცება და გაოცება გამოიწვია.

დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ის, რომ ჰიდეიოშის ბრძანებით, 1596 წელს პირველად იაპონიის ისტორიაში, მსახიობთა და მუსიკოსთა სია შედგა, მათთვის რეგულარული ხელფასის დანიშვნის მიზნით. თეატრალური მოღვაწეებისათვის შესაბამისი ჯამაგირის დაწესებით, ქვეყანაში მათი სოციალური სტატუსი საგრძნობლად ამაღლდა, მატეროიალური და საზოგადოებრივი მდგომარეობა გაუმჯობესდა. აღსანიშნავია, რომ ჰიდეიოშის ძალისხმევას ამ სფეროში უკვალოდ არ ჩაუვლია; 1598 წელს მისი გარდაცვალებიდან მოყოლებული, ხელოვნების მოღვაწეები მადლიერების ნიშნად, ჰიდეიოშის გარდაცვალების დღეს ყოველწლიურად მთელ იაპონიაში საზეიმო ღონისძიებებს ატარებენ ცეკვებით, სიმღერებით, თეატრალური წარმოდგენებით და რელიგიური რიტუალებით.

იაპონიის ხელისუფლების სათავეში ტოკუგავას დინასტიის მოსვლის შემდეგ (1603), დინასტიის ფუძემდებლის – იეიასუს (1603-1616) ბრძანებით, მისი შიოგუნად კურთხევის ცერემონიალი მთლიანად ნოს თეატრმა ჩაატარა. ამიერიდან ნოს გამოყენება ოფიციალური საცერემონიო ხელოვნების სახით, ტრადიციად იქცა, ისევე, როგორც მისი ყოველწლიური ფესტივალები. ყველა ღირშესანიშნავი მოვლენა სახელისუფლებო მაღალ ეშელონებში (ახალი შიოგუნის კურთხევა, დიდგვაროვანთა ქორწინება, მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა, ვაჟის დაბადება გავლენიან ფეოდალურ ოჯახში და სხვ.) ნოს საზეიმო წარმოდგენების თანხლებით აღინიშნებოდა. ამგვარი წარმოდგენები, როგორც წესი, შიოგუნის რეზიდენციაში, დედაქალაქ ქედოში ტარდებოდა.

ცერემონიალური ელფერის შეძენის გამო, ნოს თეატრი მასობრივი მაყურებელს თანდათან დაშორდა, მან ცოცხალ

რეალობასთან კავშირი დაკარგა და ხელოვნების ფორმალიზაციის გზას დაადგა. ეს შეეხო არა მხოლოდ სპექტაკლების შინაარსს და გარემოს, არამედ მთელ მის მხატვრულ და სასცენო კანონებს: მკაცრი ნორმებით განისაზღვრა სცენა, რეკვიზიტები, ნიღბები, მსახიობთა ხმის ინტონაცია, ჟესტიკულაცია და სხვ. აღნიშნული წესების დაცვას ნოს სხვადასხვა სკოლების (სულ 5 სკოლა იყო) ხელმძღვანელები – იემოტოები უზრუნველყოფდნენ. ეს წოდება, რომელიც მემკვიდრეობითი გახდა, ენიჭებოდა ნოს თეატრის განსაკუთრებულად წარმატებულ და პოპულარულ მსახიობს. იემოტო ადგენდა თეატრის რეპერტუარს, განსაზღვრავდა მსახიობთა ოსტატობის დონეს, ანაწილებდა როლებს, თვალყურს ადევნებდა თითოეული მსახიობის ქცევას და დაწესებული ნორმების დაცვას. აქედან გამომდინარე, იემოტოები მეტად ფართო უფლებამოსილებისა და დიდი მატერიალური სახსრების მფლობელები იყვნენ. ყოველივე ამის წყალობით, მე-19 საუკუნის დამდეგისათვის ისინი ძალიან მდიდარ და გავლენიან ფიგურებად იქცნენ.

ტოკუგავას ეპოქაში თეატრალური ხელოვნების საცერემონიო ფუნქცია შიოგუნატის ოფიციალური იდეოლოგიის – კონფუციონიზმის დოგმებს მიესადაგებოდა. კონფუციონიზმის ერთ-ერთი მცნების თანახმად, ის ვინც ართობს – დედამიწისთვის მშვიდობა მოაქვს, ის ვინც მართავს (ანუ ბატონობს), წესრიგი მოაქვს. გაუთავებელი ფეოდალური შინაომების შემდეგ, იაპონიის ხელისუფალთა ყურადღების გადატანა ხელოვნების მშვიდობისმყოფელობით ფუნქციაზე, სავსებით ბუნებრივად წარმოჩინდება. შესაძლოა, სწორედ ეს განაპირობებდა ტოკუგავას საგვარეულოს ყველა შიოგუნის განსაკუთრებულ ყურადღებას ნოს თეატრისა და ასევე სხვა თეატრალური ჟანრების მიმართ.

მე-17 საუკუნეში ნოს მხატვრული დონის დაქვეითება დაიწყო: გამარტივდა რეკვიზიტები, ცეკვები, კოსტიუმები. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან კი, როდესაც იაპონიაში დასავლური ცხოვრების წესმა იწყო გავრცელება და იაპონელები უცხოური კულტურით დაინტერესდნენ, ნოს მეცენა-

ტები შემოეცალნენ, მაყურებელი მოაკლდა და მსახიობთა უმეტესობა უმუშევარი დარჩა. საბედნიეროდ, ეს გარდატეხის პერიოდი ხანგრძლივი არ აღმოჩნდა და როგორც კი ქვეყნის პოლიტიკური სტაბილიზაცია დაიწყო, ეროვნული ტრადიციების აღორძინების აუცილებლობაც გამოიკვეთა. თეატრმა თანდათან ოდინდელი საპატიო ადგილი აღიდგინა კულტურულ ცხოვრებაში. განსაკუთრებით დიდი დახმარება მას საიმპერატორო კარმა გაუწია და შედეგად, ნო კვლავ ელიტური საზოგადოების კერპად იქცა.

ძენ-ბუდიზმის ესთეტიკური პრინციპები ნათლად გამოიკვეთა არქიტექტურაში, კერძოდ, კამაკურას ეპოქის ტაძრების, მონასტრების, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობაში. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძენის დოქტორინის შესაბამისად, დაიწყო საკულტო და საერო ნაგებობათა სტილის ერთმანეთთან დაახლოების პროცესი. აქედან გამომდინარე, შეიცვალა ტაძრების გარეგნული იერსახეც. მე-13 საუკუნეში ძენის ტაძართა ინტენსიური მშენებლობა გაიშალა როგორც დედაქალაქში, ისე პერიფერიებში. ამ საკულტო ხუროთმოძღვრების მთავარ მახასიათებელ ნიშნად ხაზგასმული სიმკაცრე და სისადავე იქცა, რაც ადრეული პერიოდის ბუდისტურ ტაძარმონასტერთა პომპეზურობას მთლიანად გამორიცხავდა. აუცილებელი აღარ იყო პაგოდების აგება, მათ ჩაენაცვლა რელიკვიების უბრალო საცავი. თითქმის მთლიანად გაქრა საკურთხეველი, რომელიც ნაირნაირი სკულპტურებით იყო მორთული. რთული რიტუალების გაუქმებასთან ერთად, საკულტო გამოსახულებათა წრეც შევიწროვდა. პოპულარული გახდა ძენის პატრიარქთა და მხედართმთავართა პლასტიკური და ფერწერული გამოსახულებები. იმავდროულად იმატა ბუდისტური მონასტრების კომპლექსში შემავალი საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობების მნიშვნელობამ.

ეს ყველაფერი უშუალო კავშირში იყო ძენის ქადაგებათა პრაგმატიზმთან და მიწიერ ხასიათთან, რომელიც უარყოფდა ჭეშმარიტების შეცნობის ისეთ გზებს, როგორიცაა წეს-ჩვეულებების დაცვა, წმინდა ტექსტების კითხვა, ხატე-

ბის თაყვანისცემა. ამის სანაცვლოდ, საკმარისი იყო ნებისყოფის კონცენტრირება, შინაგანი თვითკონტროლი ან კიდევ სრულყოფილების მიღწევა ყოველდღიურ საქმიანობაში. ყოველივე ამის საფუძველზე ნებისმიერი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა ჭეშმარიტების არსში ჩაწვდომა გონების განათების, გაცისკროვნების (ანუ სატორის) გზით. ამ დოქტრინის შესაბამისად, შეიცვალა დამოკიდებულებაც ზოგადად ტაძრის მიმართ, კერძოდ, მოხდა მისი დაახლოება იაპონელთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან. საკულტო ხუროთმოძღვრების მახასიათებელი შტრიხები გახდა უკიდურესი სისადავე და უბრალოება, სატაძრო და საცხოვრებელ ნაგებობათა სტილის აღრევა, ხშირ შემთხვევაში კი შერწყმა. ამ ტიპის იაპონური არქიტექტურის კლასიკური ნიმუშებია კიოტოში არსებული ვერცხლის და ოქროს პავილიონები, რომლებშიც ჰარმონიულადაა შერწყმული სასახლის არქიტექტურული სტილი (იაპონურად – შინდენ) ახალი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობების (იაპონურად – შიონ) ელემენტებთან.

ყველანაირ ნაგებობათა ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს საგულდაგულოდ გაფორმებული მათი შემოგარენი წარმოადგენდა: ბაღები, პარკები და ეზოები, რომლებიც განუმეორებელი თვითმყოფადობითა და ეგზოტიკურობით გამოირჩეოდა. იაპონელთა სიყვარული ბაღების გაფორმებისადმი ადრეული პერიოდიდან ვლინდება და როგორც ჩანს, შინტოს ანიმიზმს უკავშირდება; კერძოდ, კამების რწმენას, რომელიც ბუნებას, მიწას, კლდეებს, ქვებს, მცენარეებს, მიაგებს პატივს. ჰეიანის არისტოკრატების საცხოვრებლების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა სტანდარტული ტიპის ბაღები ხელოვნური ნაკადულით, ცენტრში – პატარა კუნძულით. მოგვიანებით, ძენის გავრცელების კვალდაკვალ, ტრადიციული ბაღების ტრანსფორმაცია მოხდა ძენ-ბუდიზმის ბერების მიერ. ამ კონსტრუქციებში, რომლებიც ძენის ტაძართა მიწებზე იგებოდა და ძენის პრინციპებს ექვემდებარებოდა, ნათლად ვლინდება იაპონელთა ლტოლვა ბუნებით ტკბობისაკენ, ფიქრისაკენ და განმარტოებისაკენ.

ბაღებს, როგორც წესი, ძენის ბერები აპროექტებდნენ (რომლებიც იმავდროულად მხატვრებიც იყვნენ). ქვების, ქვიშის, სხვადასხვა მცენარეების, ხელოვნური ნაკადულების და ბორცვების ასიმეტრიული განლაგებით, ისინი ხელოვნების ნამდვილ შედევრებს ქმნიდნენ. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასიმეტრიულობა ზოგადად, იაპონური ხელოვნების ერთ-ერთი მახასიათებელი თვისებაა. ამის ნათელი მაგალითია მთების ფერდობებზე მიმოფანტული ბუდისტური ტაძრები და მონასტრები, ჩაის სახლების კონსტრუქცია, იკებანას და საპარკე-საბაღე ხელოვნება და სხვ. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ე.წ. ქვათა ბაღების არქიტექტურა. საერთოდ, ქვა იაპონური პარკების უმთავრეს ატრიბუტს წარმოადგენს; ქვების განლაგება და კომპოზიცია იმ წესებს ემორჩილება, რომლებიც ძენ-ბუდიზმის მსოფლმხედველობის კონცეფციიდან მომდინარეობს. ბაღების და პარკების ძირითადი ტერიტორია ქვიშით, კენჭებით, ხრეშითაა მოფენილი, რომელზეც გარკვეული სიმბოლიკით სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვებია დალაგებული. ისინი არასწორხაზოვნადაა განლაგებული. მათ შორის კი დახვეული ვიწრო ბილიკებია, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მიემართება. ეს თავის მხრივ, მოჩვენებითი დიდი სივრცისა და დისტანციის ასოციაციას ქმნის, ასევე ინტერესს აღძრავს, თუ სად და რით სრულდება ეს ლამაზი ბილიკები. ქვათა ბაღები შედგება ქვების რამდენიმე ჯგუფისაგან, რომლებიც უმეტესწილად განთავსებულია ქვიშით დაფარულ ტერიტორიაზე. ეს ქვები განასახიერებს მარადიულ სამყაროს, სულების სამყაროს, ქვიშა კი – ბუნების ცვალებადობას, დინებას და სიცოცხლის სწრაფმავლობაზე მიანიშნებს.

ძენის კონცეფციის მიხედვით, ყოველივე ზემოთ აღნიშნულში ის აზრია ჩაქსოვილი, რომ ქვები და მათი ეგზოტიკური ფონი განსაზღვრული მიმართულებით წარმართავს ადამიანის აზრებს და მედიტაციის განწყობას ქმნის. იმავდროულად, ეს უნებურად აშორებს მას გარე სამყაროსგან და საოცარი სიმშვიდის განცდას უქმნის. იაპონური ბაღებისა და პარკების მთავარი დანიშნულებაა არა მხოლოდ ბუნების

მშვენიერების სხვადასხვა ელემენტების ვიზუალური წარმოჩენა, არამედ ადამიანში ფიქრის, განსჯის განწყობის აღძვრა. ძენის თანახმად, ზოგადად გარეგნობას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია მისი შინაგანი არსი. აქედან გამომდინარე, იაპონური საბაღე არქიტექტურის, ისევე როგორც ფერწერისა და პოეზიის ძირითადი დანიშნულება ის არის, რომ ადამიანს ყოველდღიურ ყოფაშიც სილამაზის დანახვისა და აღქმის უნარი გამოუმუშავდეს. აღსანიშნავია, რომ განსახილველი ეპოქის მონოქრომული ფერწერის არაერთი სახელოვანი ოსტატი იმავდროულად, ამგვარი ბაღების შესანიშნავი დიზაინერიც იყო, მაგალითად სეშიუ (1420-1506) და სოამი (1472-1525).

ძენ-ბუდიზმს უკავშირდება იაპონიაში ჩაის ცერემონიის (იაპონურად – ჩანოიუ, ასევე – ჩადო ანუ ჩაის გზა) დამკვიდრება. ჩაის კულტივირება ძველი ჩინური ცივილიზაციის ათასწლეულების სიღრმეში იღებს სათავეს. ძვ.წ. მე-11 საუკუნეში ჩინურ წერილობით წყაროებში გაჩნდა ცნობები ჩაის შესახებ, რომლებიც სხვადასხვა ლეგენდებს ეფუძნებოდა. ჩინური პოეტური ქმნილებების უძველეს კრებულში „ში წინ", ტრაქტატში „ჩა წინ" (ტრაქტატი ჩაის შესახებ) და სხვა ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომებში აღწერილი იყო ჩაის სხვადასხვა ჯიშები, სამკურნალო თვისებები, ადამიანთა დამოკიდებულება მათ მიმართ. ჩინური წყაროების თანახმად, ჩაის ცერემონიას საფუძველი ჩაუყარა დიდმა ჩინელმა ფილოსოფოსმა ლაო წიმ ძვ.წ. მე-5 საუკუნეში. თანდათანობით ჩაი ფართოდ გავრცელდა ჩინეთის ტერიტორიაზე და ის ჩინელების ყოველდღიურ, აუცილებელ სასმელად იქცა. შემდეგ ჩაი გავრცელდა აზიის სხვა ქვეყნებში, უფრო მოგვიანებით კი – ევროპაში.

729 წელს ჩაი იაპონიაში მოხვდა, მაგრამ მხოლოდ მე-12 საუკუნეში (იაპონია-ჩინეთის კონტაქტების გაძლიერების პერიოდში) დაიწყო ფართოდ გავრცელება-დამკვიდრება, როგორც იაპონელთა ცხოვრების ერთ-ერთმა აუცილებელმა ატრიბუტმა. თავდაპირველად ჩაი გამოიყენებოდა როგორც მატონიზირებელი საშუალება, მაგრამ ძენ-ბუდიზმის მოძ-

ღვრების გავლენის ზრდასთან ერთად, ცერემონიის რელიგიურმა ასპექტმა იმატა. ის სულ უფრო რთულ პროცედურად ყალიბდებოდა, რომლის დროსაც შესაძლებელი იყო ბუდისტურ ჭეშმარიტებათა შესაცნობად აუცილებელი სულიერი მდგომარეობის მიღწევა. ისტორიული ქრონიკების თანახმად, იაპონიაში ძენ-ბუდიზმის ერთ-ერთი სკოლის – რინძაის დამაარსებელმა ბერმა ეისაიმ ჩინეთიდან ჩაიტანა (1191წ.) ჩაის ფოთლები და დარგო ჰირადოს რეგიონში, ასევე დაიწყო ჩაის გამოზრდა რელიგიური რიტუალებისათვის. მასვე ეკუთვნის პირველი იაპონური წიგნი ჩაიზე „კუსა ეძეკი“ (1211წ.), სადაც საუბარია ჯანმრთელობისათვის ჩაის სასარგებლო თვისებების შესახებ.

ჩაის ცერემონია, როგორც ხელოვნება, ყოველდღიური საზრუნავისგან დასვენების ერთგვარ სისტემად ჩამოყალიბდა. ის გადმოღებულ იქნა ძენის მონასტრებიდან, სადაც უკვე მე-12 საუკუნეში წესად იქცა, ბერების ხანგრძლივი მედიტაციის პერიოდში, ჩაის სმა განსაზღვრული რიტუალით. ჩაის ცერემონიები, როგორც წესი, მყუდრო და წყნარ ადგილას, ბაღის ან პარკის სიღრმეში, საგანგებოდ აგებულ მომცრო ზომის ჩაის სახლებში სრულდებოდა, რომლებსაც იაპონურად ჩაშიცუ ეწოდება. ამ დროს საუბრები შეეხებოდა უმთავრესად პოეზიას და ფილოსოფიას, აკრძალული იყო სამი თემა: ფული, ავადმყოფობა და პოლიტიკა. დროთა ვითარებაში ამგვარი შეკრებები საზოგადოების სხვადასხვა ფენაში გავრცელდა: არისტოკრატული და სამხედრო ფენით დაწყებული, უბრალო ხალხით დამთავრებული. მე-14 საუკუნეში ფართოდ გავრცლებულ გასართობ ღონისძიებას წარმოადგენდა ე.წ. „ჩაის შეჯიბრებები“, რომლის დროსაც მონაწილეებს სხვადასხვა ჩაის მიართმევდნენ, მათ კი უნდა გამოეცნოთ მისი სახეობა და გამოზრდის ადგილი. გამარჯვებულებს სხვადასხვა ჯილდოები გადაეცემოდათ. ჩაის შეჯიბრებები, რომლებიც შიოგუნისა და მსხვილი ფეოდალების თაოსნობით ტარდებოდა, განსაკუთრებული პომპეზურობით გამოირჩეოდა. აშიკაგას შიოგუნების პერიოდში ხალხმრავალი ჩაის შეჯიბრებები თანდათან მსხვილ ფეოდალთა

წრეში გამართულ ჩაის ცერემონიად გადაიქცა. ეს უკვე ჩაის სმის არისტოკრატული რიტუალი იყო, რომელიც მკაცრი ეტიკეტით და დახვეწილობით ხასიათდებოდა. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებოდა ჩაის ხარისხს, მის დასაყენებელ და სასმელ ჭურჭელს, ოთახის გაფორმებას და ა.შ. პარალელურად, მოსახლეობის დაბალ ფენებში ჩაის სმის განსხვავებული, უფრო სადა ცერემონია ვრცელდებოდა.

სპეციალური ჩაის სახლების ანუ ჩაშიცუს ნაგებობათა აგება იაპონიაში XV საუკუნეში დაიწყო, რამაც ხელი შეუწყო არქიტექტურის შემდგომ აღმავლობას. ჩაის სახლების ხუროთმოძღვრები უმეტესწილად ძენ-ბუდიზმის ბერები ან ამ მოძღვრების მიმდევრები იყვნენ, რამდენადაც ჩაის სმის რიტუალი, ჩაის სახლებისა და მათი შემოგარენის მოწყობილობა მთლიანად ძენის იდეებს ეფუძნებოდა. ჩაის სახლების არქიტექტურულ სტილს საფუძველი ჩაუყარა ძენის ბერმა მურატა ჯიუკომ (1422-1502), რომელიც შიოგუნ აშიკაგა იოშიმასას (1436-1490) მრჩეველი იყო კულტურის დარგში.

ჩაის სახლების ექსტერიერისა და ინტერიერის მთავარი მახასიათებელი იყო სისადავე და უბრალოება. მათ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა ლამაზი მყუდრო ბაღი ხეხილითა და ყვავილებით. ბაღს ამშვენებდა ბრტყელი ქვებით მოფენილი ბილიკები, გზის გასანათებელი ქვის ფარნები და რიტუალური განბანვისთვის განკუთვნილი ქვის ჭურჭელი. მოსართავ ატრიბუტებად ამგვარ სახლში დაშვებული იყო მხოლოდ მხატვარ-კლასიკოსთა მონოქრომული ფერწერის ნიმუშები, გრაგნილი ფილოსოფიური გამონათქვამებით და ყვავილების თაიგული. მურატა ჯიუკოს ტრადიციების გამგრძელებელი იყო ჩაის ცერემონიის აღიარებული ოსტატი სენ-ნო რიკიუ (1522-1591), რომლის სახელსაც უკავშირდება ჩაის ცერემონიის დეტალურად დამუშავებული ესთეტიკური ნორმების შექმნა, ჩაის სახლის გარეგნული იერსახიდან და ინტერიერიდან დაწყებული, ჭურჭლით, ავეჯით და ბაღის კომპოზიციით დამთავრებული. მან განავითარა ე.წ. რაკუს (იაპონურად ნიშნავს – სიამოვნებას) მოჭიქული თიხის ფიალების წარმოება. გამომდინარე იქიდან, რომ მათ დასამზა-

დებლად თიხის განსაკუთრებული სახეობა გამოიყენებოდა, ისინი ძალზე მსუბუქი იყო. იმავდროულად, ფიალა დიდხანს ინარჩუნებდა ჩაის სითბოს და თერმოსის ფუნქციას ასრულებდა, რის გამოც განსაკუთრებით მოსახერხებელი იყო ზამთარში ჩაის ცერემონიების დროს. ჩაის ფინჯანისაგან განსხვავებით, რომელსაც სახელური აქვს, რაკუს ფიალებს სახელური არ უკეთდებოდა. ამაში ის აზრი იყო ჩადებული, რომ ფიალის ორივე ხელით დაჭერისას, ადამიანი უკეთ შეიგრძნობდა სითბოს, ჩაის გემოს, ასევე თვით ფიალის უნიკალურობასა და ხარისხს, მთლიანობაში კი, მაქსიმალურ სულიერ სიამოვნებას მიიღებდა.

ჩაის სახლები აღჭურვილი იყო ჩაის დასალევი ლამაზი და ნატიფი ჭურჭლით (ლამბაქი, ფიალა, ფინჯანი, ჩაიდანი). ჩაის სმის ესოდენ მაღალ დონეზე განვითარება სტიმულს აძლევდა ქვეყანაში კერამიკისა და ფაიფურის წარმოების აღმავლობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიაში კერამიკის წარმოება სიახლეს არ წარმოადგენდა, ძველთაგანვე მისი ცენტრები ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე იყო მიმოფანტული, სადაც სხვადასხვაგვარი ნაკეთობები მზადდებოდა, ბუდისტური ცერემონიებისათვის და ყოველდღიური საჭიროებისათვის. მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან საზოგადოების მაღალ წრეებში ჩაის ცერემონიის ყველა აქსესუარს იმდენად დიდი ყურადღება ექცეოდა, რომ მის შერჩევას მხოლოდ პროფესიონალ ექსპერტებს ანდობდნენ, რომლებიც სამხედრო-ფეოდალურ ხელისუფალთა სამსახურში იმყოფებოდნენ. ჩაის ცერემონიამ განსაკუთრებით დახვეწილი სახე ზემოხსენებულ ნობუნაგასა და ჰიდეიოშის ზეობის ხანაში მიიღო, როდესაც ის სიმდიდრის, ფუფუნებისა და გავლენის დემონსტრირების პრესტიჟულ რიტუალად იქცა.

ძენ-ბუდიზმის ხელოვნებაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა შევეხოთ იაპონური ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე ნატიფ და დახვეწილ სახეობას – იკებანას ანუ ყვავილთა შეკონვის ხელოვნებას. იკებანას განვითარებას გარკვეულწილად ჩაის ცერემონიამ შეუწყო ხელი. თუმცა, ის დასაბამს იაპონიაში ბუდიზმის გავრცელების დროიდან ანუ მე-6 საუკუ-

ნიდან იღებს, როდესაც ბუდისტურ ტაძრებში უზენაესი ღვთაებებისათვის ყვავილების თაიგულის მირთმევის ტრადიცია დამკვიდრდა. ეს სარიტუალო თაიგულები (იაპონურად – რიკა) ჰარმონიულად ერწყმოდა ბუდისტური ტაძრების დიდებულ ინტერიერს და იმთავითვე მათი მორთულობა-დამშვენების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად იქცა. დროთა ვითარებაში თაიგულების შეკონვა ხელოვნების ცალკე დარგად ჩამოყალიბდა, რომელმაც მეტად საპატიო ადგილი დაიმკვიდრა იაპონური ტრადიციული კულტურის კომპლექსში. შესაბამისად, შეიქმნა ყვავილთა შეკონვის სხვადასხვა სკოლები, რომლებიც დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს არა მხოლოდ იაპონიაში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. თითოეულ მათგანს ინდივიდუალური წესები ჰქონდა შემუშავებული. მიუხედავად ამისა, ამ ორიგინალური ხელოვნების ძირითადი ნორმები, რომლებიც ძენ-ბუდიზმის საფუძველზე ჩამოყალიბდა, ყველა სკოლისათვის საერთოა.

რამდენადაც ძენის დოქტრინა ყურადღების ცენტრში ერთეულს აქცევს, იკებანაშიც ხაზგასმითაა გამოყოფილი თითოეული მცენარის განუმეორებლობა. ძენ-ბუდიზმის ერთ-ერთი დებულების თანახმად, „ერთი ყველაშია და ყველა – ერთში“ ანუ ამ გამონათქვამის ქვეტექსტი შემდეგში მდგომარეობს: ერთეული თავისთავად სრულყოფილებაა, იმავდროულად – საყოველთაოსა და ზოგადის ხორცშესხმაც. აქედან გამომდინარე, იკებანას ოსტატი მუდამ ცდილობს ისე განათავსოს თითოეული ყვავილი, რომ მან გაალამაზოს და შუქი მოჰფინოს მთელ გარემომცველ სივრცეს. ისევე როგორც ძენის ხელოვნების სხვა სახეობებში, აქაც უმთავრესი პრინციპებია უბრალოება, ასიმეტრიულობა და მოჩვენებითი დაუსრულებლობა. სწორედ ამიტომ იკებანაში საგულდაგულოდ და დიდი რუდუნებითაა წარმოჩენილი თითოეული ყვავილის სილამაზე და მიმზიდველობა, რაც დახვეწილ ოსტატობას და დაკანონებული სიმბოლიკის ზედმიწევნით ცოდნას მოითხოვს. მართალია, თავის დროზე ეს კანონები ჩინეთიდან იქნა გადმოღებული (ბუდიზმის შეღწევასთან ერთად), მაგრამ იაპონელმა ოსტატებმა ყვავილთა რანჟირებაში,

ფერთა გამის შეხამებაში და სხვა დეტალებში ეროვნული სული შთაბერეს. იკებანას მრავალრიცხოვან ოსტატთა შორის, საუკეთესოებად და ყველაზე პოპულარულებად აღიარებულნი არიან სენკეი და რიუამი (მე-15 საუკუნე).

იკებანას სხვადასხვა სკოლებს შორის ყველაზე ძველი და პოპულარულია იკენობოს სკოლა, რომელიც შეიქმნა კიოტოს ბუდისტურ ტაძარ როკაკუდოში და უკავშირდება უფლისწულ შიოტოკუ ტაიშის სახელს. კერძოდ, მისი თაოსნობით აგებულ ტაძარს ბუდისტი მღვდლები აფორმებდნენ რიტუალური თაიგულებით, რომლებიც იქვე ტბასთან (იაპონურად - იკე)[1] ცხოვრობდნენ, პატარა ქოხში (იაპონურად - ბო). ამიტომაც ხალხმა ამ მღვდლებს „იკენობო" დაარქვა ანუ „ქოხი ტბასთან". შემდგომში როკაკუდოს 45 მღვდელი რიგრიგობით ატარებდა ამ სახელს და თაობიდან თაობას გადასცემდა იკებანას ხელოვნებას, როგორც სულიერი პრაქტიკის განსაკუთრებულ სახეობას. იკენობოს სკოლაში ყვავილთა კომპოზიციამ ჩინური ბუდიზმის ინტერპრეტაცია შეიძინა; ყვავილებისა და ტოტების ერთმანეთთან შეხამება შემდეგნაირად აღიქმებოდა – ტოტები ინის სიმბოლოდ, ყვავილები – იანგის სიმბოლოდ. მათი განლაგება ლარნაკში (ან სხვა ჭურჭელში) განასახიერებდა ტრიადის იდეას: ცა-მიწა-ადამიანი.

მოგვიანებით, ყვავილებით ინტერიერის გაფორმება არისტოკრატიის საცხოვრებლების განუყოფელ ელემენტად იქცა. ასე რომ, ბუდისტური რელიგიის თავდაპირველმა რიტუალმა ყვავილების ტაძრებში განთავსებასთან დაკავშირებით, დროთა ვითარებაში რელიგიურთან ერთად, სხვა დატვირთვაც შეიძინა, კერძოდ – ყოფა-ცხოვრების მხატვრული გაფორმების საშუალების ფუნქცია. თაიგულის შეკონვის იაპონურ სისტემაში, რომელიც ძენის პრინციპებს ეფუძნება, მთავარი ყურადღება ფოკუსირებულია დინამიზმის ფაქ-

[1] გადმოცემის თანახმად, ამ ტბაში განიბანებოდა შიოტოკუ ტაიში, ამიტომ იკენობოს სკოლის სახელწოდება უფლისწულთან სულიერ კავშირსაც გამოხატავდა.

ტორზე. კერძოდ, ყვავილთა შეხამება უნდა გადმოსცემდეს ჟამთასვლას, წელიწადის დროებს, მიესადაგებოდეს გარემომცველ სივრცეს და ა.შ. ამის მიხედვით შეირჩევა შესაფერისი მასალაც. მაგალითად, მთლიანად გაშლილი ყვავილები, გამხმარი ფოთლები გამოხატავენ წარსულს; მწვანე ფოთლები, ნახევრად აყვავებული მცენარეები – აწმყოს; დაბერილი კვირტები – მომავალს. წელიწადის დროებსაც თავთავიანთი სიმბოლიკა აქვს: მკვეთრად მოღუნული ტოტი – გაზაფხულია; ყვავილების ფერადფერადი ფურცლები, ფოთლები, ღეროები – ზაფხული; მეჩხერად ჩარჭობილი რტოები, გაყვითლებული ფოთლები – შემოდგომა; შიშველი რტოები – ზამთარი. ასევე განსაზღვრული სიმბოლიკა გააჩნია სხვადასხვა ყვავილებსა და ფერთა გამას, რაც საუბრის ცალკე თემას წარმოადგენს.

ამრიგად, ძენ-ბუდიზმზე დაფუძნებული ზემოთ განხილული ხელოვნების ცალკეული დარგები ნათლად მეტყველებს ამ მიმდინარეობის უაღრესად ფართო სპექტრზე; ცხადია, რომ რელიგიურთან ერთად, მან იაპონიაში ღრმა ფსიქოლოგიური და ესთეტიკური ფუნქცია შეიძინა. ძენ-ბუდიზმის კონცეფცია, რიტუალები და ნორმები საუკუნეთა მანძილზე იმდენად ღრმად შეეზარდა იაპონურ რეალობას, რომ მათი არსებობა აღარც კი შეიმჩნევა. ისინი აღიქმება როგორც იაპონელთა ყოველდღიურობასთან თანაარსებული და აუცილებელი კომპონენტები.

თავი V
კორეა

კორეა წარმოადგენს ისტორიულ სახელმწიფოს აღმოსავლეთ აზიაში, რომელიც განთავსებულია კორეის ნახევარკუნძულზე. 1945 წლამდე ის ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომში იაპონიის დამარცხებისა და მისგან კორეის განთავისუფლების შემდეგ (რომელიც 1910 წლიდან იაპონიის კოლონიად ითვლებოდა), კორეა საბჭოთა და ამერიკულ საოკუპაციო ზონებად დაიყო; ჩრდილოეთში დამყარდა კომუნისტური რეჟიმი და შეიქმნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, სამხრეთში კი – კორეის რესპუბლიკა. 1948 წელს უკვე საბოლოოდ მოხდა ერთიანი კორეის გათიშვა ორ ნაწილად.[1]

კორეის გაყოფით, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების სხვაობასთან ერთად, სამხრეთ და ჩრიდლოეთ კორეაში რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებსაც განსხვავებული სტატუსი მიენიჭა. კერძოდ, ჩრდილოეთ კორეის კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყანაში რელიგიის თავისუფლება დაცულია და მისი ხელყოფის უფლება არავის აქვს. თუმცა, რეალურად სხვა სიტუაციაა – რამდენადაც ქვეყანა ათეისტურია, მთავრობა ზღუდავს ადამიანთა უფლებას, რომ მათ აირჩიონ და იცხოვრონ თავიანთი რელიგიური შეხედულებების მიხედვით. „დიდი ბელადის კულტთან“ (ანუ კიმ ჩენ ინის) ერთად, ქვეყანაში არსებობს იდეოლოგია ჩუჩჰე (ნიშნავს – საკუთარ ძალებზე დაყრდნობას), რომელმაც შეავიწროვა ისტორიულად გავრცელებული რელიგიური მოძღვრებები, როგორიცაა ბუდიზმი და კონფუციონიზმი. გავრცელებულია ასევე

[1] 1950 წლის 25 ივნისს ჩრდილოეთ კორეის საჯარისო ფორმირებები სამხრეთ კორეაში შეიჭრნენ, რითაც დაინყო ე.წ. კორეის ომი. მწვავე საომარი პერიპეტიების შედეგად, ეს ომი 1953 წელს საზავო ხელშეკრულებით დასრულდა, რომლის თანახმად, მეომარ მხარეთა მიერ შენაჩრუნებულ იქნა ომამდელი პერიოდის ტერიტორიები.

იდეოლოგია ჩონდოგიო (ნიშნავს – ზეციურ გზას).[1] აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კორეაში ფუნქციონირებს ბუდიზმის ინსტიტუტი, სწავლების სამწლიანი კურსით. ტრადიციულად, მცირე დოზით გავრცელებულია ბუდიზმი, კონფუციონიზმი და ქრისტიანობა (პროტესტანტობა და კათოლიციზმი), რომლებიც მკაცრად კონტროლდება სპეციალური სახელმწიფო უწყების მიერ. ქვეყანაში არსებული ტაძრები კი, რომელთა რაოდენობა სამასამდეა, განიხილება როგორც მხოლოდ ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები. არსებული წყობილებიდან გამომდინარე, სტატისტიკურ მონაცემებზე ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობის რელიგიურ კუთვნილებასთან დაკავშირებით, მხოლოდ მიახლოებით შეიძლება საუბარი. კერძოდ, ითვლება, რომ მოსახლეობის 65% არარელიგიურია, 16% – აღიარებს ტრადიციულ კორეულ შამანიზმს, 13,5% – ჩონდოგიოს, 4.5% – არის ბუდისტი, 1,7% – ქრისტიანი. უნდა აღინიშნოს, რომ ბუდიზმსა და კონფუციონიზმს მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაზე მაინც აქვს გარკვეული გავლენა შენარჩუნებული, განსაკუთრებით ეს ეხება ბუდიზმს, რომელიც კორეის ტრადიციული კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სამხრეთ კორეაში მოსახლეობის ნახევარზე მეტი რომელიმე რელიგიის მიმდევარია. ამ კუთხით სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: 25% – ბუდიზმის მიმდევარია, 25% – ქრისტიანი (როგორც კათოლიკე, ისე პროტესტანტი), 2% – ტრადიციულ შამანიზმს აღიარებს, 2% – კონფუციონიზმის მიმდევარია, გავრცელებულია ასევე სხვა რელიგიები (მათგან აღსანიშნავია ისლამი) და სექტები. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქვეყანაში ადგილი აქვს რელიგიურ სინკრეტიზმსაც, კერძოდ, ბუდიზმის ბევრი მიმდევარი კონფუციონიზმსაც აღია-

[1] ჩონდოგიო – ეს არის ადგილობრივი რელიგია, რომელიც წარმოიშვა მე-19 საუკუნეში. ის მოიცავს ბუდიზმის, კონფუციონიზმის, შამანიზმის, ტაოიზმის და კათოლიციზმის ელემენტებს. საყურადღებოა, რომ ჩრდილოეთ კორეის პარლამენტში არსებობს პარტია „ზეციური გზის ახალგაზრდა მეგობრები“, რომელიც დაკომპლექტებულია ამ იდეოლოგიის წევრებით.

რებს, ან პირიქით. იგივე შეიძლება ითქვას ქრისტიანებზეც, რომლებიც ბუდისტურ ან კონფუციანურ რიტუალებსაც ასრულებენ. ასე რომ, სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართა ზუსტად გამიჯვნა და მითითება შეუძლებელია.

სანამ უშუალოდ ისტორიული კორეის რელიგიების თემას შევეხებოდეთ, საკითხის სათანადოდ და უკეთ გასააზრებლად, უპრიანია მოკლე წიაღსვლით ქვეყნის შორეული წარსულის ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების გაცნობა. კორეის ნახევარკუნძული ჯერ კიდევ გვიანი პალეოლითის ხანაში დასახლებული იყო ადგილობრივი ტომებით. კორეის პირველ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს წარმოადგენდა ძველი ჩოსონი[1] (ნიშნავს – დილის ნამის ქვეყანას). ლეგენდის თანახმად, მას ძვ.წ. 2333 წელს მითიურმა მეფემ – ტანგუნმა ჩაუყარა საფუძველი, რომელიც რამდენიმე ასეული წელი მართავდა ქვეყანას, შემდეგ კი გადადგა და ღმერთკაცად იქცა. ძვ.წ. მე-5-4 საუკუნეებში ძველი ჩოსონი უკვე ძლიერ მონათმლობელურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ჩინეთში ხანის დინასტიის ბატონობის პერიოდში (ძვ.წ. 206 – ახ.წ. 220) ჩინელებმა არაერთხელ ილაშქრეს კორეაში, რომელთა შედეგად, ძვ.წ. 108 წელს იქ მმართველობის ჩინური სისტემა ჩამოყალიბდა. იმავე პერიოდში ჩინეთიდან კორეაში ბრინჯაოს კულტურამ შეაღწია, იქიდან კი – იაპონიაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კორეის ნახევარკუნძული დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა არა მხოლოდ ხიდს ჩინეთსა და იაპონიის არქიპელაგს შორის, არამედ ტერიტორიას, სადაც მატერიკული წარმომავლობის სხვადასხვა კულტურის ელემენტების წინასწარი გადამუშავება-ტრანსფორმირება ხდებოდა.[2]

---

[1] ძველი ჩოსონი მას ეწოდა იმის გამო, რომ გამორჩეული ყოფილიყო მოგვიანებით წარმოქმნილი, სხვა ჩოსონის სახელმწიფოსგან (1392-1910).

[2] ისევე როგორც ბუდიზმი და კონფუციონიზმი, დამწერლობაც ჩინეთიდან კორეის საშუალებით გავრცელდა იაპონიაში. კორეული ანბანის – პანგულის ძირი ჩინური ანბანი – კანჯი იყო. კორეელებმა შემდგომში ის რაოდენობრივად შეამცირეს და უფრო გეომეტრიული ფორმა მისცეს, რითაც ის ბუდისტური პაგოდების საძირკველის ფორმებს მიამგსავსეს.

ძვ.წ. I საუკუნეში კორეის ნახევარკუნძულზე, სხვადასხვა ტომებს შორის წარმოებული ბრძოლების შედეგად, სამი ძლიერი ტომობრივი კავშირი დაწინაურდა: ქოგურიო, შილა და ფექჩე, რომლებიც შემდგომ ადრეფეოდალურ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. ქოგურიოს ეკავა ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი და სამხრეთ მანჯურიის ნაწილი, შილას – სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, ხოლო ფექჩე ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იყო განთავსებული. მათი ადმინისტრაციული ინსტიტუტების ზოგიერთი ფორმა ჩინეთიდან იქნა გადმოღებული, ხელისუფლების სათავეში კი იდგა მეფე ანუ ვანი. ხსენებული სამი სახელმწიფო ერთმანეთთან მუდმივი დაპირისპირების რეჟიმში იმყოფებოდა, რაც გამოწვეული იყო ნახევარკუნძულზე პირველობის მოპოვებისკენ სწრაფვით. იმავდროულად, თითოეულ მათგანს ბრძოლა უხდებოდა ჩინეთის სამხრეთ ნაწილის ძლიერ ფეოდალურ საგვარეულოებთან. თავის მხრივ, ჩინეთის ხელისუფლება ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა კორეის ნახევარკუნძულზე მიმდინარე შიდა პოლიტიკური ბრძოლები.

აღნიშნულმა პროცესებმა განსაკუთრებულად მწვავე ხასიათი მიიღო ჩინეთში თანის დინასტიის (618-907) გაბატონების დროიდან. საომარი მოქმედებები კორეის სახელმწიფოებსა და ჩინეთს შორის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, საბოლოოდ 676 წელს ჩინეთის ძალაუფლებას კორეის ნახევარკუნძულზე ბოლო მოეღო. ამ ბრძოლების მსვლელობაში გამოიკვეთა შილას უპირატესობა ორ დანარჩენ სახელმწიფოსთან შედარებით და სწორედ მან მოახერხა ქვეყნის გაერთიანება, რის შედეგადაც კორეის ნახევარკუნძულის 2/3 შილას დაქვემდებარებაში მოექცა. ამრიგად, 676 წელს, შილას მეთაურობით, კორეის ტერიტორიაზე პირველი ერთიანი სახელმწიფო შეიქმნა, რომელმაც 935 წლამდე იარსება. შილამ აღარა ჩინეთის ვასალობა, რომელთანაც დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. გაერთიანებულ სახელმწიფოში მთავარ ეთიკურ-პოლიტიკურ იდეოლოგიად

კონფუციონიზმი გამოცხადდა (თუმცა, ბუდიზმიც წარმატებით აგრძელებდა არსებობას).

მე-9 საუკუნეში პოლიტიკური სიტუაცია კვლავ დაიძაბა და ქვეყნის ტერიტორიული დაქუცმაცება დაიწყო. ამას გლეხთა მასობრივი აჯანყებები დაერთო, რომლის ქარცეცხლში 935 წელს შილამ არსებობა შეწყვიტა და მას კორიოს (იგივე ქორიოს)[1] სახელმწიფო ჩაენაცვლა. ხელისუფლების სათავეში მოვიდა ნიჭიერი მთავარსარდალი ვანგ კონი, რომელმაც მოწინააღმდეგე კლანების დამარცხება შეძლო. სწორედ მან შეუცვალა სახელმწიფოს სახელი და დაარქვა ქორიო, დედაქალაქად კი გამოაცხადა კესონგი.[2] ცოტა მოგვიანებით სატახტო ქალაქი კეგიონი გახდა. მე-13-14 საუკუნეებში ქორიო მონღოლთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა[3] (ისევე, როგორც ჩინეთი). ქვეყნიდან მონღოლთა ძირითადი ძალების განდევნა 1356 წელს მოხერხდა, მტრის ხელთ მხოლოდ კუნძული ჩეჯუდო რჩებოდა, რომელიც მოგვიანებით – 1374 წელს იქნა განთავისუფლებული.

1392 წელს მთავრსარდალმა ლი სონ გემ სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა და თავი მეფედ გამოაცხადა. მან ქვეყანას სახელი შეუცვალა და უწინდელი ისტორიული სახელწოდება – ჩოსონი უწოდა, დედაქალაქად კი ჰანიანი (თანამედროვე სეული) გამოცხადდა. ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა ახალ დინასტიას – ლის, რომლის მმართველობა 500 წელი გაგრძელდა.

---

[1] ქორიო – ქოგურიოს შემოკლებული ფორმაა. ამ სახელწოდებიდან მომდინარეობს ქვეყნის თანამედროვე დასახელება, რომლითაც ის ცნობილი გახდა დასავლურ სამყაროში.

[2] აღსანიშნავია, რომ ქალაქ კესონგის ქორიოს მმართველობის პერიოდის ისტორიული ძეგლები 2013 წელს იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში იქნა შეტანილი.

[3] 1231-1258 წლებში მონღოლთა მრავალჯერადი ლაშქრობების შედეგად, ქორიომ კაპიტულაცია გამოაცხადა და ქვეყანა მონღოლთა მძიმე უღელქვეშ მოექცა.

ისტორიულ კორეაში გავრცელებული რელიგიები

კორეის უძველეს რელგიურ ტრადიციას წარმოადგენდა სულებით დასახლებული სამყაროს რწმენა. კორეელთა რწმენა-წარმოდგენების თანახმად, შორეულ წარსულში არსებობდა ღმერთების, სულებისა და მოჩვენებების უზარმაზარი პანთეონი, რომლებიც განაგებდნენ ცას და დედამიწას. აღნიშნული პანთეონი მოიცავდა ასევე ისეთ სულებს, რომლებიც ბინადრობდნენ ხეებში, გამოქვაბულებში, მიწაში, ადამიანთა საცხოვრებლებში და სხვა ადგილებში. ამ სულებს თითქოსდა ძალუძდათ ზეგავლენა მოეხდინათ ადამიანთა ცხოვრებაზე, მათ ბედ-იღბალზე, სხვადასხვა მოვლენების განვითარებაზე და სხვ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა შამანიზმს, რომლის ცენტრს წარმოადგენდა კუნძული ჩეჯუდო. აღსანიშნავია, რომ ცა კორეელთა თაყვანისცემის ერთადერთ ასტრალურ ობიექტს არ წარმოადგენდა. ცასთან ერთად, ამ სახეობის ობიექტებად მოიაზრებოდა მზე, მთვარე, მრავალრიცხოვანი ვარსკვლავები და პლანეტები. ციური სხეულების თაყვანისცემასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მათ ასტრალურ გამოყენებას, რომელთა მდგომარეობის მიხედვით ხალხი მარჩიელობდა საჭირბოროტო საკითხებზე, ომზე და მშვიდობაზე, წყალდიდობაზე და გვალვაზე, მიწისძვრებზე და ვულკანურ ამოფრქვევებზე. კორეელთა რწმენით, მთები, მდინარეები, ზღვები, გამოქვაბულები დასახლებული იყო ზებუნებრივი არსებებით – დემონებით, რომელთათვისაც განსაზღვრულ თარიღებში აუცილებელი იყო მსხვერპლშეწირვა, ლოცვების აღვლენა. მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ასევე წინაპართა კულტს (რომელსაც ესოდენ დიდი ადგილი ეკავა კონფუციონიზმში), რომელიც სრულად იქნა შემონახული მომდევნო ხანებში. განსაკუთრებული პატივი მიეგებოდა მოქმედი მონარქის (ანუ ვანის) წინაპრებს და მითოლოგიურ ვანს – სახელმწიფოს დამაარსებელ ტანგუნს. საჯარო

მსხვერპლშეწირვების რიტუალებს თავიანთი წინაპრებისათვის თავად ვანები ატარებდნენ რეგულარულად.

ბუდიზმის გამოჩენამდე (ახ.წ.მე-4ს.) კორეის ნახევარკუნძულზე გავრცელებული იყო ყველა პირველყოფილი რელიგიური რწმენები და კულტები, კერძოდ: ფეტიშიზმი, სულების რწმენა, ციური მნათობების თაყვანისცემა, წინაპართა კულტი, დემონიზმი და სხვ. საგულისხმოა, რომ ბუდიზმის შეღწევის შემდეგ, ისინი არ გამქრალა და არსებობას აგრძელებდნენ, ბუდიზმთან სინკრეტიზაციის რეჟიმში. მომდევნო ხანებში ქვეყანაში განვითარებული ისტორიული მოვლენები ნათლად გვიჩვენებს, რომ ბუდიზმის მიღებით, კორეის მოსახლეობას უარი არ უთქვამს მანამდე არსებულ კულტებზე და რწმენა-წარმოდგენებზე. ასე რომ, საუკუნეთა მანძილზე კორეის ნახევარკუნძულზე რელიგიური სინკრეტიზმი არსებობდა ბუდიზმს, კონფუციონიზმსა და ადგილობრივ კულტებს შორის.

კორეის ნახევარკუნძულზე ბუდიზმის გავრცელება მე-4 საუკუნეში დაიწყო ჩინელი ბერების მიერ, რომლებიც იქ საგანგებოდ სამისიონერო მიზნებით ჩადიოდნენ. იმხანად არსებული სამი სახელმწიფოდან ბუდიზმმა პირველად ქოგურიოში შეაღწია. 372 წელს იქ ჩასულ ჩინეთის ელჩობის შემადგენლობაში იყო ბერი სუნტო, რომელმაც ადგილობრივ ვანს საჩუქრად მიართვა ბუდას გამოსახულება და სუტრები. ხელისუფლება უცხო სარწმუნოებას იმთავითვე პოზიტიურად შეხვდა, რის საფუძველზეც მალე ქვეყანაში ბუდიზმის გავრცელება და ტაძარ-მონასტრების აგება დაიწყო. 12 წლის შემდეგ – 384 წელს ბუდიზმმა ფექჩეში შეაღწია, ჩინეთიდან ჩასული ბერის – მარანანტჰას მეშვეობით. ფექჩეს მეფე სოსურამი (371-384) გაეცნო რა ბუდისტურ დოქტრინას, ახალ სარწმუნოებაზე მოექცა. აღსანიშნავია, რომ მანვე ცოტა ადრე (372წ.) კონფუციონიზმის უმაღლესი სასწავლებელი დააარსა, სადაც კლასიკური კონფუციანური ლიტერატურა შეისწავლებოდა. ბუდიზმი ქვეყნის ეროვნულ ერთიანობას უზრუნველყოფდა, კონფუციანური სასწავლებელი კი მოწოდებული იყო ახალი ბიუროკრატიული სტრუქტურებისა და ად-

მინისტრაციული აპარატის შესაქმნელად. მე-5 საუკუნეში ბუდიზმმა ქოგურიოდან შილაში შეაღწია, 527 წელს კი ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადდა, რომელიც ქვეყნის ეროვნული და სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის, ასევე ცენტრალიზაციის გარანტად მოიაზრებოდა. შილაში, ისევე როგორც ფექჩეში, კონფუციანური საგანმანათლებლო სასწავლებელი შეიქმნა, იმავდროულად ფართოდ ვრცელდებოდა ჩინელ კლასიკოსთა ფილოსოფიური, ისტორიული და სხვა სახის შრომები.

კორეაში, ისევე როგორც ჩინეთში, ბუდიზმის მაჰაიანისტური მიმდინარეობა დამკვიდრდა. სარწმუნოებრივ-დოგმატური თვალსაზრისით, კორეული ბუდიზმი თავდაპირველად მთლიანად ჩინური მოდელის ასლს წარმოადგენდა, შემდეგ კი წარმოიშვა მისი ახალი ვარიანტები და სექტები. კორეულ ნიადაგზე აღმოცენებული სახეობების გარდა, გაჩნდა აზიის სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული მიმდინარეობები (მაგალითად, ამიდაიზმი, ჩან-ბუდიზმი...). ხაზგასასმელია, რომ კორეის სამივე სახელმწიფოში ბუდიზმის გავრცელების ინიციატივა ცენტრალური ხელისუფლებისგან მოდიოდა. ამის უპირველესი მიზეზი ის იყო, რომ ხელისუფალნი ზოგადად, პატივს მიაგებდნენ ჩინური ცივილიზაციის ყველა მონაპოვარს. ამასთან ერთად, ბუდიზმში ისინი ხედავდნენ ძალაუფლების განმტკიცების იდეოლოგიურ იარაღს, რამდენადაც ის ქვეყნის ცენტრალიზაციის ტენდენციებს უწყობდა ხელს. ბუდისტური სწავლება რეინკარნაციაზე, ხელმეორედ დაბადება· კარმის შესაბამისად და მისი სხვა პოსტულატები კეთილგანწყობით იქნა მიღებული როგორც დოქტორინა, რომელიც გაბატონებული ფენის პრივილეგირებულ პოზიციებს აკანონებდა. შედეგად, სამი სახელმწიფოს პერიოდში (ასე ეწოდებოდა ქოგურიოს, შილას და ფექჩეს ერთდროულად არსებობის ხანას) ბუდიზმი მთელ კორეის ნახევარკუნძულზე სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა. ამაში ლომის წილი ბუდისტ ბერებს მიუძღოდათ, რომელთა ძალისხმევით ჩინური ყოფითი, იდეოლოგიური და კულტურის ელემენტები კორეაში ვრცელდებოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კორეის სახელმწიფოებს შორის გამუდმებული ბრძოლები მიმდინარეობდა, რაც სათანადოდ აისახებოდა გარე სამყაროსთან მათ ურთიერთობებზე. განსაკუთრებით ეს ეხება იაპონიას, რომელიც მოხერხებულად სარგებლობდა იქ არსებული შიდა აშლილობით. იაპონურ წერილობით ძეგლებში („კოჯიკი", „ნიჰონგი") უხვი მასალა მოიპოვება იაპონია-კორეის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული კონტაქტების შესახებ. ყველაზე ადრინდელი ცნობა კორეის ნახევარკუნძულზე იამატოს (როგორც იმხანად იაპონიას ერქვა) სამხედრო აგრესიის შესახებ, განეკუთვნება ქალი იმპერატორის – ჯინგუს ზეობის ხანას (201-269), რომელიც თურმე თავად მეთაურობდა საბრძოლო ოპერაციებს. სწორედ იმ პერიოდიდან კორეის სახელმწიფოები პერიოდულად იამატოს ვასალურ დამოკიდებულებაში ექცეოდნენ და შესაბამისად, რეგულარულ გადასახადსაც უხდიდნენ მას. როგორც ჩანს, ჯინგუ საკმაოდ ძლიერი მმართველი იყო, რომელსაც ძალუძდა ფართომასშტაბიანი საომარი ექსპედიციები წარმატებით განეხორციელებინა კორეის ნახევარკუნძულის სახელმწიფოთა წინააღმდეგ. მათგან ჯინგუმ მოკავშირეობითი ურთიერთობა დაამყარა ფექჩესთან (რომელიც დაპირისპირებული იყო ქოგურიოსთან და შილასთან).

ჯინგუმ ფაქტობრივად, პირველმა გაუკვალა გზა იაპონიას გარე სამყაროსთან ინტენსიური ურთიერთობის დამყარებაში, რითაც ხელი შეუწყო კონტინენტის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ზეგავლენის გაღრმავებას იაპონიის არქიპელაგზე – აქ იგულისხმება კორეის საშუალებით, ჩინეთის ზეგავლენა იაპონიაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომდევნო ხანებში, კერძოდ, მე-6 საუკუნიდან მოყოლებული, იამატოს მმართველებმა შიდა დაპირისპირებათა გამო, არაერთი ბრძოლა წააგეს კორეაში და ტერიტორიებიც დაკარგეს. იმავდროულად, მასობრივი მიგრაცია მიმდინარეობდა ჩინეთიდან და კორეიდან იაპონიაში, რომელთა მოსახლეობა გაურბოდა პერმიანენტულად მიმდინარე შიდა დინასტიურ ომებს თავიანთ ქვეყნებში. ძირითადად ესენი იყვნენ

მხატვრები, მწერლები, ხელოსნები, მისიონერები, რომლებსაც დიდი კეთილგანწყობით ხვდებოდნენ იაპონელები, რამდენადაც მათგან ბევრ რამეს სწავლობდნენ.

ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ კორეაში ბუდიზმის გაბატონებამ დიდი გავლენა იქონია იაპონიაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ კორეელი ბუდისტი ბერების ძალისხმევით დაიწყო იქ ბუდიზმის გავრცელება. პირველი ტაძარ-მონასტრებისა და პაგოდების აღმშენებლებიც კორეელი და ჩინელი ხუროთმოძღვრები, ბერები, ხელოსნები და მხატვრები იყვნენ. თავის მხრივ, იაპონიის ხელისუფლება კორეაში აგზავნიდა როგორც მამაკაც, ისე ქალ მონაზვნებს, ბუდიზმის საფუძვლიანად შესასწავლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია შიოტოკუ ტაიშის (რომლის შესახებ ნაშრომის სათანადო თავში გვქონდა საუბარი) ძალისხმევა ამ მიმართულებით, რომელსაც კორეელი ბუდისტი მოძღვრები ჰყავდა. იმ დროიდან მოზღვავდა იაპონიის არქიპელაგზე ქოგურიოდან და ფექჩედან ქურუმების, სახელოვან ხუროთმოძღვართა და სწავლულთა ნაკადი, რომლებიც იაპონიაში სახლდებოდნენ, ხშირად ქორწინდებოდნენ კიდეც იაპონელებზე. ამ გზით ხდებოდა მატერიალური კულტურისა და ეთნიკური ელემენტების ასიმილაცია, რასაც საბოლოო ჯამში, პოზიტიური შედეგი მოჰქონდა.

კორეაში ბუდიზმის გავრცელებას თან ახლდა სატაძრო არქიტექტურის განვითარება, პომპეზური ფერადოვანი ტაძრებისა და პაგოდების აღმშენებლობა. ყველგან იდგმებოდა ბუდას ქანდაკებები, რომლებიც ხისგან ან ბრინჯაოსგან მზადდებოდა. მათგან აღსანიშნავია ბუდას ხუთ მეტრიანი ქანდაკება, რომელიც 574 წელს დაიდგა ჰვანგიონგის ბუდისტურ ტაძარში (შილას სახელმწიფოში). მისი კედლები მოხატულია სახელოვანი მხატვრის – სონ გეს მიერ. მისი ფერწერა იმდენად რეალისტური და რელიეფური იყო, რომ ჩიტები თურმე ტაძრის ეკლდებს ეხეთქებოდნენ, რათა დახატულ ტოტებზე ჩამომსხდარიყვნენ, რომლებიც ნამდვილი ეგონათ. იმავე პერიოდს განეკუთვნება ფექჩეში აგებული 5-იარუსიანი ჰაეროვანი პაგოდა – ჩონიმი. სახვითი ხელოვნების მა-

ღალმხატვრულ დონეზე მეტყველებს ფრესკული ფერწერა აკლდამებზე, ტაძართა კედლებზე, რომლებიც ისევ და ისევ ბუდას სახელთან იყო დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ ბუდისტური შინაარსითა და მოტივებით იყო გაჯერებული პოეზია და მუსიკაც. ეს ყველაფერი არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ისტორიული თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო მასალას წარმოაჩენს კორეელი ხალხის შორეული წარსულიდან. ზემოხსენებულ ძეგლებზე ბუდისტურ თემატიკასთან ერთად, გამოსახულია ბატალური სცენები, ნადირობა, სხვადასხვა თამაშები, ცეკვები, იარაღი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ლოტოსის ყვავილები და სხვ.

მართალია, კორეაში პატივს მიაგებდნენ ზოგადად, მთელ ბუდისტურ პანთეონს, მაგრამ იყო გამორჩეული ოთხი ღვთაება, რომელიც ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობდა. ესენია: უპირველეს ყოვლისა, მაიტრეა, შემდეგ – შაკიამუნი, ამითუოფუ და ავალოკიტეშვარა. პატივი მიეგებოდა ასევე ბოდჰისატვას კულტს. ისევე როგორც სხვა ბუდისტურ ქვეყნებში, კორეულ პანთეონში ფიგურირებდა კიდევ უამრავი ღვთაება და ნახევრად ღვთაებრივი არსებები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე-5-7 საუკუნეებში აგებული ბუდისტურ ტაძრებს შორის, განსაკუთრებით ბევრი იყო მაიტრეასადმი (მომავლის ბუდასადმი) მიძღვნილი ტაძრები. ბუდიზმის მიმდევართა რწმენით, ეს ღვთაება მომავალში დედამიწაზე ბუდას სახით გამოჩნდებოდა და თავისი ქმედებებით სასიკეთო გავლენას მოახდენდა ადამიანთა ბედიღბალზე. მაიტრეას კულტმა განსაკუთრებული აქტუალობა მე-8 საუკუნეში შეიძინა, როდესაც განახლებული ფეოდალური შიდა ომების გამო, ქვეყანა კრიზისულ ვითარებაში აღმოჩნდა. იმ პერიოდის ძეგლებიდან გამორჩეულია ჯოგუროში (რომელიც ქოგურიოშია) არსებული, ბრინჯაოში ჩამოსხმული მაიტრეასა და შაკიამუნის მოოქროვილი ქანდაკებები, რომლებიც გამოსახულია მედიტაციის პოზაში, მომღიმარი სახის გამომეტყველებით. ანალოგიური სკულპტურები განთავსდა ფექჩეში და შილაში.

ბუდიზმის ფართოდ გავრცელების მიუხედავად, კორეაში კონფუციონიზმის როლი არ დაკნინებულა, ის დაახლოებით ბუდიზმის იდენტურ პოზიციას იკავებდა. ქვეყნის გაერთიანებამ პოზიტიური ძვრები მოახდინა კულტურაზე, სამეცნიერო დარგებზე, იდეოლოგიაზე. 682 წელს დაარსდა ჩინური ენისა და კონფუციანური ლიტერატურის შემსწავლელი უმაღლესი სახელმწიფო სკოლა, 788 წელს შემოღებულ იქნა კონფუციანური საგამოცდო სისტემა ჩინოვნიკებისათვის, სათანადო თანამდებობაზე დასანიშნად. ცოტა მოგვიანებით, კორეის ნახევარკუნძულზე ტაოიზმმაც შეაღწია, თუმცა, ის კონკურენციას ვერ უწევდა ბუდიზმსა და კონფუციონიზმს. მართალია, ბუდიზმი ხსენებულ ორ მოძღვრებას ღია ბრძოლას არ უცხადებდა, თუმცა, ხანგამოშვებით მათ შორის იყო დაპირისპირების პერიოდებიც.

კორეული ფილოსოფიის ერთ-ერთ მთავარ მიმდინარეობას წარმოადგენდა მოძღვრება ბუნების ხუთი პირველსაწყისი ელემენტის (წყალი, ცეცხლი, მიწა, ხე, მეტალი) შესახებ, რომელიც გამსჭვალული იყო კონფუციანური მოწოდებით მშობლების მიმართ პატივისცემისა და სახელმწიფოს მასშტაბით – ხელმწიფისადმი ერთგულების შესახებ. ბუდისტური იდეალიზმი კი ობიექტურად არსებულ სამყაროს განიხილავდა, როგორც ილუზიურს და ბედნიერების მისაღწევად, ადამიანებს რელიგიური თვითაღზრდისკენ და ყველანაირი პროტესტის გამოხატვის უარყოფისკენ მოუწოდებდა. რაც შეეხება ტაოიზმს, მისი შემდეგი პოსტულატები გავრცელდა კორეაში: სამყარო არ შექმნილა ზეციური ნებით; ის თავად არის პირველსაწყისი და არსებობს ტაოს (ანუ გზის) წყალობით, რომელიც მატერიის არსებობის სხვადასხვა კანონზომიერებებს (მოძრაობა, ცვალებადობა, შინაგანი დაპირისპირებები და სხვ.) გამოხატავს.

როდესაც მე-7 საუკუნეში შილამ დანარჩენი ორი სახელმწიფო (ქოგურიო და ფექჩე) დაამარცხა და ქვეყანა გააერთიანა, ბუდიზმი უკვე აღიარებულ სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა კორეის ნახევარკუნძულის მთელ ტერიტორიაზე. შესაბამისად, სულ უფრო მატულობდა ბუდისტური

სამღდვლოების გავლენა და უფლებამოსილება. ბუდისტური ტაძარ-მონასტრები თავიანთ სამფლობელოებს აფართოებდნენ არა მხოლოდ შემოწირულობითა და ხელისუფალთა თანადგომის მეშვეობით, არამედ გლეხთა მიწების პირდაპირი მიტაცებით. ქვეყნის გაერთიანება სასიკეთოდ აისახა კულტურის, მეცნიერების და იდეოლოგიის შემდგომ განვითარებაზე, დაიწყო აღორძინების ახალი ეტაპი, რაც უპირველეს ყოვლისა, ბუდიზმის დამსახურება იყო. ისევე როგორც აზიის სხვა ქვეყნებში, ბუდიზმის პოზიციების განმტკიცება კორეაში სტიმულს აძლევდა კულტურის სხვადასხვა დარგების განვითარებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სააღმშენებლო ხელოვნებაში პაგოდების, ფილებისა და სხვა საკულტო ნაგებობების ნატიფი ფორმების შექმნას. აქტუალური გახდა ბუდასა და ბუდისტური პანთეონის სხვა პერსონაჟების ქანდაკებების შექმნა, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე ინარჩუნებს თავის მომხიბვლელ იერსახეს. მე-8 საუკუნის ამ ტიპის ძეგლებიდან აღნიშვნას იმსახურებს 751 წელს აგებული გამოქვაბულის ტაძარი სოკურამი. სპეციალისტთა აზრით, მასზე აღინიშნება გარკვეული მსგავსება ნარას პერიოდის (710-784) იაპონურ საკულტო ნაგებობებთან, ასევე ჩინეთის ტუნხუანგის გამოქვაბულთა სატაძრო კომპლექსთან. სოკურამის ინტერიერში, ცენტრალურ დარბაზში განთავსებულია ბუდა შაკიამუნის დიდი ქანდაკება, თერთმეტთავიანი მოწყალების ქალღმერთი – კანონი და სხვადასხვა ბოდჰისატვები.

შილას პერიოდის ბუდიზმზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით ტაძრების ბრინჯაოს ზარებს, რომლებიც გამოირჩევა უნიკალური ფორმებით, დიზაინითა და ხარისხით. მათგან ყველაზე ძველი თარიღდება 725 წლით, საუკეთესოდ და ზომით ყველაზე დიდად კი აღიარებულია 771 წელს ჩამოსხმული ზარი, რომელიც დაცულია ქ. ქიონგჯუს მუზეუმში. მისი სიმაღლე 2, 27 მეტრია, დიამეტრი – 3,3 მეტრი. ზარი მოხატულია მფრინავი ანგელოზებითა და ლოტოსის ყვავილებით. ზარების გარდა, გაერთიანებული შილას პერიოდიდან შემონახულია ბუდისტური პრაქტიკის არაჩვეულებრივი ნი-

მუშები, მემორიალური სვეტები, ფილები და ქვის აკლდამები. მათზე ამოკვეთილია ზოდიაქოს კალენდრის ცხოველები (ვეფხვი, ცხენი, მაიმუნი, მამალი, ძაღლი...), რაც ძველი ჩინური კალენდრიდან იქნა გადმოღებული.

კორეის ისტორიის ადრეულ პერიოდში ბუდისტური თემი – სანგჰა პერიოდულად ახერხებდა, გარკვეული დოზით, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლისგან თავის დაღწევას. განსაკუთრებით ეს ეხება მე-8 საუკუნის მიწურულს, როდესაც სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დაქვეითების პროცესი დაიწყო. მანამდე კი სანგჰა ხელისუფლებისა და მისი ბიუროკრატიული აპარატის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. კერძოდ, მაღალი რანგის ყველა სასულიერო პირი ვანის მიერ ინიშნებოდა, ქვედა საფეხურის თანამდებობაზე – ოლქის მმართველის მიერ. საყურადღებოა ისიც, რომ შილას სახელმწიფოს პერიოდში, მონასტერში მოხვდრის მსურველს სპეციალური ნებართვა ვანისგან უნდა მიეღო. უბრალო ხალხისთვის მონასტერში მოხვედრა იმის გამო იყო სასურველი, რომ ამით ისინი თავისუფლდებოდნენ გლეხისა თუ ხელოსნის მძიმე შრომისაგან, გადასახადებისაგან, სამხედრო ვალდებულებისაგან და სხვ. ხელისუფლება, თავის მხრივ, არ იყო დაინტერესებული ამგვარ ქმედებათა წახალისებით და ამიტომაც ძალიან შეზღუდულად და ძნელად გასცემდა მოქალაქეთა მონასტერში წასვლის ნებართვას.

გვიანი შილას პერიოდში კორეაში ბუდიზმის ახალმა მიმდინარეობამ – ჩან-ბუდიზმმა მოიპოვა პოპულარობა, რომელმაც კორეის მიწა-წყალზე ტრანსფორმაცია განიცადა და მიიღო კორეული სახელწოდება – სონ-ბუდიზმი. კორეის ნახევარკუნძულზე ჩან-ბუდიზმმა პირველად მე-7 საუკუნეში შეაღწია დედოფალ სონდოქის ზეობის პერიოდში (632-647), თუმცა, იმხანად მოსახლეობას მასზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა და ფართოდ არ გავრცელებულა. მე-9 საუკუნის დასაწყისიდან კი სონ-ბუდიზმს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა და მან წარმატებით დაიწყო გავრცელება. როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. ნაშრომის თავი „ძენ-ბუდიზმი“), ძენ-ბუდიზმი

ქადაგებდა, რომ წმინდა წიგნების კითხვისა და რიტუალების შესრულების ნაცვლად, ადამიანი გონების უცაბედ განათებას, გაცისკროვნებას მედიტაციის საშუალებით მიაღწევდა. ამ პროცესში უმთავრესი იყო მოძღვარსა და მოწაფეს შორის დამყარებული ურთიერთობის ხარისხი, რომელიც ეფუძნებოდა მოძღვარის (ანუ ოსტატის) რჩევა-დარიგებებისა და მინიშნებების ადეკვატურად აღქმას. საამისოდ აუცილებელი იყო ოსტატის ყურადღებით მოსმენა, დიდი ნებისყოფა, ყურადღების კონცენტრაცია, გონებამახვილობა. სონ-ბუდიზმის სახელოვან მოძღვართა პატივსაცემად კორეაში უამრავი მემორიალური ფილები და სვეტები იდგმებოდა, რომლებზეც აღნუსხული იყო მათი ღირსებები და დამსახურებები. ამ ტიპის აღმოჩენილი ძეგლებიდან ყველაზე ძველი 790 წლითაა დათარიღებული. 828-931 წლების მანძილზე სონის ცხრა მიმდინარეობა აღმოცენდა, რომლებიც თითქმის ერთმანეთის იდენტურები იყვნენ და აქედან გამომდინარე, ერთმანეთს არ უპირისპირდებოდნენ. უმეტესწილად ადამიანები ერთდროულად სონ-ბუდიზმის რამდენიმე მიმდინარეობას მიაკუთვნებდნენ თავს, რადგანაც მათ შორის განსხვავებას ვერ ხედავდნენ. ამიტომაც იყო, რომ ხსენებულმა ცხრა მიმდინარეობამ საბოლოოდ საერთო სახელწოდება მიიღო – გუ სან (ანუ – ცხრა მთა).

მართალია, კორეის ნახევარკუნძულზე გავრცელებულ რელიგიებს შორის ლიდერის პოზიცია უმეტესწილად ბუდიზმს ეკავა, თუმცა, კორეელთა ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა კონფუციონიზმმა. სწორედ ამ მოძღვრების მიმდევრები იცავდნენ ისეთ დოგმატურ ნორმებს, როგორიცაა: წინაპრებისა და უფროსებისადმი (ასაკით, თანამდებობით, სოციალური სტატუსით) განსაკუთრებული პატივისცემა, მეგობრისადმი ერთგულება, განათლებისა და სამეცნიერო მიღწევებისაკენ სწრაფვა, ისინი აღიარებდნენ ასევე მამაკაცისადმი ქალის დაქვემდებარებულ მდგომარეობას, ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის აუცილებლობას, იერარქიული და სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებას. როგორც სამი სახელმწიფოს

პერიოდში, ისე მათი გაერთიანების შემდგომ ხანაში, ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კონფუციონიზმის როლი, იქიდან გამომდინარე, რომ ეს უკანასკნელი უმაღლეს ღირებულებად სახელმწიფოს მიიჩნევდა. რა თქმა უნდა, ამ იდეის პოპულარიზაციაში არანაკლები წვლილი შეჰქონდა ბუდიზმსაც, რომელსაც კონფუციონიზმთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ის სულიერ ზემოქმედებას უფრო ფართო მასებზე ახდენდა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ის უფრო გასაგები და ახლობელი იყო მათთვის ადათებისა და რიტუალების ხატოვანი ხასიათით. ამ კუთხით დიდ როლს ასრულებდა ასევე მრავალფეროვანი ბუდისტური ღმერთების პანთეონი, ტაძრებისა და პაგოდების ვიზუალური მომხიბვლელობა, მათი პომპეზური ინტერიერი და ექსტერიერი.

კორეის ისტორიის შემდგომ ეტაპზე ანუ ქორიოს პერიოდში (მე-10–13 სს.) ბუდიზმი უწინდებურად აყვავებას განიცდიდა. ამის დასტურია ბუდისტური ტაძარ-მონასტრებისა და პაგოდების რაოდენობის განუხრელი ზრდა, რომლებიც, როგორც წესი, სახელმწიფოს ხარჯზე იგებოდა. პარალელურად მატულობდა მათი ქონება, მიწების რაოდენობა და ა.შ. ქორიოს სახელმწიფოს ფუძემდებელი ვან გონი (918–943) ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე, ყოველმხრივ ხელს უწყობდა ბუდიზმის გავრცელებას, ბუდისტურ მონასტრებს სამფლობელოდ დიდ ტერიტორიებს ურიგებდა, უზარმაზარ მატერიალურ სახსრებს ხარჯავდა ბუდისტური ტაძრებისა და სასწავლებლების ასაგებად. ხსენებულმა მეფემ თავის ანდერძშიც კი საგანგებო პუნქტი მიუძღვნა ბუდიზმის საკითხს, რომელშიც ხაზგასმული იყო ხელისუფლების მხრიდან ბუდისტურ ეკლესიაზე დაყრდნობის აუცილებლობა. იმავდროულად, ქორიოს სახელმწიფოში ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობდნენ სახელოვანი კონფუციანელი სწავლულები და ზოგადად, კონფუცის მოძღვრება; მთელ რიგ დიდ ქალაქებში მთავრობის ხარჯით კონ-

ფუციანური უმაღლესი და საშუალო სასწავლო დაწესებულებები იხსნებოდა.

ბუდიზმის ისტორიის ახალი ეტაპი კორეის ნახევარკუნძულზე მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, როდესაც ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის გაჩაღებული შიდა ომების პირობებში, ბუდისტური ეკლესია კეთილგანწყობისა და სიმშვიდის ნავსაყუდელად რჩებოდა. ძალაუფლებისათვის მებრძოლი თითოეული მხარისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ბუდისტური თემის – სანგჰას მხარდაჭერა. თავის მხრივ, ბუდისტური ეკლესია აღნიშნულ ბრძოლებში გამოკვეთილ პოზიციას არ აფიქსირებდა. ის ლავირებას ახდენდა სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის და ამ გზით გარკვეულწილად ხელს უშლიდა სიტუაციის დარეგულირებას და ქვეყნის ცენტრალიზაციას. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხსენებულ პერიოდში კორეის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მონღოლები ბატონობდნენ (1258-1574), რომლებიც ასევე პატივს მიაგებდნენ ბუდიზმს. მაგრამ 1374 წელს კორეიდან საბოლოოდ განიდევნენ მონღოლები, 1392 წელს შიდა ომიც დასრულდა და პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან ერთად, ქვეყნის იდეოლოგიაც შეიცვალა. დაპირისპირებულ კლანებს შორის მიმდინარე ბრძოლებში გამარჯვება მოიპოვა ლი სონ გემ (1392-1400), რომელმაც თავი მეფედ გამოაცხადა და საფუძველი ჩაუყარა ახალ დინასტიას – ლის (რომელიც 500 წელი ბატონობდა). მან ქვეყანას ძველი ისტორიული სახელწოდება – ჩოსონი დაუბრუნა, დედაქალაქად კი ჰანიანი (დღევანდელი სეული) გამოაცხადა.

ამ პერიოდიდან დაიწყო ბუდისტური ეკლესიის დამოუკიდებლობის შეზღუდვა, სანგჰის უფლებამოსილების შეკვეცა, მოხდა სამონასტრო მიწების კონფისკაცია (მათზე მოსახლე ყმა-გლეხებითურთ), შემცირდა მონაზონთა რაოდენობაც. ხსენებული პერიოდისთვის ბუდისტური ეკლესია კორეაში მრავალრიცხოვან სექტებად იყო დანაწევრებული, რომლებიც ერთმანეთისგან საკულტო და დოგმატური ელემენტებით განსხვავდებოდა. ახალი ხელისუფლება მკაცრად მოეკიდა ამ საკითხს და საბოლოოდ სექტების რაოდენობა

მან ორამდე დაიყვანა, ესენი იყო სონჯონი და ქეჯონი. თითოეულ მათგანს ნება ეძლეოდა 17 მონასტერი ჰქონოდა, მკაცრად განსაზღვრული მიწებისა და ყმა-გლეხების რაოდენობით. ცხადია, რომ ეკონომიკური ბერკეტების შესუსტება სათანადოდ აისახა ბუდისტური თემის როლზე ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ასე რომ, მისი ძლევამოსილება კორეის ნახევარკუნძულზე იმ ეტაპზე წარსულს ჩაბარდა. ამის სანაცვლოდ, ჩოსონის ხელისუფლება ხელს უწყობდა კონფუციონიზმის იდეალებისა და სწავლების დანერგვა-განმტკიცებას კორეელ საზოგადოებაში. კერძოდ, ახალი დინასტიის სახელმწიფო იდეოლოგიად ნეოკონფუციონიზმის სახეობა – ჭუსიანიზმი გამოცხადდა, რომელმაც კორეაში მე-13 საუკუნეში დაიწყო გავრცელება. თავისი არსით ეს იყო ფეოდალური წყობის, ფენობრივი იერარქიისა და მონარქის უფლებამოსილების ურყეობის მხარდამჭერი იდეოლოგია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჭუსიანიზმი წარმოადგენდა დიდი ჩინელი მოაზროვნეების – ჭუ სის (1190-1200) მიერ ჩამოყალიბებულ იდეალისტურ მოძღვრებას სულის (ლი) პირველსაწყისობისა და მატერიის (კი) მეორადობის შესახებ, რომელიც ჩინეთიდან აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში გავრცელდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ბუდიზმი და კონფუციონიზმი კორეის ნახევარკუნძულზე საუკუნეთა მანძილზე გარდამავალი უპირატესობით სარგებლობდა, უმეტესწილად კი ორივეს ერთდროულად ეკავა წამყვანი პოზიციები. ასე რომ, მათი გამიჯვნა კორეის ისტორიულ რეალობაში პრაქტიკულად შეუძლებელია. იმავდროულად, დიდი პატივით სარგებლობდა ძველ პერიოდში და შუა საუკუნეებში ტრადიციული შამანიზმი, ასევე ღრმად იყო გამჯდარი კორეის მოსახლეობაში სულების რწმენა და ციური სხეულების პატივისცემა.

Nana Gelashvili

RELIGIONS OF THE FAR EAST

Summary

Due to current multilateral international relations of Georgia, extremely interesting and exotic world of the Far East, having enormous amount of materials for study and research, merits special attention. The region plays more and more important role on the world political map, its history, national-cultural traditions, political institutions, ideology, socio-economic development specifics, etc. causes increasing attantion. Therefore, it is quite natural that necessity of complex and deep study of the mentioned region became currently of great interest. For the present, our attention is focused on the main religious doctrines of the Far East, which are examined in the light of historical-political and cultural development of the big countries of Asia. Study of religious beliefs and perceptions in general and separate religions in particular gives us quite important information for objective understanding and presenting of the historical-cultural processes of a certain epoch, country, people and ethnos. Religions and traditions, sanctioned by it mostly determine the image, norms of social life, culture, etc., of a given civilization. As the religion is related with many sides of human's life, history and philosophy, sociology and psychology, archeiligy and ethnology, anthropology and folkloristic, it is studied from different points of view.

The purpose of the present work is to reveal conception and formation of the main religious doctrines, their specific characteristics, their influence on the social and cultural life and also to show interreligious dialogue and mutual influence. The attention is focused on the doctrines, such as Confucianism, Daoisnm (the same as Taoism), Lamaism, Jainism, Brahmanism, Buddhism, Zen-

Buddhism, Shintoism. The mentioned religions were spread in different proportions in the East and South-East Asia.

As it is known, the Oriental world is characterized by aboundance of civilizations and religions (the Western world is represented mainly by different movements of Christianity) that was consequence of the powerful influence of different religious systems on the political and social life, traditions and culture of the certain countries. At the same time the religion, which was closely connected with conservative traditions and was establishing their norms, always was protecting social institutes, i.e. in connection with the state and society it was creating a solid base. However, it should be noted that the religious systems did not strengthen traditional structure or a particular political power with the same dose. Notably, where the religious system was less supported by the ruler elite, the government easier and faster was losing its power. However, where the religion was functioning optimally, the result was accordingly opposite, what is easy to see feom the exomples of the region, interesting for us. In particular, in China in the distant past – in the epoch of Chou (1027-256 B.C.) the philosophical-religious doctrines (Taoism, Confucianism, Legalism, Moism) were greatly influencing the political structure that was supporting and keeping it during the millennia, almost unchangeably.

In India the relation between the religions and the state was weaker and that is why the dynasties and the kingdoms were faster terminating their existence. i.e. were instable. On the contrary, the religion was acting actively and effectively towards the social metastructure. This has conditioned the event that in spite of frequent alternation of the political power, the metastructure with its castes – as the leading force, has survived in India till the middle of the 20th century almost without change (the constitution of the 1946 officially prohibited division of the society by castes). As for Japan, Shintoism – the ancient national religion of the Japanese, successfully functions since ancient times, and now it is not only their faith, but also an inseparable part of their everyday life, culture and their lifestyle.

However, Buddhism in Japan, as well as in the most Asian countries, is the prevailing religion.

For the Far East doctrines, it is characteristic to spread in the neighboring countries, existing of several religions simultaneously in the same teriitory and also respecting the same gods and deities in different religions, mixing together several rituals, etc. For example, Buddhism appeared in India, but lately Hinduism oppressed it. Instead Buddhism took dominating position in other countries of Asia. In China in parallel to each other were spread mutually opposing Confucianism and Taoism, also Legalism and Moism, little lately – Lamaism in Tibet (based on Buddhism). Japanese Shintoism openheartedly aceepted Buddha as one of the Shinto deities.

On the territory of the Far East, we can tentatively mark out three regions: East Asia, South-East Asia and South Asia. In the East Asia (China, Japan and Korea) mainly is spread Mahayana direction of Buddhism. In China together with Buddhism were spread Taoism and Confucianism. In Korea together with local shamanism were spread Buddhism and Confucianism. In Japan, as it was mentioned above, together with the local Shintoism, from Korea penetrated Buddhism and Confucianism (in the 5th century A.D.). In the South-east Asia (Indo-China. Malaysia, Indonesia, Phillipines...) most of the followers had the Hinayana direction of Buddhism, though in Vietnam, there is Mahayana Budhism. In Indonesia and Malaysia there is spread Sunni Islam and in Philippines Catholic Christianity is the state religion. In the South Asia region (India, Nepal, Bangladesh, Sri-lanka...) Hinduism has the most of followers. In Bangladesh also is spread Sunni direction of Islam. In India together with Hinduism, are spread Jainism, Sikhism, Buddhism in a small amount and also Catholic Christianity. In Nepal are spread Hinduism and Buddhism – mostly in form of Lamaism, i.e. Tibetian Buddhism.

In general, oriental world is a great contributor to the development of the world civilization. The civilization and religious faiths almost in all regions were formed independently from each

other – as in the Near East, as well in the Far East. India, China, Iran, from the later period – Arab world, Japan, etc... gave distinduished place, as they have the most original civilizations. For the deep study and objective revealing of political-economic and cultural circumstances of any historical period it is very important to take into consideration the religious aspects, as the religion always had and has the direct connection with the vital processes, current in a country. As far as from the oriental people on the historical arena several appeared earlier and several of them – relatively later, it is clear that the different kind processes of mutual influence took shape from the beginning. Along with that, in some cases, this was happening through methods of force, and in other – voluntarily. However, in the both cases during the centuries, penetration of foreign elements, including religious segment, into a national culture or country was happening in accordance with strict internal laws, that was determined by several factors. Main from them are the development level of a particular ethnos, customs and habits, traditions, mentality, faith, geographical location of the country, its neighborhood; also should be taken into consideration the forms of relationship, existing between different states, in particular – whether these relations were peaceful and good-neighborly or hostile. Based on the above, the issues of the mutual influence of civilizations and cultures, interreligious dialogue, should be considered not abstractly, but in close connection with a particular historical epoch, society, political, socio-economic and ideological precesses, which is combination of wide range of different values.

The presented work, relies on the materials, collected during years for the lecture course, made by me – "Religions of the Far East". The examined doctrines are shown in historical-cultural light, whereas from the philosophical point of view they are duly studied as by the Georgian, as well as by foreign specialists. The issues in the work are grouped thematically and are represented as the result of study and analysis of abundant scientific literature (the list of which is attached to the present work), periodical publications,

artifacts and visual materials about the Far East. In this regard, it should be noted that the greatest role in this had played the unforgettable impressions, got during my visits in several countries of the examined region (Vietnam, Japan, Philippines, Thailand, Pakistan). It is clear that seeing with own eyes and experienced, exceeded the virtual knowledge, got from the books and screen. Since that time the priority direction of my research nd pedagogical activities has become a profound study and scientific research of the Far East region.

Based on all the above, I think, that the present work will provide with the signigificant assistance, first of all, for the Georgian students, interested in the Far East region – as a manual, and also for the researcher specialists, pedagogues and will arouse interest in the wide circle of readers.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. გელაშვილი, ბუდიზმი და ბუდისტური კულტურის ფორმირება აზიის ქვეყნებში, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, X, თბილისი, 2001, გვ. 33-40.
2. ნ. გელაშვილი, იაპონური კულტურა, თბ., 2001.
3. ნ. გელაშვილი, ინდური კულტურა, ჩინური კლტურა, კულტუროლოგია, I, თბ., 2001, გვ. 266-291.
4. ნ. გელაშვილი, ბუდიზმი ადრეული შუა საუკუნეების იაპონიაში, აღმოსავლეთი და კავკასია, 2, თბ., 2004, გვ. 56-60.
5. ნ. გელაშვილი, ჩინური ფილოსოფიის სათავეებთან – კონფუციონიზმი, პერსპექტივა XXI, 8, თბ., 2006, გვ. 78-83.
6. ნ. გელაშვილი, იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში, თბ., 2012.
7. ნ. გელაშვილი, ბუდისტური კულტურის ფორმირება ჩინეთში, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXVIII, თბ., 2013, გვ. 92-100.
8. იამამოტო ცუნეტომო, ჰაგაკურე – ფოთლების ჩრდილში ნაამბობი. თარგმანი ქ. ჩიგოგიძის და ვლ. ლუარსაბიშვილის, კომენტარები და წინასიტყვაობა, გ. თევზაძის, თბ., 2010.
9. იაპონური ენა ყველას, I, მთარგმნელი და შემდგენელი მ. გოცირიძე, თბ., 2001.
10. ლაო ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლ. ალიმონაკისა, თბ., 1990.
11. ე. ნადირაძე, მსოფლიოს რელიგიები, თბ., 1996.
12. ვ. პრონიკოვი, ი. ლადანოვი, იაპონელები, თბ., 2000.
13. საქართველო და აღმოსავლური სამყარო (ინდოეთი და შორეული აღმოსავლეთი), რედაქტორი ნ. ნადარაია, თბ., 2018.
14. დ.ტ. სუძუკი, შესავალი ძენ-ბუდიზმში, კარლ იუნგის წინასიტყვაობით, თარგმანი ლ. მუსხელიშვილისა, თბ., 2013.

15. რ. ყარალაშვილი, ჩინეთის დიდი კედლის მიღმა, თბ., 1989.
16. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, გ. მელიქიშვილის რედაქციით, თბ., 1971.
17. მ. ჭელიძე, რ. გორდეზიანი, ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია (ინდოეთი, ჩინეთი), თბ., 2001.
18. An Introduqtion of Japanese Sivilization, New-York-London, 1974.
19. Bai Shouyi, An Outline History of China, Beijing, 2002.
20. Boleree George, The life of Siddhartha Gautama, Shipperburg University Press, 1999
21. Cali Joseph, The new Zen Garden, Tokyo-New York-London, 2004.
22. Carter J. Eckert, Ki-baik Lee, Young Ick Lew, Korea, Old and New – a History, Seul-Korea, 1990.
23. The Cambridge History of Japan, vol.1, Edited by Delmer M. Brown, Cambridge University Press, 1997.
24. Harrison J.H., The Chinese Empire, New York, 1972.
25. Elliot Ch., Japanese Buddhism, London, 1974.
26. Ikeda D., Buddhism: The living Philosophy, Tokyo, 1974.
27. Joe W.Y., Chae H.F., Traditional Korea: A Cultural History, Seul Hollyim, 1997.
28. Keene D., No: The Classical Theatre of Japan, Tokyo, 1966.
29. Kenneth Doo, Young Lee, The Prince and the Monki Shotoku Wocship in Shinrans Buddhism, State University of New York Press, 2007.
30. Kenneth G., Henshall, A History of Japan from Stone Age tor Surerpouer, New York, 1999.
31. Kutagawa J.M., Religion in Japanese History, New-Yourk – London, 1966.
32. Li Li, China's Cultural Relics, Beijing, 2004.
33. Ling Haicheng, Buddhism in China, Beijing, 2004.
34. Mark Edward Lewis, The Early Chinese Empires: Qin and Han, Cambridge: Harward University Press. 2007.

35. Michiko Yusa, Japanese Religions, London-New-York, 2002.
36. Mukerjee R., The Culture and Art of India, New Delhi, 1984.
37. Nahm Andrew C., Korea, Tradition and Transformation: A History of Korean People, New Jersy, Hollym, 1988.
38. Nakamura Yasuo, Noh – The Classical Theatre, Tokyo, 1971.
39. Nukariya Kaiten, Zen – the Religion of the Samurai, El Paso Northe Press – USA, 2002
40. Ono S., Shinto the Kami Way, Tokyo 1962.
41. Pictoral Encyclopedia of Japanese Culture, Editorial Consultant Nakayama Kaneyoshi, Tokyo, 1990.
42. Rainey Lee Dian, Confucius and Confucionism: The Essentials, Oxford-Blackwell, 2010.
43. Reader I., Andreasen E., Stefansson F., Japanese Religions: Past and Present, Ingland-Japan Library, 1993.
44. Rudiger Dahlke, Mandalas for Meditation, New York, 2010.
45. Sansom G.B., Japan, A short cultural History, Stanfort, 1978.
46. Sounders E., Buddhism in Japan, Tokyo, 1972.
47. Sources of Japanese Tradition from the Earliest times to 1600, vol.1, General editor Wm. Teodore de Bary, Columbia University Press: New York, 2001.
48. Suzuki D.T., Zen and Japanese Buddhism, Tokyo, 1970.
49. Suzuki D.T., Manuel and Zen Buddhism, New York, 2011.
50. Stover L.E., The Cultural Ecology of Chinese Civilization, New Jersey,1991
51. Teiji Itoh, The Gardens of Japan, Tokyo-New York-London. 2005.
52. Tibet, Chief editor Guand Guo, Beijing, 2011.
53. Totman Conrad, A History of Japan, Blackwell Publishing, 2005.
54. Twitchett Denis, Fairbank John, The Cambridge History of China, vol.3, Sui and Tang China, part 1, Cambridge University Press. 2008.
55. Varley H.P., Japanese Culture, Hawai Press, 1984.

56. Vohra D.B., A Panoramic History of the Indian People, New Delhi, 1992.
57. Wang Ye, Daoism in China, translated by Zeng Chuanhii, Beijing, 2004.
58. Young David, Young Michiko, The Art of Japanese Architecture, Singapore, 2007.
59. Альбедиль М.Ф., Буддизм: Религия без бога, Москва, 2005.
60. Анорина Г.Н., Японский театр Но, М., 1984.
61. Арутюнов С.А., Светлов Г.Е., Старые и новые боги Японии, М., 1968.
62. Боцман Я., Буддизм: четыре благородных истины, Харьков, 2002.
63. Бродский В.Е., Японское классическое искусство, Очерки, Живопись, графика, М., 1969.
64. Будизм в Японии, М., 1993.
65. Буддизм, государство и общество в странах центральной и восточной Азии в средние века. Ответственный редактор Бонград-Левин Г.М., М., 1982.
66. Варли П., Морис А., Моррис Н., Самураи, Санкт-Петербург, 1999.
67. Васильев Л.С., Культы, религии, традиции в Китае, М., 1970.
68. Васильев Л.С., История религий Востока, М., 1983.
69. Васильевский Р.С., По следам Древних культур Хокаидо, Новосибирск, 1981.
70. Волков С.В., Ранняя история буддизма в Корее, М., 1985.
71. Галеркина О.И., Богуанов Ф.Л., Искусство Индии, М., 1963.
72. Герасимова М.П., Киотский альбом – история, культура, традиции, М., 2002.
73. Дюмулен Г., История дзэн-буддизма, М., 2003.
74. Елисеефф В., Елисеефф Д., Японская цивилизация, М., 2008.

75. Иванов Б.А., Основные идеи и направления буддизма, М., 2004.
76. Игнатович А.Н., Буддизм в Японии, М., 1988.
77. Иофан Н.А., Культура древней Японии, М., 1974.
78. История Китайской философии, М., 1989.
79. История Японии, т.1, ответственный редактор Жуков А.Е., М., 1999.
80. История стран зарубежной Азии ва средние века, ответственные редакторы Голдобин А.М., Гальдберг Д.И., М., 1970.
81. История Китая, под редакцией Адамчик В.В., Адамчик М.В., Минск, 2004.
82. Календарные обычаи и обряды народов Восточной Азии, ответственные редакторы Джарылгасинова Р.Ш., Крюков М.В., М., 1989.
83. Клаив Эрикер, Религии Мира – Буддизм, М., 2002.
84. Кодекс Бушидо, Хагакурэ (сокрытое в листве), перевод Боченкова А., Горбатько В., М., 2003.
85. Комаровский Г.И., Пять тысяч будд Энку, М., 1968.
86. Конфуций, Суждения и Беседы, перевод П. Понова, М., 2017.
87. Корнев В.И., Буддизм и общество в странах Южной и Юго-восточной Азии, М., 1987.
88. Корнев В.И., Синтоизм и Конфуцианство, М., 1994.
89. Кочетов А.Ю., Ламаизм, М., 1973.
90. Кочетов А.Ю., Буддизм, М., 1968.
91. Крывелев И.А., История религии, т. 2, М., 1988.
92. Культурология – История мировой культуры, под редакции Марковой А.Н., М., 1998.
93. Курбанов С.О., История Кореи: с древности до начала XXI века, Санкт-Петербург, 2009.
94. Кэнзоо Акияма, История Ниппон, История Японии, М., 2003.
95. Листопадов Н.А., По стопам Будды, М., 2005.

96. Лукьянов А.Е., Становление философии на Востоке. Древний Китай и Индия, М., 1989.
97. Лукьянов А.Е., Лао-Цзы и Конфуций: Философия Дао, М., 2001.
98. Малявин В.В., Конфуций, М., 2010.
99. Мещеряков А.Н., Древняя Япония, Буддизм и Синтоизм, М., 1987.
100. Мещеряков А.Н., Грачев М.В., История древней Японии, Санкт-Петербург, 2002.
101. Накорчевский А.А., Синто, М., 2000.
102. Нукария К., Религия Самураев, перевод с английского О. Макарова, Санкт-Петербург, 2003.
103. Парнов Е.И., Боги лотоса, М., 1980.
104. Пасков С.С., Япония в раннее средневековье VII-XIIвв., М., 1987.
105. Переломов Л.С., Слово Конфуция, М., 1992.
106. Переломов Л.С., Конфцианство и Легизм в политической истории Китая, М., 1981.
107. Переломов Л.С., Конфуций: жизнь, учение, судьба, М., 1993.
108. Пишель Р., Будда. Его жизнь и учение, М., 2004.
109. Сомозванцев А.М., Индия: Религии, верования, обряды, М., 2003.
110. Светлов Г.Е., Путь богов, М., 1985.
111. Светлов Г.Е., Колыбель Японской цивилизации: Нара – история, религия, культура, М., 1994.
112. Семененко И.И., Афоризмы Конфуция, М., 1987.
113. Сидихменов В.Я., Китай: страницы прошлого, М., 1987.
114. Сила-Новицкая Т.Г., Культ императора в Японии: Мифы, история, доктрины, политика, М., 1990.

115. Скринникова Т.О., Ламаистская церковь и государство, Новосибирск, 1988.
116. Спеваковский А.Б., Самурай – Военное сословие Японии, М., 1981.
117. Судзуки Д., Дзэн-Буддизм, Ташкент, 2002.
118. Сэнсом Дж. Б., Япония, краткая история культуры, Санкт-Петербург, 1999.
119. Теимс Ричард, Япония – история страны, М.-Санкт-Петербург, 2009.
120. Торчинов Е.А., Философия Буддизма Махаяны, Санкт-Петербург, 2002.
121. Торчинов Е.А., Даосизм, Санкт-Петербург, 2004.
122. Хани Горо, История японского народа, М., 1987.
123. Юй Дун, Чжун Фан, Линь Сяолин, Китайская культура, Пекин, 2004.

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; universal@internet.ge